პატიმრობა ექსტრემისტებთან ერთად

რწმენა ბოროტების პირისპირ

პეტრე იაშეკი

რებეკა ჯორჯის თანაავტორობით

პატიმრობა ექსტრემისტებთან ერთად

რწმენა ბოროტების პირისპირ

პეტრე იაშეკი

რებეკა ჯორჯის თანაავტორობით

The Voice of the Martyrs

Originally published in English under the title
Imprisoned with ISIS by Petr Jašek
Copyright © 2020 by Voice of the Martyrs

© 2025 by Voice of the Martyrs, Inc. for the Georgia edition.
Translated by permission. All rights reserved.

მთარგმნელი: ლუხუმ მაისურაძე
რედაქტორი: ლალი ჰანმერ
კორექტორი: ელენე მადათოვი

იმ ქრისტიანების დასაცავად, რომლებსაც
„წამებულთა ხმა“ ემსახურება, ასევე თავად პეტრეს
დამხმარეების უსაფრთხოებისთვის ამ ამბის
ზოგიერთი სახელი და მნიშვნელოვანი დეტალი
გამოტოვებული ან შეცვლილია.

ვინაიდან ქრისტეს გულისთვის
მარტო რწმენა კი არ მოგეცათ, არამედ
ტანჯვაც მისთვის.

ფილ. 1:29

სუდანი ძალადობრივი ისლამიზაციის დროს

როცა მილიონობით სუდანელი უკიდურესი სიღარიბის, შიმშილისა და პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში იტანჯებოდა, იესო ქრისტეს მიმდევრებს შარიათის კანონისა და ისლამისტი ლიდერების მიერ მართულ ქვეყანაში კიდევ უფრო მკაცრ რეალობაში არსებობა უხდებოდათ. სუდანის მთავრობას ქრისტიანები მიზანში ჰყავდა ამოღებული სამი ათეული წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მათ განადგურებას ლამობდა, რომლებიც ეთნიკურად არაბები არ იყვნენ.

მას შემდეგ, რაც ყოფილი პრეზიდენტი ომარ ჰასან ალ-ბაშირი 1989 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა და ისლამური კანონის მკაცრი ფორმა სუდანის მთელ ტერიტორიაზე გაავრცელა, მისი სასტიკი რეჟიმი ქრისტიანებს აშინებდა, აპატიმრებდა, ციხეში სვამდა და აწამებდა. ის ქვეყნის შემდგომ ისლამიზაციასთან ერთად საეკლესიო შენობებს ანგრევდა და ბომბავდა.

1993 წელს შეერთებულმა შტატებმა სუდანი ტერორიზმის დამფინანსებელი ქვეყნების სიაში შეიყვანა, რომელიც ისლამური ტერორისტული დაჯგუფებების წევრებსაც იფარებდა ოსამა ბინ ლადენის ჩათვლით. 2005 წელს ქვეყანაში მიმდინარე ხანგრძლივი სამოქალაქო ომი სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა, რომელსაც 2011 წელს შედეგად სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობა მოჰყვა. სამოქალაქო ამბოხების ჩახშობის მიზნით, ბაშირმა არაბი მეომრები გადაიბირა დარფურის დასავლეთ რეგიონის სამოქალაქო მოსახლეობის

დასაშინებლად, დაახლოებით, სამასი ათასი ადამიანი დახოცეს და კიდევ ოთხი მილიონი გაასახლეს.

ქვეყნის გაყოფამდე ბაშირმა სუდანის სამხრეთში, ასევე ცისფერი ნილოსის რეგიონსა და ნუბიის მთებში ორ მილიონამდე ქრისტიანის განადგურების ორგანიზება მოახდინა. ნუბას რაიონში სუდანელმა სამხედროებმა ოთხი ათასზე მეტი ბომბი ჩამოაგდეს ქრისტიანულ სოფლებში, ეკლესიებზე, სკოლებსა და საავადმყოფოებზე, რომ ქრისტიანობა მიწის პირისგან აღეგავათ. იქ მორწმუნეებს დამნაშავეებად რაცხდნენ და ხშირად აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, ცრუ ბრალს დებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ.

2009 წლის მარტში ჰააგის საერთაშორისო კრიმინალურმა სასამართლომ სამოცი წლის ბაშირის დაპატიმრების ორდერი გამოსცა, რომელიც პირველი გახლდათ სახელმწიფოს მოქმედ ხელისუფალთა ისტორიაში. მას ბრალი წაუყენეს სამხედრო დანაშაულებებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების გამო, რომლებიც სამხრეთ სუდანში ჩადენილ მასობრივ მკვლელობებს, დეპორტაციას, წამებასა და გაუპატიურებას მოიცავდა. მომდევნო წელს კიდევ ერთი ორდერი გამოიცა, ამჯერად დარფურის პროვინციაში განხორციელებული გენოციდის ორგანიზებისთვის.

ორდერების მიუხედავად, ბაშირი სუდანის მართვას განაგრძობდა და ქრისტიანებს 2019 წლის 11 აპრილამდე ატერორებდა, სანამ სუდანის სამხედრო ძალებმა რამდენიმეთვიანი პროტესტის შემდეგ არ ჩამოაგდეს.

ეს ამბავი ბაშირის სუდანში მოხდა რამდენიმე წლით ადრე, სანამ დესპოტი ქვეყანაზე კონტროლს დაკარგავდა.



წინასიტყვაობა

კვირა, 19 მაისი, 2013 წელი

ფოლადის მძიმე კარი ხმაურით დაიხურა და დახუთულ ოთახში გამომკეტა. კარი კრემისფერი საღებავით იყო მოთხვრილი, ხოლო ჭერთან ახლოს სარკმელი ჩანდა, რომელიც ზომით ხუთი რვაზე ინჩი (დაახლოებით, 13/20 სმ-ზე) თუ იქნებოდა. ცივი იატაკის გაყინულ ფილაზე ვიჯექი. სინათლის პატარა ოთხკუთხედს შევხედე თუ არა, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ყველასგან დავიწყებული ვიყავი.

გონება ჩემს გოგონას, ვანდას, იგივე „ვავა“-ს გადაწვდა, როგორც მას ვეძახდით. ის ლამაზი და ჭკვიანი ახალგაზრდა ქალი გახლდათ, რომელიც იმ კვირას სამედიცინო სკოლას ამთავრებდა. იმის ნაცვლად, რომ მასთან ვყოფილიყავი და მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი მეზეიმა, კამერაში გამომამწყვდიეს. სირცხვილის ღრმა, პულსირებადი განცდა დამეუფლა.

მოულოდნელად ჩემს ირგვლივ კედლები ბუნდოვანი გახდა და ოთახი წყვდიადში ჩაიაძირა. ვიგრძენი, რომ გული გამალებით მიცემდა. ოფლის წვეთები შუბლზე ჩამომდიოდა და თვალებს მიწვავდა. შევეცადე კიდურები გამემოძრავებინა, მაგრამ არ მემორჩილებოდა.

ამის შემდეგ ნაზი შეგრძნება დამეუფლა. ქვემოთ ზეწარი მეგო და საწოლზე ვიწექი. ეს ადგილი ნაცნობი და მანუგეშებელი ჩანდა. ხელი გამიბუჟდა და შევეცადე გამეწვდინა, რომ ცოლს შევხებოდი, რომელსაც ასევე ვანდა ერქვა და ჩემ გვერდით იდგა. ვხედავდი, როგორ ანათებდა განთიადის მზის სხივები მის ღია

ფერის თმას. ისეთივე ლამაზი იყო, როგორც ოცდასამი წლის წინ, როცა მასზე დავქორწინდი.

შვებით ამოვისუნთქე და თავი ისევ ბალიშზე დავდე. ეს საზარელი სიზმარი გახლდათ. შემდეგ კითხვები გაჩნდა. ისინი ტალღებს წააგავდა, რომლებიც ჩემს გონებას ეხეთქებოდა.

ნუთუ ეს ღვთიური სიზმარი იყო? გაფრთხილება? რა გავაკეთე ისეთი, რომ დამაპატიმრეს და ციხეში გამომაწყვდიეს?

საწოლიდან გამოვძვერით თუ არა, ჩავიცვით, რომ ეკლესიაში წავსულიყავით. სწორედ ამ კვირას კლადნოს (ჩეხეთის რესპუბლიკა) ეკლესიის წევრები კარლოვი ვარის - გერმანიის საზღვრისპირა არაჩეულებრივი სპა-კურორტის - ძმათა შეკრებას უნდა დასწრებოდნენ.

მე და ვანდა მანქანაში ჩავჯექით და მეგობრებთან ერთად საათნახევრიან გზას დავადექით დასავლეთის მიმართულებით. გონებას ჩემს სიზმართან დაკავშირებული კითხვები ავსებდა. როგორ აღმოვჩნდი ციხეში? ნუთუ გადასახადები არასწორად გადავიხადე?

ეკლესიაში ადრე მივედით. მანქანიდან გადმოვედი, რომ ერთ-ერთი უხუცესისთვის ხელი ჩამომერთმია, რომელიც ავტოსადგომიდან გვესალმებოდა. მან დაინახა, რომ გონებადაფანტული ვიყავი.

- პეტრე, კარგად ხარ?

- დიახ, კარგად ვარ, - ვუპასუხე მე, თუმცა შინაგანად აფორიაქებული გახლდით.

რაც არ უნდა მეთქვა ან გამეკეთებინა, გაღვიძებისას დაუფლებულ გრძნობას ვერ ვიშორებდი. თავიდან ვერაფრით ამოვიგდე ციხის საკეტის ჩხაკუნის ხმა.

ეს სიზმარი - ძალზე მკაფიო და შემაშფოთებელი - თითქმის სამი წლის განმავლობაში თვლემდა ჩემ შიგნით და ელოდებოდა, რომ ისევ გამოეღვიძებინათ.



1

ორწელიწადნახევრის შემდეგ

ეს 2015 წლის 10 დეკემბრის ღამის 2 საათამდე მოხდა. ოთხი დღით სუდანში ვიყავი და ერთი სული მქონდა, სანამ ოჯახთან სახლში დავბრუნდებოდი. მოუთმენელი მოლოდინის ნაცნობი ემოცია ვიგრძენი, როცა ცოლზე, მის გემრიელ საჭმელებსა და საწოლის სირბილეზე ფიქრები წამომეშალა. ჩემი რეისი ერთ საათში ხართუმიდან აფრინდებოდა, ამიტომ სასტუმროს ნომერში ყოფნის დარჩენილი რამდენიმე წუთი ვანდასთან სკაიპით კავშირისთვის გამოვიყენე, რომელიც სახლში, პრაღაში მელოდებოდა. გავიღიმე, როცა მიპასუხა. ზარი მოკლე გახლდათ, მაგრამ მალე გავთიშე. ჩემი ცოლის ნახვა მინდოდა, სანამ სახლის გზას დავადგებოდი.

ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი „წამებულთა ხმას აფრიკაში“. ამის გამო ჩემი სამუშაო საშიშ ადგილებში მოგზაურობას მოითხოვდა. ესენი იყო მტრულად განწყობილი ქვეყნები, სადაც ქრისტიანული მოსახლეობა საშინელ დევნას განიცდიდა. მე და ვანდამ ურთიერთობის მარტივი მეთოდი შევიმუშავეთ, რომელიც ტექსტური შეტყობინებების კომბინაციას, სატელეფონო ზარებსა და სკაიპის ვიდეოკავშირს გულისხმობდა. ასევე კოდური სიტყვები გვქონდა გამოსაყენებლად, თუ წერილის სახით რაიმე საიდუმლოს

გადაცემა დაგვჭირდებოდა. ჩემმა ცოლმა და შვილებმა იცოდნენ, რომ ყოველი მოგზაურობა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული და იმ ადგილებში შესაძლებელი გახლდათ ნებისმიერი რაოდენობის საშიშ ვითარებებთან შეჯახება. ამის მიუხედავად ვცდილობდი, რომ ჩემი ოჯახი ზედმეტად არ ამეღელვებინა. არ მინდოდა, ყოველ ჯერზე ენერვიულათ, როცა სახლიდან გავიდოდი.

იმ დღეს ჩემი მოგზაურობის განმავლობაში ვანდა დაძინებული იქნებოდა, ამიტომ ტექსტი იქამდე უნდა გამეგზავნა, სანამ ჩემი რეისი სუდანიდან გამოფრინდებოდა, შემდეგ - როდის დავეშვით ნაირობიში, როდის დავტოვეთ, როდის ჩავედით ამსტერდამში და როდის წამოვედი იქიდან. თუ ყველაფერი კარგად წარიმართებოდა, ვანდა საბოლოო შეტყობინებას მიიღებდა, რომ ჩემი თვითმფრინავი პრაღის დასაფრენ ბილიკზე დაეშვა. ამის შემდეგ ის აეროპორტში წამოვიდოდა ჩემ დასახვედრად ისე, რომ ერთმანეთს ზუსტად ბარგის გაცემის პუნქტთან შევხვედროდით. იმის გამო, რომ მოგზაურობა ტურისტის სტატუსით მიხდებოდა, ყოველდღიური სამოსი მეცვა: მაისური და ჯინსები. დამალული ქამარი, რომელიც ჩემმა ცოლმა მოიფიქრა, ფულსა და მეორე პასპორტს ინახავდა. ჩემი რეისი ადრიანად სრულდებოდა, ამიტომ ღამით არ მეძინა, თუმცა შხაპი მივიღე და თავიც გადავიპარსე.

ტანსაცმელი ჩემოდანში ჩავალაგე და ლეპტოპის ჩანთა გავხსენი. მასში ჩემი ძირითადი პასპორტი, მართვის მოწმობა, ფოტოკამერა, მზის სათვალეები, მობილური ტელეფონი, USB მეხსიერება, გარე მყარი დისკები და ლეპტოპი იდო. მიკრო-სიდიანი ჩიპი დაშიფრული მონაცემებით მყარად იჯდა შიდა ჯიბეში იმ შემთხვევისთვის, თუ ოდესმე ლეპტოპს მომპარავდნენ.

ლეპტოპი თანამედროვე მანქანას წარმოადგენდა და ასაწყობი კონვეიერიდან, სულ რაღაც, ერთი თვის გადმოსული იყო. ჩემი და დევნილი ქრისტიანების ცხოვრება, რომელთა ისტორიები ამ მოწყობილობაში იყო ჩატვირთული, დამოკიდებული გახლდათ ჩემს უნარზე, რამდენად კარგად დავიცავდი მას. ინტერნეტ-

ჩართვებს შორის ბრაუზერის ქეშ-ფაილებს ვასუფთავებდი და ვაიფაის ხელახალ აქტივაციას ვახდენდი, რომ ჩემი ციფრული კვალი წამეშალა. ლეპტოპი ყოველთვის მხარზე მეკიდა და თუ შემთხვევით ვინმე მასში ჩაიხედავდა, ნიგერიაში ჩემი ამასწინანდელი მოგზაურობის ამსახველი ტურისტული ფოტოების მეტს ვერაფერს ნახავდა. კონფიდენციალური ინფორმაცია - წინა ღამით გადაღებული ფოტოები - დაშიფრული ინახებოდა ლეპტოპისგან განცალკევებულ მყარ დისკზე, რომელთან წვდომა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ბოლო ოთხი დღე ღია ცის ქვეშ საიდუმლო შეხვედრები მქონდა ხალხმრავალ კაფე „ოზონში“, რომელიც სასტუმრო „პარადაიზის“ პირდაპირ მდებარეობდა. სწორედ იმ სასტუმროში დავბინავდი. „ოზონის“ მზისგან დამცავი ქოლგებით დაფარული მაგიდები და დივნები იდეალური ადგილი იყო ჩემი შეხვედრების ჩასატარებლად - საუზმის, სადილობის და ბოლო - ვახშმობისას. გარს ემიგრანტები მეხვია, რომლებშიც სტუდენტები და საერთაშორისო სკოლების პროფესორებიც შედიოდნენ, ამიტომ თეთრი ადამიანის დანახვა უცნაურობას არ წარმოადგენდა.

უკვე ღამის 2:05 საათი იყო და გარეთ, სიბნელეში ვიდექი. მძღოლის კვალიც კი არ ჩანდა. რამდენიმე წუთში ვესტიბიულში შევედი, რომ ადმინისტრატორისთვის შეფერხების მიზეზი მეკითხა.

- ვიღაც მოდის თქვენთან ერთად, - მითხრა მან. ქუჩაში გამოვედი და დაველოდე.

ყოველი წუთი მარადისობად მეჩვენებოდა. სხვა სტუმრები არ ჩანდნენ. ნუთუ ადმინისტრატორს ჩემი შეჩერება სურდა?

ისევ სარეგისტრაციო მაგიდასთან დავბრუნდი და მან ბოლოს მძღოლი გამოიძახა, რომელმაც ჩემი ჩანთის აღება დააპირა, მაგრამ მარტო ჩემოდანი მივეცი. აეროპორტისკენ მიმავალ მანქანაში ჩავჯექი და მძღოლმა ჩემს უკან კარი მოხურა. მანქანა დაიძრა.

როგორც მოსალოდნელი იყო, აეროპორტში რამდენიმე წუთში მივედი. ნაკლებად გადატვირთულ ტერმინალს მივაშურე

და კენიის ავიახაზების მაგიდისკენ გავემართე. მორიგემ სამი ბილეთი გადმომცა - თითოეული ჩემი მგზავრობის ყოველი ეტაპისთვის. ორი ბილეთი ლეპტოპთან ერთად ჩანთაში ჩავიდე და მგზავრების რიგისკენ წავედი, რომლებიც საპასპორტო კონტროლს ელოდებოდნენ. ხვალ ამ დროისთვის აფრიკიდან სახლში ჩავფრინდები და ჩემს საწოლში დავიძინებ.

როგორც კი გავინძერი, ვიგრძენი, რომ ვიღაცამ მხარზე დამარტყა.

- სუდანის უშიშროება, - დამტვრეული ინგლისურით და მკაცრი ხმით

ჩაილაპარაკა ერთმა კაცმა, - გთხოვთ, გამოგვყვეთ.



2

დიდად არ მაღელვებდა, რომ ოფიცრებმა სხვებისგან გამომყვეს. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ვყოფილვარ, აეროპორტის უშიშროების სამსახური ხშირად ატარებს მსგავს შემოწმებას იმაში დასარწმუნებლად, რომ მგზავრებს ქვეყნიდან ფული არ გააქვთ.

ჩემთვის ვიფიქრე, რომ ეს ჩვეულებრივი სკრინინგი იყო. რამდენიმე მოკლე კითხვისა და ჩემი ბარგის სწრაფი დათვალიერების შემდეგ კენიის გზას დავადგებოდი.

ორი მცველი შავ შარვლებსა და ღია ფერის მოკლესახელოებიან და პატარასაყელოიან პერანგებში იყო გამოწყობილი. დავინახე ქამარში ჩამალული პისტოლეტები, როცა მცირე ზომის იმპროვიზირებულ დაკითხვის ოთახში შემიყვანეს, სადაც მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. ოთახის გამყოფი კედლები დროებითი და ნაცრისფერი გახლდათ. თავზემოთ ჭერი არ იყო, ამიტომ აეროპორტის ტერმინალიდან ხმაური შემოდიოდა.

საათს დავხედე. რეისზე მისწრება თუ მინდოდა, რომელიც ორმოცდახუთ წუთში გაფრინდებოდა, ეს დაკითხვა უნდა დამეჩქარებინა. მცველებმა ინგლისური არ იცოდნენ, ამიტომ მათთან ფრანგულად დალაპარაკებას შევეცადე. ისინი უსიტყვოდ მიყურებდნენ. სუდანსა და რუსეთს მჭიდრო კავშირები აქვთ, ამიტომ რამდენიმე სიტყვა რუსულადაც ვუთხარი. ამის მიუხედავად, არანაირი რეაქცია არ გამოხატეს. შემდეგ გერმანული ვცადე და ჩეხური, ჩემი მშობლიური ენაც მოვიშველიე. რაც არ უნდა მეთქვა, ისინი დუმილით ხვდებოდნენ.

- ლეპტოპი, - მითხრა ერთ-ერთმა მათგანმა დამტვრეული ინგლისურით.

ჩანთისკენ ხელი გავიშვირე, ლეპტოპი ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. მცველმა ჩართო და სისტემის ჩატვირთვას დაელოდა. მან კომპიუტერი ჩემკენ შემოატრიალა და პაროლი მომთხოვა.

- არავითარ შემთხვევაში,- ვუთხარი მე, - ეს შეუძლებელია. სულაც არ ვაპირებდი ჩემი ინფორმაციის მათთვის ასე ადვილად გადაცემას მაშინაც კი, როცა მყარი დისკი დაშიფრული იყო.

სანამ მცველები ჩემს კომპიუტერთან ჯაჯირობდნენ, ტელეფონი ჩუმად გამოვაძვრე ქამრიდან. ჩემი აიფონი ისე იყო დაპროგრამებული, რომ პაროლის შეყვანის ათი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ თავისით ახდენდა ხელახალ ფორმატირებას. ერთიმეორის მიყოლებით დავიწყე არასწორი პინ-კოდების შეყვანა იმ იმედით, რომ ყველაფერი თავისით წაეშალა. თუმცა მეხუთე მცდელობის შემდეგ ტელეფონი მოკვდა და ხუთი წუთით დაცდა მოითხოვა, სანამ ისევ განაგრძობდა. ტელეფონი სწრაფად გამოვრთე, რომ ხელახალი ჩართვისთვის კოდი მოეთხოვა. ჩემი თითის ანაბეჭდი არ მუშაობდა, თუ ღილაკზე ცერა თითის დადებას მაიძულებდნენ. ერთ-ერთმა მცველმა დამინახა, რომ ციფრებს ვკრეფდი და იფიქრა, რომ დარეკვას ვცდილობდი. მან ხელი გამოიშვირა და ტელეფონი მომთხოვა. დავხედე იმაში დასარწმუნებლად, რომ სრულად იყო გამორთული და გადავეცი. მას არ უცდია ჩართვა, ყოველ შემთხვევაში, იმ წუთს.

- კამერა, - მოითხოვა მცველმა. აპარატი გადავეცი თუ არა, ჩხიკინი დაუწყო. თავს ზემოთ, ტერმინალში გავიგონე, როგორ აცხადებდა სტიუარდესა ჩემს სახელს აეროპორტის შიდა კავშირის სისტემაში: „პეტრ იაშეკ!“ ... თითქმის ორი დღე არ მიძინია ღამის ფრენების გამო და ახლა მხოლოდ თვითმფრინავში ჩაჯდომა მსურდა. სტრესის დონე თანდათან მომემატა.

- რეისზე მაგვიანებთ, - ვუთხარი მცველს. ხმაში გაღიზიანება დამეტყო.

- პრობლემა არ არის, პრობლემა არ არის, - არაბულ ენაზე მიპასუხა მან.

მცველმა მის წინ მდებარე ქაღალდების დასტა გადაათვალიერა.

- მიზანი? - იკითხა მან.

- ტურისტი ვარ, - ვუპასუხე მე. მცველმა ყურადღებით დაათვალიერა ჩემი პასპორტი, ტურისტული ვიზა და პოლიციის რეგისტრაცია.

- არა ტურისტი, - თქვა მან, - არა ტურისტი.

საათი ისევ შევამოწმე. ღამის 3 საათი გამხდარიყო და ალბათ, ჩემი თვითმფრინავის გასასვლელიც დაიკეტა. ფრენა ჩემ გარეშე შედგა. მოგვიანებით სხვა რეისი დამჭირდებოდა.

ცოლი გამახსენდა, რომელიც გაღვიძებისას ინერვიულებდა, როცა ჩემი შეტყობინება არ დახვდებოდა. ვიცოდი, რომ იმავე დღეს, მოგვიანებით, ჩემი ქალიშვილი დამამთავრებელ გამოცდას გაივლიდა შინაგანი ორგანოების სნეულებებში. ვავასთვის ვილოცე, რადგან მცველმა, რომელიც სრულიად არ ინტერესდებოდა ჩემი ჩემოდნით, ლეპტოპზე მიმანიშნა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით მკითხა, ხომ არ ვინახავდი სხვა ციფრულ მოწყობილობას, ვთქვათ, მყარ დისკებს ან ფლეშ-მეხსიერებას.

მცველი ჩემს ჩანთაში ჩაძვრა და გარე მყარი დისკები და მათთან ერთად სხვა ციფრული მოწყობილობები ამოაძვრინა. ასევე იპოვა მეორე პასპორტი და თვალები აუელვარდა.

იმის გამო, რომ მსოფლიოში ასე ხშირად ვმოგზაურობდი, ჩეხეთის მთავრობამ სამი პასპორტი მომცა. თუ ერთი მათგანის გაგზავნა მომიხდებოდა მომავალი მოგზაურობისთვის საჭირო ვიზის მისაღებად, დარჩენილი ორით მაინც გავემგზავრებოდი. ერთ-ერთს აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურს წარვუდგენდი, ხოლო მეორე სარეზერვო ასლის სახით მექნებოდა.

მცველებმა ჩემი მეორე პასორტი დაათვალიერეს და ერთმანეთს მრავლისმეტყველი მზერით გადახედეს. ისინი ფიქრობენ, რომ ჯაშუში ვარ. მათ ჩემი პასპორტები წაიღეს, ოთახიდან გავიდნენ და დიდი თეთრი მობილური ტელეფონით დაბრუნდნენ.

- შეხედე, შეხედე, - მითხრა მცველმა და ეკრანზე ფოტოგალერეა გახსნა.

თვალებს არ დავუჯერე. ფოტოზე ერთ-ერთი პირველი შეხვედრა იყო აღბეჭდილი, რომელიც „ოზონში“ ჩემსა და სუდანელ პასტორს შორის შედგა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ სახის გამომეტყველებით ამ სიურპრიზის დანახვაზე წარმოქმნილი განცდა არ გამეცა.

- შესაძლოა, მე ვარ, - ვუთხარი მათ, - თუმცა შეიძლება, არც ვიყო.

- სახელი? - მკითხა მცველმა და ეკრანზე თითი მეორე ადამიანისკენ გაიშვირა. მე არაფერი ვუპასუხე.

მცველმა თითით ეკრანი გადაფურცლა და მეორე ფოტო მაჩვენა.

- სახელი! - ჩამაცივდა ის.

- რა პრობლემაა? - ვიკითხე მე მხრების აჩეჩვით, - აქ მართლაც შევხვდი რამდენიმე ადამიანს.

- ვის შეხვდით?

- მეგობრებს, რომელთაც ადრე ვიცნობდი.

მან ისევ გადაფურცლა ეკრანი და კითხვები გაიმეორა. მე არავითარი ინფორმაცია არ მიმიწოდებია.

მცველებმა ერთმანეთს რამდენიმე იმედგაცრუების სიტყვები გადაულაპარაკეს არაბულ ენაზე და ოთახი დატოვეს. რამდენიმე წუთში კართან მკვეთრ ფერებში ჩაცმული ოფიცერი გამოჩნდა ყავისფერი შარვლით და ყვითელი უჯრულა ქურთუკით. მან სხვა მამაკაცებს გვერდი აუარა, მაგრამ ხმის ამოუღებლად დადგა პატარა ოთახის კუთხეში, სანამ მცველები დანაწევრებულ კითხვებს ტყვიამფრქვევივით მაყრიდნენ. თანამშრომლობაზე ჩემმა უარმა ისინი აიძულა, რომ აეროპორტის ყველაზე მაღალჩინოსანი ოფიცერი მოეწვიათ. როცა მათ კითხვებს თავი ავარიდე, მცველების იმედგაცრუება რისხვაში გადაიზარდა.

დილის 3:45 საათისთვის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მიხვდა, რომ დაკითხვას აზრი არ ჰქონდა. მან პირიდან არაბული სიტყვების ნაკადი ამოუშვა, რის შემდეგაც მცველებმა რამდენიმე

წუთში ქაღალდები წამოკრიფეს და ჩემი ჩემოდნის, ლეპტოპის ჩანთისა და საფულის კონფისკაცია მოახდინეს.

- თქვენ თანამშრომლობა არ ინდომეთ, - განაცხადა ოფიცერმა ჩემკენ მომართული ჟესტიკულაციით, - ამიტომ ახლა ჩვენთან წამოხვალთ.



3

ვითარება, რომელშიც აღმოვჩნდი, ორი თვით ადრე დაიწყო, როცა ეთიოპიას ვესტუმრე ქალაქ ადის აბებაში მიმდინარე პატარა კონფერენციის დასასწრებად. მეზობელი სუდანის ქრისტიანი ლიდერებისთვის ეს ერთკვირიანი ღონისძიება კარგი შესაძლებლობა იყო, რომ ერთმანეთისთვის რჩევები მიეცათ და ერთმანეთს აღჭურვასა და გამხნევებაში დახმარებოდნენ.

კონფერენციაზე თხუთმეტიოდე სუდანელ მოქალაქეს და ათზე მეტ მიგრანტსა და მისიონერს შევხვდი, რომლებიც რამდენიმე წლით ადრე სუდანიდან გამოასახლეს. ჩემი გამგზავრების მიზანი გახლდათ ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ქრისტიანების ღია დევნის შეფასება და ამ რაიონის პასტორებისა და ლიდერებისთვის ათწუთიანი პრეზენტაციის მომზადება.

კონფერენციაზე პასტორმა ჰასანმა დარფურელ ახალგაზრდა ქრისტიანზე გვიამბო, რომელიც საშინლად აწამეს ხართუმში, სუდანის დედაქალაქში მისი ახალშეძენილი ქრისტიანული რწმენის გამო. მისი სხეულის თითქმის მესამედი სახის, მკერდისა და ხელების ჩათვლით, დამახინჯებული იყო.

დამანაღვლიანა ამ ახალგაზრდა კაცის დანახვამ, რომელიც ასე დაზარალდა თავისი რწმენის გამო. ბევრი მამაკაცი, ქალი და ბავშვი მინახავს მთელ მსოფლიოში, რომლებმაც დიდი სიძნელეები გადაიტანეს იესო ქრისტეს მიმართ ერთგულების გამოჩენით. ყოველ ჯერზე, როცა ვხვდებოდი ადამიანებს, რომელთაც სხეულზე ქრისტეს ტანჯვის ნიშნები ჰქონდათ, უფალს მადლობასვწირავდი ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საშუალებისთვის, რომლებიც ჩვენი დევნილი და-ძმების სულიერი

და ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის იღწვოდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

- მას სამედიცინო დახმარება სჭირდება? - ვიკითხე მე.

- დიახ, - მიპასუხა ჰასანმა, - თუ ამის შესაძლებლობა გაქვთ, იქნებ სუდანში ჩამოსულიყავით მასთან დასალაპარაკებლად?

რამდენიმე დღის შემდეგ პრაღაში დავბრუნდი იმ იმედით, რომ აფრიკაში გავემგზავრებოდი ამ გატანჯულ ქრისტიანთან შესახვედრად. სუდანში არაერთხელ ვყოფილვარ 2002-დან 2011 წლამდე, განსაკუთრებით კი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, მაგრამ ბოლო პერიოდებში არ მომიხდა იქ ჩასვლა. 2011 წელს სამხრეთ სუდანის გამოყოფის შემდეგ ქრისტიანების მიმართ მტრული დამოკიდებულება მთელ ქვეყანაში გაიზარდა.

2005 წლის იანვარში სუდანის სახალხო-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და ოფიციალურმა მთავრობამ ხელი მოაწერეს ყოვლისმომცველ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც გაჭიანურებული სამოქალაქო ომის შეწყვეტის, მთელ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისა და ნავთობის გაყიდვით მიღებული მოგების სამართლიანი განაწილებისკენ იყო მიმართული. შეთანხმებამ ასევე დაადგინა სამხრეთ სუდანის ჩრდილოეთისგან გამოყოფის დეტალების დამუშავების ექვსწლიანი გრაფიკი. 2011 წლის დადგომისას სუდანის ორი მხარე დამოუკიდებელ ქვეყნებად იქცა - სუდანად და სამხრეთ სუდანად, რომელთაც ნუბიის მთები ჰყოფს. მთლიანი სუდანი მუსულმანურია, ხოლო სამხრეთ სუდანსა და ნუბიის მთებში დიდი რაოდენობით ქრისტიანები ცხოვრობენ.

დღეს მსოფლიოში, დაახლოებით, ხუთი მილიონი ნუბას ხალხის[1] წარმომადგენელი ცხოვრობს. აქედან 1,5 მილიონი ნუბიის მთების მკვიდრია. დანარჩენები განდევნეს და მათი უმეტესობა სუდანის სხვა რაიონებში დასახლდა. ის, რომ ნუბელების ნახევარზე ცოტა მეტი თავს ქრისტიანად მიიჩნევს, პრეზიდენტ

1 მთარგმნელის შენიშვნა: ნუბას ხალხი არ არიან ნუბიელები, მათი მონათესავე ეთნიკური ჯგუფი სულაც არ გახლავთ. ეს უკანასკნელნი ნუბიურ ენებზე საუბრობენ და სუდანის ჩრდილოეთით და ეგვიპტის სამხრეთში ცხოვრობენ. მათი მცირე რაოდენობა ნუბიის მთებშიც მკვიდრობს

ომარ ალ-ბაშირისა და მისი ტოტალიტარული რეჟიმისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიქმებოდა. ბაშირის მიზანი გახლდათ სუდანის სრული ისლამიზაცია და არაბიზაცია, ამიტომ ხართუმის ისლამური ხელისუფლება ნუბას ხალხის განადგურების იმედით და იმის გამოც, რომ ისინი ისლამური კანონებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, მოსახლეობას თავს დაესხა და ნუბიის მთიან რეგიონში 90 მილის მანძილზე აკრძალა ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა. მისი რეჟიმის პირობებში ამ რაიონში ჩასვლაც კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლებოდა.

ბაშირი ნუბიის მთებიდან საფრთხეს ელოდა, რადგან იგივე განცდა ჰქონდა ქრისტიანების მხრიდანაც. ნუბელები მარტო არსებობითაც კი სახელმწიფო ღალატის ჩამდენ ხალხად ითვლება. ბაშირის მიერ შექმნილი სახელმწიფოს აზრით, ნებისმიერი, ვინც ნუბელების წინააღმდეგ ჩადენილი მხეცობის დღის სინათლეზე გამოტანას შეეცდებოდა, შპიონაჟში იქნებოდა ბრალდებული.

* * *

ამ მგზავრობისთვის ვიზის მიღება იმაზე ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. განცხადების დაწერისას საჭირო იყო სუდანის სასტუმროს ჯავშნის წარდგენა, ამიტომ ხართუმის „პარადაიზში“ ნომერი შევუკვეთე და თანამშრომლებს ადგილობრივ პოლიციაში ჩემი ვიზიტის დარეგისტრირება დავავალე, რაც აუცილებლობას წარმოადგენდა.

ნომრის დაჯავშნის შემდეგ ვენაში გავემგზავრე, რომელიც უახლოესი ქალაქი იყო სუდანის საელჩოში ტურისტული ვიზისთვის განცხადების შესატანად, თუმცა არსებობდა მათგან უარის მიღების ალბათობაც. სხვა ვარიანტი არ მქონდა: იმის გამო, რომ ვიზის მისაღები განცხადება უნდა შემეტანა, წარმოდგენა არ მქონდა, შევძლებდი თუ არა ეკლესიის ლიდერებთან ასე მოკლე დროში შეხვედრას. ისიც არ ესწრებოდა, რომ რომელიმე საეკლესიო კონფესიას მოსაწვევი გამოეგზავნა რელიგიური ვიზის მისაღებად.

დროის შეზღუდვებს რომ თავი დავანებოთ, ნაკლებად სარწმუნო იყო, რომ სუდანის ისლამური მთავრობა რელიგიური მუშაკის ვიზას მომცემდა. ყოველ ჯერზე, როცა ქვეყანაში პირველად ჩავდივარ, ვცდილობ სამუშაო შეხვედრების მიღმა კიდევ რამდენიმე ცნობილი ღირსშესანიშნაობა მოვინახულო და იქაურობას გავეცნო, ამიტომ ტურისტული ვიზის მოთხოვნა სრულიად გონივრულად მიმაჩნდა - ნაწილობრივ, მართლაც ტურისტი ვიყავი. არაფრის გარანტია არ არსებობდა ჩემისთანა მუშაკისთვის, რომელიც ქრისტიანების მდევნელ ქვეყანაში შედიოდა. შესაძლებელი იყო ნებისმიერი დაგეგმილი შეხვედრის ჩატარება ყოველგვარი გართულების გარეშე; მეორე მხრივ, არ იყო გამორიცხული, რომ ერთ ქრისტიანსაც ვერ შეხვედროდით უშიშროების სამსახურის ან გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო.

სუდანის საელჩოში სასტუმროსა და ავიაბილეთების ჯავშანი წარვადგინე, საჭირო დოკუმენტები შევავსე და ორ საათში ტურისტული ვიზა ხელთ მქონდა.

მგზავრობის დაგეგმვის შემდეგ პასტორებისა და ქრისტიანი მუშაკების იატაკქვეშა ქსელს დავუკავშირდი, რომელთაც ოქტომბერში კონფერენციაზე შევხვდი. ზოგიერთებმა არ მიპასუხეს. სხვებმა თქვეს, რომ ქალაქში არ იქნებოდნენ. ფრთხილი კომუნიკაციის, დაცული ელექტრონული ფოსტის გამოყენებით და მაპროვოცირებელი სიტყვების თავიდან არიდებით, რომელთაც ეჭვის გამოწვევა შეეძლოთ, თუ ამ მიმოწერას სამთავრობო ჩინოვნიკები ჩაიგდებდნენ ხელში, ხართუმში ჩემი ვიზიტის მარშრუტი დავგეგმე. რამდენიმე პასტორი განსაკუთრებით დამეხმარა, მაგალითად, ჰასანი, რომელიც ნუბიის მთებიდან იყო.

ხართუმში ჩასვლისას არცთუ დიდი ხნის წინ დანგრეული ეკლესიების ნანგრევები მოვინახულე. ყოველთვის რთულია დანგრეული, საძირკვლამდე დამწვარი და ბულდოზერით გადასწორებული ეკლესიის ნახვა. ეს ძალიან მანაღვლიანებს იმ ეკლესიის ხალხის გამო და ჩემი მშობლიური ეკლესიის მადლიერი ვარ. თუმცა სულ მთლად ელდანაცემი არ ვყოფილვარ. წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი მრავალ ქვეყანაში დევნაზე

რეაგირების პროექტებს, სადაც ქრისტიანული ეკლესიები ხშირად იქცეოდნენ ნანგრევებად. ხართუმში თაყვანისცემის ასეთი წაბილწული ადგილების უმრავლესობას ნუბიის მთების მორწმუნეები ავსებდნენ, რომლებიც სუდანის მთავრობის სამიზნეს და დევნის ობიექტებს წარმოადგენდნენ. ხელისუფლების მტკიცებით, შენობები იმიტომ აიღეს, რომ ეკლესიებმა ზონირების კანონები დაარღვიეს, თუმცა ეს ქრისტიანების დევნის გასამართლებელი მიზეზი გახლდათ - ზემოხსენებული შენობები ათეული წლები არსებობდა. ნუბას ერი სუდანის რეჟიმის ოფიციალურ მტრად იქცა, ამიტომ მას პოლიტიკურად, კულტურულად და სულიერად დევნიდნენ. ჩემთვის ცხადი იყო ასეთი სასტიკი დევნის ნამდვილი მიზეზი: ეს ქრისტიანები უფლის დიად დავალებას ასრულებდნენ და ყველა ერში იმოწაფებდნენ ადამიანებს, მათ შორის, ისლამური მმართველობის ქვეშ მყოფებსაც. სწორედ ეს იყო მათი უდიდესი „დანაშაული“.

ამ მამაცი და რწმენისთვის ტანჯული ქრისტიანების დამოწმებამ მათი დახმარების გადაწყვეტილება გააძლიერა და განამტკიცა. მთავრობის მხრიდან მათ მიმართ ცუდმა მოპყრობამ იმედი საშინლად გამიცრუა და დამანაღვლიანა, მაგრამ ვიცოდი, რომ მრავალწლიანი გამოცდილებისა და „წამებულთა ხმის“ ქსელის კონტაქტების მეშვეობით დასახმარებელი გზების მოძებნა შემეძლო. დანგრეული შენობების სახება სრულიად ფერმკრთალდებოდა ცალკეული ქრისტიანებისთვის მიყენებული ტრავმის ფონზე. ჩემი მოგზაურობის ბოლო დღეს, როგორც იქნა, შევძელი ახალგაზრდა კაცთან შეხვედრა, რომელსაც სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა. ამის შესახებ პასტორმა ჰასანმა ადის-აბებაში მითხრა. ვიცოდი, რომ თვითონ შეხვედრა მას საფრთხეს შეუქმნიდა და არც ჩემთვის იქნებოდა კარგი, ამიტომ ოზონში მის მიპატიჟებას ვერ ვრისკავდი. ამის ნაცვლად შევთანხმდით, რომ გვიან ღამით შევხვედროდით კერძო ადგილას მის საცხოვრებელთან ახლოს.

ჩემი თარჯიმანი ქრისტიანი იყო, სახელად მონიმი. ის ასევე გათვითცნობიერებული გახლდათ დევნებში: მას შემდეგ, რაც

ქრისტეს რწმენაში მოვიდა, დააპატიმრეს და ელექტროშოკით აწამეს. უშიშროების პოლიციამ წინასწარგანზრახვით სწორედ მაშინ დააპატიმრა, როცა მაგისტრის საფეხური უნდა დაესრულებინა, რითაც პროგრამიდან ამოვარდა. მისი სიმამაცით და ენების ცოდნის უნარით მოხიბლული ვიყავი.

მონიმთან ერთად შევხვდით ახალგაზრდას, რომელსაც ალი უმარ მუსა ერქვა. ის საშინლად დაიწვა მთავრობის თავდასხმის დროს. დავინტერესდი, რა სამედიცინო დახმარება გაეწია აქამდე და რას გეგმავდნენ ექიმები მისი დამწვრობების განსაკურნებლად. მონიმის დახმარებით ალის პერანგის გახდა ვთხოვე, რომ მისი ტრავმების დეტალური ფოტოები გადამეღო, რომლებიც „მოწამეთა ხმის“ ექიმებს ამ ადამიანის სამედიცინო თვალსაზრისით მომსახურების საუკეთესო საშუალების მოძებნაში დაეხმარებოდა.

ალის რწმენის შესახებაც ვკითხე, მაგრამ მან, ალბათ, არასწორად გაიგო ჩემი კითხვები ან პასუხის გაცემა არ ისურვა. მონიმი ჩემკენ გადმოიხარა და მიჩურჩულა, რომ იმავე ოთახში მსხდომ ალის მეგობრებსა და თანაკურსელებს მის ახალ რწმენაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. გასაკვირი არ იყო, რომ მას ისლამის მიტოვებასა და იესოს მოწაფეობაზე ღიად ლაპარაკი არ სურდა! როცა იმ სახლიდან გამოვედით, სადაც ალის შევხვდით, მონიმთან ერთად კიდევ ერთი შეხვედრა მოვაწყვეთ, სადაც მოგვიანებით სრული დამოწმება მოვისმინე, თუ როგორ ირწმუნა ალიმ, რომ იესო ღვთის ძე იყო და მისი რწმენის ისტორიასაც გავეცანი. ამან კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში ქრისტიანთა დევნა გამახსენა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი.

შეხვედრების შემდეგ დავგეგმე, რომ ეს დელიკატური საუბარი ბოლო იქნებოდა ჩემი სუდანში ყოფნისას და ალის ტრავმების ფოტოები ჩემი ლეპტოპის დაშიფრულ განყოფილებაში მოვათავსე.

ახლა ეს ლეპტოპი მაგიდაზე იდო და ორი სუდანელი აეროპორტის დაცვის მუშაკი ამოწმებდა.



4

ორმა მცველმა დაკითხვის ოთახიდან გამომაცილა და აეროპორტიდან თეთრ *ლენდ კრუიზერთან* მიმიყვანა, რომელიც გარეთ გველოდებოდა. ეს ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, რომლებითაც სავსეა ხართუმის მტვრიანი ქუჩები. უკანა სავარძელზე ხუთიოდე წუთის განმავლობაში ვიჯექი, სანამ სუდანის ეროვნული სადაზვერვო და უშიშროების სამსახურის სათავო ოფისამდე მივიდოდით. მცველებმა გენერლის ოფისის მოსაცდელში მიმიყვანეს. იქ ყავისფერი ტყავის დივანზე დავჯექი. იქ არ იყო ცენტრალური კონდიცირება ან გათბობა, მაგრამ დილის 4:30 საათზე ჩემს ჯინსებსა და მაისურში შენობის სასიამოვნო ტემპერატურა შევიგრძენი. საათობით ველოდი. აკა-47-ით შეიარაღებული კაცი ოთახის გარეთ იჯდა და გასასვლელს დარაჯობდა. მას ნიკაპი მკერდზე ჩამოედო და ისიც გავიფიქრე, ხომ არ გავქცეულიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ შეიძლებოდა ნებისმიერ წამს გაღვიძებოდა.

დაახლოებით, სამი საათის შემდეგ უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომელი მოვიდა და მოსაცდელიდან წამიყვანა.

- საელჩოსთან დაკავშირება მინდა, - ვუთხარი მათ, - ასევე ოჯახთან დარეკვა.

ჩემს თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს და საგამოძიებო ოთახში შემიყვანეს.

- „წამებულთა ხმაში“ მუშაობთ, არა? - შემეკითხა გამომძიებელი.

არ შემეძლო გარისკვა და სამუშაოს საფრთხის ქვეშ დაყენება, ამიტომ შევეცადე ისე მეპასუხა, რომ დამაზიანებელი ინფორმაცია

არ გამეცა. ამ დაკითხვისას ჩემს გონივრულ ორიენტირებაზე იყო დამოკიდებული ძალიან ბევრი ქვეყნის ბევრი ქრისტიანის ბედი. ტექნიკურად „წამებულთა ხმის“ თანამშრომელი კი არა, მხოლოდ დამოუკიდებელი კონტრაქტორი ვიყავი, ამიტომ მტკიცე „უარის“ თქმა თამამად შემეძლო.

მან კითხვა გაიმეორა.

- მე იმ ხალხის მრჩეველი ვარ, რომლებსაც გატანჯული ადამიანების დახმარება სურთ, - თან ხაზი გავუსვი საავადმყოფოს ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილებას. გამომძიებელმა საქაღალდედან ფურცელი ამოიღო და სახელების სიის ამოკითხვა დაიწყო ისე, რომ ყოველი სახელის შემდეგ პაუზას აკეთებდა.

რასაკვირველია, ეს პასტორების სია გახლდათ, რომელთაც წინა ოქტომბერში ეთიოპიის კონფერენციაზე შევხვდი. გონებით კონფერენციას გადავწვდი, სადაც რამდენიმე სუდანელ მამაკაცი ვნახე, რომლებიც დერეფანში მისეირნობდნენ. მაშინაც გავიფიქრე, რომ ისინი საეჭვოდ გამოიყურებოდნენ. ახლა მივხვდი. ეს ადამიანები მთავრობის აგენტები იყვნენ - კონფერენციის დამსწრე ქრისტიანებზე ინფორმაციის შესაგროვებლად გამოგზავნილი ხალხი.

გულწრფელად რომ ვთქვა, არც მახსოვდა ყველა იმ ადამიანის სახელი, ვისაც ადის-აბებაში შევხვდი, მაგრამ ამათთან ერთი მათგანის ხსენებაც არ მინდოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამომძიებელმა საქაღალდე დახურა.

- თუ ჩვენთან არ ითანამშრომლებთ, - თქვა მან, - თქვენი უფრო დიდხანს დაყოვნება მოგვიხდება.

მან უკან, მოსაცდელამდე მიმიყვანა და დივანზე კიდევ რამდენიმე საათი გავატარე.

როცა სუდანის უშიშროების თანამშრომელმა უკან, დაკითხვის ოთახში წამიყვანა, მაგიდაზე ჩემი გაშლილი ლეპტოპი დავინახე გარე მყარ დისკებსა და კამერასთან ერთად. სუდანში წამოსვლამდე ძველი ლეპტოპიდან ფოტოები ახალში გადავიტანე. 100 %-ით ვიყავი დარწმუნებული, რომ გარე მყარი დისკიდან ყველა ფოტო წავშალე და დაკითხვისას

კომპიუტერის დაშიფრულ განყოფილებაში არსებული დაცული ინფორმაციის დარდი არ მქონდა. დარწმუნებული გახლდით, რომ მოწყობილობა სუფთა იყო.

და მაინც, მოსმენილზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. გამომძიებელმა ლეპტოპის ღილაკს ხელი დააჭირა და დინამიკებიდან ნაცნობი ხმა გავიგონე: *„ახლა ნუბიის მთებში ვართ...“* ხმა ჩემს თანამსახურ კოლეგას ეკუთვნოდა.

საიდან აღმოჩნდა 2011 წლის ვიდეო ჩემს გარე დისკზე?

2012 წელს, ნუბიის მთების მეორე გაცხოველებული ომის დროს მეგობარ ქრისტიან ლიდერებთან ერთად ნუბიაში გავემგზავრეთ იქაური ამბების გადასაღებად და დევნილი ქრისტიანებისთვის დახმარების აღმოსაჩენად. ისინიც ჩემსავით წლების განმავლობაში აწარმოებდნენ მისიონერულ სამუშაოს მთიან რეგიონში, რომელიც სუდანს სამხრეთ სუდანისგან ჰყოფდა. ამ საქმიანობას ბაშირის ადმინისტრაცია უკანონოდ თვლიდა.

ჩვენი ერთ-ერთი რეისი, რომელსაც ნუბიის მთებში დახმარება მიჰქონდა, უკანაკსნელი აღმოჩნდა, რადგან ამის შემდეგ საჰაერო სივრცე დაიკეტა და ასაფრენი ბილიკი დაიბომბა. 2011 წლიდან სუდანის ხელისუფლება კვლავ განაგრძობს ამ ტიპის დახმარების აკრძალვას და კანონდამრღვევებს მკაცრად დევნიან. თხუთმეტ წელზე მეტია, რაც პრეზიდენტ ბაშირის ბრძანებით ნუბიის მთებს გამუდმებით ბომბავენ. გაერომ მხოლოდ ახლახანს მოუსმინა ადამიანებს, რომლებიც ამ თავდასხმებზე ინფორმაციას იძლეოდნენ. ერთ-ერთი ის ჩემი მეგობარი გახლდათ, რომელიც ვიდეოში ლაპარაკობდა. მის ხმას სწორედ ახლა ვისმენდი.

მაინც როგორც მოხვდა ეს ვიდეო ჩემს ლეპტოპში?

შემდეგ პროკურორმა მაგიდაზე ორი მამაკაცის ფოტო დადო, სადაც ისინი თვითმფრინავის ფიუზელაჟს შიგნით ისხდნენ. მაშინვე ვიცანი. როცა ახლოდან დავაკვირდი, ქვემოთ წარწერა შევნიშნე: „მივემართებით საომარი მოქმედებების ზონაში“.

მოულოდნელად ყველაფერი საშინლად ცხადი გახდა. უშიშროებამ შეძლო წაშლილი ვიდეო- და ფოტო-მასალის ჩემი გარე მყარი დისკებიდან აღდგენა, რომელთაც წინა ლეპტოპიდან

ახლის დაშიფრულ განყოფილებაში გადასატანად ვიყენებდი. მათ ასევე მონახეს ალის სხეულის წაშლილი გამოსახულების აღდგენის საშუალება, რომელიც ჩემი ვიზიტის ბოლო ღამეს დაპატიმრებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გადავიღე.

-რაქვია ამ ადამიანს? -იკითხა გამომძიებელმა და ახალგაზრდა სტუდენტ ქრისტიანზე მიმითითა. პასუხის გაცემაზე უარი განვაცხადე და თან ვფიქრობდი, თუ როგორ შეძლეს წაშლილი ფოტოების აღდგენა. ამის შემდეგ ხერხემლის გაყოლებაზე ცივმა ტალღამ დამიარა და როცა მომხდარი გავიაზრე, ეს საზარელი შეგრძნება სადღაც მუცლის ღრუში ჩაიძირა. *ფოტოები კი წავშალე, მაგრამ დამავიწყდა კამერის მეხსიერებაზე სპეციალური პროგრამის გადაწერა, რომელიც ფაილების აღდგენას შეუძლებელს გახდიდა.*

კაცმა ქაღალდის ფურცელი ამოიღო და სახელების სიის ამოკითხვა დაიწყო, რომლებიც მაშინვე ვიცანი ჩემი სკაიპის ანგარიშის კონტაქტებიდან. უშიშროებამ ჩემი ანგარიში გატეხა და კონტაქტები გამოიყენა „წამებულთა ხმის“ თანამშრომლებსა და სხვა ქრისტიანულ მსახურებებთან კავშირის დასადგენად.

ვიცოდი, რომ სერიოზული პრობლემა შემექმნა. სუდანის მთავრობას საკმაო სამხილები ჰქონდა ჩემს წინააღმდეგ, რადგან მათი რეპრესიული კანონების თანახმად, ქრისტიანული მუშაკები არა მარტო ჯაშუშებად განიხილებოდნენ, არამედ სახელმწიფოს მტრებადაც ითვლებოდნენ.



5

რამდენიმე საათს შემდეგ დაკითხვის ოთახში დამაბრუნეს და დავინახე მაგიდაზე მიმობნეული ფოტოსურათები. ათობით ფოტო იყო - თუ როგორ შევდივარ სასტუმრო „პარადაიზში“, გამოვდივარ იქიდან, დავსეირნობ ვესტიბიულში, ვსადილობ „ოზონში“ და მივდივარ დანგრეულ ეკლესიასთან. წინა ოთხი დღის განმავლობაში სუდანის სამთავრობო აგენტები მითვალთვალებდნენ, კვალში მომყვებოდნენ და დოკუმეტურად აღბეჭდავდნენ ჩემს ყველა მოქმედებას ხართუმში. გამომძიებელმა ყურადღება მიმაქცევინა მწვანე ფერის ფოტოებზე, რომელიც ღამის ხედვის კამერით იყო გადაღებული. *ისინი დღე და ღამ დამყვებოდნენ.* შეშფოთებული და ცოტათი აღელვებული ვიყავი, მაგრამ დიდი ძალისხმევის ფასად გარეგნულ სიმშვიდეს ვინარჩუნებდი.

ბოლოს გამომძიებელმა მეხსიერების ბარათი გამოაძრო და მოზეიმე სახით დადო მაგიდაზე. ეს გახლდათ ჩემი ბუხჰალტრული დოკუმენტების პაროლით დაცული ასლი. მას მგზავრობისას საფულეში ვინახავდი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემი ფინანსური ინფორმაცია მუდმივად განახლებული იყო. უშიშროების გამომძიებლისთვის ეს ჩემი ჯაშუშობის კიდევ ერთ სამხილს წარმოადგენდა.

- გთხოვთ, საელჩოსთან დაკავშირების უფლება მომცეთ, - კიდევ ვითხოვე მე, - და ასევე მინდა ოჯახს დავურეკო.

გამომძიებელმა არაფერი მიპასუხა და მოსაცდელ ოთახში გადამიყვანა. რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ მცირე ხნით კიდევ დამკითხეს. ეს პროცედურა დღის ბოლომდე და ღამითაც

გაგრძელდა. სასოწარმკვეთ სიჩუმეში ველოდებოდი და ვიცოდი, რომ ვანდა იღელვებდა და შეეცდებოდა, გაეაზრებინა, რამდენად ცუდი იყო ჩემი მდგომარეობა სინამდვილეში. ერთფეროვნების დასარღვევად და ჩემთვის ფეხის გამართვის საშუალების მოსაცემად, გამომძიებელმა კიბის ბაქანზე გადასვლის უფლება მომცა. შუაღამე ახლოვდებოდა, მაგრამ უშიშროების შენობა ჯერ კიდევ გაცხოველებული მუშაობდა. ვაკვირდებოდი, როგორ ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ თანამშრომლები.

სანამ ველოდებოდი, მშობლებზე ვფიქრობდი, რომლებიც კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში ქრისტიანული რწმენის გამო წლების განმავლობაში დევნის მსხვერპლები იყვნენ. 1960-იან წლებში დავიბადე ქრისტიანულ ოჯახში, როცა ჩემი ქვეყანა ჯერ კიდევ ე. წ. საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთი ბლოკის ნაწილს წარმოადგენდა. ქრისტიანები ჩემ დაბადებამდე ათწლეულებით ადრე იტანჯებოდნენ საშინელი წამებით, პატიმრობით და ხშირად კვდებოდნენ კიდეც კომუნისტების მიერ ოკუპირებულ ევროპაში. ეს გახლდათ დრო, როცა მთავრობა სასტიკად გვდევნიდა და რწმენას გვიკრძალავდა მთავრობის მიერ მოწონებული და კონტროლირებადი ეკლესიების ფარგლებს მიღმა.

ვინაიდან მამაჩემი პასტორი იყო, ჩვენი ოჯახი საკმაოდ ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. მეოთხე კლასში რომ ვსწავლობდი, ახალ ქალაქში გადავედით. სასწავლო წლის მიმდინარეობისას ძალიან რთული იყო ახალ რაიონში გადასვლა იმიტომ, რომ ჩემი კლასელები მუდამ მეკითხებოდნენ: „სად მუშაობს მამაშენი?“

ეს ბუნებრივი კითხვა გახლდათ, მაგრამ მე სიმართლის თქმის მეშინოდა. ვშიშობდი, რომ კლასელები დამცინებდნენ, როცა მისი პასტორობის ამბავს გაიგებდნენ, ამიტომ ვამბობდი, რომ ის მეფუტკრე იყო. მთლად ტყუილიც არ გამომდიოდა, რადგან მამაჩემი ჰობის სახით მართლაც ინახავდა ფუტკრის რამდენიმე სკას. და მაინც, გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ ეს ტყუილი იყო და ჩემი გონება ყოველთვის გარბოდა ბიბლიის ერთი ისტორიისკენ, სადაც სხვა პეტრე, სიმონ-პეტრე - ქრისტეს მოწაფე -მოძღვარს უარყოფდა და ამბობდა, მას არ ვიცნობო (ლუკ. 22:54-62). ეს

ცოდნა, რომ ქრისტე უარვყავი, ბავშვობიდან თან მდევდა. მრცხვენოდა. როცა ქრისტიანი გავხდი და თხუთმეტი წლის ასაკში უფლის კვალს გავყევი, გააზრებული გადაწყვეტილება მივიღე, რომ ჩემს მხნელზე უარი არასოდეს მეთქვა.

როცა სკოლაში ვსწავლობდი, საიდუმლო პოლიცია მამაჩემის ეკლესიას ხშირად სტუმრობდა. ისინი თვალყურს ადევნებდნენ მსახურებას,თავადმამასდაშემდეგმისიქრისტიანულიმოღვაწეობის შესახებ მთავრობაში ანგარიშები მიჰქონდათ. ეკლესიაში შრომის გარდა, ჩემი მშობლები საიდუმლო „იატაკქვეშა“ დამოწაფების პროგრამას უძღვებოდნენ მთელი ქვეყნის ახალგაზრდებისთვის. ერთხელაც სკოლიდან მოვედი და აღმოვაჩინე, რომ ჩემი მშობლები დაუპატიმრებიათ. საიდუმლო პოლიციამ ორივე საფუძვლიანად დაკითხა, სანამ გაათავისუფლებდა.

ამის გამო მამამ მასწავლა, როგორ უნდა დამეჭირა თავი დაკითხვაზე. მან მასწავლა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თანმიმდევრულობა და სიტყვა-სიტყვით პასუხის გაცემა, რადგან გამომძიებლები იგივე კითხვებს მოგვიანებით სვამდნენ, რომ ორ პასუხს შორის სხვაობა ეპოვნათ. ასევე მამისგან ვისწავლე, როგორ გამერჩია ინფორმაცია, რომელიც *უკვე* იცოდა გამომძიებელმა და *რომლის გაგება სურდა*.

არ ვიცოდი, რა მოხდებოდა მომდევნო დღეს და ვფიქრობდი, რომ მომავალი ამბებისთვის სათანადოდ მომზადებული არ ვიყავი, თუმცა თავს დავითის ფსალმუნის სიტყვებით ვიმშვიდებდი, რომელიც მას ღმერთმა უთხრა: „იცავს უფალი გულუბრალოებს; დავუძლურდი და მან მიშველა მე.“ (ფს. 116:6). როცა ფსალმუნზე ვფიქრობდი, მამაკაცი შევნიშნე, რომელიც კიბეზე ჩემსკენ ამოდიოდა. მას ჭაღარა თმა და გრძელი ჭაღარა წვერი ჰქონდა. მისი კანის ფერი შედარებით ღია იყო და არაბს უფრო ჰგავდა, ვიდრე სუდანელს. ის ადრეც მყავდა ნანახი. ორი თვის უკან ადის-აბებას სასტუმრო „ჩერჩილის“ ჰოლში იჯდა. უცებ ერთმა აზრმა გონება გამინათა: *სუდანის უშიშროებამ ყველაფერი იცოდა ჩემზე, სანამ ქვეყანაში შემოვიდოდი*.



6

სანამ ხართუმის აეროპორტში დაკითხვა მიმდინარეობდა, ჩემი მეუღლე ვანდა სახლში იყო, პრაღაში, აქედან ჩრდილო-დასავლეთით 2600 კმ-ზე და ახალ ამბებს მოუთმენლად ელოდა.

როცა დილის 7:30 საათი გახდა და კიდეც გავიდა, ვანდა აღელდა. მას ჩემგან ტექსტური შეტყობინება უნდა მიეღო იქამდე, სანამ ჩემი რეისი სუდანიდან გამოფრინდებოდა მისი დროით ღამის 2 საათზე. ყველაზე გვიანი დრო, როცა მას ჩემ შესახებ რაიმე ინფორმაცია უნდა მიეღო შეტყობინებით ან სკაიპიდან, დილის 7:30 საათი გახლდათ. ამ დროს ჩემი რეისი ნაირობიდან ამსტერდამში უნდა გაფრენილიყო. *„პეტრემ რეისზე დააგვიანა?“* - ფიქრობდა ის. ვანდამ იცოდა, რომ პრაღაში 17:30 საათზე უნდა ვყოფილიყავი. საღამო ახლოვდებოდა და ჩემგან არაფერი ისმოდა. მან ავიაკომპანიის განრიგი შეამოწმა და ნახა, რომ ღამით კიდევ ორი რეისი ყოფილა ამსტერდამიდან, რომელთაგან ბოლო საღამოს 10:30-ზე უნდა ჩამოფრენილიყო.

ვანდა ნომინალურ კათოლიკედ გაიზარდა. ის ფერმერის შვილიშვილი გახლდათ, რომელიც ციხეში ჩასვეს მიწის დაუფლების კომუნისტური მცდელობებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. მთელი ადრეული ცხოვრების განმავლობაში ვანდა ღმერთით არასოდეს დაინტერესებულა და არც მის კვალს გაჰყოლია. 20 წელს რომ გადასცდა, საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა - იგივე განყოფილებაში, სადაც მე ვმუშაობდი.

ერთხელ გამოძახების ოთახში სპეციალურად დავტოვე ბიბლია, რომ ცვლებს შორის წამეკითხა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ვეჭვობდი, რომ მას ჩემ გარდა კიდევ ვიღაც

კითხულობდა. როცა განყოფილების უფროსმა მოითხოვა, რომ ბიბლია გამქრალიყო, ვანდა მოვიდა და ბიბლია მთხოვა.

1989 წლის ნოემბერში, როცა ჩეხოსლოვაკიის ხავერდოვანი რევოლუციის დროს კომუნისტური რკინის კედელი დაინგრა, ვანდას გულის ირგვლივ არსებული კედლებიც ჩამოიშალა. დროთა განმავლობაში ის ქრისტიანი გახდა. როცა თხუთმეტი წლის ასაკში ქრისტესკენ მოვიქეცი აღმოსავლეთ გერმანიის საზაფხულო ბანაკში, მაშინვე ვიცოდი, რომ არ მინდოდა კომუნიზმის პირობებში ცოლის მოყვანა და ბავშვების გაზრდა. ეს ყველაფერი შეიცვალა, როცა ამ გაბედულმა, მშვენიერმა ქალმა და მისმა ახლად აყვავებულმა რწმენამ დამატყვევა.

გარკვეული დროის შემდეგ ჩემსა და ვანდას შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა და საათობით ვმსჯელობდით სახარებასა და იესო ქრისტეს მიმართ ჩვენს საერთო კუთვნილებაზე. მალე ჩვენი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და 1990 წლის 6 აპრილს საქორწინო ფიცი გავცვალეთ. როგორც ჩვენს ქვეყანაშია მიღებული, ქორწინების შემდეგ ვანდა „იაშკოვა“ გახდა. ეს გახლავთ გვარი სუფიქსით, რომელიც ჩეხურად „კუთვნილებას“ ნიშნავს.

ვანდა მენდო და ჩვენ ერთად მივანდეთ ქრისტეს ჩვენი მომავალი იმის მიუხედავად, რა ფასად დაგვიჯდებოდა.

* * *

ჩემი დაკითხვის დღეს ვავამ შინაგან სნეულებებში საბოლოო გამოცდა ჩააბარა და საღამო მეგობრებთან ერთად გაატარა. მალევე, 22:30 საათის შემდეგ, დედისგან შეტყობინება მიიღო. მამამისი უკვალოდ დაიკარგა. ვავა სასწრაფოდ სახლისკენ გაეშურა.

ის ძმასთან ერთად შეეცადა ვანდას დამშვიდებას.

- იქნებ დარეკვის შესაძლებლობა არ მიეცა? - თქვეს მათ, - იქნებ ჩართვის დრო შეზღუდული იყო?

იმის გამო, რომ ვავა თავისუფლად ფლობდა ინგლისურს, ტელეფონზე დარეკვა დაევალა, მაგრამ მას არ ჰქონდა მკაფიო

მითითება, რა უნდა ექნა, თუ უგზო-უკვლოდ დავიკარგებოდი. ყოველთვის, როცა ვმოგზაურობდი, სასტუმროს დაჯავშნისა და რეისის შესახებ ინფორმაციას ვანდას ვაწვდიდი. ჩემმა ცოლმა პირველად ჩვენს პასტორს დაურეკა. ეკლესიამ დაუყოვნებლივ წამოიწყო ჯაჭვური ლოცვა სხვადასხვა მორწმუნეების მონაწილეობით, რომლებიც კონკრეტულად ჩემთვის ლოცვაზე დათანხმდნენ. ამრიგად, ერთი საათის განმავლობაში ღმერთს ჩემი გულისთვის ლოცვა აღევლინა. ვავამ „წამებულთა ხმის“ თანამშრომლები გააფრთხილა, რომ მამამისი არ დაბრუნდა, შემდეგ კი ჩეხეთის პოლიციაში დარეკა:

- მამა სუდანიდან ბრუნდებოდა, - უთხრა მათ, - მაგრამ აეროპორტში არ გამოჩნდა. არ ვიცით, რა მოხდა.

ვავამ და ვანდამ ჩეხეთის პოლიციის განყოფილებაში განცხადება შეიტანეს. ოფიცერმა ჩვენი ოჯახის ფინანსებისა და ჩემი საკონტაქტო ინფორმაცია, ჩვენი ოჯახისა და ნათესავების ისტორია, ასევე ნებისმიერი კავშირი მოიძია, რაც ჩემს პოვნაში დაეხმარებოდათ. ბოლოს, პოლიციამ ჩემი სახელი ინტერპოლის დაკარგულთა სიაში შეიტანა.

ჩემი ოჯახი მთელი ღამე ეძებდა ინტერნეტში რაიმე რჩევას, თუ რა გაეკეთებინათ ამის შემდეგ. მეორე დღეს ვავამ ვენაში მდებარე სუდანის საელჩოში დარეკა, მაგრამ წინ ვერაფრით წაიწია. მან ყურმილი დაკიდა და კაიროში ჩეხეთის საელჩოს დაუკავშირდა, რომელიც სუდანში ჩეხეთის ინტერესებს იცავდა. თუმცა ეს დღე პარასკევი გამოდგა, რომელიც ეგვიპტური სამთავრობო დაწესებულებების ყოველკვირეული დასვენების დღეა, ამიტომ სატელეფონო ზარებს არავინ პასუხობდა. მან ხმოვანი შეტყობინება დატოვა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაურეკა პრაღაში.

- მამა უკვალოდ დაიკარგა, - თქვა მან, - დახმარება მჭირდება.

გასაოცრად, კაიროში ჩეხეთის ელჩმა ვავას სატელეფონო ზარს პარასკევსვე უპასუხა და ჩემს გამგზავრებასთან დაკავშირებული დეტალები გამოკითხა.

- რას აკეთებდა სუდანში? - იკითხა ელჩმა.

ვავამ უთხრა, რომ ტურისტი ვიყავი.

- არსებობდა თუ არა რაიმეს სახის კონფლიქტი, რომელიც მის დაპატიმრებას გამოიწვევდა?

- ჩვენ ქრისტიანი ოჯახი ვართ, - უპასუხა ვავამ და პრაღაში ჩვენი ეკლესია დაუსახელა. ელჩმა ყურმილი დაკიდა იმ დაპირებით, რომ ჩემ შესახებ რაიმე ინფორმაციის მოპოვებას შეეცდებოდა.

მალე ვავა შეეშვა ფასადური ამბის მტკიცებას, თითქოს მხოლოდ ტურისტი ვიყავი. სუდანი ის ქვეყანა არ იყო, სადაც ადამიანები, ჩვეულებრივ, ღირსშესანიშნაობების სანახავად დადიან. გარდა ამისა, მამისთვის უჩვეულო იქნებოდა შვებულების მარტო, ცოლ-შვილის გარეშე გატარება რომ გადაეწყვიტა.

დღის განმავლობაში, სანამ ვავა აურაცხელ სატელეფონო ზარებს ახორციელებდა, ჩემი ვაჟი პეტრე ვანდასთან ერთად ლოცულობდა. „წამებულთა ხმიდან“ ჩემი დირექტორის მოადგილე სახლში გვეწვია, იქიდან მაშინვე სამსახურში გაემართა და თან ვავას ურეკავდა.

მათ ხართუმის სასტუმრო „პარადაიზში“ დარეკეს და გაიგეს, რომ მათი კუთვნილი სამგზავრო ავტობუსით აეროპორტში წამიყვანეს, როგორც კი ღამის 2 საათი შესრულდა. მაშინ ავტომობილის მძღოლი გამოიძახეს, მაგრამ ის მხოლოდ არაბულად ლაპარაკობდა და დიდი ვერაფერი ინფორმაცია ვერ მიაწოდა.

კენიის ავიახაზების წარმომადგენელმა აცნობა, რომ რეისზე დავრეგისტრირდი, მაგრამ თვითმფრინავში არ ჩავმჯდარვარ. ჩემი უკანასკნელი ცნობილი ადგილსამყოფელი ხართუმის აეროპორტი გახლდათ, ამიტომ ოჯახმა დაასკვნა, რომ არავის გავუტაცებივარ. ახლა ვანდას არანაკლებ შემაშფოთებელი რეალობის შეეშინდა: სავარაუდოდ, სუდანის მთავრობის ხელში ვიყავი.



7

შუაღამის შემდეგ მცველმა გამაღვიძა გენერლის ოფისის დივანზე თვლემისგან და ისევ დაკითხვის ოთახში შემიყვანა. სასწრაფოდ შევეცადე, რომ გონებადასხეულიგამომეფხიზლებინა. ოთახში საქაღალდიანი ოფიცერი შემოვიდა. მან სამი მცველი გამოიძახა, საქაღალდის შიგთავსი აჩვენა და ერთ ფურცელზე ხელი მოაწერა. როცა დავინახე, რომ საქაღალდე დახურა და ერთ-ერთ მცველს გადასცა, მივხვდი, რაც უნდა მომხდარიყო: *ციხეში მგზავნიდნენ*. საქაღალდე სავსე იყო ბლანკებითა და ფოტოებით, თუ ვის შევხვდი ხართუმში. ეს მიმანიშნებდა, რომ უბრალოდ, მომდევნო რეისამდე კი არ აპირებდნენ ჩემს გამოკითხვას, არამედ გულმოდგინედ იმუშავეს, რომ დრო გაეწელათ დასაკავებლად. ჩანდა, ჩემი იქ ყოფნა ხანმოკლე არ იქნებოდა. ჩემი ხელჩანთა და ტანსაცმელი დამიბრუნეს. გამომძიებლებმა ჩემი პასპორტები, პირადობის და მართვის მოწმობები, ლეპტოპის ჩანთა და მისი შიგთავსი დაიტოვეს.

ორმა კბილებამდე შეიარაღებულმა მცველმა პატარა თეთრი „კიას“ უკანა სავარძელზე დამსვა. ერთი მათგანი მძღოლის გვერდზე მოთავსდა, ხოლო მეორე მე მომიჯდა გვერდით ავტომატით ხელში.

ოცი წუთის სიარულის შემდეგ მანქანა შედარებით მომცრო, შეუხედავ ოთხსართულიან შენობასთან გაჩერდა. ეს გახლდათ უშიშროების დაწესებულება პოლიტპატიმრებისთვის. მცველებმა შიგნით შემიყვანეს და ჩემი საქაღალდე ციხის უფროსს გადასცეს. ამ ადამიანმა დაუყოვნებლივ დაიწყო ჩემი მიღებისთვის მზადება.

- როდის ისწავლეთ დაწყებით სკოლაში? - იკითხა ჩინოვნიკმა. უცნაური კითხვა იყო, მაგრამ არ გამკვირვებია. ვიცოდი, რომ სუდანის უშიშროების თანამშრომელი ჩემს, ჩემი ოჯახისა და ნაცნობების შესახებ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვებას შეეცდებოდა. ამ ტიპის კითხვებისთვის მზად ვიყავი, რადგან ძალიან ჰგავდა კომუნისტი ჩინოვნიკების დაკითხვის სტილს, როცა ჩეხოსლოვაკიაში ადამიანებს აპატიმრებდნენ. ნერვების დასამშვიდებლად ღრმად ამოვისუნთქე.

არ ვაპირებდი მისთვის ისეთი რამის თქმას, რასაც შემდეგ ჩემ წინააღმდეგ გამოიყენებდა, ამიტომ ვდუმდი. ამ დროისთვის უკვე 48 საათის უძინარი ვიყავი და სრულიად გამოვიფიტე. მივხვდი, რომ ჩინოვნიკს მტკიცედ გადაეწყვიტა ჩემი პასუხის დალოდება, ამიტომ რამდენიმე შემთხვევითი ცნობა შევთავაზე, რომლებიც ჩაიწერა.

- რა ჰქვია დედათქვენს? - განაგრძობდა ის.

- დედაჩემი თვრამეტი წლის წინ გარდაიცვალა, - ვუთხარი მე, მაგრამ მაინც დაიჟინა, რომ მისი ქალიშვილობის გვარი მეთქვა. განვსაზღვრე, რომ ინფორმაციის კომპრომეტირების ალბათობა მცირე იყო, ამიტომ ვუპასუხე.

ჩინოვნიკმა მის წინ მდებარე დოკუმენტს დახედა შემდეგი კითხვის მოსაძებნად.

- ვინ არიან თქვენი სამი ნათესავის მშობლები?

კითხვები გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდებოდა. მეც ზედაპირულ, ნაწილობრივ არაზუსტ პასუხებს ვცემდი პროცესის დასაჩქარებლად. საათი ჩამომართვეს და არ ვიცოდი, რა დრო იყო. ალბათ, ღამის 1:00 საათი იქნებოდა.

ციხის თანამშრომელმა კითხვები დაასრულა და ჩემი თავი ფოტოგრაფს გადასცა. როცა სურათი გვერდიდან გადამიღეს, ისევ გამიჩნდა გრძნობა, რომ აქ ერთ ღამეზე მეტხანს დავრჩებოდი.

სანამ ჩემს ჩემოდანს ჩავაბარებდი, ციხის მცველმა ტანსაცმლის რამდენიმე ხელის აღების უფლება მომცა: ერთი შარვლის, ორი პერანგის, რამდენიმე ქვედა საცვლისა და წყვილი წინდის. ავიღე საპონი, კბილის ჯაგრისი და პასტა, მაგრამ მცველებმა ქამრისა და

მსუბუქი საზაფხულო პიჯაკის შეტანა ამიკრძალეს. როგორც წესი, ზედმეტი პირსახოცი მიმაქვს, თუ აფრიკის ქვეყანას ვსტუმრობ, მაგრამ ახლა სასტუმრო „პარადაიზის“ ნომერი დავჯავშნე, ამიტომ საჭიროდ არ ჩავთვალე მისი წამოღება, უკვე ვნანობდი, რომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე.

მცველებმა მე და კიდევ ერთი ახლად დაპატიმრებული ლიფტში შეგვიყვანეს, რომელიც მესამე სართულზე გაჩერდა. წყნარი დერეფანი, ძირითადად, ჩაბნელებული გახლდათ; ზემოთ ავიხედე და აღმოვაჩინე, რომ ნათურების უმეტესობა გატეხილი იყო. ჩავლილი კამერების პატარა სარკმლებიდან სინათლის მართკუთხა ნაკადები გამოდიოდა. დერეფანში ბნელოდა, მაგრამ სრულად განათებული კამერები მცველებს საშუალებას აძლევდა, დაენახათ, რა ხდებოდა ცალკეულ საკანში, ხოლო თავად პატიმრები ვერ გაარჩევდნენ გარეთ მყოფ მცველებს.

ერთ კამერასთან მცველები შეჩერდნენ. ერთმა მათგანმა კარი გააღო და ჩემ გვერდით მყოფი პატიმარი სავსე ოთახში შეიყვანა. მინდოდა, მივყოლოდი, მაგრამ მოცდის მითითება მივიღე.

დერეფანს გავუყევით და სხვა საკანთან შევჩერდით. მცველმა კარი გააღო და შიგნით შემიშვა. ოთახს უხეში, ფლუორესცენტული შუქი ავსებდა და იატაკზე მჯდარ ხუთ მამაკაცს ანათებდა. მეექვსე ვიწრო ლითონის საწოლზე გაჭიმულიყო. როცა შევედი, პატიმრები ამოძრავდნენ. ეს კამერები ერთ ადამიანზე იყო გათვლილი. არქიტექტორებს არასოდეს უფიქრიათ, რომ ამ მცირე სივრცეს შვიდი ადამიანი გაიზიარებდა.

დავაკვირდი, როგორ შებრუნდნენ მცველები წასასვლელად და მზერა ჭუჭყიან კრემისფერ საღებავზე შეჩერდა, რომელიც მძიმე ლითონის კარზე იყო მითხუპნული. გავიგონე, როგორ გაიჩხაკუნა ავტომატურმა საკეტმა, როცა მცველმა კარი გაიხურა.

ეს ხმა ნაცნობი იყო, კამერაც ვიცანი. აქ ადრეც ვყოფილვარ.

ამჯერად ეს არ გახლდათ სიზმარი.



8

ჩემი ახალი გარემო მოვათვალიერე და დავინტერესდი, როგორ გავინაწილებდით საკანს შვიდი კაცი, რომელიც სიგანით რვა, ხოლო სიგრძით თოთხმეტ ფუტს (დაახლოებით, 2.5 მეტრი 4.20 მეტრზე) არ აღემატებოდა. კედლები ჭუჭყიანი იყო და შენობას სხვადასხვა სახის მწერი - ჭიანჭველები, ბუზები და კოღოები ავსებდა. ხის მოქანავე მოკლე კარი ტუალეტსა და საშხაპეს ფარავდა. შევიგრძენი ნესტის სოკოს სუნი, რომელიც პრიმიტიული აბაზანის მახლობლად იზრდებოდა. საშხაპე მთლიანად გატეხილი იყო, ხოლო დასავლური ტიპის ლითონის უნიტაზს ჟანგი მოდებოდა. კედლიდან შლანგი გამოდიოდა, მაგრამ მალევე შევიტყვე, რომ წყალი დღეში ერთხელ ან ორჯერ მოდიოდა, ზოგ შემთხვევაში კი -კვირაში ერთხელ. ვისწავლე ბოთლების შენახვა და ავსება, როცა წყალს გვაძლევდნენ. ერთი საწოლი - დაჟანგებული ლითონის ჩარჩო - ღრმად იყო შემოჭრილი საკნის სივრცეში, ისევე როგორც საწერი მაგიდა თანმხლები სკამით. ოთახში სხეულის მძაფრი სუნი იგრძნობოდა. ვიგრძენი, რომ მუცელში უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა, როცა ჩემი ახალი ვითარების რეალობა გავიაზრე. *რამდენ ხანს მომიწევს ამის ატანა?*

იატაკზე მსხდომ პატიმრებს მატრასები და გადასაფარებლები ჰქონდათ. ისინი ერთმანეთს მიეკვრნენ, რომ ჩემთვის ცოტა ადგილი გაეთავისუფლებინათ შემოსასვლელთან ტუალეტის მახლობლად. მატრასის გარეშე ჭუჭყიანი ფილაქნის სიცივემ ჩემს თხელ მაისურშიც გაატანა. თვითნაკეთი გადასაფარებელი მოვიწყვე ჩემი ორივე პერანგის გამოყენებით. ერთი ზემოდან

დავიფარე, ხოლო მეორე ფეხებზე შემოვიხვიე. დეკემბრის სიცივეს ამან ბევრი ვერაფრით უშველა. მაინტერესებდა, ავად ხომ არ გავხდებოდი. ოთახს მკვეთრი შუქი ავსებდა, როცა ცოლსა და შვილებზე დავფიქრდი. როგორი აღელვებული უნდა ყოფილიყვნენ! შფოთვის შეგრძნება გულზე ლოდივით მაწვა.

ჭუჭყიანი საკნის ცივ იატაკზე მოკუნტულმა შევეცადე რამდენიმე საათით წამეძინა.

* * *

დილის 4:30 საათი იქნებოდა, რომ აზანის ხმამ შემძრა. ეს დილის ლოცვის ხმამაღალი მოწოდება გახლავთ. მოლას ხმა სადღაც ციხეში იწყებოდა განთიადის პირველ სხივებთან ერთად და საკნიდან საკანს გადაეცემოდა ყველა მუსულმანის გამოსაღვიძებლად. უკვე სრულიად გამოფხიზლებული ვიყავი.

გარშემომყოფები ფეხზე წამოდგნენ და დილის განბანა შეასრულეს. ჩემი საკნის კაცებს გრძელი წვერები ჰქონდათ, მაგრამ საულვაშეზე მხოლოდ პატარა ღერძი ამშვენებდათ. ეს იყო მზერა, რომელიც ადრე სხვა მუსულმანური ქვეყნების ექსტრემისტთა თვალებში შემინიშნავს. უმეტესობას გრძელი დაშვებული *კაბა ჯალაბია*, ხალათის მსგავსი სამოსი ეცვა, რაც არაბ მამაკაცებში არის გავრცელებული. გზიდან გადავედი, რომ მათთვის აბაზანის მაღალი თუნგის წყალთან მისასვლელი დამეთმო. პლასტიკატის დახვრეტილი ბოთლის წყალი მთლად სუფთად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ რიტუალური განბანის გარეშე ჩემი თანამოსაკნე მუსლიმები დილის ლოცვას ვერ შეასრულებდნენ.

- როცა ვლოცულობთ, - მითხრა ერთ-ერთმა ინგლისურად, - უნდა გეღვიძოს და აქ იდგე. მან ოთახის უკანა კუთხეზე მიმითითა. - არ შეგვიძლია სახეში გიყუროთ.

საკნის კუთხიდან ვაკვირდებოდი, როგორ იხრებოდა თითოეული მათგანი სანახევროდ ავსებული ბოთლით. ყოველ ჯერზე ტანის ზედა ნაწილს იატაკამდე ხრიდნენ და რაღაცას

ურტყამდნენ, რასაც ვერ ვხედავდი. ამ მოძრაობას ათზე მეტჯერაც იმეორებდნენ, როცა მათი წამღერებით ნათქვამი ლოცვა ოთახს ავსებდა.

როდესაც დაასრულეს, ოთახში გასეირნებისთვის არასაკმარისი სივრცის გამო ისევ თავიანთ მატრასებს დაუბრუნდნენ. ვინც ინგლისურად ლაპარაკობდა, კითხვების დასმა დამიწყო.

- რომელი ქვეყნიდან ხართ და აქ რატომ იმყოფებით?

- ჩეხეთიდან ვარ, - ვუპასუხე მე, - ოთხდღიანი ვიზიტის შემდეგ ქვეყნიდან უნდა წავსულიყავი, როცა სუდანის უშიშროებამ აეროპორტში დამაპატიმრა და ჩემი ლეპტოპის, კამერისა და ტელეფონის კონფისკაცია მოახდინა.

- რას საქმიანობთ?

ვინაიდან თეთრი ევროპელი ვიყავი, ვიცოდი, რომ ჩემს ქრისტიანობას ვარაუდობდნენ, მაგრამ არ მინდოდა მათთან მთელი სიმართლე გადმომელაგებინა. სუდანელ პასტორებთან შეხვედრის ამბების ნაცვლად ვუთხარი, რომ ჯანდაცვის ადმინისტრაციის კერძო კონსალტინგის კომპანია მქონდა, ხოლო სუდანში ტურისტად ჩამოვედი.

- ჩვენ გაზეთები არ გვაქვს, - თქვა ვიღაცამ, - მსოფლიოში ახალი რა ისმის?

პირველი, რაც გონებაში ამომიტივტივდა, 13 ნოემბრის ტერაქტი იყო პარიზში, საიდანაც ჯერ ერთი თვეც არ გასულა.

- მთელი ქალაქის მასშტაბით რამდენიმე ადგილას კოორდინირებული შეტევების შედეგად, - ავუხსენი მე, - ას ოცდაცხრა ადამიანი დაიღუპა.

დავამატე, რომ თვითმკვლელი ტერორისტების აფეთქებებსა და მასიურ სროლებზე პასუხისმგებლობა ერაყის ისლამურმა სახელმწიფომ აიღო (ISIS).

მოულოდნელად ოთახში სიჩუმემ დაისადგურა, შემდეგ კი ფანატიკური შეძახილები მოყვა: *„ალაჰუ აკბარ!“* დამფრთხალმა სწრაფად შევისუნთქე ჰაერი. თვალები გამიფართოვდა. კაცები წამოხტნენ და ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ. ზეიმით აღაპყრეს ხელები და ჩვენს გადავსებულ საკანში ცეკვით

ჩამოუარეს. თან ერთმანეთს ზურგზე ხელებს უტყაპუნებდნენ და იღიმებოდნენ. უახლოეს კედელს მივეყუდე. ვიგრძენი, როგორ გამიოფლიანდა ხელები. ოფლის წვეთები შუბლსა და ზედა ტუჩზეც დამეკიდა. ვცდილობდი, არ ავკანკალებულიყავი.

რამდენიმე წუთი ჩემი თანამოსაკნეები საფრანგეთში მომხდარ წარმატებულ ტერაქტს ზეიმობდნენ. ასეთი მუსულმანური დღესასწაული მხოლოდ ტელევიზიით მენახა და მისი რეალური განცდა შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ამ საშინელ მომენტში გავაცნობიერე, რომ ციხეში ისლამისტ ექსტრემისტებთან ერთად მოვხვდი. ძალიან მალე იმასაც გავიგებ, რომ ჩემი თანასაკნელები „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ყოფილან.



9

ჩემი ერთ-ერთი თანასაკნელი ფარმაცევტობას სწავლობდა. ის შესანიშნავად ფლობდა ინგლისურად და ამიხსნა, რომ თურქეთში დააპატიმრეს, როცა სირიაში გადასვლას ლამობდა, „ხალიფატისთვის“ თავისი სამედიცინო ექსპერტიზის შეთავაზების განხორციელებისას. მალე აღმოვაჩინე, რომ თანასაკნელებიდან ის ერთადერთი არ იყო, ვინც ასეთ ერთგულებას იჩენდა. ისინი არაბულ აბრევიატურა *„დაეშს“* იყენებდნენ ისლამური სახელმწიფოს აღსანიშნავად.

მიუხედავად იმისა, რომ სუდანი მუსულმანური მმართველობის ქვეშაა, ხელისუფლებას არ სურდა, რომ „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ (ასევე მუსულმანი სუნიტები) მის საზღვრებშიც გავრცელებულიყო. ბაშირის მთავრობა შიშობდა, რომ ამ ჯგუფის უკონტროლო ზრდის დაშვება სამომავლოდ საფრთხეს შეუქმნიდა - ისინი თავად მოინდომებდნენ სუდანელ ხალხზე კონტროლის დამყარებას. მთავრობა ასევე მუშაობდა ზოგიერთ დასავლურ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და მას „ტერორისტებთან ომში“ „მოკავშირედ“ მიიჩნევდნენ, რაც ხელისუფლების ძალისხმევას საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებდა.

დღეში ხუთჯერ ვიდექი ჩემი საკნის კუთხეში და მოწმე ვიყავი, თუ როგორ იდრიკებოდნენ ლოცვაში ჩემი თანასაკნელი მუსულმანები - „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები ან თანამოაზრეები. სანახევროდ ავსებული წყლის ბოთლები იატაკზე იდო, რომ მექის მიმართულება განესაზღვრათ და სწორად „წარემართათ“ თავიანთი ლოცვები. ექსტრემისტები

პირველები დგებოდნენ დილაადრიან და შედარებით ნომინალურ მუსულმანებს გადასაფარებლებს ხდიდნენ გამაყრუებელი შეძახილებით: „სალაჰ, სალაჰ!“ ლოცვის დროს ისინი სხვებზე უკან იდგნენ, რომ სხეულის დგომა გაესწორებინათ და დაენახათ, საით უნდა წაეღოთ ფეხები ან როგორ გადახრილიყვნენ სწორად. როცა ვაკვირდებოდი, როგორ იძლეოდნენ მითითებებს ყურანის სათანადოდ განმარტებაზე, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ჩემი ერთგული თანასაკნელები სხვების გადაბირებით და რადიკალიზაციით იყვნენ დაკავებული მათ შემოსაერთებლად. ორი განსხვავებული გრძნობა იბრძოდა ჩემში - მწუხარება მათი სულების გამო და მათ გულებში ღრმად დაბუდებულ სიძულვილზე ღელვა, რომელიც აქ, ამ პატარა საკანშიც ძალუმად იგრძნობოდა. კამერაში სამი თუ ოთხი ყურანის ეგზემპლარი არსებობდა, როცა არაერთხელ ვთხოვე მცველებს ბიბლიის მოტანა, მაგრამ პასუხად მხოლოდ იცინოდნენ.

ისლამი კრძალავს ადამიანების ან ცხოველთა სახეების გამოსახვას, ამიტომ ჩემმა თანასაკნელებმა კედლებზე ვარდისფერი კბილის პასტა წაუსვეს წინა პატიმრების მიერ დატოვებული ნახატების დასაფარად. საკმარისი საჭმელი არასოდეს იყო ჩვენი გაძლიერებული მადის დასაკმაყოფილებლად. საჭმელს ერთად ვჭამდით საერთო თასიდან, რომელსაც შიშველი ხელებით ვიღებდით. სუდანელები იშვიათად იყენებენ ტუალეტის ქაღალდს და თან, ჩემი თანასაკნელები ტუალეტის შემდეგ ხელების დაბანაში დიდ გულმოდგინეობას არ იჩენდნენ. წყალი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ მოდიოდა, ამიტომ მადა საგრძნობლად დამეკარგა. ვცდილობდი მათთვის არ მეწყენინებინა და გარკვეული საკვები ამომერჩია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყოველდღიურად ვხდებოდი და ვსუსტდებოდი. ინფექციის თავიდან ასაცილებლად შხაპს ორი ლიტრა წყლით და წითელი კარბოლის საპნით ვიღებდი, რომელიც ციხეში მოგვცეს და ხელებსაც მაქსიმალურად ხშირად ვიბანდი. მისი სუნი სადეზინფექციო საშუალებას

მაგონებდა, რომელსაც 1960-იანი წლების ჩეხოსლოვაკიის საავადმყოფოებში იყენებდნენ.

ფარმაცევტი „ისლამური სახელმწიფოს“ ერთადერთი ერთგული ადამიანი არ გახლდათ. ზოგიერთი მათგანი სირიაშიც იყო ნამყოფი და იბრძოდა, როგორც რადიკალი ჯიჰადისტი. სხვებს იქ წასვლა სურდათ, მაგრამ ვერ მოასწრეს. ისინი უშიშროების ციხეში რადიკალიზმისა და სხვა მრავალი დანაშაულის გამო იმყოფებოდნენ: ფულის არაოფიციალური გადაცვლა, იარაღით ან ოქროთი უკანონო ვაჭრობა ან ბენზინის გაყიდვა ოფიციალური ქვითრის გარეშე.

მზიან დღეებში ერთ-ერთი კედლის ჭერთან არსებული დაბურული სარკმლიდან შემოსული შუქი იმედსა და ნუგეშისცემას მანიჭებდა. მართალია საკნიდან შიდა ეზოს ვერ ვხედავდი, მაგრამ იმ პატარა ფანჯრიდან შესანიშნავი ხედი იშლებოდა. ნათელ დღეებში მზეს ვხედავდი დილით თხუთმეტი წუთის განმავლობაში, რაც ჩემს სულს ახალისებდა. როცა მზე გადაიხრებოდა, სარკმელს ისევ ჩრდილები მოიცავდა. ყოველთვის მციოდა.

ერთხელ კარის პატარა სარკმელში გავიხედე და ჩავლილი მცველი შევნიშნე.

- შეიძლება გადასაფარებელი მომცეთ? - ვიკითხე მე კარზე კაკუნით, რომ მისი ყურადღება მიმექცია.

მცველი შეჩერდა და ჩაიფხუკუნა:

- თქვენ ჩეხეთიდან ხართ, - თქვა მან, - მიჩვეული ხართ ცივ ამინდს. არავითარი გადასაფარებელი!

ერთადერთი იმედი იყო, რომ გათავისუფლდებოდა რომელიმე თანამოსაკნე და მისი ჭუჭყიანი, მძაფრსუნიანი გადასაფარებელი დამრჩებოდა.

დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემდეგ ერთი ადამიანი მომიახლოვდა, რომელიც კამერის ერთადერთ საწოლზე იწვა. მისმა ოჯახმა ის-ის იყო სრულიად ახალი გადასაფარებელი მოუტანა - რბილი ფლანელის, ყვითელი და ფორთოხლისფერი ყვავილებით - და გადაწყვიტა ჩემთვის მოეცა.

- ეს შენ, - მითხრა მან ცრემლიანი თვალებით. მისმა საჩუქარმა შემძრა და ვიგრძენი, როგორ მომადგა თავადაც ცრემლები მოზღვავებული ემოციისგან. ციხეში მოსვლიდან პირველად მოხდებოდა, რომ თბილად ვიქნებოდი. ამ დიდსულოვანმა ჟესტმა ჩემზე იმოქმედა. საშინელ ვითარებაშიც კი გამახსენეს ღვთიურ ზრუნვასა და დახმარებაზე. მან ლოცვაზე მიპასუხა.

- არაფერი მაქვს, რომ სამაგიერო მოგიზღოთ, - ვუთხარი მას, - რა შემიძლია გავაკეთო თქვენთვის?

მისმა ნათქვამა საგონებელში ჩამაგდო.

- ჩემთვის ილოცეთ, - თქვა მან.

- შემიძლია ვილოცო, რომ ღმერთთან მისასვლელი სწორი გზა იპოვოთ?

- დიახ, - მითხრა მან, - გთხოვთ, ილოცოთ, რომ ღმერთთან მისასვლელი სწორი გზა ვნახო.

ოთხი დღის შემდეგ ის ციხიდან გამოუშვეს და მას შემდეგ აღარ მინახავს.

* * *

2012 წელს სალაჰ აბდალაჰ გოში, სუდანის უშიშროების უფროსი ოთხსართულიანი ციხის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, რომელიც ახლა ჩემს სახლად იქცა. ზედა ორ სართულზე, დაახლოებით, ორმოცი კამერა იყო განთავსებული. მათ ქვევით იყო ოფისები, ხოლო პირველი სართული დაკითხვებისა და წამების ადგილი გახლდათ. კვადრატული შენობა შედარებით თანამედროვე იყო, მაგრამ როცა მე იქ მოვხვდი, სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. 2012 წლის ნოემბერში, იმ წელს, როცა შენობა დასრულდა, გოში პრეზიდენტ ომარ ალ-ბაშირის ჩამოსაგდებად შეთქმულების მოწყობაში დაადანაშაულეს. ის პატიმრობაში აღმოჩნდა თავისივე აშენებულ ობიექტში.

უშიშროების ციხე ბრიტანული მოდელის მიხედვით ააგეს და მითხრეს, რომ ლითონის საგნები, მაგალითად, საწოლები, მაგიდები და ტუალეტები, ასევე რამდენიმე სხვა

მასალა, ფაქტობრივად, დიდი ბრიტანეთიდან ჩამოიტანეს. თავად შენობა სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. იზოლაცია ეფექტურად ვერ იცავდა ტენიანობისგან და წყალიც იშვიათად მოდიოდა. კონდიციონერი იყო, მაგრამ მითხრეს, რომ ზაფხულის თვეებში მუდმივ ტემპერატურას ვერ ინარჩუნებდა. მუსულმანებს შეეძლოთ განბანებისთვის წყლის მომარაგება, თუმცა შხაპისთვის გამდინარე წყალი არასოდეს იყო.

მართალია, ბრიტანელებმა ეს საკნები ერთი პატიმრისთვის დააპროექტეს, სუდანის ციხის ხელმძღვანელობამ ისინი მამაკაცთა მეტი რაოდენობისთვის, როგორც წესი, შვიდისთვის „გადააკეთა“. როცა პატიმრები დარფურიდან და ნუბიის მთებიდან მოჰყავდათ - ბაშირის რეჟიმის სავარაუდო მტრები - ერთ საკანში თხუთმეტამდე ადამიანს ათავსებდნენ. როცა თანამოსაკნეებმა მითხრეს, რომ არცთუ დიდი ხნის წინ პატიმართა მოზღვავება იყო, მადლობელი დავრჩი, რომ ჩვენთან მხოლოდ შვიდნი ვიყავით.

ყოველთვის, როცა ვმოგზაურობდი, თან მიმქონდა თავის ტკივილის საწინააღმდეგო აბები - ასპირინის, აცეტამინოფენისა და კოფეინის კომბინაცია. როგორც ჩანს, მცველებმა წამლის ბოთლი ჩემოდანში იპოვეს და გადაწყვიტეს, რომ რეგულარული დოზები უნდა მიმეღო. მცველების ასეთი დამოკიდებულება, ცოტა არ იყოს, სასაცილო მეჩვენა - ეს, ალბათ, მეტ ზიანს მოიტანდა, ვიდრე სარგებელს. თუმცა ყოველდღე დეჰიდრატაციით გამოწვეული დილის თავის ტკივილები მტანჯავდა, ამიტომ მათ ერთი აბი მომიტანეს და მეც მორჩილად გადავყლაპე. ასევე მომარაგებული მქონდა იმოდიუმი და მალარონი (მალარიის საწინააღმდეგო), რომლებიც ჩემი ჩემოდნიდან ამოიღეს იმ შემთხვევისთვის, თუ სამომავლოდ ნამდვილად დამჭირდებოდა.

სუდანის კანონმდებლობა უშიშროების სამსახურს ნებას რთავს, რომ პატიმრები სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში ციხეში ჰყავდეს სასამართლო გარჩევის ან განაჩენის გამოტანის გარეშე. მაგალითად, ვალუტის გადამცვლელებს და ოქროს კონტრაბანდისტებს ოთხ თვეს აჩერებენ. „ისლამური

სახელმწიფოს“ ერთგულებს, როგორც ჩემი თანამოსაკნეები იყვნენ, ერთ წლამდეც კი აყოვნებდნენ.

დღეები გადიოდა. ვისმენდი მათ ისტორიებს და იესოს სიყვარულის მათთან გაზიარების საშუალებებს ვეძებდი. ერთხელ რამდენიმე მამაკაცი იმით ტრაბახობდა, რომ მუსულმანებმა ამერიკელი პასტორების გადმობირება შეძლეს ისლამის მისაღებად. ქრისტიანობისა და ისლამის ეს მცდარი და სინკრეტული ჰიბრიდი, რომელსაც ზოგჯერ *ქრისლამი* ეწოდება, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასა და ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა.

- ეს არის ნამდვილი რელიგია, - განაცხადა ჩემმა თანამესაკნემ დაჯგუფებიდან.

რასაკვირველია, არიან ქრისტიანები - უფრო ნომინალური, კულტურული ადამიანები და არა ღვთისმოშიში და ქრისტესადმი მიძღვნილი მორწმუნეები - რომლებმაც ისლამის სწავლების მიყოლა გადაწყვიტეს. ისიც ვიცი, რომ გაცილებით მეტმა ადამიანმა - ასობით ათასმა მთელ მსოფლიოში - მიატოვა მუჰამედის გზა და იესო ქრისტეს გაყვა. არ მინდოდა კამათის წამოწყება. ვიმედოვნებდი, რომ პატარა თესლს მაინც ჩავაგდებდი, რაც ჩემს თანამოსაკნეებს დააფიქრებდა.

- მე სხვა ადამიანებს ვხვდები, - ვუპასუხე მე. - მამაც ქრისტიანებს ნიგერიიდან.

მაშინ ერთი ახალგაზრდა ქალის, მონიკას ისტორია გამახსენდა.

2009 წლის ივლისში მონიკა და მისი ქმარი მოტოციკლით მიდიოდნენ ჩრდილოეთ ნიგერიის ქალაქ მაიდუგურის გავლით. ხუთშაბათი იყო და ისინი ბიბლიის შესასწავლად ეკლესიისკენ მიემართებოდნენ. მათი მგზავრობისას ისლამისტი ბოევიკები, რომლებიც კამაფლაჟიან სამხედრო ფორმასა და ნიღბებში იყვნენ გამოწყობილები, გზაზე გამოვიდნენ და ცოლ-ქმარს წინ გადაუდგნენ. კაცებს გრძელი გალესილი მაჩეტეები და ტყვიამფრქვევები ეჭირათ. მონიკა და მისი ქმარი მიხვდნენ, რომ ისინი ჯიჰადური ტერორისტული

დაჯგუფების, „ბოკო ჰარამის“ წევრები იყვნენ, რომელიც ჩრდილოეთ ნიგერიაში ბობოქრობდა.

- რა რელიგიის წარმომადგენლები ხართ? - იკითხა ერთ-ერთმა მეომარმა და წინ დანით ხელში ნაბიჯი გადმოდგა შესაშინებლად.

- ჩვენ ქრისტიანები ვართ, - თამამად უპასუხეს მონიკამ და მისმა ქმარმა.

- საკუთარ სიცოცხლეს გადაირჩენთ, თუ მუსულმანები გახდებით, - უთხრა ბოევიკმა, - გაიმეორეთ შაჰადა, - დაიჟინა მან და ისევ მიანიშნა ისლამის რწმენის აღიარების ფორმულაზე. ორმა ქრისტიანმა უარი თქვა.

- ჩვენ ქრისტიანები ვართ, - უთხრეს მათ, - და ქრისტიანებად დავრჩებით.

„ბოკო ჰარამის“ მეომარმა მეჩეტე ასწია და სამი სწრაფი მოძრაობით მონიკას ქმარს თავი წააცალა. ქალმა დაინახა, რომ ქმარს ვერაფრით შველოდა და გაიქცა. კაცები გამოეკიდნენ და ზურგი დანით გადაუსერეს. მალე მან მხარზე ხელის სიმძიმე იგრძნო.

ქალი დაიჭირეს.

განრისხებულმა ბოევიკმა შემოაბრუნა და ყელში მაჩეტე გამოუსვა. მონიკა მიწაზე დაეცა, ჭრილობიდან სისხლმა იხუვლა და რამდენიმე წუთში ქალმა გონება დაკარგა. კაცებმა ივარაუდეს, რომ უკვე მკვდარი იყო და მისი სხეული საკანალიზაციო არხში ჩააგდეს, სადაც ის მომდევნო ორსაათნახევრის განმავლობაში იწვა. როცა უგონოდ ეგდო, გარშემო თეთრებში გამოწყობილი ზეციური არსებები დაინახა.

ბოლოს, სოფლის პოლიციის თანამშრომლები გამოჩნდნენ, რომ „ბოკო ჰარამის“ ბოლო თავდასხმის მსხვერპლები ამოეცნოთ და დაეკრძალათ. მათ მონიკა შენიშნეს და არხიდან ამოყვანა დაუპირეს, მაგრამ მათდა გასაკვირად, ქალი ამოძრავდა. მან ჟესტებით ანიშნა, რომ წყალი მიეცათ. ერთმა პოლიციელმა თავისი წყალი მიაწოდა, მაგრამ დალევისას ის გაჭრილი ყელიდან გადმოიღვარა. პოლიციამ მონიკა ადგილობრივ საავადმყოფოში

გადაიყვანა, სადაც მას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს. ექიმებმა ტრაქეოტომიის მეშვეობით ყელში მოწყობილობა ჩაუდგეს, რითიც სუნთქვას შეძლებდა. მასზე თითის დაჭერის შემთვევაში, ჩურჩულით ლაპარაკიც კი შეეძლო.

ნათლად მახსოვს, პირველად სად შევხვდი მონიკას. „წამებულთა ხმამ“ გამაგზავნა იმის დასადგენად, თუ როგორ შეგვეძლო მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ღრმად შემძრა მისი ქმრის მკვლელობისა და თავად ქალზე სასტიკი თავდასხმის ამბავმა, ასევე მათი მხრიდან ქრისტეს რწმენის თამამად აღიარებამ. ჩემმა კოლეგამ მაიოს კლინიკიდან (აშშ) მისი ავადმყოფობის ისტორია განიხილა, როცა ჩემი ინტერვიუსთვის კითხვებს ვამზადებდი და მისი ტრავმები დოკუმენტურად დაამოწმა ჩემი კამერის მეშვეობით. ვგრძნობდი, რამხელა ტვირთის ქვეშ იყო და მთელი ძალით ვცდილობდი ინტერვიუს დაწყების სწორი გზის პოვნას. ბოლოს და ბოლოს, მისთვის ერთი უბრალო კითხვის დასმა გავბედე:

- მონიკა, - ვიკითხე მე, - როგორ არის თქვენი საქმე უფალში? როგორ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება უფალთან ამ საშინელი გამოცდილების შემდეგ?

მისი პასუხი არასოდეს დამავიწყდება. სანამ ლაპარაკს შეძლებდა, ღრმად ჩაისუნთქა, და ყელზე ხვრელი საჩვენებელი თითით დაფარა, რომ ჰაერი გასულიყო მისი დაზიანებული სახმო იოგების გავლით. ბოლოს ჩახრინწული ხმით, რომელიც ჩადგმული მოწყობილობის გამო მოდულირებდა, ჩუმად დაიჩურჩულა:

- მზერას მარადისობას ვაპყრობ.

მან თითი მოიშორა, კიდევ ერთი ღრმა ჩასუნთქვა გააკეთა და განაგრძო:

- იესოს ვუყურებ.

მონიკამ გაჭირვებით და მტკივნეული ჩურჩულით მიამბო, რომ თავდასხმამდე საკუთარ თავს და ქმარსაც „კარგ“ ქრისტიანად მიიჩნევდა. მას ახალი კაბის ყიდვა უფრო აღელვებდა და გულმოდგინედ შრომობდა თანხის დასაზოგად, რომ კარგი

მანქანა ან სახლი ეყიდა. ახლა, ქმრის სიკვდილისა და საკუთარი სასწაულებრივი ხსნის შემდეგ მთელი თავისი ცხოვრების იესოს მსახურებისთვის მიძღვნა მოისურვა. სინამდვილეში, ბოლო ოპერაციის დასრულების შემდეგ მონიკამ სახიფათო და გაბედული შრომა წამოიწყო „წამებულთა ხმასთან“ ერთად, რომ დახმარებოდა სხვა ქვრივებს, რომელთაც ქმრები „ბოკო ჰარამის“ ტერორისტების თავდასხმების დროს დაკარგეს. „წამებულთა ხმას“ ორჯერ მოუხდა მისი ლოკაციის შეცვლა, როცა ქალის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

მინდოდა, რომ ჩემს საკანში მყოფ ადამიანებს სცოდნოდათ მონიკას ისტორია, ვინაიდან ეს იესო ქრისტეს რწმენის ძლიერი დამოწმება გახლდათ. ამ ამბის მოყოლა დავიწყე. როგორც კი აღვწერე, როგორ წააჭრეს თავი მის ქმარს, „ისლამური სახელმწიფოს“ ხალხმა გამაჩერა. ფარმაცევტმა, რომელიც ინტელიგენტი მამაკაცი და პატარა გოგონას მამა იყო, სიცილი დაიწყო. ეს იყო საგანგაშო, ბოროტი, სასიხარულო ბგერები, რომელსაც ვერასდროს გავიმეორებ და არც ამის სურვილი მაქვს. უკვე ვიცოდი, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებთან არასოდეს მოვყვებოდი ქრისტიანული დევნის ისტორიებს. ვითარებაში, როცა იოტისოდენა ადამიანურ თანაგრძნობას ველოდი ქალის მიმართ, რომელმაც ქმარი ასე საშინლად დაკარგა და თავადაც მძიმედ იყო დაჭრილი, ტერორისტული დაჯგუფების ეს ახალგაზრდა, განათლებული წევრები იცინოდნენ და *„ალაჰუ აკბარს“* გაჰყვიროდნენ.

* * *

გვიან ღამით გავიგონე, როგორ ლოცულობდნენ ჩემი თანასაკნელები პარტიზანი *მოჯახედებისთვის* ლიბიაში, ერაყსა და სირიაში. ისინი არაბულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ საკმარისად გავიგე სიტყვები და ფრაზები, რომ ერთიანად შემეკრიბა და მათ სათხოვარზე წარმოდგენა შემექმნა. ისინი ალაჰისგან წარმატებასა და კეთლგანწყობას ითხოვდნენ,

მაგრამ ეს განსხვავდებოდა იმ წინასწარ დაწერილი, სავალდებულო ლოცვებისგან, რასაც დღის განმავლობაში ვისმენდი. ეს მათი საკუთარი ლოცვები იყო, რომელთაც თავიანთი სიტყვებით გამოხატავდნენ.

სხვა დროს ფარმაცევტის ხმამაღალმა ცემინებამ გამაღვიძა, რომელიც დაავადებული და გაჭედილი ნესტოების გამო ვერ იძინებდა. ამის ნაცვლად ლოცვა გადაწყვიტა. ვხედავდი, როგორ იდგა მუხლებზე ზეაპყრობილი ხელებით, როგორ მოედინებოდა მისი თვალებიდან ცრემლები და ჩუმად ითხოვდა განთავისუფლებას და თავის ახალგაზრდა ოჯახთან შეერთებას. სხვადასხვა ღამეს არაერთხელ მოვისმინე დაჯგუფების სხვა წევრებისგან აღვლენილი მხურვალე ლოცვები, რომლებიც ალაჰს იგივეს შესთხოვდნენ თავიანთი სიტყვებით.

აღტაცებას მგვრიდა ჩემი თანასაკნელების შინაგანი სინაზის გამოვლინება და ჩემი გული დაშურებით ლამობდა, რომ ღმერთი შეეცნოთ. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ეგვიპტეში შევხვედრივარ ყოფილ მუსულმან ექსტრემისტებს, რომლებიც ქრისტესკენ მოიქცნენ. ვხედავდი რა ტერორისტული დაჯგუფების წევრების მოწყვლადობას და ადამიანურობის გამოხატულებას, გადავწყვიტე ჩემი ლოცვების დიდი ნაწილი იქითკენ მიმემართა, რომ იესო ქრისტეს მათთვის უფლად, მხსნელად და ღმერთად თავის გამოვლენა ენებებინა. დღეები გადიოდა - ერთი მტანჯველი დღე მეორეს მისდევდა - და თავს კითხვას ვუსვამდი, უფალი ჩემი თანასაკნელების გულებს შეცვლიდა თუ მათი ხელით დავზარალდებოდი სუდანის ციხის კამერაში.



10

დაპატიმრებიდან კვირანახევრის შემდეგაც კი არ დამრთეს ნება, რომ კაიროში არსებულ ჩეხეთის საელჩოში ან სახლში, ოჯახთან დამერეკა. ერთადერთი, ის შევძელი, რომ მოთმინებით მელოდა და მელოცა. მოლოდინი სუდანის უშიშროების დაკითხვის უმთავრესი კომპონენტი გახლდათ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ მეტი ლოდინის შემთხვევაში მათ კითხვებზე პასუხის გაცემის შანსიც მეტი იქნებოდა. ჩემნაირი ახალბედა პატიმრისთვის ლოდინი მტანჯველ წამებას ჰგავდა. ათი დღე მტანჯველ მარადისობად მომეჩვენა. ვანდაზე ფიქრი ჩემი არსების ყოველ კუნჭულს ავსებდა და ვიცოდი, რომ ის ჩემ გამო ძალიან ფორიაქობდა. *ნეტა, საერთოდ იცის, სად ვარ?* ამ მდგომარეობისთვის თავის გართმევას ჩემი აზრების ღვთისკენ წარმართვის, ლოცვისა და სახლში დაბრუნების მოლოდინით ვახერხებდი.

ჩემი შემდეგი დაკითხვა, ბოლოს და ბოლოს, 20 დეკემბერს შედგა. საკნიდან ციხის პირველ სართულზე ჩამიყვანეს, სადაც შემხვდა ადამიანი, რომელსაც ვიცნობდი - ეს იყო სუდანის უშიშროების მაღალჩინოსანი აეროპორტიდან. ის ინგლისურად ლაპარაკობდა და ჩემს პატიმრობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მოიწვიეს. ველოდებოდი, რომ კითხვებს დამისვამდა პასტორ ჰასანზე, ძმა მონიმსა და ქრისტესკენ მოქცეულ მუსულმანებზე, რომლებთანაც მისაუბრია, თუმცა უშიშროების დაკვირვებიდან მიღებული მასალებით და ჩემი კამერის მეხსიერების ბარათიდან ამოღებული ფოტო- და ვიდეო-სამხილების ფონზე ამგვარი კითხვების დასმა საჭიროდ აღარ ჩათვალა.

ჩემთვის კითხვების დასმის ნაცვლად ქაღალდის ფურცელი გადმომცა. გამიკვირდა, როცა მასზე ინლისურად ნაწერი ტექსტი შევნიშნე. ფურცელი სწრაფად ჩავიკითხე და თვალებს არ დავუჯერე - ბოლოს და ბოლოს, ჩემს ოჯახთან დალაპარაკების უფლება მეძლეოდა! იქიდან მოყოლებული ვითხოვდი ოჯახთან დაკავშირების ნებართვას, რაც ხართუმის აეროპორტში გვერდზე გამიყვანეს. ცოლი და ბავშვები საერთოდ ვერ მირეკავდნენ. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც შევძლებდი, რომ ჩემი კარგად ყოფნის ამბავი გადამეცა. გული ამიჩქარდა და ხელში ქაღალდი ამითრთოლდა, როცა აღტაცებისა და სრული შვების შეგრძნებამ ამავსო.

გამომძიებელმა ტელეფონი მომაწოდა და ის ერთადერთი ნომერი ავკრიფე, რომელიც გამახსენდა - ეს ჩემი ცოლის მობილური იყო. მხოლოდ ოცდაათი წამი მეძლეოდა და ფურცელზე დაწერილი ტექსტი უნდა ჩამეკითხა - მეტი არაფერი.

- მხოლოდ ინგლისურად, - დაიჟინა მამაკაცმა, - მხოლოდ ინგლისურად!

ზარი გავიდა და ზუმერის ხმა მოისმა.

- ეს ჩემი ცოლის ნომერია, მაგრამ მან ინგლისური არ იცის, თუმცა შეუძლია ტელეფონი ჩვენს ქალიშვილს გადასცეს.

როცა ზარს უპასუხეს, ვანდას ხმა მომესმა.

- ეს მე ვარ, - სწრაფად ვუთხარი ჩეხურად, - მაგრამ მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკის უფლება მაქვს.

- პეტრე, ეს შენ ხარ? - დაიყვირა მან. მან ტელეფონი ვავას გადასცა და ჩემი ტექსტი ინგლისურად ჩავიკითხე.

- კარგად ვარ, - ვუთხარი სცენარის მიხედვით. ვიცოდი, რომ ხმა მიკანკალებდა და მის დამშვიდებას ვცდილობდი.

- გაუგებრობა მოხდა და დამაპატიმრეს, თუმცა უახლოეს მომავალში ისევ დაგიკავშირდებით.

- ჩვენ კაიროს საელჩოს დავურეკეთ, - მითხრა ჩემმა ქალიშვილმა, - შენთვის ყველანი ვლოცულობთ.

- მე კარგად ვარ, - ისევ გავიმეორე, - შევეცდები კიდევ დაგირეკოთ უახლოეს დღეებში.

ოცდამეთორმეტე წამის შემდეგ სცენარს გადავუხვიე.

- მიყვარხარ, - ვუთხარი მე. ვავამ ტირილი დაიწყო და ამან გული ამიფორიაქა.

პროკურორმა მოძრაობით მანიშნა და ტელეფონი უხალისოდ გავთიშე. ზარი ძლივს კმაროდა იმისთვის, რომ ოჯახის ღრმა მონატრება ჩაეცხრო. ყოველ შემთხვევაში, გაიგეს, რომ ცოცხალი ვიყავი. ვიგრძენი, როგორ მომეწურა გული, ხოლო თვალები ცრემლებით ამევსო, როცა მცველმა ისევ საკანში დამაბრუნა.

* * *

მომდევნო დღეს, 21 დეკემბერს, მცველი მოვიდა და მითხრა, რომ მნახველი მყავდა. ელდა მეცა. მნახველს ციხის შენობაში შეხვედრის ნება არ დართეს, ამიტომ მცველები ჩემს გადასაყვანად მოემზადნენ. ოპტიმიზმით და იმედით სავსე ვიყავი, როცა მაჯებსა და კოჭებზე მძიმეჯაჭვებიანი ბორკილები დამადეს. ქუჩაში გამიყვანეს და მიკროავტობუსთან მივედით. მანქანაში მოუხერხებლად შევძვერი. კიდევ ექვსი ადამიანი შემომყვა - ორი აკა-47-ით შეიარაღებული და ოთხი მომცრო ტყვიამფრქვევით აღჭურვილი მცველი. ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ეროვნულ კლუბად წოდებულ შენობას მივუახლოვდით, რომელიც უშიშროების სპეციალური დაწესებულება იყო ხართუმში და გარს ლამაზად მოწყობილი ბაღები ეკრა. ჩანდა, რომ სუდანელები მნიშვნელოვან პატიმრად მთვლიდნენ. ბორკილებმა ღრმა კვალი დატოვა ჩემს მაჯებზე.

ჩანს, უშიშროებამ იცოდა ჩეხეთის გენერალური კონსულის მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ, რითაც წინა დღის სატელეფონო ზარი ავხსენი. მათ საკონსულოს ოფიცრისთვის ანგარიშის ჩაბარება სჭირდებოდათ, რომ ოჯახთან კონტაქტის უფლება მომცეს. როცა მანქანა გაჩერდა, გვერდით მყოფმა მცველმა შენობაში შემიყვანა. მან ბორკილები მომხსნა, მაგრამ მაჯებზე მტკივნეული კვალი მაინც დამრჩა.

საკონსულოს ოფიცერი გახლდათ პიჯაკსა და ჰალსტუხში გამოწყობილი თეთრკანიანი ადამიანი, სახელად სტეფან სლამა. ის ჩეხეთის მთავრობამ დანიშნა კაიროში, რომ რეგიონში ჩეხეთის მოქალაქეთა ინტერესები დაეცვა. ჩინოვნიკი ეგვიპტიდან ჩამოვიდა ჩემთან შესახვედრად. როცა მისი ვინაობა შევიტყვე, გულზე მომეშვა და ქვითინისაც არ მერიდებოდა. აღტაცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ მთელი საუბრის ჩეხურად წარმართვა შეგვეძლო.

- თქვენმა ოჯახმა იცის, რომ დაკავებული ხართ, - დამამშვიდებლად თქვა ბ-მა სლამამ, - და თავს კარგად გრძნობენ.

ღრმად ამოვიოხრე და ფოტოებსა და ვიდეოზე ვუამბე, რომლებიც სუდანის უშიშროებამ ჩემი მყარი დისკიდან აღადგინა, განსაკუთრებით კი ის, რომელიც ნუბიის მთებში იყო გადაღებული. მაინტერესებდა, რამდენად გაართულებდა ეს ჩემს მდგომარეობას, ამიტომ გულმოდგინედ გამოვთქვი სიტყვა „ნუბია“ ჩეხური ანბანის გამოყენებით. მან მითხრა, რომ უშიშროება ჩემს საქმეს სასამართლოს ერთი თვის განმავლობაში გადასცემდა და წინასწარი ანგარიშის საფუძველზე ვეფხვის ტყავის კონტრაბანდაში მადანაშაულებდნენ.

ამ აბსურდულ ბრალდებაზე სკეპტიკურად გამეცინა. *სუდანში ვეფხვები არიან?* სუდანელებმა ამას წინათ ბრალი წაუყენებს შევიცარიელ მისიონერს და რამდენიმე ამერიკელ და კორეელ პასტორს - სხვა ადამიანებს, რომლებიც ბოლო ხანებში ამ ქვეყანაში დააპატიმრეს სხვადასხვა სახის ქრისტიანული საქმიანობისთვის. ბ-მა სლამამ ამიხსნა, რომ ეს ბრალდებები, ჩვეულებრივ, სამ-ოთხ თვეში გადაიჭრება. ამ ამბავმა გამახარა, მაგრამ ეს იმასაც მოასწავებდა, რომ შობისთვის სახლში არ ვიქნებოდი.

მას შემდეგ, რაც უშიშროების ციხეში მოვედი ათი დღის წინ, ჩემი საჭმლის მომნელებელი სისტემა კვანძებად იყო გადახლართული. აქამდე ტულაეტშიც კი არ ვყოფილვარ სრულად, რაც ტეორისტებთან ერთად აღმოვჩნდი და მუცელი მტკიოდა. და მაინც, შეხვედრის დასრულების შემდეგ ეროვნული კლუბი ისე დავტოვე, რომ საკონსულოს ჩინოვნიკთან ვიზიტით

აღფრთოვანების გრძნობა არ მტოვებდა. ის თბილი, მეგობრული დამოკიდებულებით მამშვიდებდა და ამავდროულად, რეალისტური მოლოდინები გამაცნო ჩემი საქმის თაობაზე. ამის შემდეგ გულზე საოცრად მომეშვა. სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ მარტო არ ვიყავი. *ჩეხეთის მთავრობამ ჩემი პატიმრობის შესახებ იცოდა. ისინი ჩემ გამო იბრძოდნენ.*

საკანში დავბრუნდი და თერთმეტი დღის განმავლობაში პირველად მოისვენა ჩემმა გონებამ და სხეულმა.

* * *

ბ-მა სლამამ გამაფრთხილა, რომ ჩემს გათავისუფლებას, სავარაუდოდ, სამი თვე დასჭირდებოდა, მაგრამ ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ციხეში ხმები გავრცელდა, რომ უშიშროება პატიმრებს მალე გაათავისუფლებდა სუდანის დამოუკიდებლობის მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით. მოარული ინფორმაციის თანახმად, პირველ ეტაპზე უცხოელებს გაუშვებდნენ, შემდეგ უმნიშვნელო დანაშაულში ბრალდებულებს.

23 დეკემბრის საღამოს გავიგონე, როგორ გააღო მცველმა ჩემი საკნის კარი. ადრენალინი მომაწვა და შეუძლებელი იყო, არ მეგრძნო იმედის ნაპერწკალი. *ნუთუ სულ ეს არის? ნუთუ სახლში მივდივარ?*

დაველოდე, სანამ კარი გაიღებოდა. ჩემდა სამწუხაროდ, დერეფანში კიდევ ერთი ახალი პატიმარი დავინახე. აღელვებული და იმედგაცრუებული დავრჩი. მივხვდი, რომ ჩემს გათავისუფლებას არ აპირებდნენ. კაცმა ოთახი დაათვალიერა და მზერა ჩემზე შეაჩერა. სწრაფად გავიაზრე, რომ ჩვენი საკნის დინამიკა შეიცვლებოდა. აბდ ალ-ბარი ხუთ ფუტზე მეტი არ იქნებოდა და ოთხას ფუნტზე ნაკლებს არ აიწონიდა. მას ცივი თვალები, მუქი თმები და წვერი ჰქონდა. ინგლისურად ძალიან კარგად ლაპარაკობდა, იდეალური ბრიტანული აქცენტით. როცა ჩვენს კამერაში დასახლდა, მისი წარსულიც გავიგე. ის იარაღის ვაჭარი და კონტრაბანდისტი ყოფილა,

რომელიც საუდის არაბეთში გაიზარდა, სანამ გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტში ჩააბარებდა. ხართუმში იარაღის კონტრაბანდის ხელმძღვანელობის ეჭვის გამო დააკავეს და იმით ამაყობდა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ევროპელ ბოევიკებს იარაღით ამარაგებდა. იგი სამხრეთ სუდანში თითო ტყვიამფრქვევს ორას დოლარად ყიდულობდა და დიდ ბრიტანეთში ხუთი ათას ფუნტად ყიდდა. ამ მომგებიანმა საქმემ იქამდე მიიყვანა, რომ მიატოვა ინტერნეტ-ტექნოლოგიების წარმატებული ბიზნესი დიდ ბრიტანეთში და ცხოვრება „ისლამური სახელმწიფოს“ ვეროპელი ტერორისტების იარაღით მომარაგებას მიუძღვნა.

თავდაპირველად, ჩემ მიმართ მეგობრულად იყო განწყობილი, სახელი და დაპატიმრების გარემოებები გამომკითხა. და მაინც, მისი სახის გამომეტყველებამ, ღიად გამოხატულმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ და საერთო მანერულობამ ეჭვი გამიჩინა, რომ რაღაც ავისმომასწავლებელი გეგმა ჰქონდა.

მალე სხვა თანასაკნელისგან გავიგე, რომ აბდ ალ-ბარმა ჩემს კამერაში გადმოსვლის ნებართვა თავად ითხოვა.

* * *

24 დეკემბერს ღამის 3 საათზე გამეღვიძა იმის გამო, რომ ხელი წყლის გუბეში ჩავყავი. ჩემი გადასაფარებელი და ტანსაცმელი სულ სველი იყო. ვიცოდი, რომ კამერის ონკანში წყალი არ მოდიოდა, ამიტომ ვიფიქრე, რომ მილი გასკდა. ირგვლივ მიმოვიხედე და დავინახე, რომ წყალს საკნის მთლიანი იატაკი დაეფარა.

ისე ვიყავი აღელვებული ციხიდან სწრაფი განთავისუფლების პერსპექტივით, რომ ახლა, როცა ჩემი იმედები დაიმსხვრა, ხოლო ოჯახი ჩემგან ძალიან შორს იყო, ცრემლები მომაწვა და ჩუმად დავიწყე ჩივილი უფლის წინაშე.

ზუსტად მაშინ, მომენტში, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, ნათლად დავინახე დანჯუმას სახე.

2015 წლის 28 ნოემბერს ისლამისტი რადიკალები პატარა ქრისტიანულ სოფელ ნუნკვოს დაესხნენ ომისგან გაპარტახებულ ჩრდილოეთ ნიგერიაში. ცამეტი წლის მოზარდი, სახელად დანჯუმა შაკარა სოფელში იმყოფებოდა, როცა შეტევა დაიწყეს. ის ტიპური ნიგერიელი ყმაწვილი გახლდათ, რომელიც ქვრივ დედასთან ერთად ცხოვრობდა, თევზაობა უყვარდა და მეგობრებთან თამაშით ერთობოდა.

მიუხედავად ამისა, ოთხშაბათ დილის 6:00 საათზე დანჯუმას ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა. ის სროლის ხმამ გამოაღვიძა, როცა მწყემსის სამოსში გადაცმული და „ბოკო ჰარამის“ მიერ მხარდაჭერილი ათასზე მეტი შეიარაღებული ექსტრემისტი სოფელში შეიპარა და ქრისტიანი მკვიდრების ხოცვა დაიწყო. დანჯუმა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად გაიქცა, მაგრამ მაჩეტეიან ამბოხებულებს თავი ვერ დააღწია, რომლებმა სახე გადაუსერეს, მარჯვენა თვალი ამოთხარეს, მარცხენა ხელი მოატეხეს და გენიტალიები მოაჭრეს.

ამ გაუგონარი სისასტიკის შედეგად ოცდასამი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოცდათვრამეტი დაიჭრა. დანჯუმას ჭრილობები იმდენად საშინელი შესახედი იყო, რომ სოფლის მაცხოვრებლებს მკვდარი ეგონათ და მის დამახინჯებულ სხეულს გვერდი აუარეს. მისთვის საფლავიც კი ამოთხარეს. გასაოცრად, ბიჭი გადარჩა. გონზე მოვიდა და ტირილი და ყვირილი დაიწყო. სოფლელებმა უახლოეს ქალაქში გადაიყვანეს, რომელიც თხუთმეტი მილით იყო დაშორებული და იქ სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

სამი თვის შემდეგ დასახიჩრებული და დაბრმავებული დანჯუმა მანათობელ ღიმილს ვერ მალავდა. ახალგაზრდა ქრისტიანი თავდამსხმელების მიმართ სიძულვილს არ განიცდიდა. „მათ ვაპატიე, - თქვა ბიჭმა, - იმიტომ, რომ არ იციან, რას აკეთებენ.“

რამდენიმე ოპერაციისა და „წამებულთა ხმის“ დახმარებით დანჯუმა სახლში, დედასთან დაბრუნდა. ახლა მისი სიცოცხლე სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე მანამდე. მუცლის ქვედა ნაწილზე კათეტერი მუდმივად ეკეთა და შარდს ჩამოკიდებულ ჩანთაში ღვრიდა. იმის ნაცვლად, რომ

თავდასხმისას მომკვდარიყო, დანჯუმა სხვებს იესოზე უმოწმებდა. მისი სამარხი ცარიელი იყო მხსნელის სამარხის მსგავსად.

როცა წყლით სავსე საკანში ვიდექი, დანჯუმას სახე წარმომიდგა, რომელიც მიღიმოდა. მას ასეთი სული ჰქონდა. როცა გავიფიქრე მხეცურ მოპყრობაზე, რომელიც მან გადაიტანა, შემრცხვა ჩემს შინაგანში არსებული გამოუხატავი ჩივილების გამო. ადრე თუ გვიან სახლში წავიდოდი. ჩემს კომფორტულ ცხოვრებას გავაგრძელებდი, მაგრამ დანჯუმა, ალბათ, სიკვდილამდე და აღდგომამდე ვერ შეძლებდა დანახვას. ამის შემდეგ მისთვის ყოველდღიური ლოცვა დავიწყე.

* * *

შობა თანასაკნელებთან ერთად გავატარე ოთახის დალაგებაში. შევეცადეთ ჩვენი ნივთები გაგვეშრო. ამან ჩემი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანა და ნაკლებად ვფიქრობდი ოჯახსა და სახლზე ჩეხეთის რესპუბლიკაში, შობის ზეიმის აღნიშვნაზე, რომელიც თაყვანისცემის ყველაზე სასურველ დღესასწაულად ითვლებოდა ქრისტიანული წლის განმავლობაში. თავს უილაჯოდ და მარტოსულად ვგრძნობდი, როცა ოჯახზე ვფიქრობდი, რომელიც ქრისტეშობას ჩემს გარეშე ხვდებოდა. ეს პირველი შობა იყო, რომელსაც ცოლ-შვილისგან შორს ვატარებდი. სანამ ვშრომობდით, საშობაო სიმღერები გამახსენდა. მამა მასწავლიდა, როცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი.

გარკვეული დროით შინაგანი მელოდიები მამხნევებდა, მაგრამ შემდეგ ოჯახზე მოგონებები ნიაღვარივით წამოვიდა და ცრემლებამდე მიმიყვანა. ამიტომ გონებიდან ისევე განვდევნე, როგორც ჩვენი კამერის იატაკზე დაგროვილი წყალი.



11

სახლში, ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩემს ცოლსა და შვილებს იმ რეალობასთან გამკლავება მოუხდათ, თუ რა მოეხერხებინათ ჩვენი ფინანსებისთვის ჩემი არყოფნის დროს. ახლა ვავას ყურადღება უფრო მნიშვნელოვანმა რამემ მიიპყრო. ერთხელ, როცა სასადილო მაგიდასთან იჯდა და ვანდას ეხმარებოდა, სკაიპში შევიდა და დაინახა, რომ მე ქსელში ვიყავი ჩართული.

- აქ ხარ? - დაბეჭდა მან. არავინ უპასუხა, მაგრამ ვავამ იცოდა, რომ ვიღაც დაინახავდა მის შეტყობინებას. - შემიძლია მამას დაველაპარაკო? - იკითხა მან. პასუხი არ ყოფილა.

- ის მამაჩემია. შეიძლება დაველაპარაკო? - ისევ იმეორებდა გოგონა.

ვავა ეჭვობდა, რომ ვიღაც შევიდა ჩემი სკაიპის ანგარიშში და მის ბეჭდვას თვალყურს ადევნებდა. მოულოდნელად მოეჩვენა, რომ ზურგზე ელექტრონულ ქინძისთავებს არჭობდნენ. თუ ჩემმა გამტაცებლებმა სკაიპის ანგარიშზე წვდომა შეძლეს, *კიდევ რა* ინფორმაციის მიღება შეეძლოთ? ის მაგიდიდან წამოხტა და ჩემი აიპედი აიღო, რომელიც ავტომატური წვდომის საშუალებას მისცემდა როგორც ჩემს სკაიპთან, ისე ელექტრონულ ფოსტასთან და პაროლის შეცვლას შეძლებდა. ვანდა აღელვებით ადევნებდა თვალს წარბებმოჭმუხნული. ვავამ ბმულს დააჭირა, რომ სკაიპისთვის პაროლის დავიწყების შესახებ ეცნობებინა და ჩემს ელექტორნულ საფოსტო ყუთში შესასვლელი ინფორმაციის გადატვირთვის ბმული გაჩნდა.

ახლა ჩემი ოჯახი ინტერნეტში ჩემს ანგარიშს აკვირდებოდა. მალე საფოსტო ყუთში ავტომატური შეტყობინება მოვიდა. ვიღაც

მეორედ ცდილობდა ჩემი სკაიპის პაროლის შეცვლას და ამჯერად შეტყობინება *არაბულ ენაზე* გახლდათ!

* * *

უშიშროების ციხის მცველთა უმეტესობას „ისლამური სახელმწიფოს“ პატიმრების ეშინოდა და მათ განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა, როგორიცაა, მაგალითად, ერთმანეთის საკნებში სტუმრობა ახალი წლის წინ. ამ დროს პატიმრები მოუთმენლად ელოდნენ პრეზიდენტ ბაშირის ამნისტიას ზოგიერთ არაპოლიტიკურ საქმეზე. საკანში მეგობრულმა განწყობამ დაისადგურა, რადგან ყველანი ახალ წელს განთავისუფლების სიხარულზე ვფიქრობდით. აბდ ალ ბარიმ მითხრა, რომ ჩვენს კამერაში მისი გადმოყვანის მიზეზი სწორედ ეს საზეიმო განწყობა იყო, მაგრამ მაინც ვეჭვობდი, რომ მას ფარული მოტივი უნდა ჰქონოდა. მან ჩემი შევიწროება დაიწყო და ეს ყოველდღე ძლიერდებოდა. როცა დილის ჩაი მოდიოდა, არაფრით მისხამდა ამ თბილი სითხის ინჩზე მეტს ჭუჭყიან პლასტიკატის ჭიქაში. გარდა ამისა, მან საკანში ჩემი ფიზიკური გადაადგილება შეზღუდა, კუთხეში მიმწყვდევით და სივრცის დაკავებით. ყოველთვის ცდილობდა გავერიყე აგრესიით და შემოსაზღვრით. თან უსიამოვნო ფორმით მაძლევდა მითითებებს:

- როცა ვლოცულობთ, - თქვა მან, - არ შეგიძლია აქ დადგე. შენ იქით უნდა იყო.

ჩემი კუთხეში დაყენება უკვე აღარ აკმაყოფილებდა და მითხრა, რომ მათი ლოცვების დროს სრულიად გაუნძრევლად ვმდგარიყავი და არც საკნის პატარა ფანჯარაში მეყურებინა.

- შენ აქაც არ უნდა იყო და ტუალეტში უნდა შეხვიდე.

ჩემი თანასაკნელები აბდ ალ ბარის უფროსად მიიჩნევდნენ და დარწმუნდნენ, რომ მის მითითებებს დავემორჩილე. თავს სრულიად მარტოსულად ვგრძნობდი და ჩემს უსაფრთხოებაზე სულ უფრო მეტად ვღელავდი.

თავიდან, როცა ჩემს მიმართ მეგობრული იყო, არასოდეს მითქვამს, რატომ ვიმყოფებოდი ამ ქვეყანაში. უბრალოდ, ვახსენე, რომ ამას წინათ რამდენიმე ეთიოპიელი მეგობარი მოვინახულე და უშიშროების სამსახურმა ტელეფონი, ლეპტოპი და კამერა ჩამომართვა.

ძალიან მალე მივხვდი, რომ აბდ ალ ბარმა ჩემი სიტყვები გამომძიებელს გადასცა და ამის გაკეთებით ჩემ საკანში გადმოყვანის რეალური მიზეზები გაამჟღავნა: მოეძიებინა ინფორმაცია და დაენახა, როგორ ვიტანჯებოდი.

* * *

ერთი თვით ადრე, სანამ სახლიდან ხართუმში გავემგზავრებოდი, მე და ვანდამ მამაჩემი მოვინახულეთ, რომელიც მოტეხილი ფეხის ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციისთვის ავტრიის საზღვრის მახლობელი ჩეხური ქალაქის, ინდრჟიჰუვ ჰრადეცის საავადმყოფოში იწვა. სხეულით სუსტად იყო, მაგრამ გონება არაჩეულებრივად უჭრიდა ოთხმოცდაცხრა წლის ასაკშიც კი.

მას ვუთხარი, რომ სუდანში მივემგზავრებოდი.

- ამჯერად ხართუმში, - დავარწმუნე იგი, - სამხრეთი სამოქალაქო ომში არა.

- შენთვის ვილოცებ, - მითხრა მან გაძნელებული ამოსუნთქვით.

იანვრის პირველი კვირა იდგა და ჩემს საკანში ღრმა ძილი დამეუფლა. სახლი დამესიზმრა, სადაც მამაჩემი ცხოვრობდა. დავინახე, რა გულმოდგინედ ფუსფუსებდა ჩემი და სამზარეულოში, რომ დიდი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც ერთად შეკრებილიყვნენ, საჭმელი მოემზადებინა. *ნუთუ კიდევ ერთი გზავნილი იყო ღვთისგან?* როცა გავიღვიძე, ორ რამეში ვიყავი დარწმუნებული: იქ მამა არ დამინახავს და ბოლოს, როცა ჩვენი ოჯახი ერთად შეიკრიბა, დაკრძალვა იყო.



12

2016 წლის პირველი კვირისთვის ველოდებოდი, რომ უშიშროება ჩემ საქმეს სასამართლოს გადასცემდა. ამ თარიღს ბ-ნ სლამასთან შეხვედრის დროიდან ველოდი. 10 იანვარს ჩემი დაპატიმრებიდან ერთი თვე ხდებოდა. თუ ამ დროისთვის ჩემი საქმე სასამართლოს არ გადაეცემოდა, ეს ნიშნავდა, რომ გამათავისუფლებდნენ.

მიუხედავად ამისა, იანვრის პირველი კვირა მოვიდა და წავიდა. აქედან მივხვდი, რომ უშიშროების გამომძიებელმა სპეციალურად შემიყვანა შეცდომაში ცრუ ინფორმაციით. ეს ნაცნობი პრაქტიკა გახლდათ, რომელიც კომუნიზმისდროინდელი დევნიდან გავიაზრე. იმედგაცრუება და უღონობა ვიგრძენი. როცა ჩეხეთის საკონსულოს ოფიცერი კარგი ამბებით არ მოვიდა 9 იანვრისთვის, კიდევ უფრო ავღელდი.

- მინდა საელჩოს დავუკავშირდე, - ვუთხარი მცველებს, - ოჯახთან დარეკვა მინდა.

როცა უარი მითხრეს, გადავწყვიტე ყველაფერი ჩემს ხელში ამეღო. შიმშილობა დავიწყე. ერთი ჩემი კოლეგის, ავსტრალიის მოქალაქის საქციელმა შთამაგონა, როცა ჩრდილო კორეაში დააპატიმრეს და შიმშილობის პროტესტი დაიწყო. იმის გამო, რომ ეს კაცი ხანდაზმული გახლდათ, საკვების უქონლობა სწრაფად გააუარესებდა მის მდგომარეობას, ამიტომ ჩრდილოკორეელებმა მისი გათავისუფლება გადაწყვიტეს. *თუ იქ იმუშავა შიმშილობამ, შეიძლებოდა ჩემთანაც გამოსულიყო რამე. თუ საკმარისი ძალა მექნებოდა წარმატების მისაღწევად, შესაძლოა, სუდანელებს მეც გავეთავისუფლებინე.*

სუდანში შიმშილობა დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა და სრულად ვაცნობიერებდი ჩემი გადაწყვეტილების სერიოზულობას. ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, პატიმარი, რომელიც შიმშილობს, ეზოში ბოძზე უნდა მიაბან და გვერდით საჭმლის ჯამი და ჭიქა წყალი დაუდგან. თუ უარს არ იტყვის შიმშილობის შეწყვეტაზე, სასამართლოში წაიყვანენ და საკუთარი სხეულის განადგურების ბრალდებას წაუყენებენ. მიუხედავად ამისა, ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე იყო. მამაჩემის ორმოცდღიანი მარხვა გავიხსენე. თუ მან შეძლო მხოლოდ წყალზე გაძლება, მეც გავძლებდი.

საბედნიეროდ, ჩემს მცველებს არასოდეს მიუმართავთ სასამართლოსთვის და მეც არავითარი საკვები არ მიმიღია რვა დღის განმავლობაში. უარი ვთქვი პურსა და ჩაიზე, რომელიც მცველებს დილით მოჰქონდათ და 11:00 საათის კერძზე, სახელად *ფული*, რომელიც მოხარშული ცერცვისგან შედგებოდა. არც შუადღეს მხიბლავდა მოხარშული კარტოფილი და გოგრის რაგუ, რომელსაც *გარა* ეწოდებოდა. გაცილებით ადვილი გახლდათ ვახშამზე უარს თქმა, როცა შერიად წოდებული მაკარონი მოჰქონდათ. ეს ტკბილი კერძი ხშირად დაობებული იყო. მხოლოდ წყალს და მცველების მიერ შემოტანილ, ასპირინის საფუძველზე დამზადებულ თავის ტკივილის წამალს ვსვამდი. რახან მისი მიღება უზმოზე მიწევდა, ვშიშობდი, რომ კუჭის წყლული გამიჩნდებოდა. ჩანს, ჩემმა მდგომარეობამ შთაბეჭდილება მოახდინა ტერორისტ თანასაკნელებზე, რომლებმაც ჩემი თავგამოდება რამადანის თვის მარხვას გაუტოლეს, თუმცა ისინი საკვებისა და წყლისგან მხოლოდ განთიადიდან მზის ჩასვლამდე იკავებდნენ თავს, რასაც მთელი ღამის ღორმუცელობა მოსდევდა. 13 იანვარს, პროტესტის ოთხი დღის შემდეგ საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. შარვალს, რომელიც ისედაც ფართოდ მქონდა, მხოლოდ პურის პაკეტებისგან დამზადებული ქამრით ვიჭერდი. ჩანდა, რომ არც ჩემს გონებას და არც სხეულს ენერგია აღარ შემორჩა და იატაკზე გაუნძრევლად ვიწექი. სიმღერები, რომლებიც ოდესღაც კარგად ვიცოდი, გონებიდან გაქრა. მხოლოდ

ბუნდოვანი ნაწყვეტების გახსენება შემეძლო. მიუხედავად ამისა, მაინც აღვავლენდი უფლის წინაშე ღონეგამოცლილი ადამიანის სუსტ შესაწირს.

მცველებმა უშიშროების საავადმყოფოში გადამიყვანეს, სადაც სამედიცინო პერსონალმა უამრავი ანალიზი გამიკეთა. ციხეში ყოფნის ერთი თვის განმავლობაში ოცდაცამეტი ფუნტი (13 კილოზე მეტი)დავიკელი. ექიმი კეთილად იყო განწყობილი და სისხლის ანალიზის პასუხები მაჩვენა. ელდა მეცა, როცა დავინახე, რამდენად დაცემული იყო ჰემოგლობინის დონე. ანემია მქონდა და ეს რკინის დეფიციტის ბრალი იყო თუ შინაგანი სისხლდენის, წარმოდგენა არ მქონდა. თუმცა კონკრეტულად ამ სპეციალობით მუშაობის ოცწლიანმა გამოცდილებამ - ანალიტიკური ქიმია, ჰემატოლოგია და სისხლის გადასხმა - ჩემი ლაბორატორიული ანალიზის რაობაში გამარკვია. პროტესტის მიუხედავად, ექიმმა დექსტროზა გადამისხა, რომ სისხლში გლუკოზის დონე აეწია. ამან უნებლიე შედეგი გამოიწვია და იმდენი ენერგია შემმატა, რომ კიდევ ოთხ დღეს ვიშიმშილე. ციხეში დავბრუნდი, მაგრამ გონებიდან არ მშორდებოდა ჰემოგლობინის დაბალი დონე. ვიცოდი, რომ სისხლში ჟანგბადის სატურაცია დაბალი მქონდა, რამაც ტვინზე იმოქმედა და იმის გათვალისწინებით, როგორ მიჭირდა ყურადღების კონცენტრაცია, ეს მნიშვნელოვანი იყო.

თავს კლაუსტროფობიური საკნის მახეში გამომწყვდეულივით ვგრძნობდი და თან მუსულმანური ლოცვები და ყურანის არაბული დეკლამაციები არ წყდებოდა. ამ დროისთვის იმდენი არაბული დავიმახსოვრე, რომ მუეძინობას ან იმამობას თავისუფლად შევძლებდი. მართალია, გამუდმებით თავბრუ მესხმოდა, მაგრამ მთელი ძალით ვცდილობდი ყურადღების მოკრებას. თავში სულ არაბული სიტყვები მიტრიალებდა. ოჯახზე ვდარდობდი, თუ როგორ შეძლებდნენ უჩემოდ თავის გატანას. მთელი ძალით ვცდილობდი საკუთარი ლოცვების ფორმულირებას. ფრთხილად თუ არ ვიქნებოდი, ჭკუიდან გადავიდოდი.

17 იანვარს საკმაოდ შემაშფოთა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობამ საიმისოდ, რომ შიმშილობა შემეწყვიტა. თავი

გავანებე ვითარების გაკონტროლების მცდელობას და ამის ნაცვლად მთელი სიცოცხლე - ციხეში ყოფნის ხანგრძლივობის ჩათვლით - ისევ უფალს გადავეცი. რვა დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლოჯერ ვჭამე. მეორე დღეს ჩემი წონისა და ამტანობის გასაზრდელად მცველებმა საუზმეზე ორი პატარა უბრალო იოგურტი და ორი მოხარშული კვერცხი დამიმატეს.

* * *

„ალაჰუ აკბარ“ ციხის კამერის გამუდმებულ შეძახილად იქცა. ეს ლოცვისთვის მუსულმანური მოწოდება გახლდათ და ყოველი მამაკაცი მას დღის განმავლობაში არაერთხელ იმეორებს, კერძოდ, ასჯერ ყოველი ლოცვისას. ამ პაწაწინა საკანში ვაკვირდებოდი, როგორ იდრეკდნენ ქედს ჩემი თანასაკნელები და ისმენდნენ ყურანის ყოველ სიტყვას. ამ მოდუდუნე ხმებსა და ათასჯერ განმეორებად ლოცვებში სერიოზულად შევშფოთდი საკუთარ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ძლიერი მოთხოვნილება ვიგრძენი, რომ გონება მათი ხმების გარდა კიდევ რამეთი დამეკავებინა.

იანვრის ბოლო დღეებში, როცა ჩემი თანასაკნელი მუსულმანები ლოცულობდნენ, უფალმა სიმღერები მომაწოდა. როცა იატაკზე მათ თაყვანისცემას ვაკვირდებოდი, ერთი ჰიმნი გამახსენდა, რომელიც მამამ ბავშვობაში მასწავლა: „ყოველი მუხლი მოიდრიკება.“ ჩეხოსლოვაკიაში იატაკქვეშა ეკლესიის დამოწაფების კრებებზე ამ ჰიმნს სპონტანურად და ხშირად ვმღეროდით. საკანში ყოფნისას სწორედ ეს სიტყვები დამიტრიალდა გონებაში. როცა მუსულმანები ლოცულობდნენ, ამ სიმღერას გონებაში გამუდმებით ვატრიალებდი და ეს ჩემი უფლის სახელის განდიდებაში მეხმარებოდა. ტუალეტისკენ სახემიქცეული დღეში ხუთჯერ ვიხსენებდი ამ მისამღერს: „ყოველი მუხლი მოიდრიკება და ყოველი ენა აღიარებს, რომ შენ ხარ უფალი!“ იმის გახსენებით, რომ ერთ დღეს ყოველი მუხლი მოიდრიკება ჩემი უფლის წინაშე, ქრისტეში გამარჯვების მარადიული რეალობის გააზრება დავიწყე და ჩემი საღი აზრი ხელშეუხებელი დარჩა. იმ მომენტში, როცა

ყველაზე მეტად მაღელვებდა საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობა, სულიწმიდამ ფილ. 4:7 მომაწოდა: „და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიცავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.“ მან არა მარტო ჩემი გული დაიცვა, არამედ ჩემი გონებაც.

ყოველ ჯერზე, როცა თანასაკნელები თუნგის (*იბრიგის*) წყლით განბანის რიტუალს ატარებდნენ, სისტემატურად ვაქებდი უფალს გამოცხ.4:8-დან აღებული სიტყვებით: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო, არის და მოვა”. თუ ოთხ ცოცხალ ქმნილებას მარადიულად შეეძლო „წმიდა, წმიდა, წმიდა“-ს ძახილი, ვიცოდი, რომ მეც შევძლებდი იგივეს ერთი წუთის, ხუთი წუთის თუ ერთი საათის განმავლობაში. დავიწყე ამ სიტყვების არაერთხელ გამეორება გონებით: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი ყოვლისმპყრობელი!“

ამ სიტყვამ ღვთის კონკრეტულ თვისებებზე დამაფიქრა - მის სიწმიდეზე, სისუფთავესა და განკურნების უნარზე. „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა ღმერთი მკურნალი“. დავიწყე ნიგერიის დევნილი ქრისტიანების განკურნებაზე ლოცვა, რომლებიც ამას წინათ დაზიანდნენ თავდასხმის შედეგად. „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა, რომელიც ტყვეებს ათავისუფლებს.“ ვლოცულობდი ერიტრეას ქრისტიანებზე, რომელთაგან ზოგიერთი ციხეში ათობით წელი იჯდა. „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი“ - გამუდმებით ვიმეორებდი. ვიცოდი, რომ ჰიმნებს ხმამაღლა ვერ ვიგალობებდი და ვერც წმიდა წერილის ადგილებს მოვიყვანდი ჩემი ხმით, მაგრამ შემეძლო გულში მღერა და მათი გამეორება.

როცა მეტი ყურადღება მივაქციე ღვთის სიწმიდესა და ძალას და ნაკლები - იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიც ვიმყოფებოდი, ჩემს საკანში დინამიკა უარესისკენ შეიცვალა. ჩემმა ტერორისტმა თანასაკნელებმა არ იცოდნენ, რომ ჩუმად დავიწყე თაყვანისცემის სიტყვების გამეორება, მაგრამ თებერვლის პირველი კვირის განმავლობაში, რაც უფრო მეტად ვუგალობდი ღმერთს და მის სახელს განვადიდებდი, მით უფრო სასტიკად მექცეოდნენ. ვინაიდან ციხეში ერთადერთი თეთრკანიანი ვიყავი,

ჩემი კანის ფერი დაცინვის მეტად ნაყოფიერ და გამუდმებულ წყაროდ იქცა.

- შეხედე, რაჭუჭყიანი ფეხები გაქვს, - ირონიით მიმითითებდნენ ჩემს თეთრ ქუსლებზე, - და რა სუფთაა ჩვენი ფეხები!

ჩემი თანასაკნელები იმდენად აგრესიულები გახდნენ, რომ ოთახში ჩემი გადაადგილების შეზღუდვა მათთვის სიამოვნებას აღარ წარმოადგენდა. ყოველთვის, როცა გავივლიდი, დალოდებას მაიძულებდნენ, სანამ თავად არ გაივლიდნენ. ასევე მიბრძანეს, რომ ფეხმორთხმით ვმჯდარიყავი იატაკზე საათების განმავლობაში. ეს ჩემთვის მტკივნეული იყო, რადგან მუსულმანური ჯდომის მანერას მიჩვეული არ ვიყავი.

ასევე მაიძულებდნენ თავიანთი ქვედა საცვლების გარეცხვას და ტუალეტსაც შიშველი ხელებით მაწმენდინებდნენ, რომ თავი უფრო დამცირებულად და დეგრადირებულად მეგრძნო. არც მათთან ერთად ჭამის უფლებას მაძლევდნენ.

- შენ ურწმუნო ხარ. - მახსენებდნენ ისინი.

მაიძულებდნენ ცალკე ჭურჭლიდან მეჭამა, რომელსაც ტუალეტის მახლობლად ინახავდნენ. ყოველთვის, როცა რომელიმე მათგანი შარდის ბუშტს დაცლიდა, ჩემი თეფში შხეფებით იწუწებოდა.

ყოველგვარ დამამცირებელ სახელს მეძახდნენ და როცა მაშინვე არ გამოვეხმაურებოდი „ჭუჭყიანი ღორის“ ან „ვირთხის“ წოდებაზე, იატაკის ცოცხს ხის ნაწილს აძრობდნენ და თავში მირტყამდნენ. ყოველ დილით სხეულზე ახალი ჩალურჯებებით და პულსირებადი თავის ტკივილით ვიღვიძებდი.

აქამდე უფალი ძალას მაძლევდა, რომ შური არ მეძია, როცა მცემდნენ. მარჯვენა ლოყაზე მირტყამდნენ და მარცხენას ვუშვერდი. წინააღმდეგობის გაწევა ან თავის დაცვა კიდეც რომ გადამეწყვიტა, ჩემი ძალისხმევა უნაყოფო იქნებოდა ექვს ადამიანთან დაპირისპირებისას. მათგან თავს ვერ დავიძვრენდი, ამიტომ მივხვდი, რომ სიცოცხლის შენარჩუნება თუ მინდოდა, ნებისმიერ დაძახებაზე უნდა გამოვხმაურებოდი, რასაც მომაწერდნენ.

უფალმა განსაკუთრებული მადლი მომანიჭა, რომ არა მარტო სახარება გამეზიარებინა, არამედ მათ შორის სახარებით მეცხოვრა. ვიცოდი, რომ ეს ჩემს ძველ „მე“-ს არ შეეძლო, არამედ ჩემში მყოფი ქრისტე აკეთებდა. როცა თანასაკნელებმა დაინახეს, რომ მუდამ უარს ვამბობდი მათი თავდასხმების გამო შურისძიებაზე, კიდევ უფრო აგრესიულები გახდნენ და სიძულვილით აღივსნენ.

ვიცოდი, რომ ჩვენ, ქრისტიანებს მტრები უნდა გვყვარებოდა; სიკეთე გვეკეთებინა მოძულეთათვის; გვეკურთხებინა ჩვენი მაწყევარნი და გველოცა ჩვენი შეურაცხმყოფლებისთვის (ლუკ. 6:27). ფაქტიურად, ქრისტიანობა ერთადერთი რელიგიაა, რომელიც თავის მიმდევრებს მტრების სიყვარულს ასწავლის.

უშიშროების ციხეში ყოფნის პროცესში ჩემი საქორწინო ბეჭედი შევინარჩუნე. იმის გამო, რომ დიდი წონა მქონდა, თითიდან მისი წაძრობა არ ხერხდებოდა. როცა საკანში კლება დავიწყე, ხელები გამიხდა. შევნიშნე, რომ თანასაკნელებმა ამას ყურადღება მიაქციეს.

- ბეჭედი უნდა მოგვცე, - მითხრეს მათ, - თუ არ მოგვცემ, მოგკლავთ.

ზოგჯერ ვხედავდი, როგორ ლესავდნენ ერთ-ერთი ლითონის ჭურჭლის კიდეს და ჰაერის კონდიციონერის ფრთას, რომ დანად გამოეყენებინათ.

ერთ-ერთი თანასაკნელი ლიბიელი გახლდათ. მან თქვა, რომ ოსამა ბინ ლადენის პირად მცველად მსახურობდა. ერთხელ ფეხი გვაჩვენა, რომელიც სულ ჭრილობებით და ნატყვიარებით ჰქონდა დაცხრილული. ასევე გვაჩვენა, როგორ უნდა მოკლა ადამიანი ზურგიდან ანკესის ძუით, რომელიც ციხეში ჩუმად შემოიტანა.

- თუ ყველაფერს სწორად გააკეთებთ, - აგვიხსნა მან და თან ჯიბიდან ძუა დააძრო, - სიკვდილი რამდენიმე წამში დადგება.

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლი ტრაბახობდა, რომ იმ ადამიანთა შორის იყო, რომლებმაც 2015 წლის თებერვალში ოცდაერთ ეგვიპტელ ქრისტიანს თავები მოკვეთეს ლიბიის სანაპიროზე. ეს ვიდეოჩანაწერი მთელმა მსოფლიომ ნახა.

- ნებისმიერის მოკვლა წამებში შემეძლო, - მითხრა მან და თითქოს ავტომატურად დაიხვია ხელზე ძუა, - რუსი ან ამერიკელი რომ ყოფილიყავი, ადგილზე გაგათავებდი.

ჩემს ტერორისტ თანასაკნელებს ის გმირად მიაჩნდათ და როცა ვხედავდი, როგორი შურით უმზერდა ჩემს საქორწინო ბეჭედს, ავღელდი და თავი დაუცველად ვიგრძენი. ვიცოდი, რომ თუ მოინდომებდა, ბეჭედსაც წამებში მოიპარავდა და თითსაც ზედ მიაყოლებდა. თითები მოვუჭირე ოქროს ამ სქელ ზოლს, რომელიც ძვირფას მეუღლესთან ერთადერთი ხელშესახები კავშირი გახლდათ.

იძულებული ვიყავი, რომ იატაკზე ფეხმორთხმით ვმჯდარიყავი, როცა ჩემი თანასაკნელები გამომძიებლების ჯგუფად მაჩვენებდნენ თავს და სუდანში ჩემი ქრისტიანული მოღვაწეობის შესახებ მეკითხებოდნენ. ყოველთვის, როცა ჩემი პასუხი არ მოსწონდათ, მუშტებს მირტყამდნენ.

- გვითხარი, ვინ ხარ! - გაჰყვიროდნენ ისინი, - გვითხარი, რომ ბინძური ღორი ხარ!

მოულოდნელად მათმა დაკითხვამ უფრო საშიში სახე მიიღო. აბდ ალ ბარიმ მუხლებზე დადგომა მაიძულა და ცოცხის ტარით ცემა დამიწყო. ეს ერთადერთი იარაღი იყო, რომელიც მცველებმა საკანში დატოვეს. თითოეული ჩხირი მტკივნეულ სიგნალს გზავნიდა მთელ ჩემ სხეულში. კბილს კბილზე ვაჭერდი ყოველ დარტყმაზე.

- ვინ და ვინ არიან სხვა ქრისტიანები, რომლებიც შენთან ერთად დააპატიმრეს?

აბდ ალ ბარიმ დარტყმა შეწყვიტა და პასუხი მოითხოვა. თავი ისევ მკერდში მქონდა ჩარგული, როცა ეს კითხვა გავიგონე, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემმა გულმა ეს დარტყმა აისხლიტა. *რას ამბობს? რა ქრისტიანები?* გამიკვირდა. კიდევ ერთი სწრაფი დარტყმა მომხვდა ზურგში და შემდეგ კითხვა სხვაგვარად დამისვა:

- საიდან იცნობ ჰასანსა და მონიმს?

ელდა მეცა. *ნუთუ ისინიც დააპატიმრეს?* მთელი სხეული მტკიოდა და ჩემო გონება მთელი სისწრაფით ცდილობდა ამ

ინფორმაციის გააზრებას. ზურგზე ცემისას გული მიჩქარდებოდა, მაგრამ ეს დარტყმები ისე მტკივნეული არ იყო, როგორც აზრი - *„ნუთუ ჰასანი და მონიმი ჩემს გამო დააპატიმრეს?“* როცა პასტორ ჰასანთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხი არ გავეცი, თითები ხის ჯოხით დამიმტვრიეს. როცა ადის-აბებას კონფერენციის სხვა პასტორების სახელები არ ვთქვი, ტუალეტის მძიმე კარი იდაყვზე მომახეთქეს. მკვეთრი, არაადამიანური ყვირილი აღმომხდა, როცა ჩემი ტვინი ამ ტკივილის გადამუშავებას ცდილობდა.

ზოგჯერ ისე უმოწყალოდ მცემდნენ, რომ კიდევ ერთი დღის გადატანაც საეჭვო იყო. მომდევნო დაკითხვაზე აბდ ალ ბარიმ ისე ძლიერად ჩამარტყა ზურგში ფეხსაცმელი, რომ მეგონა, ნეკნი გამიტყდა. ერთი დღეც არ ჩაივლიდა ისე, რომ თანასაკნელები თავს არ დამსხმოდნენ ან არ ვეწამებინე.

საოცარი ის გახლდათ, რომ ჩემი ტანჯვის გაძლიერებასთან ერთად გონება სულ უფრო მეტად მშვიდი ხდებოდა. აღარ ვღელავდი სახლზე ან სუდანელ ძმებზე, რომლებიც ჩემთან ერთად დაიჭირეს. სინამდვილეში, ფიზიკური ტანჯვის პერიოდში საერთოდ არ შემეძლო ოჯახზე ფიქრი. ისინი სამსხვერპლოზე მივიტანე და მათზე მხოლოდ იესოს სახელის აღიარება შემეძლო.

ამ საშინელი განცდების გადატანისას იესო ქრისტეს უფრო მკაფიო სურათის დანახვა დავიწყე, რომელიც ასევე ნაცემი და აბუჩად აგდებული იყო. ყოველთვის, როცა მილაწუნებდნენ, მუშტებს თუ პანღურებს მირტყამდნენ ან დამცინოდნენ, ქრისტეზე ვფიქრობდი, თუ რა გადაიტანა რომაელი ჯარისკაცების ხელში.

თუ ჩემს უფალს სურდა, რომ ეს სასჯელი ამეტანა, მაშინ მე, მის მიმდევარს მის ნაკვალევზე სიარული და უფლის სახელით მის მიერ გადატანილი ტანჯვის გაზიარება მმართებდა (ფილ. 3:10).

* * *

ჩემი თანასაკნელები ყოველ საღამოს განაგრძობდნენ დაკითხვას. კერძოდ, აბდ ალ ბარის სურდა უფრო მეტი შეეტყო ქრისტიანულ საქმიანობაზე სუდანში. ჩემი პასუხების უმეტესობა

არ მოსწონდათ, ამიტომ ჩემს ცემას ცოცხის ხის ტარით აგრძელებდნენ. ისინი თავსა და თითებზე მირტყამდნენ, ხოლო ბოლოს მუცელში მარჭობდნენ. ჩემი სხეული ტკივილისგან იკრუნჩხებოდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, გულსა და გონებაში ღრმა სიმშვიდეს ვგრძნობდი. როცა მცემდნენ, ჩემი ოჯახისთვის ლოცვაც კი შემეძლო.

მოულოდნელად, წამის მეასედში ქრისტეს სახება მოვლანდე, როცა იუდეველთა რელიგიური პოლიცია თავში ხის ჯოხს ურტყამდა დაპატიმრებისას, რომელიც მათ. 27:30-ში არის აღწერილი.

- უფალო, - ვლოცულობდი მე, - ჩემზე წინ მოხვედი და გცემეს, ჯვარზე გაგაკრეს, ჩემი ცოდვებისთვის მოკვდი.

უცებ, საოცარი გაცხადება მოვიდა: ვიცოდი, რომ უმოწყალოდ მცემდნენ ჩემი თანასაკნელები „ისლამური რესპუბლიკიდან“, მაგრამ ტკივილს ვერ ვგრძნობდი!

ვიცოდი, რომ უფალი ჩემთან ერთად იყო ციხის კამერაში. მოგვიანებით გავიგე, რომ ღმერთმა ჩემთვის მლოცველი მეომრების არმია აღძრა და ეს ზუსტად ამ დროს მოხდა. თუმცა მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი.

* * *

ერთხელ საკანში ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ ყვებოდნენ ტერორისტული დაჯგუფების წევრები, რომ ჩემმა ქვეყანამ, ჩეხეთის რესპუბლიკამ შეერთებული შტატების დაზვერვას ალ ქაიდას ტერორისტების წყლით წამების უფლება მისცა. მივხვდი, რომ მათ ჩემი ქვეყანა პოლონეთში აერიათ, ამიტომ თხრობა შევუსწორე.

მათ დაიჟინეს, რომ სწორედ ჩემმა ქვეყანამ და არა პოლონეთმა მისცა აშშ-ს ტერორისტების წყლით წამების უფლება.

- იცი, რა არის წყლით წამება? - მკითხეს მათ.

- დიახ, ვიცი, - ვუპასუხე მე.

- კარგი, მაგრამ შენ ხომ არ იცი, როგორია ეს? ამიტომ გაჩვენებთ.

თავდაპირველად, ეს არ მანაღვლებდა. ჩვენს საკანში გამდინარე წყალი ცოტა იყო, ამიტომ მათ ლაპარაკს ცარიელ მუქარად ვთვლიდი.

მალე დავრწმუნდი, რამდენად სერიოზულად ფიქრობდნენ ამაზე. აბდ ალ ბარიმ მცველები დაარწმუნა, რომ ყველანი ჩვენს სართულზე არსებულ დიდ ოთახში გადავეყვანეთ, რომელსაც პატიმრები „წყლის ოთახს“ ეძახდნენ. ეს ერთადერთი ოთახი იყო მთელ ციხეში, სადაც წყალი წნევით მოდიოდა.

6 თებერვლის დილას შვიდივე ახალ საკანში გადაგვიყვანეს. თანასაკნელებმა კუთხეში ქვედა საცვლის რეცხვა მაიძულეს, სადაც ჭუჭყიანი ტუალეტი იყო. ზურგით რომ მოვბრუნდი, გავიგონე, რომ ექვსი კაცი ჩემ შესახებ არაბულად ლაპარაკობდა და ავღელდი. როგორც ჩანდა, ოსამა რამადანი, რომლის ლოცვაც რამდენიმე კვირით ადრე მოვისმინე, წყლით წამებას უხელმძღვანელებდა. დავინახე, როგორ ალაგებდა ჯილაბიიდან მოჭრილ ქსოვილის ზოლებს, რომელიც გრძელ მუსულმანურ ფართო კაბას წარმოადგენდა.

- გამომძიებელს უნდა უთხრა, რას გიპირებთ, - დამცინოდნენ კაცები. ციხეშიც კი არ ეშლებოდათ ხელი ურჯულოთა წამებაში.

ვიცოდი, რომ ჩემი ფიზიკური მდგომარეობის პირობებში, წყლით წამება სიცოცხლის დასასრულს მოასწავებდა. არა მარტო ხშირმა ცემამ დამაუძლურა, არამედ ანემიასა და ჰიპოქსიასაც ვებრძოდი. როცა კაცები ჩემთან მოვიდნენ, დამშვიდება ვცადე. რამდენიმე წამით გული და გონება შევამზადე ყველა იმ საშინელებისთვის, რაც ამის შემდეგ მელოდა.



13

6 თებერვლის შუადღეს, როცა „ისლამური რესპუბლიკის“ მომხრე თანასაკნელებმა წამებისთვის მზადება დაასრულეს, ერთი კაცი, რომელსაც „მკაცრ მცველს“ ეძახდნენ, ვინაიდან მათი მოთხოვნების შესრულებაზე უარს ამბობდა, პირდაპირ კამერის კართან იდგა და მათ ლაპარაკს უსმენდა. მის ხელში გასაღებების ჩხარუნი ისმოდა. მკაცრი მცველი მაშინვე მიხვდა, რა ხდებოდა ოთახის შიგნით და იმის მიუხედავად, რომ ადრე ჩემს მიმართ რაიმე მზრუნველობა არასოდეს გამოუჩენია, ახლა საკანში შემოვარდა.

გაბრაზებული არაბული მეტყველებით მიბრძანა, რომ ჩემი ნივთები ამეკრიფა და მას გავყოლოდი. გაურეცხავი ტანსაცმლის გროვა მივატოვე და როცა მკაცრ მცველს მივყვებოდი, უკან მოვიხედე ჩემი თანასაკნელების ელდანაცემი და იმედგაცრუებული სახეების დასანახად. ალბათ, ასეთი გრძნობა ჰქონდა დანიელსაც, როცა ლომების ხაროდან ამოიყვანეს.

ერთი ღამე სხვა საკანში გავატარე ორ მუსულმანთან ერთად, რომლებიც საერო ბიზნესმენები იყვნენ. ეს ოთახი გაცილებით პატარა და უფრო ჭუჭყიანიც კი იყო, ვიდრე ჩემი მეორე კამერა. პირველ დღეს მათ საკნის მოწესრიგებაში დავეხმარე, ამიტომ თანაგრძნობით მიწილადეს საკვები. როცა ჩემი ჭრილობები დაინახეს - შავი და ლურჯი დაჟეჟილობები თავზე, იდაყვებსა და ზურგზე, ელდა ეცათ. ამიტომ, ვუამბე, რა დამემართა, როცა „ისლამური რესპუბლიკის“ ხალხთან ერთად ვიჯექი. მეორე საღამოს უშიშროების ციხეში მომდევნო დაკითხვაზე გამომიძახეს. კონდიციონერი მიბერავდა და მაშინვე შემამცივნა. არცთუ

დიდი ოთახის ცენტრში მაგიდა იდგა. სკამებზე ორი ადამიანი იჯდა. ვიცოდი რუტინა: ერთი კაცი „კარგი პოლიციელის“ როლს ითამაშებდა, ხოლო მეორე - „მკაცრის“. გამომძიებელი შევათვალიერე. ის პიჯაკსა და ჰალსტუხში იყო გამოწყობილი და ოდეკოლონის სუნი ასდიოდა. ამ არომატს სუდანში შევეჩვიე, რომელსაც გაცილებით ინტენსიური სურნელი ჰქონდა, ვიდრე ევროპასა და ამერიკაში. ჩემთვის განკუთვნილ სავარძელში ვიჯექი და მაგიდის თაროს ვუყურებდი, რომელშიც დოკუმენტებით სავსე ყუთები ელაგა. დავინტერესდი, რატომ გამომიძახეს დასაკითხად. ბოლოს, სუდანის უშიშროების გამომძიებლისგან გავიგე, რომ მამაჩემი გარდაცვლილა. მისი სიკვდილიდან ერთი თვე გავიდა. მართალია, ღმერთმა ამისთვის სიზმრის მეშვეობით შემამზადა, მაგრამ ამბის დადასტურება მუცელში ჩარტყმის ტოლფასი იყო. მაინტერესებდა, როგორ გაუმკლავდა ჩემი ოჯახი ამ დანაკარგს. გონება ჩეხეთში დაბრუნდა, სახლში. ყველაზე მეტად იქ ყოფნა მინდოდა, რომ გლოვის ამ რთულ პერიოდში მათთვის მხარი დამეჭირა. ჩემმა გონებამ ერთი რამ გაიხსენა, რომელმაც ამჟამინდელი დაკითხვისთვის სიმტკიცით ამავსო და მიმახვედრა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩემი პატიმრობა. გონება საშუალო სკოლაში სწავლების პირველ წელს დაუბრუნდა. ჩემი მშობლები სახლში დამოწაფების შეკრებებს აწყობდნენ. მთელი ორმოცდაათი ადამიანი იკრიბებოდა და ჩვენი სახლის ოთხ საწოლ ოთახში რჩებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ბიჭები ერთ ოთახში წვებოდნენ, ხოლო გოგონები - მეორეში.

როცა შეკრება დასრულდა და სახლში ყველა მშვიდობით დაბრუნდა, შვებით ამოვისუნთქეთ. პოლიციამ ვერ აღმოგვაჩინა. შეკრებაზე ჩხრეკა არ ყოფილა. ღმერთს მადლობა გადავუხადეთ, რომ ყველაფერი უპრობლემოდ დასრულდა.

ჩემი სკოლა სახლიდან, სულ რაღაც, ხუთას მეტრში იყო, ამიტომ ყოველდღე იქით-აქეთ დავდიოდი. ერთხელაც სკოლიდან დავბრუნდი და სახლში არავინ დამხვდა. ეს მთლად უჩვეულოც არ იყო. ჩემი და-ძმები უფროსები იყვნენ და სამივე ან მუშაობდა ან უნივერსიტეტში სწავლობდა. დედა საბავშვო ბაღის

აღმზრდელი გახლდათ და ერთადერთი ადგილი, სადაც სამუშაო ნახა მას შემდეგ, რაც მისი ქრისტიანობის შესახებ შეიტყვეს, ჩვენი სახლიდან მატარებლით 30 წუთის სავალზე იყო. მას სამსახურის უფრო ახლოს პოვნა შეეძლო, მაგრამ ბავშვების ათეისტური კომუნისტური პარტიის დიადი იდეალების შესაბამისად აღზრდაზე უარი თქვა. დღის მეორე ნახევარში დედას რკინიგზის სადგურზე ვხვდებოდი და სახლში ერთად ვბრუნდებოდით.

სახლში ერთი საათი დავყავი, შემდეგ ორი, მაგრამ არავინ მოვიდა. უკვე ავღელდი. რა მოუვიდათ ჩემს მშობლებს? პოლიციამ ხომ არ აღმოაჩინა ახალგაზრდული შეკრება, რომელსაც სახლში ვატარებდით? ისინი დააპატიმრეს? ხომ არ უნდა დავურეკო სხვა რომელიმე ლიდერს და გავაფრთხილო?

შიში სულ უფრო მეტად მიპყრობდა, თუმცა მამა გვიან ღამით დაბრუნდა. დედა ცოტა მოგვიანებით მოვიდა. მათკენ გავექანე გადასახვევად და ვიგრძენი, როგორ მომეშვა გულსა და გონებაში წარმოშობილი დაძაბულობა.

იმ საღამოს, როცა სასადილო მაგიდასთან ვიჯექით, მშობლები დღის ამბებს ერთმანეთს ადარებდნენ. მამაჩემთან ორი პოლიციელი მივიდა და ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში „მიიწვია.“

დედაჩემის მიმართ მოპყრობა უფრო დამამცირებელი იყო. მის კლასში ორი პოლიციელი და ორი საიდუმლო პოლიციის აგენტი შევიდა და მოსწავლეების თვალწინ გამოიყვანეს. ის კმაყოფილი იყო, რომ ქმართან დარეკვა მოახერხა.

- ამიყვანეს, - უთხრა მან.

- მეც, - უპასუხა მამამ, სანამ ზარი გაითიშებოდა.

ჩემმა მშობლებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ ასეთი რამ შესაძლებელი გახლდათ. კომუნისტურ ქვეყანაში ქრისტეს გზაზე სიარული ადვილი არ იყო და ამის საფასური რწმენის ადრეულ ეტაპზე გაიაზრეს. არასოდეს დამავიწყდება მათი საუბარი სასადილო მაგიდასთან, როცა დაკითხვაზე მსჯელობდნენ და დასმულ კითხვებზე შენიშვნებსა და პასუხის გაცემის გზებს ერთმანეთს ადარებდნენ. განსაკუთრებით ის მომენტები

გაიხსენეს, როცა გამომძიებლები მათ დაბნევას შეეცადნენ და იმსჯელეს, თუ როგორ გაეცათ უკეთესი პასუხები სამომავლოდ. იმ დროს მათი საუბარი ჩემთვის გამაოგნებელი იყო. რომელი ოჯახი ზის ვახშმად და მსჯელობს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საიდუმლო პოლიციის დაკითხვებზე? მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, რომ იმ სასადილო ოთახის საუბრები ამჟამინდელ დაკითხვის ოთახში ჯდომისთვის მამზადებდა. საღამოს, მოგვიანებით მამამ წიგნი მაჩუქა. ის ბიბლიის შემდეგ ყველაზე მნივნელოვანი წიგნი იყო. მამას ერთ-ერთმა კოლეგამ გერმანელი ქრისტიანებისგან რიჩარდ ვურმბრანდის გერმანულენოვანი წიგნი მოიტანა, სახელად, *„ღვთის იატაკქვეშეთში“*. ახლაც კი ნათლად მახსოვს, როგორ გადმომცა ის მამაჩემმა და მითხრა:

- ამ წიგნის წაკითხვა გმართებს!

ვინაიდან გერმანულ ენას სრულყოფილად ვფლობდი, თავიდან ბოლომდე სულმოუთქმელად წავიკითხე. რიჩარდის მოწმობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ახლა, მრავალი წლის შემდეგ, როცა ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ მიამბობდა გამომძიებელი მამაჩემის გარდაცვალების ამბავს, ისევ იმ საშინელ წამებაზე დავფიქრდი, რაც რიჩარდმა გადაიტანა და მივხვდი, რომ ჩემი მდგომარეობა სრულიად გაფერმკრთალდა მისი ტანჯვის ფონზე. შემდეგ გამომძიებელმა მკითხა, როგორ მიდიოდა ჩემი საქმეები ციხეში.

- ახლა ყველაფერი კარგად მიდის, - ვუთხარი მე, - რადგან სხვა საკანში გადამიყვანეს.

- ისეთი რა მოხდა, რომ შენი გადაყვანა მოუხდათ?

შეკავებული ემოციების გამო აკანკალებული ხმით ვუამბე ცემაზე, წამებასა და და წყლით დასჯის ამბავზე. განრისხებულმა გამომძიებელმა მობილური ამოიღო და სადღაც დარეკა. არაბული დიალოგის უმეტესი ნაწილის გაგება შევძელი. მან ციხის უფროსს დაურეკა და დაავალა, გამოერკვია, როგორ დამემართა ასეთი ამბები.

შემდეგ ტელეფონი გამორთო და კითხვები დამისვა პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით - რა იყო ჩემი ინციალები,

სრული სახელი, სპეციფიური დეტალები, რაც მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: უშიშროებამ გამოძიება დაასრულა და ახლა განთავისუფლებასთან ახლოს ვიყავი.

იმ დროისთვის, როცა გამომძიებელმა ჩემთან ბოლო შეხვედრას მორჩა, ძალიან გვიანი იყო. ისევ ჩემს ახალ საკანში დამაბრუნეს მეოთხე სართულზე, სადაც თანამოსაკნეებს უკვე ეძინათ. გადასაფარებლით ხელში იატაკზე ადგილი ვიპოვე და შევეცადე, დამესვენა.

მამაზე ფიქრებმა მთლიანად მომიცვა და დაძინება ვერ შევძელი. სინადმვილეში, არც კი დავწოლილვარ. *იქნებ ადგომა და სიარული სჯობდა?*

როცა ბავშვობის მოგონებები მომაწვა, უფლისადმი მადლიერებით ავივსე მამის ცხოვრების გამო. ცრემლები მომდიოდა, მაგრამ არა მწუხარებისგან. ეს იყო სიხარულისა და მადლიერების ცრემლები, რომ ქრისტიანულ ოჯახში გავიზარდე და დევნის პირობებშიც კი მამის ერთგულების მაგალითი ვიხილე.

ვიცოდი, რომ ერთხელაც მამას ისევ ვნახავდი. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ღვთის თანდასწრება აქ, ამ საკანში სუფევდა.

მოულოდნელად ოთახში მცველი შემოვიდა.

- ბეტერ, - მითხრა მან და მცირე ზომის პლასტიკატის პაკეტზე მიმითითა, რომელშიც ტანსაცმელი იდო. მთელი ძალისხმევა ჩააქსოვა ჩემს სახელში ასო „პ“-ს გამოთქმას სხვა არაბი მცველების მსგავსად, - თქვენი ნივთები აიღეთ და გამომყევით.

ცოტა არ იყოს, ავღელდი და იმედი გამიჩნდა, რომ ჩემი თავისუფლების დღე დგებოდა.

- გადასაფარებელიც? - ვიკითხე მე.

- არა, არა, დატოვე.

ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ მიშვებდნენ! აბა, რაში მჭირდებოდა გადასაფარებელი? რამდენიმე დღეში ჩეხეთის რესპუბლიკაში დავბრუნდებოდი ოჯახთან და ღვთისადმი ერთგულებაზე დავამოწმებდი ციხეში ორთვიანი პატიმრობის განმავლობაში.

ჩანთა ავიღე და ოთახიდან გამოვედით. მას გავყევი დერეფანში ლიფტის მხარეს, მაგრამ აუხსნელი მიზეზის გამო სხვა კამერის კარებთან შევჩერდით. მოულოდნელად მივხვდი, რომ შევცდი. ეს იყო ცუდი რეპუტაციის ოთახი, რომლისაც ციხის ყველა პატიმარს ეშინოდა. ბევრჯერ ჩავუარე გვერდი დასაკითხად მიმავალმა და ახლა, როცა მის კართან ვიდექი, ვიგრძენი, როგორ გამეყინა სისხლი ძარღვებში.

მე „მაცივრის“ კართან ვიყავი.



14

ცარიელ ოთახში შევედი და მაშინვე ვიგრძენი ცივი ჰაერის ნაკადი. იქ იდო ლითონის უმატრასო საწოლი, რომელზეც ადამიანის სისხლი იყო მიმხმარი. ტუალეტი ჭუჭყიანი გახლდათ და „მაცივარში“ არც წყალი მოდიოდა. ჩემი გადასაფარებელი გამახსენდა და გამოვითვალე, რომ აქ, დაახლოებით, 50 გრადუსი იქნებოდა ფარენჰაიტის შკალით (10 გრადუსი ცელსიუსით). ცივი ღამე იქნებოდა.

უცებ გავიაზრე, რომ „მაცივარში“ ჩემი გადმოყვანა მცველების მხრიდან შურისძიების აქტი იყო, რომელთაც ციხის უფროსმა მკაცრად უსაყვედურა ჩემ მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო. დავიძაბე, როცა მივხვდი, რომ ახლა ისინი მაჩვენებდნენ, ვინ იყო უფროსი.

ციხეში დიდი ხნით ყოფნის გამო ჭაღარა თმები მომეზარდა, მაგრამ არც ისე გრძელი იყო, ამიტომ გამოსაცვლელი პერანგი თავზე ქუდივით შემოვიხვიე. ისევ ჩავძვერი ტანსაცმლის პაკეტში და შარვალი ამოვიღე. პიჯაკი არ მქონდა და ის შიშველი ხელების დასაფარად გამოვიყენე.

მთელი ღამე დავდიოდი. სიარულს რომ ვწყვეტდი, სიცივე აუტანელი მეჩვენებოდა. ერთხელ ოთახის ერთადერთ სკამზე დაჯდომა გადავწყვიტე, მაგრამ ლითონმა ფეხები სულ გამიყინა.

ამ დისკომფორტის პირობებში ერთი ფარული კურთხევაც არსებობდა: ციხეში მოსვლის დღიდან პირველად აღმოვჩნდი მარტო. *ხმამაღლა ლაპარაკი შემეძლო!* უფალს ვაქებდი მამაჩემის გამო და კითხვა გამიჩნდა: ღმერთი ანგელოზებს გამოგზავნიდა თუ არა ჩემ დასაცავად, როგორც ეს რიჩარდ ვურმბრანდის

შემთხვევაში გააკეთა. როცა ამ ადამიანსა და მის თოთხმეტწლიან პატიმრობაზე ვფიქრობდი, საოცარი რამ მოხდა.

უცნაური შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ზურგიდან ვიღაცამ წინასწარ გამთბარი პალტო მომასხა და ჩემი ბაგეებიდან ამოხეთქა ფრაზამ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. უფალი მათბობდა. ჩემი იზოლაცია დასჯის მიზნით მოაწყვეს, მაგრამ ეს პირველი თავისუფლება გახლდათ ციხის კედლებში! ორი თვის განმავლობაში პირველად შევძელი ხმამაღლა ლოცვა.

მთელი ღამე ვცდილობდი ქრისტიანული საგალობლების სიმღერას. თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, ერთი შესანიშნავი საგალობელი დავიმახსოვრე - „Thine Be the Glory“, რომლის მელოდია გეორგ ფრიდრიხ ჰენდელს ეკუთვნის. ჯერ კიდევ ტერორისტების კამერაში ყოფნისას ვცდილობდი მემღერა, მაგრამ პირველი სამი-ოთხი სიტყვის მეტს ვერ ვიხსენებდი. მოულოდნელად, ამ იზოლირებულ კამერაში მეხსიერების სასწაული ვიხილე. სულიწმიდამ მეყსეულად გამახსენა ამ ძლიერი სიმღერის პირველი ორი სტროფი. თავი შთაგონების ზენიტში მყოფი პოეტი მეგონა, რომელიც იქამდე წერს, სანამ მცირე დროში ულამაზეს ნაწარმოებს არ დაასრულებს. როგორც კი ეს სიტყვები მივიღე, რწმენით გავაგრძელე ხმამაღლა სიმღერა. დარწმუნებული გახლდით, რომ იზოლირებულ საკანში გატარებული ერთი ღამის შემდეგ მცველებს ეჭვი შეეპარათ ჩემს გონებრივ ჯანმრთელობაში. მეორე დღე მცველებმა შეაჩერეს ცივი ჰაერის ნაკადი და გადასაფარებელი მომიტანეს. დავყნოსე თუ არა, სხვა პატიმრის სუნი ვიგრძენი და მივხვდი, რომ იმ ღამით ვიღაცამ გამოიყენა. ამის მიუხედავად, ძალიან მიხაროდა, რომ დამიბრუნეს.

ამ დროისთვის შიმშილობის დასრულებიდან სამი კვირის შემდეგ ძლიერი წყურვილი მტანჯავდა, მაგრამ მეზობელი ონკანიდან მხოლოდ ერთი წვეთი წყალი ჩამოვარდა. ცელოფნის ჩანთაში ერთი ცალი იოგურტი ვიპოვე, რომელიც შიმშილობის შემდგომი გაძლიერებული საუზმიდან დამრჩენოდა. იოგურტი შევჭამე და ჭიქა ონკანიდან წვეთების მოსაგროვებლად გამოვიყენე. ამას არანაკლებ თხუთმეტი წუთი დასჭირდა, მაგრამ

ბოლოს ჭიქა აივსო. უფალი ნაბიჯ-ნაბიჯ მასწავლიდა, რა უნდა მეკეთებინა. თავიდან დავიწყე იმის მოძიება, რა აბრკოლებდა წყლის დინებას. უფალმა ტუალეტის ბნელ კუთხესთან მიმიყვანა, სადაც მთავარი ვენტილი დაკეტილი დამხვდა და არც რაიმე ხელსაწყო მქონდა მის გასახსნელად. იატაკზე დაყრილ ნაგავში დავიწყე ძებნა, თუ რა გამომადგებოდა. ბოლოს ლითონის პატარა ნაჭერი ვიპოვე და ტუალეტში დავბრუნდი. როცა ვენტილი მოვატრიალე, წყალი თავისუფლად წამოვიდა და უნიტაზი აივსო. ქსოვილის პატარა ნაჭერი ვიპოვე და წყალში ჩავდე, რომ ონკანიდან თავისუფლად გადმოსულიყო. სველი ქსოვილი და ციხეში მოცემული კარბოლის საპონი სხეულის დეზინფექციისთვის გამოვიყენე. როგორც კი სხეული გავისუფთავე, ყურადღება ოთახზე გადავიტანე. ამას მთელი დღე დასჭირდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საწოლს სისხლის ლაქები მოვაშორე. უკვე საკმარისად სუფთა იყო, რომ ზედ ჩემი გადასაფარებელი გამეშალა.

იზოლირებულ კამერაში გადაყვანა ჩემთვის ნაწილობრივი თავისუფლების ტოლფასი იყო. „ისლამური სახელმწიფოს“ ხალხს ცალკე პატიმრობის ყოველთვის ეშინოდათ, რადგან იცოდნენ, რომ ერთი კვირაზე მეტი ხნით მარტოდ გამოკეტილი ადამიანი ჭკუაზე ცდებოდა. ამ მიზეზით, მცველები, რომლებიც დაპატიმრებულ ბოევიკებს შიშით ეთაყვანებოდნენ, არასოდეს აკავებდნენ მათ ცალკე ორ-სამ დღეზე მეტად.

ჩემთვის კი იზოლაცია მეხსიერების დაბრუნების დროდ იქცა. გავიხსენე სიმღერები, რომელთაც კომუნისტური დევნის პირობებში ვგალობდით. გამახსენდა წმიდა წერილის მუხლები, რომლებიც ახალგაზრდობაში დავიზეპირე. ეს ყველაფერი ისეთ დროს დამიბრუნდა, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა. მესამე დღეს სულიწმიდამ ზემოხსენებული ჰენდელის საგალობლის მესამე სტროფი მომაწოდა. როგორც წესი ერთ სიმღერას ერთი ან ორი კვირა სჭირდებოდა, მაგრამ ბოლოს ბევრი სხვა ჰიმნის სიტყვებიც სრულად გამახსენდა. საბედნიეროდ, ცივი ჰაერის ნაკადები „მაცივარში“ აღარ დაბრუნებულა.

ძალების აღსადგენად დღეებს სიარულში ვატარებდი. დილის 6:00 საათზე ვიწყებდი და საღამოს 9:00 საათამდე არ ვჩერდებოდი. დავითვალე, რომ ყოველდღე, დაახლოებით, თხუთმეტ მილს გავდიოდი და სიარულისას ვლოცულობდი.

ღმერთთან ურთიერთობის ამ გამოცდილებამ გამაოცა. რიჩარდ ვურმბრანდის მსგავსად, მეც უშუალოდ ვგრძნობდი უფლის თანდასწრებას, სიახლოვეს და მკურნალ ძალას. თვენახევრის განმავლობაში, 7 თებერვლიდან 29 მარტამდე ჩემს საკანს მხოლოდ უფალს ვუყოფდი.

რასაკვირველია, ყველა დღე როდი იყო ნათელი და სიხარულით სავსე. ხშირად ნაღველი შემომაწვებოდა ხოლმე. დღე დაძინებას ვცდილობდი, მაგრამ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მწუხარება უფრო მძიმე ხდებოდა, ამიტომ წამოვვარდებოდი ხოლმე და დილის ლოცვით სეირნობას ვაგრძელებდი. იყო დღეები, როცა აღიარება მიწევდა: „უფალი იესო ჩემი მშვიდობაა! უფალი იესო ჩემი სიხარულია!“ ამ დამთრგუნველი ნაღვლის შემოტევის დროს ხსენებულ სიტყვებს რამდენიმე წუთის განმავლობაში ვიმეორებდი, სანამ საკანში მიმოვდიოდი. ბოლოს ეს ჭეშმარიტებები ჩემს რეალობად იქცა.

* * *

2016 წლის 22 თებერვლის დილას ჩემს იზოლირებულ კამერაში ციხის დაცვა მოვიდა და ქვემოთ ჩამიყვანა. იქ აღმოვაჩინე, რომ უშიშროების გამომძიებელი მოულოდნელად მოსულიყო.

- წვერი უნდა გაიპარსო, - მითხრა მან ჩემი გრძელი წვერის დანახვისას.

- ამის გაკეთება აქ არც ისე ადვილია, - ავუხსენი მე. მან ჩემს ჩამომხმარ ფეხებს თვალი შეავლო და ციხის საწყობიდან ფეხსაცმელები გამომიტანა.

- საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვით, - მითხრა მან. ამაზე უარი ვუთხარი, რადგან ყველა ჩემი სამოსი ერთნაირი სტილის იყო,

ხოლო რაც ზედ მეცვა, სუფთა იყო, რადგან რეგულარულად ვრეცხავდი. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, რა მაცვია? ჩემი გარეგნობის მიმართ ასეთმა მოულოდნელმა ინტერესმა დამაფიქრა. *ნუთუ სუდანს ჩეხეთის მთავრობის წარმომადგენელი სტუმრობს? რატომ გახდა მნიშვნელოვანი ჩემი ჩაცმულობა?* შემდეგ უარვყავი სიმართლისთვის მეტისმეტად კარგი აზრი: *იქნებ ჩემს გათავისუფლებას აპირებენ?*

ციხის დაცვამ ხელებზე მძიმე, მტკივნეული ბორკილები გამიკეთა და ფურგონთან მიმიყვანა. ექვსი კარგად შეიარაღებული ოფიცერი ფურგონში ჩემ უკან ამოვიდა. ამგვარი პროცედურა ადრეც გამივლია, როცა ეროვნულ კლუბში ბ-ნ სლამას შევხვდი. ამჯერად რაღაც არაკომფორტულად შეიცვალა. ჩვენი მარშრუტის გაყოლებაზე ქუჩების დასახელება რომ არ დამენახა, ერთმა მცველმა თავზე სქელი შავი კაპიუშონი ჩამომაფარა. პანიკაში ჩავვარდი, როცა მივხვდი, რომ კაპიუშონი სწორად სუნთქვაში ხელს მიშლიდა.

როცა ფურგონმა სვლა შეანელა, გვერდით მჯდომმა მცველმა, როგორც იქნა, მომხსნა შავი თავსაფარი. შვებით ამოვისუნთქე, როცა ისე ეროვნული კლუბი დავინახე. სანამ ფურგონში ვიცდიდით, შავი მერსედესი შევნიშნე, რომელიც ჩვენს სადგომს უახლოვდებოდა. მანქანა გაჩერდა და იქიდან ოთხი მამაკაცი გადმოვიდა - ორი სუდანელი მცველი და ორი თეთრკანიანი, რომლებიც სუდანელებს არ ჰგავდნენ და შესაძლოა, ჩეხებიც ყოფილიყვნენ.

- მათ იცნობთ? - მკითხა ერთმა მცველმა.

- არა.

როგორც კი ოთხი მამაკაცი ეროვნულ პარკს მოუახლოვდა, შენობაში შემიყვანეს და ოთახზე მიმანიშნეს, სადაც მელოდებოდნენ. ისინი არ წარმომიდგნენ, უბრალოდ მითხრეს, რომ ჩეხეთის დაზვერვის სამსხურიდან იყვნენ. შემდეგ უცნაური კითხვები დამაყარეს.

- რომელიმე უცხო ქვეყნის დაზვერვასთან თანამშრომლობთ? - იკითხეს მათ.

- არა, არა, - ვთქვი მე.

- რომელიმე სამხედრო დაზვერვასთან კავშირში ხართ?

- კომუნიზმის დროს ერთი წელი სავალდებულო სამხედრო სამსახური გავიარე. ამის მეტი არაფერი.

მალე ჩვენი შეხვედრა დასასრულს მიაუახლოვდა და დამანგრეველი სიახლე გავიგე: სუდანის მთავრობა არ მიშვებდა. ამის ნაცვლად ჩემი საქმე სუდანის სასამართლოს გადაეცემოდა. იმედგაცრუებამ ამავსო. ეროვნული კლუბი დადარდიანებულმა და დათრგუნულმა დავტოვე და თანდათან გავაცნობიერე ჩემი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამო ატეხილი აჟიოტაჟის მნიშვნელობა. უშიშროების სამსახურის ოფიცერს სურდა მკაფიო შეტყობინება მიმეღო: მათთვის ერთადერთი სერიოზული პარტნიორი, ვისთანაც ითანამშრომლებდნენ, იყო დაზვერვა და არა დიპლომატები, საკონსულოს ოფისი ან თავად ელჩი.

* * *

შუა თებერვლის რაღაც მომენტში საერთაშორისო მედიამ ჩემი დაპატიმრების ამბავი შეიტყო. ჩემი ფოტო ინტერპოლის ვებგვერდზე გამოჩნდა, სადაც ხართუმში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ვირიცხებოდი.

ამის შემდეგ 2016 წლის 27 თებერვალს, შაბათ დღეს, როცა უშიშროების ციხის იზოლირებულ კამერაში დავდიოდი, ჩემი ცოლი პრაღის ფარგლებს გარეთ გაზგასამართ სადგურში შევიდა. ჩემს შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონდა. მისი მზერა კარების მახლობლად დადებულ გაზეთების დასტაზე შეჩერდა. ეს იყო ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველდღიური გაზეთის DNES კვირის ნომერი.

გული კინაღამ გაუჩერდა, როცა სათაური წაიკითხა: „სუდანში დაკავებულ ჩეხს სასიკვდილო განაჩენი ემუქრება.“ ვანდამ ცრემლები ვეღარ შეიკავა, სასწრაფოდ იყიდა გაზეთი და მანქანისკენ გაეშურა. სახლში მიეჩქარებოდა, რომ შვილებისთვის ეს საშინელი ახალი ამბავი ეცნობებინა.



15

იზოლირებულ კამერაში ჩემი გადაყვანიდან კვირანახევარში, დაახლოებით, იმ დროს, როცა ჩემი ფოტოსურათი ინტერპოლის ვებგვერდზე გამოჩნდა, ბ-ნმა სლამამ, ჩეხეთის საკონსულოს თანამშრომელმა ეგვიპტიდან ჩამოსვლა ისევ შეძლო ჩემთან შესახვედრად. აკანკალებული ხმით და ცრემლებით ვუამბე გადატანილი წამების შესახებ, თავდაპირველად „ისლამური სახელმწიფოს“ თანასაკნელების ხელიდან და შემდეგ ჩემს მაცივარ კამერაში.

- გთხოვთ, ამის შესახებ ჩემს ოჯახს არაფერი უთხრათ, - ვარწმუნებდი მას, - ისინი უფრო მეტად იღელვებენ.

როგორც ჩანს, ბ-ნი სლამა მიმიხვდა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. როცა შეხვედრის შემდეგ საკანში დავბრუნდი, ჰაერის ნაკადის წყნარი შიშინი გავიგონე და გამჭოლავმა სიცივემ ისევ აავსო კამერა. მყისვე მივხვდი, რომ ცივი ჰაერის დაბრუნება უშიშროების სამსახურის შურისძიების აქტი იყო: ისინი მსჯიდნენ, რომ ბატონ სლამას ჩემი წამების ამბავი გავაგებინე.

2016 წლის 10 მარტს მომდევნო ვიზიტი შედგა და მან ნანატრი სიურპრიზი მომიტანა - ორი წერილი ჩემი ოჯახიდან ჩეხეთის რესპუბლიკაში და საკვები დანამატი ანემიის მკურნალობაში დასახმარებლად. ადრენალინი მომიზღვავდა, როცა ვიგრძენი, რომ გული ისევ ძლიერად მიცემდა. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ოჯახს ბოლოს მივწერე. არასოდეს მდომებია ასე ძალიან მათი ამბის გაგება.

უშიშროების სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, წერილები ინგლისურ ენაზე უნდა დაეწერათ, ამიტომ ვავა

ოჯახის მდივნის როლს ასრულებდა. როცა 1 თებერვლით დათარიღებული წერილის კითხვა დავიწყე, თვალებზე ცრემლები მომადგა. „ვიმედოვნებთ, რომ ეს წერილი ჯანმრთელ მდგომარეობაში მოგისწრებს, - მწერდა ჩემი გოგონა, - და რომ შენზე კარგად ზრუნავენ. იცი, რომ ძალიან გვენატრები და მოთმინებით ველოდებით შენს მალე დაბრუნებას.“ ვავა ჯანმრთელად იყო და ჩემი ცოლიც გრიპის გადატანის შემდეგ სამუშაოს დაუბრუნდა. შიგნით ყველაფერი გამითბა, როცა წავიკითხე: „მას ძალიან ენატრები და შენზე ბევრს ფიქრობს.“

ჩემმა გოგონამ გამოსაშვები გამოცდა ჩააბარა შინაგანი სნეულებების საგანში. მომდევნო კვირას, თუ გინეკოლოგიასა და სამეანო საქმეშიც წარმატებით გაივლიდა გამოცდებს, შეეძლო საავადმყოფოს ვაკანსიაზე განცხადება შეეტანა. გამეღიმა, როცა გავიგე, რომ ჩემი ვაჟი, პეტრეც გულმოდგინედ მეცადინეობდა 3 თებერვლის დამამთავრებელი გამოცდისთვის. მისი ჩაბარების შემდეგ სადიპლომოზე შრომას დაიწყებდა. ჩემი შვილებით ვამაყობდი! ნეტა შემძლებოდა მათ გვერდით ყოფნა! შემდეგ ფურცელს დავხედე და ისეთი აბზაცი მომხვდა თვალში, რამაც გული დამიმძიმა. „ძალიან ვწუხვართ, ამის თქმა რომ გვიწევს, - მწერდა ჩემი ქალიშვილი, - მაგრამ მამაშენი იანვრის დასაწყისში გარდაიცვალა. მან შობა ოჯახში გაატარა, თუმცა დღესასწაულის შემდეგ მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ისევ საავადმყოფოში გადაიყვანეს და იქ რამდენიმე დღეში, ესე იგი, 4 იანვარს სული წყნარად დალია.“

მამაჩემის სიკვდილის ამბის გახსენებამ ჩემზე ცუდად იმოქმედა. ისევ ვიგრძენი გაღიზიანება, რომ უშიშროების გამომძიებელმა მამის გარდაცვალების ამბის რამდენიმე კვირით ადრე თქმით თავი არ შეიწუხა.

წერილის კითხვა გავაგრძელე და აღმოვაჩინე, რომ სახლის საქმეები კარგად მიდიოდა. ამ დროის განმავლობაში სიდედრი ჩემს ოჯახთან რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პატიმრობით გულგატეხილი იყო, მისი ჯანმრთელობა

თანდათან უმჯობესდებოდა. ჩანდა, რომ ჩემმა ძმამაც მიიღო მამის სიკვდილი, მაგრამ ვიცოდი, რომ მისთვის ადვილი არ იქნებოდა, რადგან ის იყო მამის მთავარი მომვლელი.

რამდენიმე წამით მზერა გამიშეშდა, მაგრამ შემდეგ ფურცელი გადავშალე. ჩემი ოჯახი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და ბ-ნ სლამასთან კავშირს არ წყვეტდა. წერილი სწრაფად დამთავრდა და ამან გული ამიჩქროლა. „ყველას გვენატრები! ნათესავები და მეგობრები შენზე ფიქრობენ. სიყვარულით, ვანდა, ვავა და პეტრე.“

პირველი წერილი დავდე და სასწრაფოდ მეორეს კითხვა დავიწყე, რომელიც 16 თებერვლით იყო დათარიღებული, ორი კვირის შემდეგ. „ძვირფასო პეტრე!“ - ასე იწყებოდა ის. ხელები მიკანკალებდა, როცა ფურცელი სახეზე მივიკარი. „ძალიან გვიხარია, რომ წინა წერილის დაწერა შევძელით და შენამდე მოვიდა. ვიმედოვნებთ, რომ ჯანმრთელად ხარ და არავითარი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური უუნარობა არ გაწუხებს. ძალიან გვენატრები და სულ შენზე ვფიქრობთ. დედა დამწუხრებულია, რომ სახლში არ ხარ. და მაინც, ყველას გვჯერა, რომ მალე შევიტყობთ ერთმანეთის ამბებს.“

ვანდა ვავას მეშვეობით მწერდა, რომ ბავშვებს ძალიან აკლდათ ბაბუა, ხოლო ჩემი ძმა ღრმა მწუხარებას მოეცვა. გავიგე, რომ ჩემს ოჯახს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ჩემს დებთან. არა მარტო ჩემი სიდედრის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, არამედ ჩემი ცოლიც სრულიად გამოკეთდა და ახლა თავის ბიძაშვილ იანასთან სტუმრობას აპირებდა. ჩემმა გოგონამ გინეკოლოგიისა და სამეანო საქმის გამოცდები ჩააბარა და უმაღლესი შეფასება „A“ მიიღო. რამდენიმე დღის დასვენების შემდეგ, რაც ოჯახზე ზრუნვას და სახლის საქმეებში დახმარებას მოანდომა, ბეჯითად მეცადინეობა დაიწყო პედიატრიაში ბოლო გამოცდის ჩასაბარებლად. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამასაც შეძლებდა. ჩემმა ვაჟმაც უპრობლემოდ ჩააბარა ბოლო გამოცდა და სემესტრი წარმატებით დაასრულა. გამიხარდა იმის გაგება, რომ ჩემი ოჯახი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და

კაიროს საელჩოსთან კავშირს არ წყვეტდა. წერილის ბოლო სტრიქონებით დიდხანს ვტკბებოდი: „ყველა, ვინც გიცნობს, შენზე ღელავს.“

ამ ვიზიტის დროს, როგორც იქნა ციხიდან პირველი წერილის გაგზავნის უფლება მომცეს. ამ მომენტზე დიდხანს ვოცნებობდი და წერილს გონებით ვწერდი, რომ კარგად მომეფიქრებინა, რა ინფორმაციას ჩავრთავდი მასში. არ მჯეროდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ამის დროც დადგა. რამდენი რამ მქონდა მათთვის სათქმელი - თვეების ნაფიქრი და ნალოცი, ემოციები და გამხნევება, ნუგეშისცემა და ახსნა-განმარტება. თუმცა ერთ მხარეს მჯდომი საკონსულოს თანამშრომლისა და მეორე მხარეს მყოფი გამომძიებლის თანდასწრებით მხოლოდ რამდენიმე წამი მომცეს წერილის დასაწერად და ისიც ინგლისურად. გონება გამალებით მუშაობდა და ფიქრობდა, თუ რა დამეწერა - ვიცოდი, რომ სიტყვები ფრთხილად უნდა შემერჩია. გაკრული დიდი ასოებით ვანდასთვის პატარა ტექსტი დავწერე:

ჩემო ძვირფასო,

ეს, უბრალოდ, მოკლე მისალმებაა სუდანიდან, რომ ჩემი კარგად ყოფნის ამბავი გაცნობო. მადლობას გიხდი შენი ორი წერილისთვის, რომელთა წაკითხვაც ჩეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლების თანდასწრებით შევძელი. კარგად ვარ და ყველა თქვენგანისთვის ვლოცულობ. ვიცი, რომ ყველაფერი უფლის ხელშია. თავს კარგად ვგრძნობ და მიხარია, რომ თქვენც კარგად ხართ. გულით ველოდები, რომ მალე სახლში დავბრუნდები.

ღმერთმა გაკურთხოთ!

პეტრე

გამომძიებელმა ნაწერს ფოტო გადაუღო თავისი ჩანაწერებისთვის და შემდეგ ბ-ნ სლამას გადასცა. საკონსულოს თანამშრომელმა ჩემი წერილი დაკეცა და თავის პორტფელში შეაცურა.

- ისევ გნახავთ 8 აპრილს, - მითხრა მან და წავიდა.

* * *

„მაცივარში ერთი-ორი დღის გატარებაც საკმარისია, რომ პატიმარი ჭკუიდან შეიშალოს. მცველების გასაოცრად, ჯერ კიდევ საღ გონებაზე ვიყავი იზოლირებულ კამერაში რამდენიმეკვირიანი ყოფნისა და ორი გრძელი და აუტანელი სიცივის შემოტევის შემდეგ. მოულოდნელად მაცივარში *ტაცრი მცველი* მოვიდა და მისმა დანახვამ ძალიან შემძრა. მან ლომის ბუნაგიდან გამომიყვანა, როცა წყლით წამებას მიპირებდნენ, ამიტომ თვალცრემლიანმა გადავუხადე მადლობა ჩემი სიცოცხლის დახსნისთვის. წყნარად ვუთხარი ელექტრონული ფოსტის მისამართი და ჩემს სახლში დარჩენაც შევთავაზე, თუ ოდესმე ევროპაში გამგზავრებას შეძლებდა. ამან მასზეც იმოქმედა და თვალები აუცრემლიანდა.

მომდევნო დღეებში ძალიან დავმეგობრდით. მორიგეობისას ჩემს იზოლირებულ საკანში ყოველთვის შემოდიოდა და დამატებით ულუფა ჩაის ან საღამოს საჭმელს მთავაზობდა. ჩემთვის ჩაით სავსე ჭიქა ემოციური მომენტი იყო, რადგან ჯერ კიდევ მახსოვდა ტერორისტების მოპყრობა, როცა ჭუჭყიანი ჭიქის ფსკერზე დასხმულ ერთი ინჩის (2,54 სმ) ტოლა ჩაის მისხამდნენ. უფალმა ბიბლიის მუხლი გამახსენა, მარკ. 9:41: „ვინც ჩემი სახელით ჭიქა წყალს მოგაწვდით, რაკი ქრისტესნი ხართ, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ - არ დაეკარგება მას თავისი საზღაური.“ როცა თბილ სითხეს ვსვამდი, უფალს მადლობა გადავუხადე ჩემს მიმართ გამოჩენილი სიკეთისთვის. იზოლირებულ საკანშიც კი მომცა *ტაცრ მცველთან* მეგობრობის საშუალება.

* * *

29 მარტს, ორნახევარი კვირის შემდეგ, რაც ცოლს წერილი მივწერე, ჩემს საკანში უშიშროების ერთ-ერთი მცველი შემოვიდა.

- თქვენ ყველაფერი გაასუფთავეთ, - მითხრა მან მეგობრული და მადლიერი ტონით. სინამდვილეში, საკანი და ტუალეტი დავასუფთავე, რომ იატაკზე ფეხშიშველს მევლო.

- პეტრე, აიღეთ თქვენი ნივთები და გამომყევით! - მითხრა მან. *მიშვებენ!*

ჭუჭყიანი საპატიმრო ტანსაცმელი პლასტიკატის პარკში ჩავდე. *გადასაფარებელიც წავიღო?* მიუხედავად იმისა, რომ უკვე აღარ დამჭირდებოდა, გადავწყვიტე თან წამეღო სამახსოვროდ. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ კეთილი თანასაკნელის საჩუქარი და აქ, ციხეში ღვთის ერთგულების ადრეული შეხსენება იყო!

როცა დერეფანში მივდიოდი, პასტორი ჰასანი და ჩემი თარჯიმანი მონიმი დავინახე, რომლებიც მეზობელი საკნის კარის ფანჯრიდან მაკვირდებოდნენ. პირველად მათი პატიმრობის შესახებ „ისლამური სახელმწიფოს“ თანასაკნელებისგან შევიტყვე. ისინი ჩემს „დაკითხვას“ აწარმოებდნენ, თუ რას ვსაქმიანობდი და რატომ ჩამოვედი სუდანში. მაშინ მითხრეს, რომ ჩემი „კოლეგებიც“ დაპატიმრებულები იყვნენ. მოგვიანებით გავიგე, კერძოდ, ვინ იყვნენ ისინი. ერთხელ ჩემი საკნის ფანჯრიდან დავინახე, რომ პასტორი ჰასანი დაკითხვაზე მიჰყავდათ და მაშინვე ვილოცე მისთვის.

ახლა, როცა ჰასანისა და მონიმის სახეებს კარის სარკმლიდან ვხედავდი, კითხვა გამიჩნდა, ოდესმე კიდევ ვნახავდი თუ არა მათ. ჩუმად ვილოცე ღვთის წინაშე, რომ მას გაემხნევებინა, განემტკიცებინა და დაეცვა ჩემი სუდანელი ძმები, რომელთა მალე გათავისუფლების იმედიც მქონდა.

მცველმა დაბლა ჩამიყვანა საწყობში და იქ ჩემი ჩემოდანი დამიბრუნა. გავხსენი და ჩემდა გასაოცრად, ყველა ის წამალი დავინახე, რომლებიც ჩემმა ოჯახმა გამომიგზავნა. მცველები აქამდე მიმალავდნენ, რომ იქ ანემიის წამალიც იყო, რაც

ასე ძალიან მჭირდებოდა. ჩემოდანში ტუალეტის ქაღალდი, დეოდორანტი და ოდეკოლონიც დავინახე, რომლებიც ბ-ნ სლამას ყოველი შეხვედრისას მოჰქონდა. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა ნივთები ვნახე და ჩემოდნის შიგთავსი მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო.

ოთხი თვე ისე გავატარე, რომ არც პირსახოცი, არც შამპუნი და არც სამართებლის პირი არ გამომიყენებია. ჩემი სხეულის სისუფთავეს მხოლოდ კარბოლის საპონი და რამდენიმე ბოთლი წყალი ინარჩუნებდა. როცა მცველი საწყობიდან გავიდა, ჭუჭყიანი შარვალი და მაისური გავიხადე, ჩემოდანში ჩავდე და სუფთა ტანსაცმელი ჩავიცვი, რომელიც აქამდე არ მინახავს და არც შემიგრძვნია მთელი ოთხი თვის განმავლობაში. დეოდორანტი და ოდეკოლონი გამოვიყენე. თან მეღიმებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ვანდას ისევ ვნახავდი.

- გამოგვყევი, - მითხრა მცველმა და ჩემოდნის გამოტანის უფლება მომცა. შვებით ამოვისუნთქე, როცა განთავისუფლებაზე დავფიქრდი. *როგორც იქნა!* ხელებზე ბორკილებიც არ დაუდია, ისე გამომიყვანა ქუჩაში მდგარ მიკროავტობუსთან, რომელსაც ჩემი აზრით, აეროპორტში უნდა წავეყვანე. 21:00 საათი იყო და ვიცოდი, რომ თურქეთის ავიახაზები ხართუმის რეისს ასრულებდა, დაახლოებით, 1:00 საათზე. რამდენიმე საათში ისევ თავისუფალი ადამიანი ვიქნები. *როგორც იქნა, სახლში მივდივარ!*

ფანაჯარაში გავიხედე და დავინახე, როგორ ფრინდებოდნენ და ეშვებოდნენ საჰაერო ლაინერები აეროპორტში. როცა ჩვენი მიკროავტობუსი აეროპორტის მარცხენა მოსახვევს მიუახლოვდა, მძღოლს სულ არ ეტყობოდა, რომ გაჩერებას აპირებდა. დაბნეული მზერით შევხედე, მაგრამ გზას დაჟინებით გასცქეროდა. რა ხდება? თვალები დავახამხამე უკან, აეროპორტის მიმართულებით, როცა გვერდზე შეუნელებლად ჩავიარეთ. ვაკვირდებოდი, როგორც დარჩა შორს სასურველი ადგილი და თავი სრულიად დათრგუნულად ვიგრძენი. მუცელში ჩარტყმა ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა, ვიდრე ეს

საშინელი იმედგაცრუება. სახლში დაბრუნების ყოველგვარი იმედი ერთ წამში შემცირდა და ბოლოს საერთოდ გაქრა ჩემს წინ გაჭიმული გზის ფონზე.

რამდენიმე წუთში „ნიაბა მენდოლას“ შენობასთან მივედით. ეს ხართუმის პოლიციის ადგილობრივი განყოფილება გახლდათ. შენობა სავალალო მდგომარეობაში იყო - იმდენად შემაძრწუნებლად გამოიყურებოდა, რომ უშიშროების ციხე მასთან შედარებით სასახლედ მოგეჩვენებოდათ.

მცველებმა ხმაურიან ოფისში შემიყვანეს, სადაც პოლიციელებისა და უშიშროების ოფიცრების ნაკადი არ წყდებოდა. მომცრო ოთახში ჩემი ლეპტოპის პატარა ჩანთა დავინახე, რომელიც მაგიდაზე იდო. შიგნით იმედის ნაპერწკალმა გამიელვა. ამ შენობაში მომიყვანეს, რომ ყველა ნივთი დამიბრუნონ! ერთი კაცი მაგიდას მიუახლოვდა და ლეპტოპის ჩანთას დაწვდა.

- ეს თქვენი კომპიუტერია? - მკითხა მან და გააწყო.

- დიახ, - მოუთმენლად ვთქვი.

კაცმა რაღაც დაწერა ფურცელზე და შემდეგ ჩემი კამერა და სხვა ელექტრომოწყობილობები წამოკრიფა. ერთიმეორეს მიყოლებით ყოველი ნივთის ჩვენებისას იგივე კითხვას მისვამდა და თან სიაში ამოწმებდა. *ეს, ალბათ, გასვლის დოკუმენტაციის პროცესის ნაწილია.*

თუმცა მისმა მომდევნო ნაბიჯმა ჩემი სულისკვეთება ისევ ჩააქრო. იმის ნაცვლად, რომ ნივთები უკან, ჩანთაში ჩაელაგებინა, ისინი ოთახში მყოფ სხვა პოლიციელებს გადასცა.

- თქვენ საშუალება გეძლევათ, შეადაროთ, რომელი ციხე სჯობს, - თქვა მან და გამეღრიჭა.

იმ დროისთვის უკვე ვიცოდი, რომ მცველები აეროპორტში ჩემს წაყვანას არ აპირებდნენ. მათ საგამოძიებო კაბინეტში მომათავსეს. რამდენიმე წუთში ერთი კაცი შემოვიდა და გამოაცხადა:

-ახლა ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოხვალთ და თქვენს საქმეს გულმოდგინედ მოვამზადებთ, სანამ სასამართლოს გადასცემენ.

ოთახში დაცვის გენერალი შემოვიდა. მისი უჯრულა ქურთუკი ვიცანი და გამახსენდა, როგორ დამკითხა ხართუმის აეროპორტში. სუფთა ტანსაცმელში რომ დამინახა, სიცილი დაიწყო. ჩემს დაბნეულ სახეს რომ შეხედა, უფრო ხმამაღლა იცინა. უილაჯოდ ვაკვირდებოდი, როგორ ტკბებოდა ამ მომენტით. რაიმეს გაკეთების ღონე არ მქონდა. მხოლოდ ლოდინი შემეძლო. მცველების თამაში, თითქოს ჩემს გამოშვებას აპირებდნენ, წარმატებით დასრულდა.



16

უხალისოდ გავიძრე სუფთა ტანსაცმელი. დარწმუნებული არ ვიყავი, კიდევ როდის მეღირსებოდა მისი ჩაცმა და ისევ ჭუჭყიანი საპატიმრო სამოსელი გადავიცვი, რომელიც ჩემოდანში ჩავკეცე. ჩემი გადასაფარებელი, რამდენიმე დამატებითი ტანსაცმელი, შამპუნი, ტუალეტის ქაღალდი და საფულე ამოვათრიე, რომელშიც ჩემდა გასაკვირად სუდანური ფუნტები ინახებოდა. პოლიციელებმა წამლების წაღების ნება მომცეს - რკინის დანამატი და რამდენიმე ანტიბიოტიკი - შემდეგ კი პოლიციის მიმღებში შეამოწმეს. მცველებს პრიმიტიულ საკანში გავყევი.

ოთახი სიგანით თხუთმეტი და სიგრძით თვრამეტი ფუტი გახლდათ. თუთხმეტი კაცი იატაკზე იჯდა, რომელიც წითელი ფერის ჭუჭყიანი ხალიჩის ბილიკით იყო მოგებული. სამი მათგანი ეწეოდა და ნესტიან ჰაერში კვამლი ტრიალებდა. ჩემთვის სასიარულო ადგილი არ იყო, ამიტომ გადასაფარებელი იატაკზე გავშალე და ფეხმორთხმით დავჯექი. ვიცოდი, რომ ამ მდგომარეობაში ადვილად შეიძლებოდა დატრომბვა და თუ ასე მოხდებოდა, ალბათ, მოვკვდებოდი.

ღამის განმავლობაში კიდევ შემოიყვანეს პატიმრები, სანამ სამასკვადრატულ ფუტზე (დაახლოებით, 27 კვ. მ.) ნაკლები ფართის ოთახში ოცზე მეტი ადამიანი არ მოგროვდა. ვენტილატორი ერთადერთი ფანჯრის გამო ცხელ ჰაერს ატრიალებდა და ოთახის კარიც ჩაკეტილი იყო. როცა ჩემი თანასაკნელების გახურებული კანი მომეწება, კლაუსტროფობია და ჭუჭყი ვიგრძენი. მეორე დილით საკნიდან გამომიყვანეს და პოლიციის განყოფილების გავლით „მთავარი პროკურორის“ კაბინეტში შემიყვანეს. მან

გამიღიმა და როცა მისი კონდიციონერიანი ოთახის ტყავის დივანზე ვიჯექი, ასისტენტს ჩემთვის ქათმის სენდვიჩისა და კოკა-კოლის მოტანა დაავალა. მან ასევე მომცა ფრჩხილების საკვნეტის გამოყენების უფლება, რადგან ჩემი ფრჩხილები ამას დიდი ხანია საჭიროებდნენ. როცა მისი დატოვება მიბრძანა, გავაპროტესტე და დაბრუნება არ მინდოდა.

- ეს მართლაც ასეა, - მითხრა მან, - რადგან შემდეგზე როცა დაგჭირდება, აქ უკვე აღარ იქნები.

მალე გავიგე, რომ პოლიციის ეს კონკრეტული განყოფილება მხოლოდ უშიშროების ციხის საქმეებს იღებდა; როგორც ჩანდა, სუდანის უსაფრთხოების განყოფილების გაგრძელება იყო, მაგრამ ფორმალურად მის იურისდიქციაში არ შედიოდა.

- დარწმუნებული ვარ, რომ აქ მოკლე დროით იქნებით, მითხრა პროკურორმა, - მალე ყველაფერი დიპლომატიური გზით გადაიჭრება და თქვენ გაგიშვებენ.

„ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ეს ციხე არც ისე ცუდი იყოს“, - დავუჯერე პროკურორის სიტყვებს.

მას ავუხსენი, რომ ანემია მაწუხებდა და საავადმყოფოში შემოწმება მინდოდა. მეორე დილით მან განკარგულება გასცა და გადამიყვანეს.

ეს დაწესებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იმართებოდა და ჩანდა, მასში უკეთესი მოწყობილობა იყო ვიდრე უშიშროების საავადმყოფოში და ალბათ, ცოტა უფრო სუფთაც იქნებოდა. სასწორზე შევდექი და ელდა მეცა, როცა დავინახე, რომ დეკემბრის შემდეგ ორმოცდათხუთმეტი ფუნტი (თითქმის 25 კგ) დამიკლია.

ექიმმა სისხლის მეტი ანალიზი გამიკეთა და აღმოაჩინა, რომ ჰემოგლობინის დონე წინანდელზე დაბლა იყო - ნორმაზე ორჯერ ნაკლები მქონდა. ვეჭვობდი, რომ შინაგანი სისხლდენა უნდა მქონოდა. ცემამ და ასპირინის საფუძველზე შექმნილი თავის ტკივილის წამლის ყოველდღიურმა მიღებამ ეს სავარაუდო გახადა. სახლში რომ ვყოფილიყავი ჩეხეთის რესპუბლიკაში, ექიმები სისხლის გადასხმას დამინიშნავდნენ.

თუმცა აქ, სუდანში, ექიმი პოლიციას მოელაპარაკა, რომ რკინის საკვები დანამატის მიღების უფლება მოეცათ, რომლის ყიდვაც მე მეკისრებოდა. ამის შემდეგ საკანში დამაბრუნეს.

* * *

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში დახუთულ კამერაში კიდევ მეტი ადამიანი შემოიყვანეს. ახლა უკვე ოცდაოთხამდე ვიქნებოდით. ერთ დილას განსაკუთრებით დათრგუნულმა გავიღვიძე და ვილოცე: „უფალო, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, სანამ გამათავისუფლებენ?“ ლოცვისას ერთმა ერიტრეელმა შემნიშნა და წარმომიდგა. მან მითხრა, რომ მისი და ერიტრეის ეკლესიაში დადიოდა ხართუმში, თუმცა ვგრძნობდი, რომ თავად ის არ იყო იესო ქრისტეს ზეციდან შობილი მიმდევარი. ჩემი ეჭვები დადასტურდა, როცა გამიმხილა, რომ სუდანის გავლით ადამიანების ვაჭრობისთვის დააკავეს.

როცა ქრისტეზე ველაპარაკე მას და სხვებს, რომლებიც დროებით ჩვენს გადავსებულ კამერაში იმყოფებოდნენ, მივხვდი, რატომ მომათავსა ღმერთმა ამ ციხეში. ეს იყო ადამიანებისთვის ქრისტეს სიყვარულის გაზიარების საშუალება, რომელთაც სხვაგვარად ვერცერთ ვითარებაში ვერ შევხვდებოდი.

ერთ დილას ციხეში თორმეტი ახალგაზრდა ერიტრეელისა, ორი ქლისა და ორი ბავშვისგან შემდგარი ჯგუფი მოიყვანეს. ისინი ლიბია-სუდანის საზღვარზე დაიჭირეს. ქალები და ბავშვები მოპირდაპირე მომცრო კამერაში მოათავსეს. თორმეტი მამაკაცი ჩვენს საკანში შემოიყვანეს, სადაც ახლა უკვე ორმოცდაორი ვიყავით და იქ ყოფნის პირობები დღითიდღე უარესდებოდა. სხვა კაცების ასეთ სიახლოვეში ძილი შეუძლებელი ხდებოდა. აუტანლად ცივი ღამეების განმავლობაში, საკანი კაცებს შორის ჭიდაობის მატჩს ემსგავსებოდა, რომლებიც გადასაფარებლის მისატაცებლად ერთმანეთს მუჯლუგუნებს ურტყამდნენ და სცემდნენ.

ერიტრეელების ასაკი თოთხმეტიდან ოცდაოთხ წლამდე იყო. ისინი დღის განმავლობაში ოთახის ერთ კუთხეში იყრიდნენ თავს

და თამბაქოს ეწეოდნენ ან ღეჭავდნენ. მუსულმანები თავს შორს იჭერდნენ და სხვა მხარეს ირჩევდნენ. ერთხელ კუთხეში ვიჯექი და ვლოცულობდი, როცა ვიგრძენი, რომ ღმერთი მელაპარაკებოდა. მისი ხმა არ ისმოდა, მაგრამ სულიწმიდა ჩემს გულს მიმართავდა და ამბობდა: „წადი, ამ ადამიანებთან დაჯექი და იესოზე უამბე.“

გადავწყვიტე, დავმორჩილებოდი და ოთახი გადავჭერი. როგორც კი დავჯექი, ორმა ინგლისურად მოლაპარაკე ერიტრეელმა კითხვების დასმა დამიწყო, თუ საიდან ვიყავი და ციხეში რას ვაკეთებდი. მუსულმანების შიში არ მქონია, ისე დავიწყე მათთან იესო ქრისტეზე ლაპარაკი. ჩემი დამოწმება გავუზიარე, აღვუწერე ჩემი გზა რწმენისკენ და შემდეგ პირად მხსნელად იესოს მიღება შევთავაზე. ეს კაცები, როგორც აღმოვაჩინე, მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდნენ, მაგრამ კედელზე ხატების გარეშე, რომელსაც ემთხევოდნენ და ეამბორებოდნენ, მათი რელიგიის რაიმე ნიშან-წყალი არსად ჩანდა.

ჩვენი საუბრები უფრო ღრმავდებოდა და ღმერთი ჩემს გულს ყოვლისმომცველ სიმშვიდეს უგზავნიდა. „ახლა ვიცი, რა გინდა, რომ აქ გავაკეთო“, - ვლოცულობდი მე. ღმერთმა ისეთი შედეგები მოიტანა, როგორსაც ვერ წარმოვიდგენდი. ერიტრეელი კაცები, რომლებიც ინგლისურად ლაპარაკობდნენ, დანარჩენებს უთარგმნიდნენ და დღე-ღამის განმავლობაში, როცა ჩვენს საუბარს სულ უფრო მეტი პატიმარი შემოუერთდა, *თორმეტივე მამაკაცმა პირად მხსნელად მიიღო ქრისტე.*

მეორე დილას ეს ახალგაზრდა ერიტრეელები საკნიდან გაიყვანეს და სხვა ციხეში გადაიყვანეს. ამის შემდეგ ისინი აღარ მინახავს. გული სავსე მქონდა იმის გააზრებით, რომ ღმერთმა მათ ცხოვრებაში დიდი საქმე გააკეთა და მეც მასში მონაწილეობის საშუალება მომცა. ამაში მდგომარეობდა ჩემი პატიმრობის მიზანი და ბოლოს ამას მივხვდი. ეს იყო ჩემი ლოცვის პასუხი. იმ მომენტში ჩემი აზროვნება შეიცვალა. უკვე აღარ მაღელვებდა საკუთარი კეთილდღეობა და უსაფრთხოება. ღმერთმა იქ გარკვეული მიზეზით მომათავსა, რომ ვყოფილიყავი სინათლე და სახარება გამევრცელებინა. იქიდან მოყოლებული,

გადავწყვიტე, არ მენერვიულა იმაზე, თუ რა დამემართებოდა. ჩემი მომავალი ღვთის ხელში იყო და იმ და ყოველ მომდევნო დღეს ჩემი მისია ქრისტეს სინათლედ ყოფნა გახლდათ იმის მიუხედავად, რამდენად ბნელოდა საკანში. ყველასთან დავიწყე სახარების გაზიარება, ვისაც ღმერთი ჩემ გზაზე გზავნიდა. მუსულმანებთან სიფრთხილის გამოჩენა მომიხდა. ზოგიერთი მათგანი უშიშროების მოგზავნილი ან საიდუმლო პოლიციის ინფორმატორი იყო, რომელიც სუდანის უშიშროების სამსახურს ცნობებს გადასცემდა და ჩემი საქმის გამოძიებაში დახმარებას გაუწევდა.

- ოჰ, შე ამერიკელო, - ამბობდნენ ისინი, როცა ჩემი ინგლისური ესმოდათ.

ვიცოდი, რომ ჩემზე ინფორმაციის შეგროვებას და მახეში გაბმას შეეცდებოდნენ, ამიტომ ჩვეულებრივ ასე ვპასუხობდი:

- ამერიკელი არ ვარ, ჩეხი ვარ.

ჯაშუშები მრავლად იყვნენ, მაგრამ ვისწავლე მათი ამოცნობა მრავალრიცხოვანი და საეჭვო კითხვების დასმის მიდრეკილებით და როგორც წესი, ჩემი მიხვედრა დასტურდებოდა, როცა ისინი ჩვენი გადავსებული საკნიდან რამდენიმე დღეში გადაჰყავდათ.

როცა მამაკაცების რიცხვმა ორმოცს მიაღწია, მადლიერი დავრჩი იმის გამო, რომ ჭერი მაღალი იყო. ასე რომ არა, ალბათ, ცოცხალი ვერავინ გადავრჩებოდით. ადგილის ნაკლებობა მწვავე პრობლემად იქცა, განსაკუთრებით, დღის განმავლობაში, როცა ტემპერატურა მაქსიმუმს აღწევდა. ვიცოდი, რომ დაახლოებით 100 გრადუსი (დაახლოებით, 37 გრადუსი) უნდა ყოფილიყო. ოთახის გარეთ დამონტაჟებული ვენტილატორი ჰაერს სრული ჩახუთულობისგან იცავდა, მაგრამ პერიოდულად მუშაობდა და სიგრილეში ვერ გვამყოფებდა. როცა შემეძლო, ოფლიან სხეულებს შორის გავდიოდი ფანჯრიდან სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად. ასევე აღმოვაჩინე, რომ დაკეტილ კარამდე თუ მივიდოდი, პატარა ნიავსაც ვიგრძნობდი. იატაკზე წოლის ფუფუნება აღარ მქონდა და ახლა ფეხმორთხმით ჯდომასა და დგომას შორის მიწევდა არჩევანის გაკეთება. დგომა ნაკლებად

მტკივნეული იყო, ამიტომ დღის უმეტეს ნაწილს ფეხზე ვატარებდი სხვა, ჩემსავით საბრალო პატიმრების მხარდამხარ.

შიმშილი არ გვასვენებდა და ვგრძნობდი, გამუდმებით როგორც ღრღნიდა ჩემს კუჭს. დღეში ორჯერ მოხარშულ მარცვლეულს გვაჭმევდნენ. უშიშროების ციხის *ფულისგან* განსხვავებით ამ მარცვლეულს გემო საერთოდ არ ჰქონდა. მათ დიდი თასით გვაწვდიდნენ, რომელსაც პლასტიკატის პარკით მრგვალი, ობიანი სუდანური პური ახლდა. პური მარცვლების შესაგროვებლად გვჭირდებოდა, რომელიც გასაზიარებლად არასოდეს გვყოფნიდა. სუდანელები სხეულის ქვედა ნაწილების დასაბანად მარცხენა ხელს იყენებენ, ამიტომ მარჯვენათი ჭამენ. ფრთხილად ვიყავი, რომ მხოლოდ მარჯვენა ხელი გამომეყენებინა საერთი ჯამიდან საჭმელად. არ მინდოდა, ვინმე გამებრაზებინა ან თანასაკნელებს ეფიქრათ, თითქოს საჭმელს ვაბინძურებდი.

ზოგჯერ პირველი საკვები დილის 11:00 საათზე მოჰქონდათ, სხვა დროს კი - რამდენიმე საათის შემდეგ. მარცვლეულისა და პურის მეორე ულუფა სიბნელის დადგომისთანავე მოდიოდა. რკინის დანამატების მისაღებად ცოტაოდენი საკვები მჭირდებოდა და თუ შესაძლებელი იყო, დილის კვებისთვის პურის ლუკმის გადანახვას ვცდილობდი, თუ შემთხვევით საკვების მოტანას დააგვიანებდნენ.

გამახსენდა, რასაშინელი იყო საჭმელი, რომელსაც ექსტრემისტ თანასაკნელებთან ერთად ვიზიარებდი უშიშროების ციხეში, მაგრამ ახლა იმასაც კი ვნატრობდი. ჭუჭყიანი და დამყაყებული წითელი ხალიჩის ბილიკი მთელ ჩვენს კამერას გასდევდა. გარეთ ორი ტუალეტი იყო. მცველები დღეში ორჯერ აღებდნენ კარს და ტუალეტებით სარგებლობის უფლებას გვაძლევდნენ. ორ მცველს განსაკუთრებით ვეცოდებოდი იმის გამო, რომ ცუდად მეპყრობოდნენ და პირველს მაძლევდნენ შესვლის უფლებას. დანარჩენები კი სპეციალურად მაცდევინებდნენ, სანამ სხვა პატიმრები თავიანთ საჭიროებას არ დაიკმაყოფილებდნენ. როგორც ჩანს, პოლიციის განყოფილებისთვის ჩვეულებრივი

ამბავი იყო წყალგაყვანილობის უქონლობა, ამიტომ იძულებული ვიყავი ჩემი წილიც დამემატებინა ექსკრემენტების უზარმაზარი გროვისთვის, რომელიც ტუალტიდან გადმოდიოდა. იქ საპნის პატარა ნაჭერიც იდო, მაგრამ ხელის სწრაფად დაბანას თუ შევეცდებოდი, მისრიალდებოდა და ჭუჭყიან იატაკზე ეცემოდა.

ჩემი იქ ყოფნის პირველი სამი დღის განმავლობაში პროკურორები მეუბნებოდნენ: „თუ აქაური პირობები არ მოგწონთ, წერილობითი საჩივარი დაწერეთ და შევეცდებით უკან გადაგიყვანოთ უშიშროების ციხეში.“

უშიშროების ციხეში დაბრუნების აზრი მომხიბვლელი მეჩვენა და ახალ თანასაკნელებს ვკითხე, ღირდა თუ არა ოფიციალური საჩივრის დაწერა.

- რაც არ უნდა იყოს, უკან ნუ დაბრუნდებით! - გამაფრთხილეს მათ, - აქ ყოფნას მიეჩვევით.

პოლიციის განყოფილებაში სულ ერთი კვირის გადმოსული ვიყავი, როცა ჩემთან შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელი მოვიდა. მან პროკურორებთან ხანგრძლივი საუბარი გამართა და მითხრა, რომ ბ-ნი სლამა ვერ შემხვდებოდა 8 აპრილს, როგორც დაგეგმილი იყო. ახლა ჩემს საქმეს შვეიცარიელები აკონტროლებდნენ.

* * *

ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებაში რომ მივედი, ვიცოდი, რომ სუდანის პროკურატურის გამოძიება გაიწელებოდა, მაგრამ თითქმის ერთი თვე ველოდე.

- შესაძლოა, ხვალ ისევ მოვიდეთ, - არაერთხელ იმეორებდნენ ოფიცრები.

შფოთვა ყოველდღიურად მემატებოდა. ამან იმ დონეზე მიმიყვანა, რომ გადავსებული საკნის საშინელ სუნთან ბრძოლისას ჩემს თავს კითხვას ვუსვამდი, ოდესმე მეღირსებოდა თუ არა აქედან გასვლა. ჩემი „დანაშაულებების“ განხილვა, როგორც იქნა, 20 აპრილს განახლდა. გამოძიების ოთახში

შევედი და პროკურორის მაგიდას მივუჯექი იმ კითხვების დასმის მოლოდინში, რომელთა პასუხზეც დეკემბერში ვთქვი უარი. მაგიდაზე სქელ საქაღალდეს გადავხედე, რომელიც ჩემ წინ გახსნილი იდო და იქ სახელების ანბანური ჩამონათვალი შევნიშნე. ჩემი მზერა სიას ჩაჰყვა და რამდენიმე წამში გამახსენდა, რომ ეს ადამიანები ადის-აბებას ქრისტიანული კონფერენციის მონაწილეები იყვნენ. მეყსეულად გავიაზრე, რომ მთავრობის მიერ გაგზავნილი „თხუნელების“ გარდა, თავად კონფერენციის მონაწილეც ინფორმატორი ყოფილა. *სხვაგვარად როგორ მოიპოვებდა სუდანის მთავრობა სახელების სიას?* პროკურორმა მონაწილეებზე გამოკითხვა დამიწყო.

- ჯონ მარტინს იცნობთ? - იკითხა მან.

ჩემი პასუხები უბრალო იყო. ვიცოდი, რომ ნებისმიერი მიწოდებული ინფორმაცია პასუხისმგებლობას მაკისრებდა როგორც მე, ისე სიაში ნახსენებ ქრისტიანებს.

- შესაძლოა, ვიცნობ კიდეც, - ვუთხარი მე, - არ მახსოვს. ამერიკელია?

ყველაფერი გავაკეთე, რომ თანამშრომლობის სურვილი გამომეხატა, მაგრამ არანაირი რეალური ინფორმაცია არ გამემჟღავნებინა. გარდა ამისა, პროკურორმა პასუხი უკვე იცოდა.

- იყო თუ არა იქ კორეელი ქრისტიანი?

- რამდენადაც გახსენება შემიძლია, - ვუთხარი მე, - ერთი აზიელი კი იყო. არ ვიცი.

ასე გრძელდებოდა კითხვები ერთიმეორეს მიყოლებით.

ხვდებოდა რა გამოკითხვის უნაყოფობას, პროკურორმა ბოლოს საქაღალდე დახურა და წამოდგა. როგორც კი გავიდა, საკნამდე მიმაცილეს.



17

ჩეხეთის საკონსულოს თანამშრომელთან პირველი ვიზიტის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი საქმის გადაწყვეტას სამი თვე დასჭირდებოდა. ამის მიუხედავად, აპრილის შუა რიცხვებისთვის სუდანში პატიმრობამ ოთხთვენახევარი გასტანა.

ბოლოს და ბოლოს, როცა სასამართლოზე გამომიძახეს, პირველად მოვისმინე ჩემი დანაშაული. ჩემ წინააღმდეგ რამდენიმე სხვადასხვა საფეხურის ბრალდება წამოაყენეს, მაგრამ მათგან ორი გამოირჩეოდა, რომლებსაც სასიკვდილო განაჩენი მოყვებოდა. ვიცოდი, რომ ნაკლებ სავარაუდო იყო უცხოელის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ამის გაგონებაზე წარბები შევჭმუხნე. ოჯახზე ვფიქრობდი. როგორ მიიღებენ ამ ცნობას ჩემი სასჯელის თაობაზე? წარმოვიდგინე ჩემი ცოლის ცრემლები და შვილებისა და ეკლესიის წევრების მწუხარება.

არანაკლები გავლენა მოახდინა სამუდამო პატიმრობის მუქარამ, რაც სრულიად რეალური იყო ჩემს ვითარებაში. ადვოკატმა შემომხედა და თვალებში უბედურება და შიში დაინახა. შევეცადე წარმომედგინა, როგორია დარჩენილი ცხოვრების სუდანის ციხეში გატარება და ცოლის, ქალიშვილის, ვაჟისა და ოჯახის სხვა წევრების ოდესმე ნახვის იმედის დაკარგვა. ციხეში კიდევ ოცი წლის გატარებაც კი შეუძლებელი იქნებოდა. საუკეთესო შედეგი, რისი მოლოდინიც უნდა მქონოდა, გახლდათ პირობითი სასჯელი და არაფერი ამაზე მეტი. ჩანდა, მსგავსი შემთხვევებისას ეს იყო ყველაზე ხშირი გამოსავალი ამ ქვეყანაში და თუ ასე მოხდებოდა, თავისუფალი ადამიანი ვიქნებოდი.

იმ დროს პეტრე მოციქულზე ვფიქრობდი და არა მარტო იმის გამო, რომ მის სახელს ვიზიარებდი. როცა უფალი აღდგომის შემდეგ მოწაფეებს შეხვდა, პეტრეს სამჯერ ჰკითხა: „გიყვარვარ?“ იმ დროს სწორედ ამაზე ვფიქრობდი, რაც იესომ პეტრეს პასუხის შემდეგ თქვა: „სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი ხოლმე სარტყელს და მიდიოდი, სადაც გსურდა; მაგრამ როცა მოხუცდები, გაშლი ხელებს, სხვა შემოგარტყამს სარტყელს და იქ წაგიყვანს, სადაც არ გსურს” (იოან. 21:18). ციხე ის ადგილი იყო, სადაც წასვლა არ მინდოდა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვიყავი: იქ ღმერთმა მომათავსა და ამისთვის მიზეზები ჰქონდა შედეგისგან დამოუკიდებლად.

* * *

როცა სასამართლოდან დავბრუნდი, დავინახე, რომ მცველებმა გადავსებული საკნიდან მომცრო, იზოლირებულ, ექვსნახევარი ფუტის (2 მ) სიგანისა და ცამეტი ფუტი (4 მ) სიგრძის კამერაში გადამიყვანეს. უშიშროების ციხის მაცივარში იზოლირებული პატიმრობის პირველი გამოცდილებიდან განსხვავებით, ეს ოთახი ძალიან ცხელი აღმოჩნდა. ჭერის სიმაღლე გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე დიდ ოთახში, საიდანაც გადმოვედი - იმდენად დაბალი, რომ ხელით შეხებაც შემეძლო. დიდი, ნაცრისფერი კედლის ფილები ოთახის იზოლაციას ახდენდა და ამ პატარა სივრცეში დღის ხვატისგან დამდგარ სულისშემხუთველ სიცხეს კარგად იჭერდა.

გარდა ამისა, პირველი იზოლირებული საკნისგან განსხვავებით, კამერას გამოყოფილი არც ეთქმოდა. დერეფნის იქით დიდი ოთახი იყო, რომელიც სავსე გახლდათ უამრავი პატიმრით და ხმა რომ ამეწია, ვფიქრობ, იქ მყოფებსაც დაველაპარაკებოდი. ზოგიერთმა მათგანმა ჰასანი და ღირსი ღვთისმსახური კუვა შამალი გამახსენა, რომლებიც ადის-აბებას კონფერენციას ესწრებოდნენ და კიდევ ერთხელ ვილოცე ჩემს სუდანელ ძმებზე.

პატარა საკანში ისე ცხელოდა, რომ კანიდან ოფლი მეყსეულად ორთქლდებოდა და შუბლსა და სხეულზე მარილის კრისტალები მრჩებოდა. გარედან მტვერი შემოდიოდა და დილით ხშირად მიწევდა კუთხეში მდებარე ცოცხით სხეულიდან მტვრის ჩამოგვა.

ღამით გადასაფარებელზე დაძინებას ვცდილობდი, მაგრამ ყოველ დილით მაინც წითელ ხალიჩაზე სახით მიკრობილს მეღვიძებოდა, რომელიც სავსე იყო ყოველგვარი შესაძლო ჭუჭყით, შარდით და ექსკრემენტებით და ეს ყველაფერი მთელ იატაკს ფარავდა. ამ საშინელ პირობებში როგორღაც ვახერხებდი და ღრმა, მშვიდი ძილი მეუფლებოდა. სრულიად აუხსნელი გზით, უშიშროების ციხეში, ასევე ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებაში მშვიდად ძილის უნარი მქონდა.

ზოგ შემთხვევაში ვიცოდი, რომ ნანახი სიზმრები ჩემი გადაღლილი გონებისა და გამოფიტული წარმოსახვის შედეგი იყო. ზოგჯერ კი მეჩვენებოდა, რომ ღმერთი ჩემთან უშუალოდ ურთიერთობდა. ერთ სიზმარში ვნახე, რომ პასპორტი დამიბრუნეს. გაცვეთილი იყო და თითქმის დაიშალა. *ეს რას ნიშნავს? ღმერთო, ამით შეუბნები, რომ ჩემი პატიმრობა იმაზე დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე ველოდები?*

* * *

აპრილის ბოლოს ბ-ნი სლამა კვლავ მესტუმრა პოლიციის განყოფილებაში. მან მითხრა, რომ რამდენიმე თვეში სხვა დანიშნულებას ელოდებოდა ჩეხეთის მთავრობიდან და კაიროში აღარ იქნებოდა. მისმა კეთილგანწყობამ და ნუგეშისცემის მიზნით ჩემს ოჯახთან ურთიერთობამ მადლიერების გრძნობა აღმიძრა. ვილოცე, რომ მომდევნო ადვოკატიც ისეთივე გამამხნევებელი ყოფილიყო, როგორიც ბ-ნი სლამა იყო ჩემთვის.

ამ ვიზიტის დროს ბ-მა სლამამ კიდევ ერთი სიურპრიზი მომიმზადა - მესამე წერილი ოჯახისგან და ჩეხური ბიბლია!

თვალებს არ ვუჯერებდი. მან ამიხსნა, რომ ეს საჩუქარი საკონსულოს მომავალი მოხელისგან გადმომეცა ჩემი ოჯახის თხოვნით იქ, სახლში, ჩეხეთის რესპუბლიკაში.

როგორც იქნა, მეღირსა ღვთის ძვირფასი სიტყვის ხელში დაჭერა და მისი საოცარი აღთქმების გათავისება. დეკემბერში ჩემი დაპატიმრების შემდეგ ყველაზე ბედნიერი ვიყავი და ამ ერთადერთმა ჟესტმა ბ-ნ სლამასთან ჩემი მეგობრობა კიდევ უფრო გააღრმავა.

ასევე, პირველად მომცეს ოჯახიდან მიღებული წერილის შენახვის უფლება. ბ-ნ სლამასთან ბოლო შეხვედრის შემდეგ ის ჩემს ბიბლიაში ჩავდე, საკანში დავბრუნდი და იატაკზე დავჯექი წასაკითხად. სათვალის გარეშე დიდი პროგრესის იმედი არ უნდა მქონოდა, თვალებიც რომ მომეჭუტა. ბიბლიის შრიფტი მეტისმეტად პატარა იყო. ორი დღის შემდეგ სათვალისა და საწერკალმის ხელში ჩაგდება შევძელი ჩემი შენახული ნივთებიდან და საკანში ჩუმად შემოვაპარე. როცა მხედველობა გამომისწორდა, ბიბლიის კითხვისას მოსული აზრები წიგნის მინდორზე ჩავიწერე. მალე მთელი წერილი ბიბლიის ჯვარედინი გაგზავნებით, ლოცვებით და გამოცხადებებით აივსო, რომელთაც უფალი მაძლევდა.

წარმოდგენა არ მქონდა, რამდენ ხანს შევძლებდი ბიბლიის შენახვას, ამიტომ მუხლების დამახსოვრებას დაუოკებელი სურვილით შევუდექი.

დილის 8:00 საათიდან ნაშუადღევის 4:30 ან 5:00 საათამდე ჩემი საკანი საკმაოდ განათებული იყო საიმისოდ, რომ წამეკითხა. ბიბლიას კარის გისოსებზე ან ფანჯარაზე ვაყრდნობდი და იმდენ ხანს ვკითხულობდი, რამდენსაც შევძლებდი. არასდროს არ ვყოფილვარ ისე დამშეული, რომ ღვთის სიტყვით ასე დავმტკბარიყავი. სულ სამი კვირა დამჭირდა, რომ დაბადების წიგნიდან გამოცხადებამდე ჩავსულიყავი. ყოველ მუხლს ვიმახსოვრებდი, რომელიც ჩემს ყურადღებას მიიპყრობდა და დამელაპარაკებოდა. განსაკუთრებით მანუგეშებელი ფსალმუნთა წიგნი გახლდათ. იგივეს ვიტყოდი 1 კორ. 10:13-

ზე: „არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; ხოლო, ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელთან ერთად გამოსავალსაც გაგიჩენთ, რომ გადატანა შეიძლოთ.“

მალე ბიბლიის კითხვის გეგმა შევიმუშავე. ორშაბათს მათეს სახარება წავიკითხე, სამშაბათს - მარკოზისა. ოთხშაბათს ლუკას სახარება გავიარე, სანამ ხუთშაბათს იოანეზე გადავიდოდი. პარასკევი რომ დადგა, მზად ვიყავი საქმეთა წიგნის დასაწყებად, ხოლო მომდევნო დღეს რომაელთა წერილს მივადექი. ყოველ დღე ბიბლიის ახალ წიგნს ვკითხულობდი და ბიბლიის კითხვის ამ ინტენსიურმა მეთოდმა მთელი წერილის სრულიად ახლებური გაგება მომიტანა. ბიბლია სხვაგვარი თვალსაზრისით აღვიქვი. ის მონაკვეთები, რომელთა აზრიც მესმოდა, ახლა სხვანაირად წარმომიდგა, ხოლო რომლებსაც ვერ ვხვდებოდი, ნათელი გახდა. ბიბლია სადაც არ უნდა გადამეშალა, ძველ თუ ახალ აღთქმაზე, სულიწმიდა მუხლების ღრმა ჭეშმარიტებას მიხსნიდა. ბარგიდან ამოღებულ კალამს და ოჯახიდან მიღებულ წერილს ჩუმად ვიყენებდი, რომ ამ საოცარ, გაცხადებულ ჭეშმარიტებებზე შენიშვნები ჩამეწერა. ყოველდღე განცვიფრებული ვრჩებოდი, რომ ღვთის სიტყვასთან ამდენი დროის გატარება შემეძლო. მაკვირვებდა, თუ რატომ მერგო ასეთი პატივი, რომ ბიბლიის კითხვის გარდა არაფერი მეკეთებინა.

რამადანის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, ციხეში პოლიციის აკადემიის ინგლისურად მოლაპარაკე ახალგაზრდა სტუდენტები მოიყვანეს უფროს მცველებთან ერთად სტაჟირების გასავლელად. როცა უფროსი მცველები რეგისტრაციის მაგიდასთან ისხდნენ და მათ ყურადღებას არ აქცევდნენ, რამდენიმე კურსანტი ჩემს მიმართ მეგობრულ განწყობას იჩენდა და მათთვის სახარების გაზიარება შევძელი.

- რას კითხულობ? - მკითხა ახალგაზრდა მცველმა.

- ბიბლიას ვკითხულობ, - ვუპასუხე მე.

- რა არის ბიბლია?

- ბიბლია ინჯილია, - დავუსახელე იესოს სახარების არაბული სახელწოდება.

საუბარს კიდევ ერთი მცველი შემოუერთდა.

- რა განსხვავებაა ბიბლიასა და ყურანს შორის? - იკითხა მან.

ეს სწორედ ის კითხვა იყო, რომელიც მე მჭირდებოდა, რომ მომეყოლა იესოს ჯვარცმაზე, თუ როგორ ვუყვარვართ, და რომ ქრისტე ღვთისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა. ორივე მცველი ყურადღებით მისმენდა და ბოლოს მითხრეს, რომ მეტის მოსმენა სურდათ. მიხაროდა, რომ უფალი ისევ მიყენებდა ძალმოსილი გზებით, ციხეშიც კი.

* * *

ექვსი კვირის შემდეგ ბ-ნი სლამა ბოლო შეხვედრაზე მოვიდა. მან სახლიდან კიდევ ერთი წერილი - ჩემი ცოლის პირადი წერილი - მომიტანა, რომელიც ჩემმა ქალიშვილმა ინგლისურად გადაწერა. წერილი გავხსენი, სათვალეები გავიკეთე და კითხვა დავიწყე.

ძვირფასო პეტრე,

წინა კვირას ახალი ინფორმაცია მივიღეთ შენს შესახებ, რომ ჩვენი წერილების წაკითხვა შეძელი. ამრიგად, ბარათებს უფრო ხშირად გამოგიგზავნით.

შენი წერილი შენახული მაქვს, ხშირად ვკითხულობ და გულით ვხარობ, რომ შენი ხელით არის ნაწერი.

შევამჩნიე, რომ ვანდამ წერილში რამდენიმე მნიშვნელოვანი და დაფარული დეტალი ჩართო. მაცნობა ჩეხეთის რესპუბლიკის გაზაფხულის მოახლოება, ჩვენი სახლის ძაღლისა და მისი მშობლების კარგად ყოფნის ამბავი და დაამატა: „ინგლისურის მასწავლებელი და მისი ქმარი რეგულარულად დადიან ჩვენთან.“

ვიცოდი, რომ ეს ეხებოდა „წამებულთა ხმის“ რეგიონალური დირექტორის მოადგილეს აფრიკაში, რომელსაც მე ვწვრთნიდი. აფრიკაში ჩემი შრომის დიდი ნაწილი მან იტვირთა, სანამ ციხეში ვიჯექი.

გარდა ამისა, ვანდამ ახსენა, რომ „ბიძა, რომელიც ვანდას ჰემატოლოგიას ასწავლის, ისევ მოვა სტუმრად.“ აქ იგულისხმებოდა ჩემი თანაშემწე „წამებულთა ხმაში“ - კიტი, ძვირფასი მეგობარი, რომელსაც ჯერ კიდეც სამედიცინო სფეროში მუშაობიდან ვიცნობდი. ის ახლა ჩემს ოჯახზე ზრუნავდა და ჩემს მოვალეობებს ასრულებდა, სანამ იქ არ ვიყავი. შვებით ამოვიკითხე: „მისი მეგობრები ჩრდილოეთიდან ამბობენ, რომ დიდი თოვლი მოვა და ყველაფერი გადათეთრდება.“ ეს იყო ჩვენი კოდური ფრაზა, რომელიც ვანდამ მისანიშნებლად გამოიყენა - კიტის „ჩრდილოელი მეგობრები“ ჩრდილოეთ ამერიკიდან იყვნენ, რომლებმაც ჩემთან დაკავშირებული ანგარიშები და პაროლები გაწმინდეს.

ვანდამ წერილი ისეთი სიტყვებით დაასრულა, რომელმაც ჩემი ემოციები მძლავრად შეარხია. მან თქვა, რომ ჩემთვის ლოცულობდა, ვენატრებოდი, მშვიდობას მისურვებდა და იმედოვნებდა, რომ მალე სახლში დავბრუნდებოდი. მან ყველა ის მშვენიერი მომენტი გაიხსენა, რომლებიც წლების განმავლობაში ერთად გავატარეთ. ღამით, სანამ დაიძინებდა, ჩემზე ფიქრობდა და ყოველ დილით მოკითხვას მიგზავნიდა „მზის პირველი სხივის მეშვეობით“.

წერილი გრძელი არ იყო და მან ამიხსნა, რომ კალმისა და მელნის გამოყენების ნაცვლად ურჩევნია უახლოეს მომავალში პირადად მელაპარაკოს. ამის შემდეგ მოწერილმა გამახსენა, უპირველესად, რატომ შემიყვარდა ის, რატომ მიიპყრო ჩემი ყურადღება საავადმყოფოში, რატომ დავქორწინდი მასზე და რატომ მიყვარს მთელი გულით. „ამ მძიმე წუთებშიც კი, - წერდა ის, - მარტონი არ ვართ. ჩვენ ღვთის ხელში ვართ.“ ვანდამ წერილი ამ სიტყვებით დაასრულა: „მაგრად გეხვევი და გკოცნი, შენი ვანდა.“

ბ-ნ სლამასა და პროკურორის თანდასწრებით ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებაში ოჯახისთვის მეორე წერილის დაწერის უფლება მომცეს, ისევ ინგლისურ ენაზე.

ჩემო ძვირფასებო,

დიდი მადლობა თქვენი წერილებისთვის; მათი მეშვეობით ძალიან გავმხნევდი. მიხარია, რომ კარგად ხართ. მეც კარგად ვარ. უფალი ჩემთან არის მთელი ამ დროის მანძილზე და მისი სამეფოსთვის მიყენებს. კარგ დროს ვატარებ მასთან მოზიარეობაში და მთელი დროის განმავლობაში ყველა თქვენგანისთვის ვლოცულობ.

ეს გამოცდა ჩვენს ძალებს არ აღემატება. უფალი ერთგული და მართალია და გამოსავალიც მზად აქვს ჩვენთვის. გთხოვთ, იყოთ ძლიერი უფალში და დარწმუნებული, რომ ყველაფერს მართავს - ის ერთადერთია, ვისაც ჩემი საკნის გასაღები უპყრია ხელთ.

მადლობა წამლებისთვის, რომლებიც თებერვალში გამომიგზავნეთ. ჯერ კიდევ საკმარისად მაქვს. ჩემი ჯანმრთელობა სტაბილურ მდგომარეობაშია. ჰემოგლობინსაც თანდათან გამოვიმუშავებ. სხვა მხრივ, ყველაფერი რიგზე მაქვს და ყოველდღიურად ბევრს დავდივარ ჩემს საკანში.

ძალიან ვაფასებ თქვენს ლოცვებს. საკმარისად ვერ გამოვხატავ, როგორ მიყვარხართ და როგორ მენატრებით. ვიმედოვნებ, რომ ყველა ლოცვის შედეგად მალე დაგიბრუნდებით.

გთხოვთ, მოიკითხოთ მთელი ოჯახი, მეგობრები, ძმები და თანამშრომლები.

დიდი სიყვარულით,

უფალში,

პეტრე

* * *

5 მაისს პასტორი ჰასანი და მონიმი უშიშროების ციხიდან მოპირდაპირე კამერაში გადმოიყვანეს. აღფრთოვანებული ვიყავი და მათაც გაუკვირდათ ჩემი დანახვა. როგორც მოგვიანებით გავიგე, ისინი ვარაუდობდნენ, რომ უკვე გამათავისუფლეს - მათ ხომ დაინახეს, რომ 29 მარტს უშიშროების ციხის მცველმა მათი საკნის წინ გამატარა და საწყობში ჩამიყვანა ჩემოდნის ასაღებად. ათი დღის შემდეგ პასტორი კუვაც მოიყვანეს.

ერთ თვეზე მეტი გავიდა, რაც ეს ძმები დავინახე და ძალიან მინდოდა მათთან დალაპარაკება. ზოგჯერ პოლიციელები მათ ჩემი იზოლირებული საკნის მახლობლად დგომის საშუალებას აძლევდნენ და ერთმანეთს დაბალი ხმით ვესაუბრებოდით. მაისში გავიგე, რომ პასტორმა ჰასანმა ოჯახის წევრებისგან ახალი აღთქმა მიიღო. მადლიერი ვიყავი, რომ ახლა მასაც ჰქონდა ღვთის სიტყვა, რომელზე დაყრდნობა და რომლის შესწავლა შეიძლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე კამერებში ვიყავით ჩაკეტილები, ერთმანეთს გამამხნევებელ მუხლებს ვუზიარებდით. ჩვენს საკნებს შორის მანძილი მხოლოდ თხუთმეტ ფუტს შეადგენდა, მაგრამ ვენტილატორი გამაყრუებლად გრიალებდა. „წაიკითხეთ რომაელთა 8:18!“, - ვღრიალებდი მე და სულ არ ვფიქრობდი, მისმენდნენ თუ არა. „იმიტომ, რომ ახლანდელი

ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც გამოვლინდება ჩვენს მიმართ.“ ამ მუხლს ჩემი ოჯახის გასამხნევებლად ვიყენებდი და ახლა მისით ჩემი მეგობრების შეგონება მინდოდა. ძმა მონიმი, ალბათ, მონაწილეობას მიიღებდა ჩვენს გადაძახილში წმიდა წერილის მუხლების მეშვეობით, მაგრამ ის არც ბიბლიის მონაკვეთებს გაჰყვიროდა და არც სხვა პატიმრების თანდასწრებით კითხულობდა ბიბლიას. კუვასა და ჰასანის ოჯახები ნუბიის მთების ქრისტიანები იყვნენ, ხოლო მონიმი მუსულმანურ ოჯახში დაიბადა, ამიტომ სხვა მუსულმანებისა და სუდანის ისლამური მთავრობის თვალში მუსულმანი იყო. ეს ნიშნავდა, რომ მისი ქრისტიანად გახდომის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში *სარწმუნოების ღალატის* სასიკვდილო ბრალდება დაემატებოდა მის მიმართ წაყენებულ ყველა სხვა ბრალდებას. გარდა ამისა, მისთვის საფრთხეს თანასაკნელი მუსულმანებიც წარმოადგენდნენ. ამის გამო მონიმი თავის რწმენას გულში ინახავდა, სანამ ციხეში იყო. ფაქტობრივად, ბოლოს წინა ციხეში, სადაც პატიმრობის ვადას ვიხდიდით, რამდენიმე მუსულმანმა მონიმს იმამობაც შესთავაზეს!

მოგვიანებით კუვამ და ჰასანმა ამიხსნეს, რომ ისინი მუსულმანური ოჯახებიდან გამოსულ ახალმოქცეულებს ყოველთვის სიფრთხილის გამოჩენას და დაფიქრებას ურჩევენ, სანამ ქრისტეს რწმენის ამბავს ოჯახის წევრებს გაუზიარებენ. ციხეში და სასამართლოში ყოფნა მონიმისთვის ამ გამოწვევას კიდევ უფრო გაართულებდა. ორი კვირის შემდეგ მცველმა შვეიცარიის საკონსულოს ოფიცრის საჩუქარი მოიტანა. ხვეულაში ორი ბოთლი შამპუნი და პოლ ჯონსონის წიგნის, *„იესო: მორწმუნის ბიოგრაფია“*, ჩეხური თარგმანი იდო. როცა გარეკანი გადავშალე, შიგნით ჩემი ოჯახის წერილი ვიპოვე, რომელიც წიგნის გარე ყდაში იყო დამალული. „გვიხარია, რომ უკეთეს მდგომარეობაში ხარ და უკეთესად იკვებები“, - ვკითხულობდი მე.

რა თქმა უნდა, ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ასე გადასცემდნენ ჩემს ამბავს მთავარი პროკურორი და საკონსულოს

თანამშრომელი ჩემთან აპრილის ვიზიტის შემდეგ, თუმცა რეალურად, გაცილებით ცუდ მდგომარეობაში ვიყავი. დღეში ოთხჯერადი კვებიდან ორზე ჩამომიყვანეს, ხოლო ღამით ჩემს საკანში ვირთხები დარბოდნენ.

პირობების თვალსაზრისით პოლიციის განყოფილებაში პატიმრობა თთქმის ყველა ასპექტით უარესი იყო, ვიდრე იქამდე, მაგრამ ჩემს ადვოკატთან რეგულარული კავშირის და ჩემი სუდანური ვალუტით პირველად მოხმარების საგნების შეძენის შესაძლებლობის გათვალისწინებით შვეიცარიული საკონსულოს თანამშრომელმა ჩემს ოჯახს უთხრა, რომ უკეთეს მდგომარეობაში ვიყავი. მშვიდად გახლდით, რომ ოჯახი ჩემზე ისე ძლიერ აღარ იღელვებდა.

წერილის კითხვა გავაგრძელე და გავიგე, რომ ეკლესიური ოჯახი საღამოს 20:00 საათისთვის რეგულარულად მარხულობდა და ლოცულობდა. კითხვა შევწყვიტე და სწრაფად გამოვთვალე პრაღასა და ხართუმს შორის დროის სხვაობა. რვა საათი ... სწორედ ამ დროს ვიძინებ! ვიცოდი, რომ ჩემი ეკლესიის ერთგული ლოცვები ყოველ ღამით მშვიდად ძილის საშუალებას მაძლევდა.

იქ, წიგნის გარეყდაში ჩამალული მეორე წერილიც იყო და როცა გამოვიღე, გახარებული დავრჩი, რომ ვავამ თავისი პირადი წერილიც დაურთო. მისი სიტყვების კითხვისას აღმოვაჩინე, თუ როგორი აღფრთოვანებული ვიყავი იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელიც ჩემმა პატარა გოგონამ სუდანში ჩემი პატიმრობისას თავის თავზე აიღო.

მან მითხრა, რომ ჩემი ვაჟი პეტრე სადიპლომოზე მუშაობდა და წინ საკმარისი დრო ჰქონდა, რომ ბოლო მომენტში არ ენერვიულა. ვავამ ასევე მომწერა, რომ ბოლო წერილში ნათქვამი მისთვის იმედისმომცემი იყო. „მთელი ოჯახი გამხნევდა“, - ამიხსნა მან, - „შენი წერილი დედას შინაგან ენერგიას აძლევს.“ მიხაროდა ამის გაგონება. მაშინაც კი, როცა სახლიდან ასე შორს, სუდანის ციხეში ვიყავი, მაინც შემეძლო ოჯახის წევრების მხარდაჭერა და მათთვის სიხარულის მოტანა.

ძალიან მალე ვანდას დაბადების დღე უნდა ყოფილიყო - პირველი იმ დღეთა შორის, რომელზე დასწრებაც ჩვენი ქორწინების მრავალი წლის მანძილზე ვერ შევძელი. ამ აზრმა დამანაღვლიანა, მაგრამ მესიამოვნა იმის გაგება, რომ პეტრემ და ვავამ მისთვის იდეალური საჩუქარი აარჩიეს. მათ დედისთვის სრულიად ახალი ტელეფონის ყიდვა გადაწყვიტეს, ვინაიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრი დრო დახარჯა სხვადასხვა ადამიანებთან დაკავშირებაში. არ შემეძლო, რომ არ გამეღიმა. წარმოვიდგინე, როგორ ასწავლის ჩემი ქალიშვილი ვანდას ახალი გაჯეტის გამოყენებას, ახალ „ინოვაციებს“, როგორც ვავამ წერილში უწოდა. ჩემ ცოლს ძალიან ვენატრებოდი და ვფიქრობდი, რომ თავის ემოციებს ბავშვებს უმალავდა. „ზოგჯერ ის ცდილობს, მე და ჩემს ძმას არაფერი გვაგრძნობინოს, - მიხსნიდა ვავა, - მაგრამ დიდად არ გამოსდის“. გონებაში ვანდას სახე წარმოვიდგინე. შემეძლო, დამენახა, როგორ დაღონდა, როცა მოულოდნელად მარტოობისა და უმწეობის გრძნობამ სძლია. ვხედავდი, როგორც ცდილობდა, ძლიერი ყოფილიყო ჩვენი შვილების გამო და ჩემი არყოფნით გამოწვეული ტკივილი დაეთრგუნა. გარკვეულ შვებას მგვრიდა ფაქტი, რომ შვილები მის გვერდით იყვნენ, მხარს უჭერდნენ, ანუგეშებდნენ და მის ტვირთს იზიარებდნენ. ვანდა მარტო რომ ყოფილიყო და ამ ვითარებაში გამკლავება ეცადა, ვფიქრობ, არაფერი გამოუვიდოდა. ჩემი გოგონა ხედავდა, როგორ კითხულობდა ბიბლიას და იან ჰუსის წერილებს, რომელიც ჩეხი თეოლოგი და ეკლესიის რეფორმატორი გახლდათ მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისის პრაღაში, თითქმის ასი წლით ადრე, სანამ გერმანიაში პროტესტანტული რეფორმაცია დაიწყებოდა. კონსტანცაში რომის არაბიბლიური ზედმეტობების წინააღმდეგ წერისა და ქადაგების გამო დაპატიმრებულმა ჰუსმა თავისი „წერილები კონსტანციდან“ დაწერა მაშინ, როცა 1415 წელს კოცონზე დაწვას ელოდებოდა. და ახლა, იან ჰუსის ექვსასი წლის წინანდელი სიტყვები ჩემს ვანდას ამხნევებდა, როცა 2016 წელს ციხის კამერაში გამომწყვდეულ ქმარს ელოდა და მასზე ღელავდა.

ვიცოდი, რომ ოჯახის სხვა წევრები და ეკლესიური მეგობრები ჩემი ცოლის გვრდით იდგნენ. ალბათ, ყოველდღიურად ესაუბრებოდნენ და განუწყვეტლივ ჩვენთვის ლოცულობდნენ.

გავიღიმე, როცა ჩემს ვაჟზე ფიქრები მომეძალა და მომინდა სახლში მის გვერდით ვყოფილიყავი, რომ წერისას გამემხნევებინა. როცა ვავამ თავისი წარმატებების შესახებ მიამბო, მრავალი წლის წინ საავადმყოფოში ჩემი პირველი სამუშაო გამახსენდა. ჩემი გოგონა პრაღის კლინიკაში სამუშაოდ მოეწყო, მაგრამ იქამდე მისვლას ერთ საათს ანდომებდა. ავტობუსით მგზავრობა კიდევ ერთი ვარიანტი გახლდათ, მაგრამ მისმა საქმრომ, ჰონზამ, მანქანა ათხოვა. „ისიც ძალიან გვეხმარება აქ; ბაღში ხეების მორწყვა დაიწყო, ასე რომ, პატარა გარგარის ნაყოფები უკვე ჩანს. ასევე, ერთად ვლოცულობთ შენთვის და შენი გათავისუფლებისთვის.“

ვავამ ისიც მაცნობა, რომ ყოველდღიურად უკავშირდებოდა „წამებულთა ხმის“ თანამშრომლებს, რომლებიც ფინანსურად ეხმარებოდნენ. ალბათ იფიქრა, რომ მაწუხებდა, როგორ გადაიხდიდა ჩემი ოჯახი იპოთეკას, როგორ გასწვდებოდნენ სხვა ხარჯებს და ასე შემდეგ. ჩემი გოგონას სიტყვები, რომ „ყველაფერი გადახდილია“ მეტად იმედისმომცემი გახლდათ. ის ხშირად ურთიერთობდა „ძია“ კიტთან, რომელიც მათ „დიდ დახმარებას უწევდა“. ესეც ჩემი ლოცვების პასუხი იყო.

ვავამ განახლებული ინფორმაცია მომაწოდა ერთი ჩემი მეგობრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლისთვის ლოცვაც უფლის მითითებით დავიწყე და ბოლოს წერილი იმით დაასრულა, რომ ჩემი ოჯახი კვლავაც ახლო კონტაქტში იყო საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კაიროს საელჩოსთან. ისინი ჩემთვის ახალი ადვოკატის შერჩევის ბოლო სტადიას გადიოდნენ.

„ამაზე არ იდარდო“, - **მწერდა ის,** - *მენატრები, მამა.“*
შენი გოგონა, ასევე მეუღლე და პეტრე».

წერილის კითხვა დავასრულე და დაუყოვნებლივ დავურეკე მცველს, რომ ფურცელი მეთხოვა. ჩემდა გასაოცრად, დამთანხმდა და მალე საკუთარი კამერიდან ოჯახს საიდუმლო წერილი მივწერე. არც კი ვიცოდი, როდის ან საერთოდ თუ შევძლებდი მის გაგზავნას.

თქვენმა წერილებმა ძალიან გამამხნევა, განსაკუთრებით, ჩვენი ეკლესიის ყოველდღურმა ლოცვებმა და მარხვის ჯაჭვმა! დარწმუნებული ვარ, რომ კიტის ჩრდილოელი მეგობრებიც იგივეს აკეთებენ.

უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, როცა ჩეხური ბიბლია მივიღე საელჩოდან ბოლო ვიზიტის დროს! პირველ ორ კვირაში ნახევარზე მეტი წავიკითხე! ხუთი თვის შემდეგ ისე მწყუროდა ღვთის სიტყვა! ძალიან მამხნევებს, განსაკუთრებით ფსალმუნები!

ჩვენი უფალი მასწავლის, რომ ამ ვითარებაში მომთმენი უნდა ვიყო (იხ. რომ. 12:12). როგორც ჩემს წინა წერილში დავწერე, ის გვაძლევს განსაცდელის წარმატებით გადალახვის ძალას (იხ. 1 კორ. 10:13). უფალთან ერთად მშვენივრად ვატარებ დროს ყოველდღე. 20 აპრილიდან ისევ მარტო ვიმყოფები საკანში, ამიტომ შემიძლია კითხვა, ლოცვა და ხმამაღლა სიმღერა. უფალი ბევრი საგალობლის სიტყვებს მახსენებს, რომლებიც მაშინ ვისწავლე, როცა ახალგაზრდობისას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური ზეწოლის ქვეშ ვიყავი.

როცა ბიბლიას ვკითხულობ და იქ ვპოულობ მუხლს, რომელიც უფალმა გონებაში ჩამიდო ხუთთვიანი პატიმრობის დროს, თითქოს დაკარგული მარგალიტი მეპოვოს! ასევე ძალიან მამხნევებს 1 პეტრ. 4:12-14-ის მონაკვეთი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც გაგამხნევათ!

ასევე, ძალიან მადლიერი ვარ უფლის, როცა ჩვენი გოგონას, ვანდას და ვაჟის, პეტრეს წარმატებების ამბავი მესმის. მართლა ვამაყობ თქვენით, ბავშვებო! მიხარია, რომ დედამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ინგლისურის სწავლას ძალიან კარგი მასწავლებლის ხელში. ეს დაგჭირდება, ვანდა, რადგან მომავალში ჩემთან ერთად მოგზაურობა მოგიწევს მას შემდეგ, რაც გავთავისუფლდები, ამიტომ ამაზე არ უნდა იდარდო!:-)

ფიზიკურად, კარგად ვარ. ჯანმრთელობას არ ვუჩივი, თუმცა ოცი კილო დავიკელი. ჩემი სისხლის წნევა ნორმალურია.

აქ საქმეები ძალზე ნელა მიიწევს წინ, ამიტომ მოთმინება და უფალზე მინდობა გვმართებს, რადგან ის ერთადერთია, ვისაც გასაღებები უპყრია.

მისი იმედი მაქვს და არა ადამიანების. ის მართავს ყველაფერს. ყველანი მის მოსიყვარულე ხელში ვართ მეფური მზრუნველობის ქვეშ!

სიტყვებით ვერ გამოვხატავ, როგორი ძვირფასები ხართ ჩემთვის! ძალიან მენატრებით! ვხარობ უახლოეს მომავალში თქვენი ნახვის და სახლში თქვენთან ყოფნის იმედით! ყოველდღე ჩემს მხურვალე ლოცვებში ხართ, როცა ბიბლიის კითხვისას ვისვენებ. თქვენთვის ვლოცულობ და ყველას გაკურთხებთ (რიცხვ. 6:24-26).

დიდი სიყვარულით,

პეტრე

შემდეგ ქაღალდის მომცრო ფურცელი ავიღე და აუცილებელი ნივთების სია შევადგინე - როგორიცაა პემზის ქვა ტერფების გარქოვანებული კანის მოსაცილებლად, სხვადასხვა ტუალეტის საჭიროებანი; ასევე, ობისა და ბაქტერიების საწინააღმდეგო კრემი. ქაღალდი პატარა კვადრატის სახით დავკეცე და შვეიცარიელ საკონსულოს ოფიცერს დაველოდე.

ის ხუთი დღის შემდეგ, 24 მაისს მოვიდა. კამერიდან მასთან სალაპარაკოდ რომ გამომიყვანეს, ქაღალდის პატარა კვადრატი ხელში ფრთხილად დავიჭირე. როცა ჩამოსართმევად ხელი გავიწოდე, გულმოდგინედ დაკეცილი სია მალულად ჩავუდე. შეხვედრის შემდეგ წერილისა და სიის გამო ვილოცე და ისინიც ევროპისკენ სამოგზაუროდ გაემართნენ.



18

მაისსა და ივნისში დღისით შენობის ტემპერატურა 120 (თითქმის 49 ცელსიუსით) გრადუსს აღწევდა. მე მომცრო იზოლირებული საკანი მეკავა, რომელიც ადრე ქალებისთვის იყო განკუთვნილი. მადლიერი ვიყავი მარტო ყოფნის გამო, რადგან შორტების ჩაცმა შემეძლო, რომელიც ჩემი ბარგიდან ავიღე. ისევ დიდ ოთახში რომ ვყოფილიყავი, ჩემი თანასაკნელი მუსულმანები მოურიდებელ ადამიანად ჩამთვლიდნენ მუხლების სიშიშვლის გამო. დამთრგუნველი სიცხე თავს მაინც უბედურად მაგრძნობინებდა იმის მიუხედავად, რომ შორტები მეცვა.

21 მაისს გავიგე, რომ პოლიციის განყოფილებაში კანონგარეშედ გამოცხადებული, ადამიანთა უფლებების დამცველი ჯგუფის თორმეტი წევრი მოიყვანეს. ერთ-ერთი მათგანი, ჩვილბავშვიანი ქალი, იმავე დღეს გაათავისუფლეს. ცხრა კაცი მთავარ საკანში შეტენეს. იმის გამო, რომ ქალებისთვის განკუთვნილ იზოლირებულ კამერაში ვიყავი, სხვა ქალები ერთ-ერთ განყოფილებაში შეუშვეს, სანამ პოლიციის მისაღებში გადაიყვანდნენ. მათ მცველების ოთახში ეძინათ, რომლებიც ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. რასობრივი სიჭრელით გამორჩეული ჯგუფი სხვადასხვა ტომს უსმენდა. ზოგიერთები ალ-ბაშირის მმართველი ტომიდან, შაიგიადან იყვნენ, თუმცა სუდანის პრეზიდენტს ყოველთვის არ ეთანხმებოდნენ. ერთი კამერუნელი ქალი ოფისის სტაჟიორად მუშაობდა. თითქმის ყველანი სუდანელები და ძალზე ჭკვიანი, განათლებული და დიდი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ხალხი გახლდნენ.

ამ ჯგუფის ხელმძღვანელს ავადმყოფი გული ჰქონდა და გადავსებულ ოთახში სუნთქვა უჭირდა. მან პოლიციელი მოისყიდა, რომ ჩემს იზოლირებულ ოთახში გადმოეყვანა. ის ინგლისურად თავისუფლად საუბრობდა და არც მე ვიყავი წინააღმდეგი, რომ ვინმესთან მელაპარაკა. როცა მისმა ადვოკატებმა დამატებითი საკვები მოუტანეს იოგურტის, ბუტერბროდებისა და პაკეტის ჩაის სახით, მეც გამიყო და სამი კვირა ხელგაშლილად ვცხოვრობდი.

იმ ჯგუფის კიდევ ერთი წევრი რეპორტიორი იყო, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მუშაობდა, რაც ძალზე სახიფათო საქმე გახლდათ. ამ სასამართლოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ადამიანი სუდანში მოღალატედ ითვლებოდა, რადგან პრეზიდენტ ბაშირს მან დასდო ბრალი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებში. რეპორტიორმა მითხრა, რომ ხალაფალა აფიფიში ვიზიტის დროს საკუთარ ოფისში დაიჭირეს, რომელიც სუდანის მთავრობის უშიშროების ძალებმა გაჩხრიკეს. უშიშროების ოფიცრებმა მათი ჯგუფის მესამე მამაკაცის ლეპტოპში ჰომოსექსუალური პორნოგრაფია ჩატვირთეს. ხელისუფლებამ ყველას წაუყენა ბრალი პრეზიდენტ ალ-ბაშირის კრიტიკის, სუდანის არჩევნებზე დაკვირვების, ასევე სუდანელი ხალხის წვრთნისა და მომზადების გამო, რომელთაც ხმის უფლებისთვის ბრძოლის საშუალებებს ასწავლიდნენ. მე ჩემს ბიბლიას ვკითხულობდი, ხოლო ჩემი თანასაკნელი - ყურანს. ნიაბა მენდოლას სხვა პატიმრების მსგავსად, ის ზომიერად მორწმუნე ჩანდა და არა „ისლამური სახელმწიფოს“ რადიკალი მეომარი, როგორებიც უშიშროების ციხის საკანში მყავდა. როცა ყურანის საინტერესო ადგილთან მივიდა, კითხვა გაუჩნდა, თუ რას ამბობდა ბიბლია ამ თემაზე. ყოველდღე ვლოცულობდი უფლის წინაშე, რომ ამ ადამიანის გული გაეხსნა და გამოცხადებოდა, როგორც მხსნელი, უფალი და ღმერთი.

როცა უშიშროების ერთ-ერთი ოფიცერი მიხვდა, რომ დღეების ერთად გატარება და ინგლისურად ლაპარაკი მოგვწონდა, გაბრაზდა და ჩემი თანასაკნელის გასახლება ბრძანა. მეტისმეტად

განვიცადე ეს დანაკარგი და დარჩენილი ზაფხული ჩემს საკანში მარტო გავატარე.

* * *

12 ივნისს ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებას კიდევ ერთხელ ესტუმრა შვეიცარული საკონსულოს თანამშრომელი. მან კიდევ ერთი სიტყვა მომიტანა ჩემი ოჯახიდან. გავიგე, რომ წერილი 19 მაისს მიიღეს და ამით „მეტისმეტად გამხნევდნენ“, თან ჩემი სიტყვების კითხვისას ტიროდნენ. ოჯახმა ის ბიბლიური მუხლებიც მოიძია და წაიკითხა, რომლებიც გავუგზავნე - „ნამდვილად ძლიერი სიტყვები, რომლებიც ჩემს ვითარებას ერგებოდა“. ერთ-ერთი მუხლი იყო ლუკ. 18:7: „განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულებს, რომლებიც დღედაღამ მას შეჰღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ გეუბნებით: მალე დაიცავს მათ.“

მათ მეტისმეტად გაიხარეს, როცა გაიგეს, რომ ბიბლია გამიჩნდა. ამას „ზეციდან მოვლენილი სასწაული“ უწოდეს და ღმერთს მადლობა გადაუხადეს ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წმიდა წერილის ჩემამდე მოსვლაში. ყოველდღე ვემადლიერებოდი ღმერთს, რომ ბიბლიის მაცოცხლებელი სიტყვა მომცა - სიტყვა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ქრისტეს გულისთვის ტანჯული მრავალი ქალი და კაცი ანუგეშა.

წერილიდან გავიგე, რომ ჩემი ოჯახი ჩემთვის არა მარტო ეკლესიაში ლოცულობდა, არამედ სახლშიც, კონკრეტულად 8 საათზე ლოცვის დროს. ჩვენი ეკლესიის პასტორი კვირას, 29 მაისს ქადაგებდა, რაც ჩემი ოჯახისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იმ დილით „ღვთის თანდასწრება იგრძნეს“ და ძალიან გამხნევდნენ ლუკ. 18:1-ის სიტყვებით, სადაც იესო თავის მოწაფეებს იგავს უყვება განუწყვეტელი ლოცვის სარგებლობაზე, რომ სულით არ უნდა დაეცნენ და დანებდნენ. ამ სიტყვების კითხვისას მეც ვიგრძენი ღვთის

სიახლოვე. ლოცვის ძალა და ის ფაქტი გამახსენეს, რომ ღვთის შვილების ნებისმიერ ადგილზე ყოფნისას - საკანსა თუ წმიდაიში - ყველას შეუძლია მადლის ტახტთან მისვლა. იქ მოსიყვარულე მამას იპოვიან, რომელსაც ვუყვარვართ და განუყოფელ ყურადღებას გვაპყრობს.

„ძალიან გვენატრები, - ამბობდნენ წერილში, - და სულმოუთქმელად ველით შენს ნახვას. ძალიან გვინდა, რომ ჩვენთან იყო. ყველანი მოკითხვას გითვლიან, შენზე ფიქრობენ და ლოცვას არ წყვეტენ.“ ვანდამ ამიხსნა, რომ ეშინოდა და წუხდა ჩემ გამო, მაგრამ ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ ღვთიურმა სიმშვიდემ აავსო და გული დაუწყნარდა. მადლობელი ვიყავი, რომ ჩემმა ოჯახმა შეძლო ყველა იმ ნივთის შოვნა, რომლებიც სიაში ჩავწერე და რაც შეიძლება მალე გამოგზავნიდნენ. წერილი დავდე და თავი მოვიქექე ჩემი ცოლის ბოლო წინადადებაზე ფიქრისას: „ნამდვილად გვინდა, რომ ყველა ერთად ვიყოთ სახლში.“ მან ასევე გაიხსენა დროული ბიბლიური მუხლი თავად იესოს დამოკიდებულებაზე ტანჯვის მიმართ გეთსემანიის ბაღში, მარკ.14:36-დან: „აბბა, მამაო, ყოველივე შესაძლებელია შენთვის. ამაცილე ეს სასმისი! მაგრამ არა რაც მე მსურს, არამედ, რაც - შენ”.

ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა და დამხმარემ, კიტმა ბოლოს უკანასკნელი მინაწერი გააკეთა. მისმა სიტყვებმა შთამაგონა: „თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება. ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს“ (1 კორ. 12:26). ღმერთმა კიტის მეშვეობით ძალიან გამამხნევა და შემახსენა, რომ ჩემს ტანჯვებში სხვებიც მონაწილეობდნენ. არ ვიყავი მორწმუნეთა მთლიანი ორგანიზმიდან ამპუტირებული, რომელიც არის იესო ქრისტეს სხეული ამ დედამიწაზე. არა, ამ სხეულის ნაწილი გახლდით, მისი გაგრძელება აქ, სუდანში. ჩემი გული სიხარულმა აავსო, როცა გავიგე, რომ სხვა ქრისტიანები ჩემთვის ლოცულობდნენ მაშინაც კი, როცა ციხეში ვიჯექი და ვიტანჯებოდი.

ისევ სიხარულით ვუპასუხე მათ წერილს.

ჩემო ძვირფასებო,

ძალიან გამამხნევა თქვენმა წერილმა, რომელიც დღეს მივიღე! გმადლობთ ამ სიტყვებისა და მუხლებისთვის. მთელი ბიბლიის წაკითხვა სამ კვირაში დავასრულე და ხელმეორედ დავიწყე, ასე რომ, წმიდა წერილიდან დიდი სიხარული (ფს. 62:6), ძალა (ფს. 86:16), იმედი (ფს. 62:6) და ნუგეშისცემა (ფს. 94:19) შევიძინე, განსაკუთრებით, ფსალმუნებიდან!

ჩემი გული სავსეა ღვთისადმი მადლიერების გრძნობით ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ გამოჩენილი დიდი სიკეთისთვის. განსაკუთრებით ხშირად ფს. 103:1-6-ს ვკითხულობ მადლიერების ცრემლებით და თითქმის მთლიანად დავიზეპირე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც გამხნევდებით მისი წაკითხვით.

ფაქტობრივად, ახლანდელი ვითარება არც კი შეედრება მომავალ დიდებას, რომელიც ჩვენ მიმართ გამოვლინდება (რომ. 8:18). ვაგრძელებ ყველა თქვენგანისთვის ლოცვას, განსაკუთრებით სულში, როცა ის ღვთის ნების თანახმად შუამდგომლობს გამოუთქმელი ოხვრით (რომ. 8:26-28). გარდა ამისა, ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს ყველაფერი სასიკეთოდ ეწევათ!

შევჩერდი და დავფიქრდი, როგორ მეცნობებინა მათთვის იმ შესაძლებლობებზე, რაც მეზობელი საკნების პატიმარ მამაკაცებთან სახარების გასაზიარებლად მეძლეოდა. კოდური

ენისთვის, რომელსაც პოლიციის ოფიცრები ვერ მიხვდებოდნენ, მთესველის იგავის სიტყვები გამოვიყენე - „ზოგიერთი ნოყიერ ნიადაგში ჩავარდა.“

გასული სამი კვირის განმავლობაში ისევ განვიცადე ეფეს. 6:15. ვლოცულობ, რომ ღმერთმა კვლავ მოიტანოს მათ. 13:23.

* * *

შვეიცარიის საელჩოს თანამშრომლისა და ბ-ნი სლამას ვიზიტები პოლიციის განყოფილებაში მთელი ზაფხული გრძელდებოდა და მათი მეშვეობით შევძელი ჩემს ცოლთან, ქალიშვილსა და ვაჟთან წერილების გაგზავნა და პასუხის მიღება. შვეიცარიის საელჩოს თანამშრომელმა ჩემ მიერ მოთხოვნილი ყველა საჭირო ნივთით სავსე პაკეტიც მომიტანა. გაოცებული ვრჩებოდი იმ გზების მრავალფეროვნებით, რომელთა მეშვეობითაც ღმერთი ჩემზე ზრუნავდა.

მომდევნო თვენახევრის განმავლობაში ვავამ სამედიცინო სკოლა დაამთავრა და ექიმი გახდა, ხოლო ჩემმა პეტრემ ბაკალავრის დიპლომი მიიღო. დავნაღლიანდი იმით, რომ ამ შემთხვევებმა უჩემოდ ჩაიარა. და მაინც, ვიცოდი, რომ უფალს მიზანი ჰქონდა ჩემი პატიმრობისთვის. იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ოჯახის ცხოვრებაზე ღვთიური გეგმა არსებობდა. უფალმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება და არც ახლა მიგვატოვებდა. ვავას სამედიცინო სკოლის დასრულება ის დღე იყო, რომელზეც პატიმრობამდე სამი წლით ადრე აფორიაქებული წინათგრძნობით ვოცნებობდი და ველოდი. ეს ოცნება ახდა: თავდაპირველად, უშიშროების ციხის კარი დავინახე, ახლა კი ისიც ვიხილე, როგორ ავცდი მის გამოშვებას პატიმრობის გამო. ვაჟის გამოშვებაც გავაცდინე. ბ-ნმა სლამამ კიდევ ერთი ვიზიტისას პაკეტი მომიტანა ოჯახიდან, რომელშიც ჰიმნების კრებული იდო. გამიხარდა ამ

ძვირფასი წიგნის დანახვა. *ჯერ ბიბლია, ახლა კი საგალობლები - რა კურთხევაა!* როგორც წესი, ნივთების მიღებაზე ხელი მოვაწერე საკონსულოს თანამშრომლის თანდასწრებით, მაგრამ გამანადგურა იმ ამბავმა, რომ პროკურორმა მისი საკანში წაღების ნება არ დამრთო. ხელცარიელი და ფრიად იმედგაცრუებული დავბრუნდი.

მოგვიანებით, იმავე დღეს პოლიციის აკადემიის ერთი სტუდენტი შემოვიდა და მითხრა, რომ მთავარი პროკურორი თავის კაბინეტში მიბარებდა. როცა იქ შევედი, დავინახე, როგორ ათვალიერებდა პაკეტში არსებულ ყოველ ნივთს, რომლებიც ოჯახმა გამომიგზავნა.

- ეს რა არის? - მკითხა მან და ხელში ჰიმნების კრებული დაიჭირა.

- ეს სიმღერების კრებულია.

- სიმღერა შეგიძლია?

- რა თქმა უნდა, - ვუპასუხე მე.

- მაშინ, მიმღერე, - მიბრძანა მან.

მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ პროკურორისა და აკადემიის სტუდენტისთვის სახარების გაზიარების შესაძლებლობა გამომეყენებინა, ამიტომ ის საოცარი ჰიმნი შევარჩიე, რომელიც სულიწმიდამ ჩემი პირველი განმარტოებული ღამის დროს მომაწოდა: ჰენდელის „დიდება შენ“. სამი სტროფი ვიმღერე, სანამ პროკურორი და სტუდენტი მისმენდნენ.

სიმღერა დავასრულე, მაგრამ ასე ადვილად დანებება არ მინდოდა და ლაპარაკი დავიწყე:

- ნება მომეცით, გითხრათ, რაზეა ეს სიმღერა!

ვთქვი და ორ ადამიანს სახარება გავუზიარე. მადლიერი ვიყავი იმით, რომ მუსულმანი მცველებისთვის იესო ქრისტეზე ჭეშმარიტების გადაცემის კიდევ ერთი შესაძლებლობა მომეცა. საკანში დაბრუნებულმა გავიღიმე. ამ გამოცდილებამ თავი ისრაელიანებივით მაგრძნობინა, რომლებიც ბაბილონის ტყვეობაში იმყოფებოდნენ: „იქ მოგვთხოვეს ჩვენმა დამტყვევებლებმა სიმღერა და მჩაგვრელებმა - მხიარულება: გვიმღერეთო სიონის რომელიმე სიმღერა“ (ფს. 137:3).

ვიცოდი, რომ სანამ უფალი უფლებას მაძლევდა, სიმღერას კვლავაც გავაგრძელებდი.

18 ივლისს, შვეიცარიის საკონსულოს თანამშრომლისა და მისი ახალი კოლეგის ვიზიტის შემდეგ, ოჯახს კიდევ ერთი წერილი მივწერე, სადაც ჩვენს განსაცდელში მტკიცედ დგომისა და იმის გახსენებისკენ მოვუწოდებდი, რომ ტყუილად არ ვიტანჯებოდით - ღმერთს საამისოდ დიდი მიზეზი ჰქონდა და ჩვენი ტკივილის მეშვეობით შრომობდა. მათ ვუთხარი, რომ ყველაფერი კარგად მქონდა და გამუდმებით ვხარობდი ღვთის თანდასწრებაში, როცა დროს ციხეში ღვთის სიტყვის შესასწავლად ვიყენებდი. 1 მაისიდან სამჯერ წავიკითხე ძველი აღთქმა, ხოლო ახალ აღთქმას მეხუთეჯერ ვკითხულობდი. ამის მიუხედავად, უფალი ყოველთვის რაღაც ახალს მაჩვენებდა!

ღვთის მიმართ მადლიერებაში მშვიდობის, სიხარულის, ძალისა და იმედის დიდი წყარო ვიპოვე ამ განსაცდელის დროსაც კი. ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთს ნებისმიერ ვითარებაში უნდა ვმადლობდეთ (1 თეს. 5:18). ჩემს ოჯახს შევახსენე, რომ უფლის მოლოდინში მტკიცედ უნდა დავეყრდნოთ რწმენას და მამაცი გული ვიქონიოთ (ფს. 31:24), რადგან მის მოსიყვარულე ხელებში მყარად ვდგავართ და დაცული ვართ (ფს. 139:5). სიტუაციას მხოლოდ ღმერთი აკონტროლებს და არა ჩვენ. უფალს საიდუმლო უზენაესი ნების ამოქმედების საკუთარი მეთოდები აქვს. მაშინაც კი, როცა ვერ ვხედავთ მათ ან არ გვესმის, ჩვენი გული მაინც მის ქებას უნდა ესწრაფოდეს და მისი ჩარევისთვის ადიდებდეს (ფს. 109:30-31).

შესანიშნავი იყო იმის ცოდნა, რომ საკანში ჯდომისა და მოლოდინის დროს ღმერთი აქტიური იყო და შრომობდა. მან შეძლო სუდანის ძალაუფლების პოციზიებზე მდგარი ადამიანების გულების მიქცევა იმ მიმართლებით, საითაც სურდა (ფს. 21:1). მართალია ამ სირთულეებით ვიტანჯებოდით, მაგრამ ღმერთი ერთგულად გვეხმარებოდა, გვიცავდა, გვამშვიდებდა, რომ ერთხელაც იგივე მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანებისთის მხარი დაგვეჭირა (2 კორ. 1:3-7). წერილში ჩემს ოჯახს მოვუწოდე,

რომ ყოველთვის ხსომებოდათ განსაცდელის ხანმოკლეობა. მართალია, ახლა ყველასთვის ძალზე მტკივნეული იყო, მაგრამ მარადიული დიდების შექმნას ემსახურებოდა (2 კორ. 4:17-18).

„ყოველთვის ჩემს გულსა და გონებაში ხარ“, - დავწერე წერილის ბოლოს, - „ყოველთვის ვლოცულობ და ღმერთს ვაქებ შენთვის და სულმოუთქმელად ველი, როდის გნახავ სახლში და შენთან ერთად ვიქნები!“

* * *

იმის მიუხედავად, რომ იზოლირებული პატიმრობისას ბიბლიის შესწავლით და შესანიშნავი, ღრმად სულიერი რწმენის ჰიმნების სიმღერით ვტკბებოდი, ზოგჯერ გულსა და გონებაში მაინც შემოიჭრებოდა ნაღვლისა და საკუთარი თავის სიბრალულის გრძნობები. გარკვეულწილად, ვისწავლე მათთან გამკლავება აღიარებით, რომ უფალია ჩემი სიმშვიდე და სიხარული, მაგრამ ამგვარი ემოციები მაინც მახსენებდნენ თავს.

ერთხელ, როცა ჩემი მდგომარეობის გამო საკუთარი თავის სიბრალულის გრძნობამ მომიცვა, გონება უცებ გაკვეთა საკნის კედელზე გამოჩენილმა ხილვამ. სწრაფად გაიელვა ჩემი ერიტრეელი მეგობრების, ჰაილე ნაიზგის, დოქტორ კიფლიუსა და კიდანე ვოლდუს სახეებმა. ისინი ქრისტიანული ეკლესიების ლიდერები იყვნენ, რომელთაც რამდენიმე წლის წინ შევხვდი ერიტრეაში გამგზავრებისას. ისინი ჯერ კიდევ ციხეში იმყოფებოდნენ ქრისტიანული მოწმობისა და საეკლესიო საქმიანობისთვის. სავარაუდოდ, უამრავი დღე გაატარეს გადასაზიდ კონტეინერებში, სადაც დღისით აუტანლად ცხელოდა, ხოლო ღამით ყინავდა. ისინი *თორმეტი წელია* პატიმრობაში იყვნენ.

ხილვა ისევე სწრაფად გაქრა კედლიდან, როგორც მოვიდა, მაგრამ უფლის სათქმელი სრულიად ცხადად აღვიქვი: „რატომ წუწუნებ? რატომ გებრალება საკუთარი თავი? ციხეში, სულ რაღაც, ექვს თვეზე ცოტა მეტხანს ზიხარ. იმათზე რას იტყვი? შენს ძმებზე

ერიტრეიდან? მას შემდეგ ეს სამი ძვირფასი ძმა მხურვალე ლოცვის სათხოვრებში ჩავრთე და უფალს ტანჯვებში მათ გვერდით ყოფნას ვევედრებოდი. მთელი პატიმრობის განმავლობაში უფალი ჩემს მზერას სხვა ქრისტიანი პატიმრებისკენ - ჩინელი, ჩრდილო კორეელი და ცენტრალური აზიის მამაკაცებისა და ქალებისკენ - მიმართავდა. როცა ამ გაბედული მორწმუნეების მოწმობის დიდ ღრუბელზე ვლოცულობდი, ჩემი საკუთარი ყოველდღიური ჯვარი უფრო და უფრო მსუბუქი ხდებოდა.

* * *

მალე ბ-ნი სლამა მესტუმრა - ამჯერად, გამოსამშვიდობებლად. ეს მისი ბოლო ვიზიტი იყო სუდანში, სანამ ავსტრალიაში, ახალ დანიშნულების ადგილზე ჩავიდოდა. როგორც წესი, მთავარ პროკურატურაში შევხვდით, მაგრამ რამდენიმე წუთში პროკურორმა შენობა დატოვა.

ბატონი სლამა სწრაფად წამოდგა, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და ხელში ჩამიდო:

- აი, ჩემი ტელეფონი, - მითხრა მან, - თქვენს ოჯახს ელაპარაკეთ.

ტელეფონს ვეცი და ციფრების აკრეფა დავიწყე. 30 წამის განმავლობაში მესმოდა ჩემი გოგონას ხმა. ზარის გათიშვიდან რამდენიმე წამში მთავარი პროკურორი ოფისში დაბრუნდა და გავიაზრე ამ უცნაური შემთხვევის რაობა: მან განზრახ მომცა სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება. ეს საშინელ ვითარებაში წყალობის გამოჩენის შესანიშნავი მომენტი გახლდათ.

* * *

დაპატიმრების თარიღის ათვლას ყოველი თვის მეათე რიცხვში ვაწარმოებდი და კითხვას ვსვამდი, როდის გადაეცემოდა ჩემი საქმე სასამართლოში. *„უფალო, კიდევ რამდენ ხანს ვიქნები აქ?“* როცა მეძინა, უფალმა ამ კითხვაზე მიპასუხა.

დახუთული ივლისის შემდეგ კიდევ ერთი სიზმარი ვნახე, სადაც გრძელ გზაზე ვიღაც კაცთან ერთად მივდიოდი. გზა მაღლა გორაკზე ადიოდა. ეს ადამიანი ახლახანს დანიშნული საკონსულოს თანამშრომელი იყო, რომელსაც სექტემბრის დასაწყისში ბ-ნი სლამა უნდა შეეცვალა. მას კითხვები დავუსვი არაბულ ენაზე. *„ღმერთო, გინდა, მითხრა, რომ არაბულენოვან თანამშრომელს გზავნი, რომელსაც კარგად ესმის სასამართლო სხდომები?“* სიზმარი გრელდებოდა და სიარულში თოვლი წამოვიდა. ფანტელები თავზე გვეფინებოდა. *თოვლი რატომ? „ღმერთო, მეუბნები, რომ ივლისში, აგვისტოში ან სექტემბერში გაშვების ნაცვლად იანვარში ან თებერვალში გამიშვებენ?*

მთელი ზაფხული ციხეში გავატარე. მხოლოდ ერთი ტუალეტი ფუნქციონირებდა. საშხაპემაც შეწყვიტა მუშაობა, ამიტომ დასაბანად ონკანიდან აღებულ ბოთლის წყლებს ვიყენებდით. წვიმების შემდეგ ყავისფერი და ტალახიანი წყალი წამოვიდა. სათლში ჩავასხით, დაველოდეთ, სანამ ჭუჭყი ფსკერზე დაიკრიფებოდა და ფრთხილად გადავასხით სხვა კონტეინერში. ეს პროცესი შრომატევადი, მაგრამ აუცილებელი იყო. ამიტომაც აქამდე წყალმა ავად არავინ გაგვხადა.

ერთ დღეს სათლის გარეცხვა გადავწყვიტე, რომელიც ტუალეტის გვერდზე დებისგან დაბინძურდა. ამის შემდეგ მალევე მარჯვენა ხელზე ინფექცია აღმომაჩნდა. ამ ხელს ვიყენებდი სათლის გასაწმენდად. ინფექცია მთელ სხეულზე სწრაფად გავრცელდა. ის მთელ კანს ფარავდა და ხელ-ფეხზე ბეწვების ფოლიკულებს აღიზიანებდა. სხეული საშინლად მექავებოდა. გამახსენდა იობი, რომელიც საზიზღარი წყლულებით იყო დაფარული ფეხის ქუსლებიდან თმის წვერამდე და ნაცარში მჯდომი იქექებოდა (იობ. 2:7-8).

3 აგვისტოს იუსტიციის სამინისტრომ შემოწმება ჩაატარა ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებაში. უფლებადამცველთა ჯგუფმა თავიანთი ადვოკატის მეშვეობით პატიმრების არაჰუმანური ცხოვრების პირობებზე იჩივლეს და ახლა მაღალჩინოსანი პროკურორი მოვიდა, რომ ამაში თავად

დარწმუნებულიყო. მან მთელი შენობა მოიარა და პატიმრების ცხოვრების პირობებს დააკვირდა. ჩემს საკანთან შეჩერდა და შიგნით შემოიხედა.

- ყველაფერი რიგზეა? - იკითხა მან.

როგორც იქნა! ჩემის საქმის შეხსენების საშუალება მომეცა.

- მართალი რომ ვთქვა, - ვუპასუხე მე, - არაფერიც არ არის რიგზე. უკვე ოთხი თვეა აქ ვიმყოფები და ჯერ კიდევ სასამართლოს ველოდებით.

კაცმა უჩუმრად მომისმინა და წავიდა.

მეორე დღეს ჩემთან, საკანში მცველი მოვიდა.

- თქვენი ნივთები წამოიღეთ, - მითხრა მან, - სხვა ციხეში გადაჰყავხართ.

გამიკვირდა, რომ პროკურორმა ჩემს სასარგებლოდ იმოქმედა და სწრაფად შევაგროვე ტანსაცმელი, ტუალეტის ნივთები, ბიბლია, ჰიმნების კრებული, სათვალე და იზოლირებული საკნიდან გამოვედი.

რამდენიმე წუთში პასტორი ჰასანი და სხვებიც შემომიერთდნენ. პოლიციის განყოფილება ყველამ ერთად დავტოვეთ. იმ დროისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად წაგვიყვანდნენ. დარწმუნებული ვიყავით, რომ ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებას ყველაფერი აჯობებდა.



19

4 აგვისტოს ჩვენ ოთხნი - მე, პასტორი ჰასანი, პასტორი კუვა და მონიმი - ხართუმის სასამართლოს შენობის მახლობელი ციხის საკანში გადაგვიყვანეს, რომ სუდანის მთავარ პროკურორს ჩვენი სახელით ელაპარაკა ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილების აუტანელ პირობებზე. ის ყველა პროკურორს ზედამხედველობდა, მათ შორის უშიშროების ციხიდან გადმოყვანილთა საქმეების განმხილველ პროკურორებსაც. თანაპატიმრებმა მითხრეს, რომ ამ ადამიანს არ მოსწონდა უშიშროებასთან დაკავშირებული პროკურორები, რომლებიც ყველაფერს ზუსტად ისე აკეთებდნენ, როგორც უშიშროების გამომძიებლები უბრძანებდნენ. სამი საათის შემდეგ მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო და ომდურმანში, შედარებით ნაკლები სიმკაცრის მამაკაცთა ციხეში გადაგვიყვანეს.

როცა იქ მივედით, დავინახეთ, რომ ციხე ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთ-ერთი განყოფილება „კოლუმბია“, როგორც მას უწოდებდნენ, ათასამდე ნარკოდილერს, ლოთსა და ქურდს ითვლიდა, რომლებსაც გარეთ, დიდ უსახურავო ანგარებში ყოფნას აიძულებდნენ. წვიმის დროს მტვერი ტალახად იქცეოდა. ანგარი წყლით ივსებოდა მის მკვიდრებთან ერთად.

მომცრო „VIP” განყოფილება, დაახლოებით, სამას პატიმარს იტევდა, რომლებიც ფინანსურ თაღლითობებში იყვნენ ბრალდებულნი, ვთქვათ, ქვითრების არასწორად გამოწერაში. ამ პატიმრებს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ. ისინი ლითონის საწოლებსა და მატრასებზე იწვნენ და გადაბრუნებული სათლების ნაცვლად პლასტმასის სკამები ჰქონდათ გარეთ

დასაჯდომად. ოთხივე ამ პატარა სექციაში მოგვათავსეს. ზოგიერთმა სხვა პატიმარმა გაგვაფრთხილა, რომ აქ ყველგან მუსულმანი ჯაშუშები იყვნენ. ამას ჩვენც ვეჭვობდით, რადგან სხვა პატიმრები თვალყურს გვადევნებდნენ და გვითვალთვალებდნენ, როგორ ვატარებდით დღეს.

ჩვენი ჯანმრთელობა უარესდებოდა. პასტორი ჰასანი თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით იტანჯებოდა, ხოლო პასტორი კუვა ახლახანს გამოჯანმრთელდა მალარიისგან. კარბოლის საპნის გამოყენებას ვნატრობდი კანის ინფექციის გამო, რომელიც პოლიციის განყოფილებაში ფეკალიებით დაბინძურებული წყლიანი სათლიდან გადამედო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ამ ციხეში კარბოლის საპონს არ იძლეოდნენ. მცველებმა ყველა ჩვენი მედიკამენტი დაგვიბრუნეს და ჩანდა, საერთოდ არ ღელავდნენ, რას ვუზამდით ამდენ აბს, მაგრამ გამუდმებულმა მტვერმა, ტალახმა და საერთო ჰიგიენის ნაკლებობამ ყველა ჩვენგანზე იმოქმედა. თან აგვისტოს მზეც აუტანლად აჭერდა.

პასტორი ჰასანის ეკლესიის ახალგაზრდულმა ჯგუფმა ოთხივეს მოგვიტანა პლასტმასის სკამები და ჰასანმა ჩემთვის ლითონის საწოლის შოვნაც მოახერხა 250 სუდანურ ფუნტად (დაახლოებით, 40 დოლარი). საწოლი მატრასით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. მის გარეშეც მშვენივრად მეძინა მოუხერხებელ ლითონის ბადეზე. ჭუჭყიან მიწას მერჩივნა. ვხედავდით, როგორ დაძვრებოდნენ ვირთხები მძინარე პატიმრებს შორის ჩვენს ჩანთებში სურსათის რაიმე ნასახის ძიებაში.

ორი კვირის შემდეგ პასტორი ჰასანის ახალგაზრდულმა ჯგუფმა დარჩენილი სამი კოლეგისთვის ლითონის საწოლები და ოთხი მატრასი მოიტანა. ბოლოს და ბოლოს, ყველას შეგვეძლო მოხერხებული საწოლით დატკბობა! ღამით სუდანელ ძმებთან ერთად საწოლები გარეთ გაგვქონდა, რომ ღია ცის ქვეშ დაგვეძინა ჩვენი ვიწრო სათავსოებისგან მოშორებით.

კოლუმბიის განყოფილებაში მომცრო სამლოცველო იყო, დაახლოებით, სამასი ფუტის მოშორებით. მე და სუდანელ ძმებს იქ ყოფნის ნება დაგვრთეს. ეს პირველი სამლოცველო იყო,

რომელსაც თვეების შემდეგ ვეწვიე. სხვა პატიმრებმა ორჯერ ქადაგების უფლებაც მომცეს.

* * *

შაბათს, 6 აგვისტოს, ომდურმანის კაცთა ციხეში ორი დღე გავატარე და დავაკვირდი, როგორ ურეკავდნენ სხვა პატიმრები ოჯახის წევრებს მობილური ტელეფონებით. ჩემმა სუდანელმა თანაპატიმრებმა კონტრაბანდული მობილურები იშოვეს. მე კი დარჩენილი სუდანური ფული სატელეფონო კრედიტის საყიდლად დავხარჯე, რომ დამერეკა. იმის გამო, რომ ჩემი შვილები მობილურის ნომრებს ხშირად იცვლიდნენ, ის ერთადერთი ნომერი ავკრიფე, რომლის გახსენებაც შევძელი.

დაპატიმრებიდან კვირანახევრის შემდეგ რამდენიმეწამიან, წინასწარ დაგეგმილი ტექსტით ლაპარაკსა და ბ-ნი სლამას ტელეფონით ოცდაათწამიან საუბარს თუ არ ჩავთვლით, როცა პროკურორმა მარტო განზრახ დაგვტოვა, ვანდასთან მთელი რვა თვე არ მილაპარაკია სასტუმრო „პარადაიზიდან“ სკაიპით განხორციელებული ზარის შემდეგ, როცა ხართუმის აეროპორტში გამგზავრებას ვაპირებდი. მისი ხმის ხელახლა გაგონება და იმის ცოდნა, რომ კარგად იყო, სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა სასწაულებრივი საჩუქარი ღვთისგან.

ნომერი ავკრიფე და ზარი გავიდა. ჩეხეთის რესპუბლიკაში შაბათის საღამო იდგა და ვანდა ჩვენს ვაჟს ესაუბრებოდა. მოულოდნელად მის ტელეფონზე უცნაური ნომერი გამოჩნდა. ის მაშინვე მიხვდა, რომ კოდი სუდანური იყო. *„ვინ უნდა იყოს?* - ფიქრობდა ვანდა, - *სუდანის უშიშროება?“* ვანდამ ზარს უპასუხა და მისი ხმა დაეჭვებამ აავსო.

- ალო!

- ეს მე ვარ, პეტრე! - ამოვილუღლუღე და ხმა ამიკანკალდა.

ვანდას გული გადაუქანდა და მკერდიდან ამოხტომას ლამობდა.

- გათავისუფლდი? - მკითხა მან და ვიგრძენი, რა იმედით იყო სავსე.

- არა, ახლა ომდურმანის ციხეში ვარ და ჩუმად შემიძლია მეგობრის ტელეფონით ვისარგებლო.

არ ვიცოდი, რამდენი წუთი მქონდა კრედიტზე, ამიტომ ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიმეღო ოჯახზე, მაგრამ ვანდას თავად სურდა ჩემი ამბების გაგება. აჩქარებით ვუამბე ჩემს გამოცდილებაზე, ჩემს მოგზაურობაზე და იმაზე, რომ ვიცოდი ღვთის გეგმის შესახებ, რის გამოც ასე დიდხანს დავრჩი ციხეში. მესმოდა მისი სიტყვები, სიყვარული ხმაში, რომლითაც ვსაუბრობდით და თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ადრე, როცა ჩვეულ მოგზაურობებში დავდიოდი აფრიკის კონტინენტზე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს არაფერი შეცვლილა და მალე აეროპორტის სატვირთო განყოფილების გარეთ შევხვდებოდი სახლისკენ მომავალი.

ჩემმა კრედიტმა ოცი შესანიშნავი წუთი გასტანა და საუბრის ბოლოს ვანდამ უხალისოდ დაკიდა ყურმილი. მის სახეზე უზარმაზარი ღიმილი გაჩნდა. ჩვენი სატელეფონო საუბრის შემდეგ მას მთელი ღამე არ ეძინა, რადგან ძილის უნარი აღარ ჰქონდა, ისე აღავსო მისი გული და გონება ადრენალინმა, სიხარულმა და უზარმაზარი მადლიერების გრძნობამ იმის გამო, რომ უფალი ორივე ჩვენგანის ერთგული იყო მწუხარების ამ შეუძლებელი პერიოდის განმავლობაში.

* * *

8 აგვისტოს, ჩვენი ჩამოსვლიდან ოთხი დღის შემდეგ მცველი მოგვიახლოვდა.

- ყველაფერი აკრიფეთ და გამომყევით, - გვიბრძანა მან.

ოთხივემ დავტოვეთ რკინის საწოლები, პლასტმასის სკამები და საქონლის გადასაზიდი მანქანისკენ გავყევით. მან უახლოეს ციხეში, „კობერში“ გადაგვიყვანა. ეს იყო მკაცრი რეჟიმის, პატიმრების წამებით განთქმული ციხე. თუმცა დანიშნულების ადგილზე მისვლისას საოცარი ახალი ამბები დაგვხვდა. კობერის ციხის უფროსმა იცოდა, რომ ჩვენი საქმეები გამოძიების პროცესში

იყო, ამიტომ უარი თქვა რომელიმე ჩვენგანის დატოვებაზე, სანამ სასამართლო პროცესები არ დასრულდებოდა. ისევ ომდურმანის მამაკაცთა ციხეში დავბრუნდით საქონლის გადასაზიდით და უშიშროების ოფიცერთა მხრიდან გესლიანი სიცილის ტალღა შემოგვეგება. მათი სახის გამომეტყველებიდან გამომდინარე, ვიცოდი, რომ აუცილებლად იპოვიდნენ ჩვენი დასჯის საშუალებას მათი დროის ფუჭად დაკარგვის გამო.

* * *

სამი დღის შემდეგ ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, მცველი ისევ მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

- აიღეთ თქვენი ნივთები.

ამჯერად დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ ადგილიდან სამუდამოდ გადაგვიყვანდნენ. უშიშროების თანამშრომლებმა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დასჯა გადაწყვიტეს. საქონლის გადასაზიდში ჩავჯექით და მცველებს საათზე მეტხანს მივყავდით. მალე ჩემი თანასაკნელები მიხვდნენ, სადაც მივდიოდით - ეს იყო ციხე „ალ-ჰუდა“, რომელიც ქალაქიდან საკმაოდ შორს არსებულ უზარმაზარ საპატიმრო კომპლექსს წარმოადგენდა. წინა ციხეებისგან განსხვავებით, რომლებშიც უმთავრესად პოლიტპატიმრები და მამაკაცები იმყოფებოდნენ ნაკლებად მძიმე დანაშაულებებით, ალ-ჰუდაში ყველა ჯურის კრიმინალი იყრიდა თავს ორგანიზებული ქურდობის, ნარკოტიკებით ვაჭრობის, ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის, გაუპატიურებისა და მკვლელობების ჩათვლით. ციხეს სრული დატვირთვის შემთხვევაში 10 000-მდე პატიმრის მიღება შეეძლო.

მაინტერესებდა, რა გველოდა ჩვენს ახალ სამყოფელში, რომელიც სუდანის უდაბნოში მდებარეობდა.



20

ჩვენმა მძღოლმა უდაბნოს სიღრმეში შეგვიყვანა სუდანის დედაქალაქ ხართუმის ჩრდილოეთით და მისი თანამოძმე ქალაქის, ომდურმანის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით, საათნახევრის სავალზე. საქონლის გადამზიდიდან მარჯვნივ გავიხედე და დავინახე, რომ ყავისფერი პეიზაჟი თანდათან სამი გორაკისკენ მიემართებოდა - გებუ აბა მერას, გებელ მეხიათის და გებელ ლეირიკის მიმართულებით. მტვრიან გზაზე მარცხნივ შევუხვიეთ, რომელიც დიდ თეთრ-მწვანე უსაფრთხოების ჭიშკართან სრულდებოდა. ეს გახლდათ ცნობილი უდაბნოს ციხის შესასვლელი.

ოთხივე ჩვენგანი მეორე სექციის გადავსებულ საკანში მოგვათავსეს და მაშინვე დავიწყეთ ახალ გარემოში აკლიმატიზაცია. იატაკი ნაცრისფერი და კრემისფერი ფილებით იყო მოგებული და რამდენიმე მუშა ინტერიერის კედლებს გამალებით ათეთრებდა.

ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებაში თავს ხშირად ვუსვამდი კითხვას, რატომ მერგო ამხელა პატივი, რომ არაფერი მეკეთებინა ბიბლიის კითხვის გარდა. ამის პასუხი და ჩემი გაგება, რომ ეს ყველაფერი უფლის საოცარი გეგმის ნაწილი იყო, სამი თვის შემდეგ, იმ დღეს მოვიდა, როცა ალ-ჰუდას ციხეში მოვხვდი.

ალ-ჰუდაში გადაყვანას უკიდურესი იმედგაცრუება ახლდა. გარდა იმისა, რომ ნიაბა მენდოლაში ჩემი იზოლირებული კამერის განმარტოება დავკარგე, მოგვიანებით, ღამით აღმოვაჩინე, რომ ახალი კამერა მეტისმეტად ბნელი იყო ბიბლიის საკითხავად.

თუმცა მალე გავიგე, რომ უფალმა რაღაც უფრო საინტერესო ჩაიფიქრა აქ, ამ უდაბნოში.

ალ-ჰუდაში ჩამოსვლის დღესვე ჩვენს ხალხმრავალ საკანში ორი პატიმარი მეგობრული, მშვიდობიანი ღიმილით შემოვიდა და ერთ-ერთმა იკითხა:

- სად არიან პასტორები, რომლებიც დღეს მიიღეს ციხეში?

ჩვენ ნელა ავწიეთ ხელები და კაცები ახლოს მოვიდნენ მისასალმებლად. რაც ამის შემდეგ თქვეს, ჩემთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა: ისინი ციხის სამლოცველოში გვეპატიჟებოდნენ.

- ციხის სამლოცველო? - უნდობლად ვიკითხე მე.

- აქ სამლოცველო არსებობს?

- დიახ, არის! - მოვიდა ღიმილიანი პასუხი.

მალევე გავიგე, რამდენად კარგი იყო ეს ამბავი. უშიშროების ან ნიაბა მენდოლას პოლიციიის განყოფილების ციხეებისგან განსხვავებით, სადაც მუსულმანებს მეჩეთში სიარული აკრძალული ჰქონდათ, ამ დიდ ციხეში ერთი კი არა, რამდენიმე მეჩეთი იყო - თითო ყველა სექციისთვის. თითოეული მეჩეთი ოთხას ადამიანს ემსახურებოდა. დასწრება თავისუფალი გახლდათ. დღეში ხუთჯერ ისმოდა აზანის (ლოცვის მოწოდება) ზარი. თუმცა აქ, ალ-ჰუდაში ასევე ბევრი არამუსულმანი იჯდა. პირველ რიგში, ესენი იყვნენ სამხრეთ სუდანის ქრისტიანები და ასევე, ანიმისტები, რომლებიც ტრადიციულ აფრიკულ რელიგიებს აღიარებდნენ. შედეგად ციხის ადმინისტრაციამ არამუსულმან პატიმრებს სამლოცველო მოუწყო.

ერთ დროს სამლოცველო ჩვეულებრივი კამერა იყო, სადაც ასი ადამიანი თავსდებოდა ციხის კომპლექსის მე-5 სექციის მეორე სართულზე. მას შემდეგ, რაც საწოლები გაიტანეს, ხოლო კედლები ლურჯი ლატექსის საღებავით შეღებეს, გადაკეთებული სამლოცველო სახლი ხალხის ფეხზე დგომის შემთხვევაში უკვე ორას და უფრო მეტ პატიმარსაც დაიტევდა. კედლებზე ხატები, რელიგიური მხატვრობის ნიმუშები და ჯვარცმა ეკიდა, რომელიც ზუსტად მქადაგებლის თავზე იყო განთავსებული. წინ გრძელი, პლასტიკატით დაფარული მაგიდა იდგა, რომელიც კათედრისა

და სამსხვერპლოს როლს ასრულებდა. ოთახში სკამებიც იყო, რომ მსახურების დროს პატიმრები დამსხდარიყვნენ.

კაცები, რომლებმაც პირველად მიგვიწვიეს სამლოცველოში, ციხის ეკლესიის უხუცესები გამოდგნენ. როცა ალ-ჰუდაში მივედით, სამოლოცველოს მუდმივ დამსწრეებს მოუხმეს. ტრადიციული აფრიკული დოლებით ჩვენი მოსვლა გამოაცხადეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ორი ათეული პატიმარი შემოგვიერთდა, რომ პირველ მსახურებაზე მოგვსალმებოდნენ. უხუცესებმა მე და ორი სუდანელი პასტორი წინ გამოგვიყვანეს, როგორც საქმ. 13:15-შია და მაშინვე საოცარი რამ გვთხოვეს: „ძმებო, თუ ამ ხალხისთვის ნუგეშის სიტყვა გაქვთ, გვითხარით“.

სუდანელმა კოლეგებმა იცოდნენ ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილებაში ბიბლიას სამი თვის განმავლობაში ვსწავლობდი, ამიტომ ჩემზე მიუთითეს. ბიბლია გადავშალე და მათ უფლის სიტყვა გავუზიარე იოან. 15:1-10-დან. ეს გახლდათ მონაკვეთი იესოზე, ჭეშმარიტ ვაზსა და მევენახე მამაზე.

- უფალი ჩვენი, როგორც ლერწების გასხვლის პროცესზე გველაპარაკა, - დავიწყე მე, - ზოგჯერ მტკივნეულია, როცა უფალი ჩვენს ცხოვრებას კრეჭს.

და მათ ნიგერიელი მონიკა დრას ამბავი მოვუყევი. დამსწრე ქრისტიანებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ამ შთამაგონებელმა ამბავმა და ყურებს არ უჯერებდნენ, როცა უშიშროების ციხეში „ისლამური სახელმწიფოს“ მეომრების რეაქცია გავაცანი.

უფალმა ომდურმანის მამაკაცთა ციხეში ქადაგების ერთადერთი შესაძლებლობა მომცა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩრდილი იყო იმისა, რაც ალ-ჰუდას ციხეში გამიმზადა. ამ უდაბნოში, ამ უდაბურ ციხეში სხეულისა და სულის ოაზისი ვპოვე.

ჩვენი მოყვანიდან ორი დღის შემდეგ მე-2 სექციიდან მე-3-ში გადამიყვანეს, რომელშიც ყველაზე საშიში ადამიანები იმყოფებოდნენ. აქ შეხვდებოდით შუკვანის მსგავს ხალხს, რომელსაც ათი წლის წინ შვიდნახევარი წელი მიუსაჯეს ჩხუბში მეგობრის უნებლიე მკვლელობისთვის. ის გამობრძმედილი

და ბუნებით მეომარი ადამიანი გახლდათ, რომლის სხეული ნაიარევებით იყო დაფარული.

შუკვანმა უფალი ალ-ჰუდას თანაპატიმართა ქრისტიანული დამოწმებით შეიცნო და უკვე სამი წელია, რაც იესო ქრისტეს მიმდევარი გახდა. იმის მიუხედავად, რომ უნებლიე მკვლელობის ვადა მოიხადა, გათავისუფლებაზე უარი უთხრეს, სანამ მთელ სასამართლო გადასახადს არ დაფარავდა 38 000 სუდანური ფუნტის (6300 აშშ დოლარი ოფიციალური კურსით და 2000 დოლარი ჯიხურების კურსით, რომელზეც ინფლაციამ იმოქმედა) ოდენობით.

ციხეში მოსვლის პირველ ღამეს ძმა შუკვანმა დაინახა, რომ იატაკზე მეძინა და ადგილის გაცვლა შემომთავაზა. იგი საწოლიდან ადგა და იატაკზე დაწვა, მე კი თავის საწოლში კარგად გამოძინების საშუალება მომცა. მისი ეს უანგარო საქციელი ყველაზე დამარწმუნებული მტკიცებულება გახლდათ - დავინახე გული, რომელიც იესო ქრისტეს სიყვარულით დარბილდა და ჩამოყალიბდა. ალ-ჰუდაში პატიმრები თვეობით და ზოგჯერ, წლობითაც ელოდებოდნენ, როდის ერგებოდათ საწოლი წინა პატიმრისგან, ამიტომ მისი შემოთავაზება შესანიშნავი იყო, მით უმეტეს, რომ სანაცვლოდ არაფერს ელოდებოდა. ამ მოწმობამ დიდად იმოქმედა ჩვენს კამერაში მყოფ მუსულმანებზე. ადრე იმიტომ სცემდნენ პატივს, რომ ძლიერი მეომარი იყო, ახლა კი მისი მხრიდან მსხვერპლის გაღებისა და სიყვარულის უნარის გამო მოიხიბლნენ.

და მაინც, რაც არ უნდა დაუჯერებელი ყოფილიყო შუკვანის ჟესტი, ღამის ღრმა ძილი ცოტა რამეს თუ შველოდა გამუდმებულ ფორიაქს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ჩემი ციხეში დარჩენა გამორიცხული არ იყო.



21

ალ-ჰუდას ციხეს ჭუჭყიანი ეთქმოდა გარდა სამლოცველოსი, რომელსაც განსაკუთრებით ვუვლიდით და ზოგიერთ მცველს დამატებით თანხასაც ვუხდიდით, რომ თვეში ერთხელ კოღოების საწინააღმდეგო წამალი დაეხრჩოლებინათ. ოთახში ონკანის წყალი იყო, მაგრამ წნევა არ ჰქონდა. ამოსაქაჩად და შენობის შიგნით შემოსაყვანად საჭირო იყო ელექტროტუმბო. როცა წყალი მოდიოდა, ყოველთვის ვსარგებლობდით შემთხვევით, რომ რამდენიმე დიდი კასრი გაგვესო დასალევად და ელექტროენერგიის გათიშვის დროისთვის.

სამლოცველოს ონკანის წყალი საშუალებას მაძლევდა, რომ ოთხი ორლიტრიანი პლასტიკატის სურა ამევსო, რომლებიც ხელების გაწონასწორებით ჩემს კამერაში შემქონდა. იქ საშხაპეც იყო, სადაც ვიბანდი. ყოველ 7:00 საათზე, დილის შემოწმების შემდეგ მყისვე სამლოცველოში მივდიოდი, რომ ერთი სათლი წყალი გადამევლო. მივხვდი, რომ იქამდე სწრაფად უნდა მივსულიყავი, სანამ სხვა პატიმრები გამოჩნდებოდნენ, რათა ვინმეს ჩემი ნივთები არ მოეპარა.

ჩვენს სამლოცველოში ყოველ კვირა ხუთი მსახურება ტარდებოდა და სხვადასხვანაირი წარსულისა და დენომინაციის ქრისტიანებს სიხარულით ველოდით.

კვირაობით მსახურებას ერიტრეელების ჯგუფი ესწრებოდა. ისინი თავიანთი ტრადიციის შესაბამისად ფეხსაცმელებს იხდიდნენ და სამჯერ კოცნიდნენ კედელზე დაკიდებულ მარიამის ფოტოსურათს. იგივე აკეთებდნენ ჯვარცმასთან. გული მიმძიმდებოდა, როცა მათ ტრადიციულ რიტუალებს

ვაკვირდებოდი და მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ცოცხალ ქრისტეს იცნობდნენ და არა მარტო მისი ისტორიის ირგვლივ წარმოშობილ წეს-ჩვეულებებს.

ერთხელ იოან. 3:14-15-დან ვქადაგებდი. ამ მონაკვეთში იესო ქრისტე ნიკოდემოსს უხსნიდა, რომ ძე კაცისას ისევე მართებს ამაღლება, როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, რათა ყველა მის მორწმუნეს ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. ვახსენე ისტორია რიცხვთა წიგნის 21-ე თავიდან. ისრაელიანები უდაბნოში დაეხეტებოდნენ და გველებმა დაკბინეს. მოსეს სარზე სპილენძის გველის დამაგრება დაევალა. ყოველი დაკბენილი, რომელიც რწმენით შეხედავდა გველს, იკურნებოდა. „ასევეა ჩვენს შემთხვევაშიც, - ვთქვი მე, - როცა საკუთარ ცოდვილიანობას ვაცნობიერებთ, იესოს უნდა შევხედოთ, რომელიც ჯვარზე აღამაღლეს და გადარჩენას მივიღებთ. მხოლოდ იესოს რწმენით შეხედვა გვკურნავს და მაღლიდან გვშობს“.

შემდეგ 2 მეფ. 18:4 ვახსენე, რომელიც სულიწმიდამ გამახსენა, როცა სამლოცველოს კედლებზე გამოსახული სიმბოლოების ყოველგვარი მთხვევითა და ამბორით გამოხატულ ქრისტიანულ კერპთაყვანისცემაზე ვწუხდი. ტექსტში ნათქვამია, რომ იუდას მეფე ხიზკიამ მაღლობები დაანგრია, სვეტები დაამტვრია და აშერა (თაყვანისცემის ბოძი ან ხე) აჩეხა. ამასთან ერთად, ნაკუწებად აქცია სპილენძის გველი, რომელიც მოსემ გააკეთა, რადგან ისრაელიანები მას თაყვანს სცემდნენ და ნეხუშთანს უწოდებდნენ. ჩემს თანაპატიმრებს ავუხსენი, რომ სარზე დამაგრებული სპილენძის გველი, რომელიც ერთ დროს ისრაელიანთა სიცოცხლის ხსნას ემსახურებოდა, კერპთაყვანისცემის ობიექტად გადაიქცა. აი, ამ დროს ვამჯობინებთ ქრისტეს ნაცვლად ჯვარცმის ფიზიკური ასლის ამბორსა და თაყვანისცემას.

ჩემი ქადაგების შემდეგ საოცარი რამ მოხდა: ბევრი ერიტრეელი თანასაკნელი მოვიდა და მადლიერება გამოხატა. მითხრეს, რომ სულიწმიდამ მათ თვალი აუხილა. ამიერიდან თავად ქრისტეს სცემდნენ თაყვანს ჯვარცმის გამოსახულების ნაცვლად და სიცოცხლეს მას მიუძღვნიდნენ.

ერიტრეელების უმეტესობა ციხეში იმის გამო მოხვდა, რომ სუდანის საზღვარი უკანონოდ გადმოლახეს. იმედი ჰქონდათ, რომ იქიდან ჯერ ლიბიაში, შემდეგ კი ევროპაში გადავიდოდნენ. ამ დანაშაულისთვის ყოველ მსჯავრდებულს ოთხი ათასი სუდანური ფუნტი უნდა გადაეხადა ან სამთვიანი პატიმრობა მოეხადა. ბევრი მალე გაათავისუფლეს, რადგან მათმა ნათესავებმა გამოსასყიდი გადაიხადეს, მაგრამ სხვებმა სასჯელის ვადა მოიხადეს.

მას შემდეგ, რაც ამ ციხეში მოვედი, უფალი ერთგული იყო და ქადაგების საშუალებას მაძლევდა კვირაში ერთხელ ან ზოგჯერ, ორჯერაც კი. ვიცოდი, რომ მსახურებებზე დიდი რაოდენობით ურწმუნოები მოდიოდნენ, ამიტომ ჩემი ქადაგებების უმეტესობა მახარებლური გახლდათ, ხოლო ყოველი მესამე ქრისტეში თანამორწმუნეებისთვის იყო განკუთვნილი. ამ ქადაგებებს დევნისთვის მათ მოსამზადებლად ვიყენებდი.

ამ სიტყვით „დევნის სახარებას“ ვქადაგებდი. ეს იყო შეტყობინება იმის შესახებ, რომ ტანჯულ მხსნელს მივყვებით, რომელიც ჩვენც გვაძლევს ტანჯვის ნებას. იესო ჯვარზე მოკვდა ენით აღუწერელი სისასტიკის მოთმენით, რომ ქრისტიანებს თავი დაეღწიათ ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან და საუკუნოდ ეცოცხლათ. მის მიმდევრებსაც შეგვხვდება აქ, დედამიწაზე ტანჯვა. როცა ჩვენი რწმენის გამო ვიტანჯებით, ქრისტეს ტანჯვის თანამონაწილეები ვხდებით. მსმენელებს ქრისტიანული დევნის ისტორიები ვუამბე, მონიკასნაირი ქალებისა და დანჯუმასნაირი ბიჭების შესახებ. ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ალ-ჰუდას კაცები დევნისთვის მომემზადებინა და ტანჯვა წმიდა წერილის შუქზე მეჩვენებინა.

ვფიქრობ, დევნის სახარებაა სწორედ იესო ქრისტეს ნამდვილი სახარება.

* * *

სამლოცველოში მსახურებები დადგენილ დროს იწყებოდა დილის 9:00 საათზე კვირაში ხუთჯერ ზარის ხმასთან ერთად. ლოცვის და ქადაგების დრომდე ყოველთვის ისმოდა

თაყვანისცემის მუსიკა. პატიმრები ტრადიციულ აფრიკულ სიმღერებს გალობდნენ არაბულ ენაზე, ხოლო გიტარაზე ან სხვა დასავლურ ინსტრუმენტებზე დაკვრის ნაცვლად აფრიკულ მარაკასსა და ბონგო დოლებს იყენებდნენ. დოლები თავად დაამზადეს იდ ალ-ადჰას დროს, რომელიც მუსულმანური „მსხვერპლშეწირვის დღესასწაული“ გახლავთ.

ამ ფართოდ გავრცელებული ზეიმის აღსანიშნავად, ციხის ყველა საკანს დაკლული ცხვარი დაურიგეს. ალ-ჰუდას ზოგიერთმა ქრისტიანმა ამ ხორცის ჭამაზე უარი განაცხადა. მათი აზრით, ახალი აღთქმა კერპშენაწირის საკვებად გამოყენებას კრძალავდა (1 კორ. 8). გადავწყვიტე, პავლე მოციქულის განმარტებას მივყოლოდი, რომლის თანახმადაც ყველაფრის ჭამა შეგვიძლია, რაც ბაზარში იყიდება და კითხვები არ უნდა დავსვათ სინდისის გამო - „დედამიწა და მისი სავსება ხომ უფლისაა“ (1 კორ. 10:25-26)? ჩემთვის ეს ხორცი ღვთის საჩუქარი იყო და მომწონდა ამ გემრიელი ცილის ყოველი გრამის მიღება.

ცხვრის ყოველი ნაწილი რაღაცისთვის გამოიყენებოდა. ზოგიერთმა პატიმარმა ტყავები სამლოცველოში მოიტანა, რომ დოლები გაეკეთებინათ. მათ თაყვანისცემისთვის ვიყენებდით. ტყავის გამოქნა რთული პროცესია. სამი კვირის განმავლობაში მას ნატრიუმის ჰიდროქსიდში ასველებენ, რომელსაც უსიამოვნო სუნი ასდის, თუმცა ცხიმებს, ხორცსა და ტყავის სხვა ნარჩენებს ხსნის. ამის შემდეგ პატიმრები ტყავს რეცხავენ, ჭრიან და მზეზე აშრობენ, სანამ გაჭიმავენ და დოლზე გადააკრავენ.

თაყვანისცემა ქრისტიანთა ჯგუფის რამდენიმე სასიამოვნო და რბილი ხმით იწყებოდა. ისინი მღეროდნენ და დოლებზე უკრავდნენ. მალე სხვა პატიმრები უერთდებოდნენ. ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა, ორგანულად ვრცელდებოდა საკნიდან საკანში და სექციიდან სექციაში, სანამ მთელი ციხის ქრისტიანები ღმერთს ერთობლივად არ განადიდებდნენ და სამლოცველოში არ შეგროვდებოდნენ თაყვანსაცემად.

ალ-ჰუდაში ეს იყო ქრისტიანული პასუხი მუსულმანების ლოცვისკენ მოწოდებაზე.

* * *

ზოგჯერ კათოლიკე ღვთისმსახურიც მოდიოდა, რომელიც მესას ატარებდა და ევქარისტიას უძღვებოდა. მართლმადიდებელი მოძღვარიც გვყავდა, რომელიც ტრადიციულ წირვას ატარებდა მართლმადიდებელი სუდანელი ქრისტიანებისთვის. ჩვენც გვყავდა ხარიზმატული მოძრაობის მქადაგებლები. ეს ადამიანები პატიმრების სასწაულებრივი განკურნებისთვის ლოცულობდნენ და დემონებსაც კი დევნიდნენ, რაც აფრიკის ამ ნაწილში ჩვეულებრივი მოვლენაა.

ორი სუდანელი პასტორი, რომლებიც ჩემთან ერთად იყო, მორიგეობით ქადაგებდა. ისინი ჯანსაღი საეკლესიო დენომინაციის ნაწილს წარმოადგენდნენ სუდანში და მათი ქადაგებები ბიბლიას სრულად ეფუძნებოდა. მე, ჩვეულებრივ, პარასკევობით და კვირაობით ან ნებისმიერ სხვა დღეს ვქადაგებდი, როცა მეტყოდნენ. ჩვენი წარმოშობის ან ქრისტიანული ტრადიციის მიუხედავად, ქადაგებებს ყველანი სახარების ძირითად ელემენტებზე, ბიბლიისა და ზეციდან შობის მნიშვნელობაზე ვაგებდით.

ერთხელ, პარასკევს იოანეს სახარების მე-9 თავიდან ვქადაგებდი ადამიანზე, რომელიც ბრმა დაიბადა. მსახურების დასასრულს მონაწილეებს საშუალება მივეცი, რომ ღვთის შინაგან ბიძგზე საჯაროდ ეპასუხათ. ყველას, ვისაც თავისი გზის დაწყება იესო ქრისტეს რწმენით სურდა, სამლოცველოს წინა ნაწილში გადმოსვლა ვთხოვეთ. იმ დღეს ღვთის მადლით თორმეტი ადამიანი წამოდგა და წინ გამოვიდა. ღმერთი ყოველ კვირას გვაკვირვებდა იმით, თუ რამდენი ადამიანის სიცოცხლეს ცვლიდა.

თუმცა ჩვენს სამლოცველოში მოსული ყველა ადამიანი როდი იყო ქრისტიანი. ასევე მივესალმებოდით სამხრეთ სუდანელ მამაკაცებს, რომლებიც ცხოველებს სცემდნენ თაყვანს და აფრიკული რელიგიის ყველა ტრადიციულ ფორმას აღიარებდნენ. გული მტკიოდა ამის გამო და მთელი ძალით ვცდილობდი ჩემი ქადაგებების მათკენ მიმართვას იმ იმედით, რომ ღმერთი

ჩემს არასრულყოფილ სიტყვებს უშუალოდ მათ გულებთან დასალაპარაკებლად გამოიყენებდა.

ჩემი მიზანი არ გახლდათ ქადაგებებში ვინმეს დამცირება ან მათი წარსულის თუ კულტურის გაკრიტიკება; ამის ნაცვლად იესო ქრისტესთან მათი მიყვანა მსურდა, რომელმაც თქვა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემს მიერ“ (იოან. 14:6).

ვლოცულობდი ყოველ ქადაგებამდე და მის შემდეგ, რომ სულიწმიდას ამ ადამიანებისთვის ჭეშმარიტება გაეხსნა. მინდოდა, გაეგოთ, რომ ღმერთს ისინი უყვარდა, ცოდვებს პატიობდა და მათთან პირადი ურთიერთობის ქონა სურდა. ღვთის შრომის შედეგად მრავალმა ანიმისტმა მიიღო სახარება და უფალი შეიცნო.

უკვე აღარ ვდარდობდი, რამდენ ხანს ვიქნებოდი ციხეში. სანამ უფალს უნდოდა ჩემი აქ ყოფნა, დასარჩენად მზად ვიყავი - არც ერთი დღით მეტად ან ნაკლებად.

* * *

ომდურმანში სუდანელ პასტორებს დღეში სამჯერ სტუმრობდნენ ოჯახის ან ეკლესიის წევრები. ალ-ჰუდას სიშორის გამო ჩემი ორი მეგობარი სტუმრებს კვირაში მხოლოდ ორჯერ იღებდა.

ვანდას ციხეში ჩემი მონახულება სურდა, მაგრამ ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადაათქმევინა. როცა ერთმა ორგანიზაციამ თანხა შეაგროვა მის ჩამოსასვლელად, ჩეხეთის მთავრობა დათანხმდა, მაგრამ საკონსულოს თანამშრომელს ვუთხარი, რომ არ მინდოდა ჩემი ოჯახის სუდანში ჩამოსვლა.

მე და ჩემს ვაჟს ერთნაირი სახელები გვაქვს და მაფიქრებდა, რა შეიძლება მომხდარიყო, როცა ჩამოვიდოდნენ.

* * *

მალე გავიგე, რომ ამ ციხეში ყველაზე ცუდი ქცევა სუდანელი მცველებისგან იყო მოსალოდნელი. ამ ციხის რემონტისთვის

მსხვილი თანხები გამოყვეს, მაგრამ მცველები მის კონფისკაციას ახდენდნენ და ერთმანეთში იყოფდნენ. ისინი გამუდმებით ნარკოტიკებს მოიხმარდნენ და პატიმრებისგან ფულს ითხოვდნენ.

ახალი თანასაკნელებისგან შევიტყვე, რომ ელექტროენერგია კვირაში ორჯერ მაინც ითიშებოდა. ჭერის ვენტილატორები ფუჭდებოდა, ნათურები ქრებოდა, ხოლო სამზარეულოს მოწყობილობა აღარ ფუნქციონირებდა. პატიმრები მცველებს ადანაშაულებდნენ ელექტროენერგიის განზრახ გათიშვაში შემოსავლის მიღების მიზნით.

„თითოეულმა საკანმა 100 ფუნტი უნდა მოგვცეს, რომ პრობლემა გადავჭრათ“ - ამბობდნენ მცველები. როცა პატიმრებმა მათი მოთხოვნა გაითვალისწინეს და ფული გადაიხადეს, დენი უცებ მოვიდა.

17:00 საათზე მცველებმა პატიმრები გადათვალეს და საკნის კარები ჩაკეტეს.

- როცა ისინი კარებს კეტავენ, - მითხრა ერთმა პატიმარმა, - ჩვენ თავისუფლება გვეძლევა.

მე-2 სექციაში ჩვენი პირველი ღამის შემდეგ მივხვდი, რატომაც ხდებოდა ასე. როგორც კი კარები ჩაიკეტა, პატიმრებმა მობილურები ამოიღეს და რეკვას შეუდგნენ.

როცა დენი ითიშებოდა, ტუსაღებს შორის დაძაბულობა მატულობდა ჩვენს გადავსებულ საკნებში და ბევრი მათგანი სამოლოცველოში მიდიოდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და დასაწყნარებლად. სამლოცველო წყნარი ადგილი გახლდათ და თავისუფალ დროს იქ ვრჩებოდი ბიბლიის შესასწავლად, სხვა პატიმართა გასამხნევებლად და ხანგრძლივი საუბრები მქონდა ახალმოქცეულ ქრისტიანებთან ან მათთან, ვინც ქრისტეს კვალზე სიარულს აპირებდა. ამ ციხეში ხალხს ღმერთი სწყუროდა და სამლოცველო სულიერი საუბრებისთვის შესანიშნავად მორგებული ადგილი გახლდათ.



22

პატიმრობის რვა თვეზე მეტი გავიდა და 2016 წლის 21 აგვისტოს, კვირას, როგორც იქნა, დადგა ჩემი სასამართლოს დღე. პასტორი ჰასანი, პასტორი კუვა და მონიმი თანამზრახველები ვიყავით. დილით ადრე სამლოცველოში წყალი გადავივლეთ და სასამართლოსთვის ჩავიცვით. ორივე პასტორი შავ შარვლებს, შავ პერანგებსა და სასულიერო პირის საყელოებს ატარებდა. მე ჯინსები, ნაცრისფერი მაისური და ჩუსტები ამოვირჩიე. ამ დროისთვის ჩემი თმა და წვერი გრძელი და ვერცხლისფერი გახდა. სრულიად მიშვებული და მოუვლელი ვიყავი, როცა გავიგე, რომ ჩვენი პირველი სასამართლო ჩაინიშნა.

სპეციალურმა დაცვამ - სასამართლოს პოლიციამ ალ-ჰუდადან ხართუმის ცენტრში მდებარე ციხის შენობაში გადაგვიყვანა. წაყვანამდე მცველებმა ხელბორკილები მოგვხსნეს, რასაც თითქმის ორი საათი დასჭირდა საქონლის გადასაყვანი სატვირთოს უკანა ნაწილში და ბოლოს მანქანის პლატფორმის ორივე მხარეს ჩარიგებულ ლითონის სკამებზე დავსხედით.

როცა ციხის შენობაში მივედით, მცველებმა ხელბორკილები გაგვიკეთეს და დასალოდებელ საკანში გადაგვიყვანეს.

პატარა ოთახში ათობით პატიმარი იყო შეტენილი. ჭუჭყიან დასალოდებელ ოთახში დასაჯდომი ადგილები არ იყო, ამიტომ საათობით დავეხეტებოდით მახლობელ გარე ეზოში, რომელიც მავთულხლართებით იყო შემოვლებული. როცა ამ პატარა სივრცეში დავაბიჯებდი, მეზობელი სასამართლოს შენობიდან სიმღერის ხმა გავიგონე.

ძმებთან ერთად მალე დავადგინეთ სიმღერის წყარო და გაოგნებული დავრჩით. ნუბიის მთების ბინადარი პასტორი კუვას ტომის ასობით ქრისტიანი ავტობუსით ხართუმში ჩამოვიდა ჩვენს მხარდასაჭერად. თუმცა სუდანის სპეცრაზმმა მათ შენობაში შესვლის უფლება არ მისცა ფარების, ხელკეტებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით. ისინი გარეთ იდგნენ და დავითსა და გოლიათზე მღეროდნენ. პირველი მოსმენის მოლოდინში გარე ეზოში ვიდექით და ვუსმენდით, როგორ აიმაღლა ხმა ქრისტეს სხეულმა ჩვენი გასამხნევებელი სიმღერით. ისინი სიცოცხლის ფასად რისკავდნენ, როცა ასეთ აშკარა მხარდაჭერას გამოხატავდნენ. მათმა ვაჟკაცობამ მომხიბლა. მაინტერესებდა, რამდენ მათგანს დააპატიმრებდნენ. პასტორ კუვას ცრემლები მოადგა, როცა სიმღერებს თავის გულის ენაზე ისმენდა.

ბოლოს, 13:00 საათი რომ ხდებოდა, ხართუმის ცენტრის სასამართლოში პირველ მოსმენაზე გამოგვიძახეს. ლურჯ ფორმებში გამოწყობილმა და აკა-47-ით შეიარაღებულმა მცველებმა კამერიდან გამოგვათრიეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ ოთხი ჭრელ ჯგუფს წარმოვადგენდით. მცველებმა ხელბორკილები დაგვადეს, რომ საშიში დამნაშავეების იერი გვქონოდა. მე და პასტორი ჰასანი ერთად გადაგვაბეს, ხოლო პასტორი კუვა და მონიმი - ცალკე. როცა ეზოდან სასამართლოს შენობისკენ მივდიოდით, ნუბიის მთების ქრისტიანთა ჯგუფში გავიარეთ. მე და ჰასანმა ხელები ავწიეთ და დავუქნიეთ. მათაც აპლოდისმენტებით გვიპასუხეს. სიტყვები ვერ გავიგე, მაგრამ ჰასანისა და კუვას ცრემლიანმა თვალებმა ყველაფერი მითხრეს, რის ცოდნაც საჭირო იყო. მათი ხმები ლოდინის კამერიდან შენობამდე გვაცილებდა და ემოციების შეკავებას მთელი ძალით ვცდილობდი.

მალე სასამართლოს დარბაზთან მივედით. ეს გახლდათ ძველი, მოუვლელი სივრცე, რომელიც მცრთალი ყვითელი ფერის ბათქაშით გაელესათ, თუმცა ადგილ-ადგილი კიდეც ჩამოცვენილიყო. შენობაში ობის სუნი იგრძნობოდა. ვიღაცამ ჩამტვრეულშუშებიანი ალუმინის ფანჯარა გამოაღო და

მონაბერმა ქარმა სუნი და სიცხე უფრო ასატანი გახადა, თუმცა არც იმდენად, რომ ოფლი არ გამომსვლოდა.

როცა ოთახში შევედით, დავინახე, რომ შიგნითაც გაძლიერებული დაცვა იდგა. უშიშროების თანამშრომელთა გარდა იქ იმყოფებოდნენ სასამართლოსა და ციხის პოლიციის მუშაკები, კარგად შეიარაღებული კაცები, რომელთაც სპეცრაზმის ფორმა ეცვათ და ცრემლსადენ გაზს ატარებდნენ. გარეთ მყოფი ქრისტიანების გარდა შენობის შიგნითაც იყვნენ მხარდამჭერები. ზოგიერთები ადგილობრივი ეკლესიიდან მოსულიყვნენ, როგორც ჰასანმა და კუვამ მითხრეს; სხვები, როგორც გავიგე, უფლებადამცველი ორგანიზაციის საიდუმლო წარმომადგენლები გახლდნენ, რომლებიც სუდანში საარჩევნო უფლებებისა და დემოკრატიული სისტემის წასახალისებლად შეიქმნა. ამ ორგანიზაციის რამდენიმე წევრი ჩემი თანასაკნელიც კი იყო. დავინახე აშშ-სა და შვეიცარიის საკონსულოების თანამშრომლები, ასევე ჩეხეთის საკონსულოს ერთი თანამშრომელი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელი. მათთან ერთად სხვა, პროფესიულ სამოსში გამოწყობილი კაცები და ქალებიც იყვნენ, რომლებიც ევროპული სახელმწიფოებისა და ევროკავშირის დიპლომატებს წარმოადგენდნენ. დამსწრეებმა ყველა არსებული ადგილი შეავსეს და იატაკზეც ისხდნენ.

სამი თვით ადრე უშიშროების სამსახურმა, როგორც იქნა, გახსნა საქმე # 41/2016, მაგრამ სასამართლოს ფაქტიურად აგვისტოში გადაეცა, როცა ჯერ ომდურმანის, შემდეგ კი ალ-ჰუდას ციხეში გადაგვიყვანეს. სასამართლოს პირველი სხდომა წინ კვირას იყო დანიშნული, მაგრამ გადაიტანეს. მცველები ირწმუნებოდნენ, რომ წვიმიანმა ამინდმა ციხიდან სასამართლომდე ჩვენს ტრანსპორტირებას ხელი შეუშალა. მალე გავიგეთ, რა იყო ამის რეალური მიზეზი. როცა უშიშროებამ ნუბიის მთების ქრისტიანთა მასობრივი დასწრება დაინახა - ქალებისა და კაცების სიმრავლე, რომლებსაც ხართუმამდე მოუხერხებელი ავტობუსებით მრავალდღიანი, მძიმე მგზავრობის ატანა მოუხდათ - მოსმენა გადადო იმ იმედით, რომ ნუბას მორწმუნეები მალე სახლში

დაბრუნდებოდნენ. თუმცა ქრისტიანები დაშლას არ აპირებდნენ მათი პასტორების მხარდაჭერის გარეშე. მათ პირველ მოსმენამდე დარჩენის მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს და ხართუმელი ქრისტიანების მასპინძლობით ისარგებლეს.

უკვე 21 აგვისტოს 13:00 საათს გადაცდა და სასამართლო დაიწყო. მთავარი მოსამართლე გახლდათ დ-რი ოსამა მოჰამედ აბდალა, რომელიც სასამართლო დარბაზის წინა ნაწილის ამაღლებულ პლატფორმაზე იჯდა შავ მოსასხამში გამოწყობილი. აბდურაჰმან ახმედ აბდურაჰმანი საგამოძიებო ადვოკატი გახლდათ, ხოლო ჩვენ ოთხს, როგორც აღმოჩნდა, სამი ოფიციალური და მთელი თოთხმეტი მოხალისე ადვოკატი გვიცავდა სხვადასხვა უფლებადამცველი ორგანიზაციებიდან. იმდენები იყვნენ, რომ სასამართლოს დამხმარეებს დამატებითი სათითაო თუ გრძელი სკამების მოტანა მოუხდათ. ჩემი პირადი ადვოკატი დოქტორი შუმაინა გახლდათ, რომელსაც რეკომენდაცია ჩეხეთის საელჩომ გაუწია, მაგრამ ეჭვი გამიჩნდა, რომ ის უშიშროებას თანაუგრძნობდა და ამის გამო, არ ვენდობოდი. ასაკით ოთხმოცდაოთხი წლის იყო, ძვირფასი კოსტიუმი ეცვა და ჰონორარის სახით ძალზე დიდ თანხას ითხოვდა, შესაძლოა, სუდანის კორუმპირებული სასამართლო სისტემის თანამდებობის პირთა მოსასყიდად. ჩანდა, რომ მას პროკურორები დიდ პატივს ცემდნენ და ნიაბა მენდოლას პოლიციის განყოფილების თანამშრომლებზეც საკმაო ზეგავლენა ჰქონდა, სადაც მას პირველად შევხვდი. მიუხედავად ამისა, ის ჩემთან, ალ-ჰუდაში დაგეგმილ შეხვედრაზე არ მოვიდა, რომ საქმე უშუალოდ პირველი მოსმენის წინ განგვეხილა, მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილი მისთვის მეტისმეტად შორი აღმოჩნდა. ამან დიდი დარტყმა მიაყენა მის მიმართ ჩემს ნდობას და მორალურ სულისკვეთებას.

სასამართლოს სხდომა მხოლოდ არაბულ ენაზე მიმდინარეობდა. რიგი ჟურნალისტებისა და მრავალი უფლებადამცველის გარდა დარბაზი სავსე იყო მამაცი ქრისტიანებით, რომლებიც ჩვენს მხარდასაჭერად მოვიდნენ.

სუდანელი თანასაკნელების ოჯახის წევრები სასამართლო დარბაზის წინა ადგილებზე იყვნენ შეჯგუფებულნი.

როგორც იქნა, მოსმენა დაიწყო.

- 18 დეკემბერს, - გაისმა ბატონი აბდურაჰმანის ხმა, - უშიშროების სამსახურმა ქრისტიანი პასტორებისა და სხვა ლიდერების ჯგუფი დააკავა. ყველა ეს ადამიანი მოგვიანებით გაათავისუფლეს ამ ოთხი ბრალდებულის გარდა, რომლებიც დღეს აქ იმყოფებიან. ისინი სუდანისა და სამხრეთ სუდანის ქრისტიანულ კონფერენციაზე დასწრების გამო დააპატიმრეს, რომელიც 2015 წლის ოქტომბერში ადის-აბებაში ჩატარდა.

ბ-ნმა აბდურაჰმანმა სუდანის 1991 წლის სამართლის კოდექსის 21-ე, 50-ე, 51-ე, 53-ე, 57-ე, 64-ე და 66-ე, ასევე მოქალაქეობის შესახებ 30-1 და მოხალისეობრივი ჰუმანიტარული საქმიანობის 23-ე საბრალდებო მუხლები ჩამოთვალა. ჩემთვის წარდგენილი ბრალდება მეტისმეტად მოცულობითი იყო: ერთობლივი მოქმედება დანაშაულებრივი შეთანხმების აღსასრულებლად, საკონსტიტუციო სისტემის ძირგამოთხრა, სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის წარმოება, შპიონაჟი ქვეყანაში, საომარ რეგიონებში გამგზავრება და იქ ადგილებისა და საქმიანობის ფოტოგრაფირება, სექტებში და მათ შორის სიძულვილის გაღვივება, ცრუ ახალი ამბების გავრცელება, სუდანში უკანონოდ შემოსვლა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობის ლიცენზიის გარეშე წარმოება.

საგამოძიებო ადვოკატის სიტყვებით, დაგვადანაშაულეს სუდანის წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობაში და ნუბიის მთებში სუდანის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მნიშვნელოვან მხარდაჭერაში. მან განმარტა, თითქოს სამხილებს ვაგროვებდით, რომლებიც სუდანის მთავრობის საწინააღმდეგო ბრალდებებს მოიცავდა: ძალადობის აქტები მოქალაქეთა გადასახლების ჩათვლით, სასამართლოს გარეშე მკვლელობები, სოფლების გადაწვა და გენოციდი; ქრისტიანების შევიწროება და წამება, ეკლესიების ნგრევა.

უშიშროების მიერ დანიშნულ თარჯიმანს არ ვენდობოდი. მისი ინგლისური უკიდურესად არაადეკვატური იყო. ეს პირველად

მაშინ შევნიშნე, როცა მითარგმნა, რომ სუდანში *„ტურისტული“* კი არა, *„ტერორისტული“* ვიზით შემოვედი. ჩემმა სუდანელმა ძმებმა დაადასტურეს, რომ ის ზუსტად არ თარგმნიდა. მათ გაპროტესტება სცადეს, მაგრამ მოსამართლემ გააჩუმა.

ჩვენმა ადვოკატებმა წამოყენებული ბრალდებები უარყვეს და სასამართლო 29 აგვისტომდე გადაიდო. ადვოკატს თარჯიმანთან დაკავშირებით შევჩივლეთ. ამის შემდეგ მე, პასტორი ჰასანი, პასტორი კუვა და მონიმი ხელბორკილებით დაგვაწყვილეს და სასამართლო დარბაზიდან ციხის მოსაცდელ ოთახში დაგვაბრუნეს. რამდენიმე საათის შემდეგ ისევ ავძვერით საქონლის გადასაზიდ მანქანაზე და უდაბნოს ციხისკენ გავწიეთ.

ჩვენ წინააღმდეგ მოტანილი ბრალდებები გამაოგნებელი იყო, მაგრამ არ ვნერვიულობდი. ვიცნობდი უზენაეს მოსამართლეს და მას შავი მანტია არ ემოსა.

* * *

ციხეში შესაძლებელი იყო კონტრაბანდულად შემოტანილი მობილური ტელეფონების შეძენა და მონიმმა ერთი მათგანი იყიდა. მან გამოყენების უფლება მომცა, რომ ყოველდღე ერთი საათით ოჯახთან მელაპარაკა. სიმ-ბარათი შევიძინე და ჩემს თანასაკნელებს ახალი კრედიტის ყიდვა ვთხოვე, როცა ეს საჭირო იქნებოდა. ჩემმა ოჯახმა საკონსულოს თანამშრომლის ხელით უბრალო მობილურის გამოგზავნა გადაწყვიტა. მომდევნო მოსმენაზე პოლიეთილენის პაკეტი მივიღე ტუალეტის ნივთებით, სხვადასხვა ჩირით და ყველაზე მნიშვნელოვანი საგნით - მობილური ტელეფონით, რომელშიც მნიშვნელოვანი ნომრები იყო ჩაწერილი. სასამართლო დარბაზში ჩვენს ჩხრეკას არ აწარმოებდნენ - კარგად იცოდნენ, რომ ალ-ჰუდაში გულმოდგინე შემოწმების გარეშე არ შეგვიშვებდნენ. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, თუ როგორ შეგვეტანა ტელეფონი ციხის შიგნით.

პირველი სხდომის შემდეგ ხართუმის ცენტრში არსებული სასამართლო დარბაზიდან რამდენიმე მცველი მოგვაცილებდა.

გზაზე საცხობთან გაჩერება ვითხოვეთ, რომ პლასტიკატის პაკეტებში შეფუთული რამდენიმე მრგვალი პური გვეყიდა. მცირეოდენი თანხის სანაცვლოდ მცველები გაჩერებაზე სიხარულით დაგვთანხმდნენ.

ჩემმა შედარებით გამოცდილმა თანასაკნელებმა მასწავლეს, როგორ ჩამემალა პურის პაკეტის შუაში ტელეფონი და დამტენი. ამრიგად, როცა დარაჯებმა პურის პაკეტები გასინჯეს, მხოლოდ ოთხივე მხარეს შეეხნენ, ხოლო შუაგული შეუმოწმებელი დატოვეს.

გეგმამ გაამართლა. პური გავხსენი, მობილური ამოვიღე და დაველოდე, სანამ კარი დაიკეტებოდა. ბოლოს და ბოლოს, ოჯახთან დალაპარაკებას შევძლებდი. როგორ მსიამოვნებდა ეს რეგულარული კონტაქტი ვანდასთან, ვავასთან და პეტრესთან! ამ დროს ჭეშმარიტებებით მათი გამხნევებისთვის ვიყენებდი, რომლებიც ღმერთმა მისი სიტყვის მეშვეობით გამიხსნა.

ყოველი დილის 6:00 საათზე საკნების კარები იღებოდა და ჩვენი მობილურებიც ფარულ სამალავში უჩინარდებოდა იქამდე, სანამ კვლავ ღამე არ დადგებოდა. თავიდან მობილური სულ თან დამქონდა, მაგრამ ერთხელ მცველმა გამაჩერა მოულოდნელი ჩხრეკისთვის და მობილური აღმომიჩინა. მისი უკან დაბრუნება ორმოცდაათი სუდანური ფუნტი დამიჯდა. ამის შემდეგ დილის შემოწმებამდე ჩემს ტელეფონს შუკვანს ვაძლევდი. ის ხის ყუთში კეტავდა, რომელიც ჩემი საწოლის ქვეშ ინახებოდა და ვიცოდი, რომ საღამომდე არაფერი დაემუქრებოდა. დილის შემოწმების შემდეგ ციხის კომპლექსის ჩვენს სექციაში შეუზღუდავად სიარულის უფლებას გვაძლევდნენ და მეც დროის დიდ ნაწილს სამლოცველოში ვატარებდი.

* * *

წინა ციხეებში წერილების გაგზავნა და მიღება საძნელო და ხანგრძლივი საქმე იყო. თან ისინი ცენზურას ექვემდებარებოდა. ეს გულახდილობაში ხელს მიშლიდა. ინგლისურ ენაზე უნდა მეწერა, შემდეგ საიდუმლო პოლიციას უნდა შეემოწმებინა

და დიდი დრო სჭირდებოდა, სანამ ადრესატამდე მიაღწევდა საკონსულოს თანამშრომლის ვიზიტების მეშვეობით.

ახლა, ალ-ჰუდაში სმარტფონებზე წვდომა გვქონდა. სწრაფად მოვისაზრე, რომ შემეძლო წერილის ჩეხურად დაწერა, ყველა გვერდისთვის სურათის გადაღება და ჩემი ქალიშვილის ტელეფონზე გადაგზავნა WhatsApp-ის დაცული აპლიკაციით.

ჩვენი პირველი სასამართლო მოსმენიდან ერთ კვირის შემდეგ და მეორემდე ერთი დღით ადრე ოჯახს პირველი საიდუმლო წერილი მივწერე ჩეხურ ენაზე. მასში ციხეში ტანჯვის ხანმოკლე პერიოდი ალ-ჰუდას ციხის პატიმრების საუკუნო ცხოვრებას შევადარე, რომლებიც იესოს მიმდევრები იყვნენ. ძმა შუკვანს, ჩემს თანამოსაკნეს მადლობა გადავუხადე, რომელსაც კოდირებული ენით „მფარველი ანგელოზი“ შევარქვი. შუკვანი ამზადებდა და აუმჯობესებდა ციხის საცოდავ საკვებს, რაც დაკარგული წონის გარკვეული ნაწილის დაბრუნებაში დამეხმარა. ოჯახს ვუამბე, როგორ მთხოვა ჩვენი საჭმლის კურთხევა მუსულმანი თანასაკნელების წინაშე. ამან საშუალება მომცა, რომ მოკლე ქადაგებისმაგვარი ლოცვები წარმომეთქვა ინგლისურ ენაზე მათთვის, ვისაც გაგება შეეძლო.

ხშირად ვხედავდი, როგორ კითხულობდა შუკვანი სახარებას არაბული ახალი აღთქმიდან, ხოლო საკნის ჩვენს კუთხეში მყოფი მუსულმანები კითხვებს უსვამდნენ ბიბლიის ჭეშმარიტებაზე. ის ნაყოფიერი აპოლოგეტი გამოდგა და მათ დაპირისპირებას კარგად პასუხობდა. ყოველთვის, როცა შუკვანი მუსულმანებს სახარებას უზიარებდა, მისთვის ჩუმად ვლოცულობდი.

წერილის ბოლოს გავუზიარე ჩემი რწმენა, რომ ციხეში იქამდე დავრჩებოდი, სანამ უფალს ჩემი აქ ყოფნა ენდომებოდა. როცა წერა დავასრულე, ვნახე, რომ რვა ფურცელი გამომივიდა. თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, რომ ცოლ-შვილისთვის წერილის თავისუფლად მიწერა შევძელი.

ალ-ჰუდაში ტელეფონის ქონას მეორე უპირატესობაც ჰქონდა. ჰასანის ტელეფონის უკიდურესად დაბალსიჩქარიანი 2G ინტერენტის მეშვეობით შუაგულ უდაბნოში შევიტყვეთ, რომ

მთელი მსოფლიოს სულ უფრო მეტი ადამიანი გვიჭერდა მხარს. ადამიანთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ CitizenGo, რომელიც დევნილი ადამიანების სახელით კამპანიებს ატარებს, ჩვენთვის ონლაინ-პეტიცია წამოიწყო. ჰასანის ტელეფონის ირგვლივ შემოკრებილები გამუდმებით ვაახლებდით ვებ-გვერდს და თრთოლვით ვაკვირდებოდით ხელისმომწერთა რაოდენობის ზრდას. პეტიციას თავადაც მოვაწერეთ ხელი. ყოველ დილით ჩვენს ციხეში ვიღაც ახალმოსულს განზე გავყავდით და გვეუბნებოდა, რომ პეტიციას ხელი მოაწერა. თვალყურის დევნებას არ ვწყვეტდით და გაოგნებული დავრჩით, როცა ხელისმომწერთა რაოდენობამ რეკორდულ ნახევარ მილიონს მიაღწია.

სხვა შემთხვევაში ვიღაცამ გვითხრა, რომ YouTube-ზე ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში სუდანის საელჩოს წინ მიმდინარე მშვიდობიანი დემონსტრაციის კადრები დაიდო. მართალია, ვიდეო შეფერხებებით მიდიოდა ჩვენს ნაკლებად სანდო ინტერნეტ-კავშირის წყალობით, მაგრამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. წარმოუდგენლად შთამაგონა პლაკატების დანახვამ, რომლებზეც ჩემი სახელი ეწერა და იმის გაგონებამ, თუ როგორ ყვიროდნენ ადამიანები ჩემს მხარდასაჭერად. ოცწუთიან ვიდეოში კამერა ხალხში დატრიალდა და ჯგუფიდან ჯგუფზე, ნიშნიდან ნიშანზე და ბანერიდან ბანერზე გადავიდა, რომელთაგან თითოეული პეტრე იაშეკის გათავისუფლებას ითხოვდა.

* * *

პირველი მოსმენიდან ერთი კვირის შემდეგ მეორედ გავემართეთ ხართუმის ცენტრის სასამართლო შენობისკენ მომდევნო სხდომაზე დასასწრებად. როგორც პირველად, ახლაც ორსაათნახევარი დავყავით პატარა და ჭუჭყიან მოსაცდელ ოთახში, სანამ 13:00 საათზე მოსმენა დაიწყებოდა. ჩვენს კამერაში ათობით ბავშვი იმყოფებოდა, რომლებიც სიღატაკეში გაიზარდნენ და ქურდებად ჩამოყალიბდნენ. როცა პასტორების

ოჯახებს ჩვენთვის საკვები მოჰქონდათ, მათ ვუნაწილებდით. მათგან ყველაზე უმცროსი ცხრა წლის იყო.

მოსმენის დაწყებისას დავინახე, რომ ერთადერთმა ადვოკატმა - ადამიანმა, რომელიც ჩვენი დანაშაულების გამოძიებას აწარმოებდა და ახლა ბრალდების მხარეს წარმოადგენდა - სასამართლო დარბაზში პროექტორი დაამონტაჟა. მასზე დაიწყო ფოტოების მონაცვლეობით ჩვენება, რომლებიც უშიშროებამ ჩემი მყარი დისკიდან აღადგინა: ჩრდილოეთში დანგრეული ქრისტიანული ეკლესიები და ისინი, რომლებიც საომარ ზონაში, ნუბიის მთებში იყო. როცა ფოტოების გაელვებას ვაკვირდებოდი, ჩემი ყურადღება ერთმა პატარა დეტალმა მიიქცია: ფოტოების კუთხეში ციფრული სახით ეწერა თარიღი - 2011 წელი. მაშინვე სკამზე დავჯექი და სუნთქვა ამიჩქარდა. ძარღვებში ადრენალინმა იხუვლა. აი, დამამტკიცებელი საბუთი, რომ მე დამნაშავე არ ვიყავი! ადვოკატისკენ გადავიხარე და ვუჩურჩულე: „ეს ჩემი ფოტოები არ არის. მე იქ არ ვყოფილვარ 2011 წელს!“ პროკურორმა ადვოკატთან ინგლისურ ენაზე გადალაპარაკება გააპროტესტა და მოსამართლეც დაეთანხმა. ადვოკატებსა და მოსამართლეს შორის ცხარე დავა გაიმართა.

რამდენიმე წუთში შენობაში დენი გაითიშა და ადვოკატის პროექტორი სიბნელეში ჩაეფლო. სასამართლო დარბაზში მყოფი ადამიანების უმეტესობას სიცილი აუტყდა. დენის გათშვა სუდანელების ყოველდღიური ხვედრი იყო და მხოლოდ ყველაზე მდიდრებს შეეძლოთ თავისთვის გენერატორის ყიდვის უფლება მიეცათ. ამ პირობებში სასამართლო სხდომა 1 სექტემბრამდე გადაიდო. დარბაზში, სულ რაღაც, ოცი წუთი დავყავით, მაგრამ შევნიშნე, რომ სუდანის უშიშროების სამსახური ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებდა ჩვენი მოსმენის გადასადებად. ახლა ეს დიდად არ მანაღვლებდა, როგორც ადრე, რადგან ახალი მისია გამიჩნდა: მომეპოვებინა მტკიცებულებები, რომ 2011 წელს სუდანში არ ვყოფილვარ.



23

როცა ალ-ჰუდაში დავბრუნდი, მყისვე ვავას დავუკავშირდი და ვთხოვე, რომ დაესკანერებინა და ჩემი ადვოკატისთვის ელექტრონული ფოსტით გაეგზავნა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ჩემს პრაღაში ყოფნას ადასტურებდა იმ დღეს სასამართლოს დარბაზში ნანახ და ნუბიის მთებში გადაღებულ ფოტოსურათებზე გამოსახული თარიღისთვის. ეს სამხილები ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მჭირდებოდა! სხეულში ნერვული ტალღები მივლიდა იმის ცოდნის გამო, რომ მალე რეაბილიტირებული ვიქნებოდი.

1 სექტემბრის დილას ისევ გამოვედით საკნებიდან, რომ ხართუმის გრძელ გზას დავდგომოდით. ალ-ჰუდას ტერიტორიაზე რომ მივდიოდით, საშინელი სანახაობის მოწმენი გავხდით.

- მარჯვნივ გაიხედე, - დავიჩურჩულე და ჰასანსა და კუვას ვუბიძგე.

ციხის ეზო უნდა გადაგვეჭრა, როცა დავინახეთ, როგორ ჩაუშვეს პატიმარი ადამიანის ფეკალიებით სავსე ღია საკანალიზაციო ჭაში. ამ ადამიანის მიმართ ღრმა თანაგრძნობა დამეუფლა და ვილოცე, რომ ღმერთს დაეცვა. ვუყურებდით, როგორ იჭერდნენ მცველები მის სხეულს მანამ, სანამ ფეკალიები ყელამდე არ მისწვდა.

სხვა თანასაკნელებისგან შევიტყვეთ, რომ მის მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულისთვის - სავარაუდოდ, მცველის დარტყმისთვის - ამ კაცს ჭაში არანაკლებ ნახევარი საათით ყურყუტი მოუწევდა. ეს იყო ყველაზე საშინელი სასჯელი, რის გამოყენებაც მცველებს შეეძლოთ. უფრო ნაკლები

დანაშაულისთვისაც კი გარეთ, ტალახში აგორავებდნენ. იცოდნენ, რომ ონკანის წყლის ნაკლებობის გამო სრულად გასუფთავებას ვერ შეძლებდნენ. უფრო მძიმე შემთხვევებში მცველები პატიმრებს ფეხებზე ჯაჭვებს აბამდნენ ერთი, ორი ან სამი კვირით. ლითონი ტერფებში ეჭდობოდათ და ზოგჯერ ჯაჭვების მოხსნა გაცილებით მტკივნეული იყო, რადგან ბორკილების ჩასაკეტი რკინის სოლი ხშირად კანს ახევდა პატიმარს.

ჩვენ მიერ ნანახი სცენა ყველაზე დიდ სასჯელად ითვლებოდა და ეს ალ-ჰუდაში იშვიათი არ იყო. ყოველთვის, როცა შხამიან სუნს ვიგრძნობდით ღორების ფერმის მსგავსად, ვიცოდით, რომ საკანალიზაციო ჭის სახურავი გადახდილი იყო და რეზერვუარი მომდევნო ტუსაღის დასასჯელად ემზადებოდა. ის ოცდაათი წუთი იდგა კანალიზაციაში. ადამიანის ფეკალური მასა ყელამდე წვდებოდა. როცა მისი დამდაბლება დასრულდებოდა, სხეულის დაბანის საშუალება არ ჰქონდა. გასაკვირი არ იყო, რომ ქოლერა შეუკავებლად ვრცელდებოდა მთელ ალ-ჰუდაში. ციხის ექიმებმა ინფექციური დაავადების აღსაკვეთად ყოველ ჯანმრთელ პატიმარს სამ-სამი აბი დოქსიციკლინი დაურიგეს მცდარი ვარაუდით, რომ ანტიბიოტიკები პროფილაქტიკისთვის გამოადგებოდათ. ყოველდღე ვლოცულობდი, რომ ეს დაავადება ამცდენოდა. ასევე მძვინვარებდა ტუბერკულოზი და ციხის მცველები პერიოდულად საკნებში შემოდიოდნენ ჩევნს შორის აღმოჩენილი გვამის გასატანად.

* * *

იმ დროისთვის, როცა მესამე მოსმენა დაიწყო, თარჯიმანი დაითხოვეს. მისი არყოფნა დიდად არ მაწუხებდა, თუმცა ახლა სასამართლო გარჩევისას ოფიციალური თარჯიმნის გარეშე დავრჩი.

სესიებმა 1950-იანი წლების ჩეხოსლოვაკიის სასამართლო პროცესები გამახსენა, როცა კომუნისტები თვითნებურად სდებდნენ ბრალს ადამიანებს, რომლებიც მათთვის

იდეოლოგიურად საშიშად ითვლებოდნენ და სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ.

იმის ნაცვლად, რომ ჩემს განსაცდელზე მენერვიულა, უფლის ქება-დიდება და ჩუმად ლოცვა გადავწყვიტე. გარდა ამისა, სასამართლო რამდენიმე კვირაში ისედაც დასრულდებოდა.

მესამე მოსმენა კიდევ ერთი დამღლელი და უსიამოვნო შემთხვევა გამოდგა, როცა საგამოძიებო ადვოკატმა, ქრისტესკენ ახალმოქცეულ ახალგაზრდა მუსულმანთან შეხვედრის მტკიცებულებები წარმოადგინა, რომელსაც სხეულის დამწვრობა ჰქონდა. ჩემი ადვოკატი დაჟინებით მოითხოვდა ტექნიკური ექსპერტების ჩართვას პროკურორების მიერ წარმოდგენილი მასალების ნამდვილობის დასადასტურებლად.

ამის შემდეგ ოჯახს წერილი მივწერე.

> *ევროპელთათვის სასამართლო მოსმენა ძალზე ქაოტურია. მოსამართლე, დამცველები და პროკურორები ერთმანეთის ხმების გადაფარვას ცდილობენ. მოსმენებში საიდუმლო სამსახურიც მონაწილეობს და ყველას ხელმძღვანელობს. ვიცით, რომ თავად მოსამართლეც საიდუმლო პოლიციიდანაა, ამიტომ ისეთი განაჩენი დადგება, როგორიც ბრალდების მხარეს სურს.*
>
> *მე და სხვა სამი ძმა, რომლებიც ერთი და იმავე საქმეზე დაგვიჭირეს, მტკიცედ ვდგავართ. ვიცით, რომ ყველაფერი ღვთის ხელშია და მას აქვს ბოლო და გადამწყვეტი სიტყვა. დიდი გამხნევება და ძალა ვპოვე ფს. 109:30-31-ის გახსენებაში.*
>
> *მადლობა ყველა მუხლისთვის, რომლებიც ჩემს მხარდასაჭერად გამომიგზავნეთ. მათ დიდად დამიმოწმეს ის, რასაც ღმერთი ყოველდღე მაჩვენებს. უფალი მასთან ერთად განახლებისა და სახარების გაზიარების, სულიერი სრულყოფისა და ქრისტესმიერი*

ძვირფასი ძმების გამხნევების, ასევე მათგან იგივეს მიღების დროს მაძლევს.

პატიმრობის თითქმის ცხრა თვიდან, ოთხი იზოლირებულ საკანში გავატარე. პირველ ხუთ თვეს ბიბლია არ მქონდა, მაგრამ უფალი სულიწმიდის მეშვეობით მელაპარაკებოდა და თავის სიტყვას ნაცნობი მუხლების გახსენებით მაჩვენებდა. მოგვიანებით, ბიბლიის ნაწილების ახალი, გაცილებით ღრმა გაგება მომეცა, რაც ადრე არ ან არასწორად მესმოდა.

მადლობა თქვენი ლოცვებისთვის და მხარდაჭერის სიტყვებისთვის. დაე, უფალმა დაგიცვათ და გაკურთხოთ ყველანი. 1 პეტრ. 2:20 ბ-23.

* * *

ორი კვირით ადრე, 15აგვისტოს, ვანდამ და ჩემმა შვილებმა წერილი დაწერეს და თავის მოვლის პაკეტი მოამზადეს, რომელიც ჩეხეთის საკონსულოს ახალ თანამშრომელს, ბატონ აფიფის უნდა ჩამოეტანა. „მართლაც ვამაყობ შენით, -წერდა ვანდა, - შენი სიმამაცისა და მოთმინებისთვის, რითაც ამ ვითარებას უძლებ. ყველა ჩვენგანისთვის სანიმუშო მაგალითი და გამხნევება ხარ. ყველა წერილს ვკითულობ და გულში მყავხარ!“

როცა ჩემი მესამე მოსმენის შემდეგ ბატონ აფიფის პირველად შევხვდი, საჩუქრები მივიღე, მათი წერილი წავიკითე და პასუხი გავგზავნე.

ჩემო ძვირფასებო,

დიდი მადლობას გიხდით ფულისთვის, რომელიც საპატიო კონსულის, ბატონ აფიფის მეშვეობით მივიღე. მობილური ტელეფონის ციხეში შეტანა შევძელი

და ეს მხოლოდ ორი პატარა „საჩუქრის“ ფასად მოვახერხე, რომლებიც მცველებს მივეცი. სუდანის ციხეში ყველაფრის მიღება შეიძლება გარკვეული თანხის საფასურად.

ყველაზე მეტად გამახარა რიჩარდ ვურმბრანდის წიგნმა „ციხის კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ“. ეს წიგნი, დაახლოებით, ოცი წლის წინ წავიკითხე, მაგრამ ახლა, როცა ძმა ვურმბრანდის მსგავს ვითარებაში ვიმყოფები, ის უშუალოდ ჩემს გულს ესაუბრება! ბევრი ვითარება, რომლებშიც ვცხოვრობ, იგივე გრძნობებს აღძრავს ჩემში, რაც რიჩარდს ჰქონდა. არაერთხელ იმოქმედა ამ წიგნმა ჩემზე ისე ძლიერად, რომ ცრემლებად დავიღვარე. ერთ დროს ის მთლიანად გადავიკითხე დღის მეორე ნახევარში, მაგრამ ახლა მართლაც მოუთმენლად ველი, როცა მას კიდევ ერთხელ წავიკითხავ.

გაოცებული დავრჩი, თუ როგორ ჰგავდა ჩემი ციხის გამოცდილება - ჩემი გრძნობები და წმიდა წერილის ბევრი ადგილის თეოლოგიური გაგება - რიჩარდ ვურმბრანდის გამოცდილებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ვითარებები დროით და ადგილით განსხვავდებოდნენ. მე 2016 წელს დამაპატიმრა სუდანის ტოტალიტარულმა ხელისუფლებამ; ის კი ათეული წლების წინ დაატუსაღა კომუნისტური რუმინეთის ტოტალიტარულმა მთავრობამ. და მაინც, მის დევნასთან საოცარ კავშირს ვგრძნობდი. საერთო კავშირი, საერთო მდგომარეობა, საერთო ქრისტე გვყავდა. თუ ოდესმე ღმერთი ციხიდან ვურმბრანდის მსგავსად გამათავისუფლებდა, ვლოცულობდი, რომ მეც მქონოდა ჩემი დამოწმების ჩაწერის გაბედულება სხვა ადამიანებისთვის ქრისტეს სიყვარულის გასაცნობად.



24

ალ-ჰუდას ციხეში ყოფნა ემოციურად და სულიერად მაშენებდა. ოჯახმა MP3 ფლეიერი გამომიგზავნა ჩეხურ და ინგლისურ ენაზე ბიბლიის ჩანაწერებით. გარდა ამისა, ფრანგული ენის სახელმძღვანელოც მივიღე. აუდიო-ბიბლიას საღამოობით ვუსმენდი, მზის ჩასვლის შემდეგ, როცა კითხვისთვის საკმარისი სინათლე აღარ მქონდა. აუდიო ჩანაწერებს ინგლისურის და ფრანგულის სწავლებისთვისაც ვიყენებდი ალ-ჰუდას სამლოცველოში.

მართალია, ჩემი გონება და სული იკვებებოდა, მაგრამ ხართუმის სასამართლოს შენობაში ყოველკვირეულმა მგზავრობამ თავისი ქნა. სუდანში ჯერ კიდევ საშინლად ცხელოდა და საქონლის სატვირთოს უკანა ნაწილში მომქანცველი მგზავრობა უკიდურესად უსიამოვნო იყო. ხართუმში კვირა დილის მგზავრობების უკვე მეშინოდა. 5 სექტემბერს ისევ მივედით მომდევნო სასამართლო გარჩევაზე. ახალი თარჯიმანი დამინიშნეს, რომელიც ხართუმის უნივერსიტეტის თარგმანების განყოფილებიდან იყო. მთელი მოსმენის განმავლობაში მრავალრიცხოვანი დაკითხვებიდან ჩემი სიტყვები არასწორად გაგებული და დამახინჯებული გახლდათ. ჰასანი ჩემკენ გადმოიხარა და მიჩურჩულა, რომ ბრალს მდებენ აღიარებაში, თითქოს ამერიკული ორგანიზაციის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც დავალებული აქვს დაჭრილ ახალგაზრდას დახმარება აღმოუჩინოს, რაც მე არასდროს მითქვამს. მან ასევე მითარგმნა, თითქოს ვაღიარე, როგორ ვიხდიდი გარკვეულ თანხას მთავრობის დამხობაში. მოსმენა გრძელდებოდა, მე კი ჰასანისა და კუვას რეაქციას ვაკვირდებოდი. მათ სახეზე

სასოწარკვეთასა და უკმაყოფილებას ვამჩნევდი ან მათი იმედგაცრუებული ჩურჩული მესმოდა.

- წინააღმდეგი ვარ, - არაერთხელ ისმოდა ადვოკატის ნათქვამი, მაგრამ მოსამართლე შეურყეველი ჩანდა.

სასამართლო მოსმენის შემდეგ, რომლის დიდი ნაწილი დაზარალებული ქრისტიანი სტუდენტის საკითხს მიეძღვნა, საელჩოს თანამშრომლებმა მხრები აიჩეჩეს და დარწმუნებით გვითხრეს, რომ ნათლად ხედავენ ჩვენი სასამართლოს პოლიტიკურ მიკერძოებას რელიგიასთან დაკავშირებით. მათ მოთმინებისთვის მადლობა გადაგვიხადეს და შექმნილი ვითარებისადმი ჩვენი დამოკიდებულებით აღფრთვანება გამოხატეს. მომდევნო რამდენიმე საათი საკანში გავატარეთ მათი სიტყვებით გამხნევებულებმა. სანამ უკან, ალ-ჰუდაში დაგვაბრუნებდნენ, მომლოდინე პატიმრებს შორის მიმოვდიოდით და უფალს ვაქებდით იმისთვის, რომ ნუბიელ ქრისტიანებს და საელჩოს თანამშრომლებს დაეხმარა.

* * *

მოსმენა ყოველ კვირას გრძელდებოდა და ჩვენც არაერთხელ მოგვიხდა ალ-ჰუდას ციხიდან ხართუმამდე რთული გზის გავლა. ზოგჯერ შენელებული მოძრაობის ან საშინელი ამინდის გამო მისვლას სამ საათს ვანდომებდით. ხშირად ხართუმში სასამართლოს სხვა შენობებთანაც ვჩერდებოდით და ჩვენი საქონლის სატვირთო ისე იყო პატიმრებით გადავსებული, რომ სუნთქვაც კი ჭირდა.

26 სექტემბერს ისევ წარვსდექით სასამართლოს წინაშე და ვუსმენდით, როგორ მიჰყავდა პროკურორს საქმე ჩვენს საწინააღმდეგოდ. მან ვიდეო წარმოადგინა, რომელიც ნუბიის მთებში 2011 წელს იყო გადაღებული და ამან ამაღელვა. ვიცოდი, რომ ჩემი ოჯახის გამოგზავნილი სამხილები მქონდა დასამტკიცებლად, რომ იმ დროს სუდანში არც კი ვყოფილვარ და სამთავრობო საქმის დიდი ნაწილი ნუბიის მთების ვიდეოს ირგვლივ იყო შეკოწიწებული.

ვიცოდი, რომ მხოლოდ დროის ამბავი იყო, როდის შეწყდებოდა ჩემ წინააღმდეგ მიმართული მათი მცდელობა.

პროკურორმა ვიდეო გაუშვა, ხოლო თარჯიმანმა ზეპირი თარგმანი მოაყოლა.

- ეს ვიდეო # 1 ბრალდებულის გარე მყარ დისკზე იპოვეს, განაცხადა პროკურორმა და ჩემზე მიანიშნა. - ეს აჩვენებს, რომ ბრალდებული და მანქანაში მყოფი დანარჩენი სამი ნუბიის მთების საომარი მოქმედებების ზონას კვეთენ.

ადვოკატი მომიბრუნდა და მითხრა:

- პეტრე, ისინი ამბობენ, რომ იმ ვიდეოში თქვენ ხართ.

-ეს მტკნარი წყლის სისულელეა, -გადავუჩურჩულე საპასუხოდ, - იმ დროს ჩეხეთში ვიყავი და ამის დამტკიცება შემიძლია.

მან ხელი აწია გასაპროტესტებლად და განმარტა ის, რაც ვუთხარი. შემდეგ მაგიდიდან ქაღალდების დასტა აიღო და თქვა:

- აი, მტკიცებულება, რომ ბატონი იაშეკი ვიდეოს გადაღების მომენტისთვის პრაღაში იმყოფებოდა.

მან ქვითრების ასლები და სხვა დოკუმენტები მოსამართლეს გადასცა და შემდეგ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, ვიდეო ჩემი ფოტოაპარატით გადაღებული არ იყო. ვიდეოს ციფრულმა ანაბეჭდმა Canon Rebel XTi აჩვენა, ხოლო ჩემი კამერა Canon Rebel XT3 გახლდათ.

მისი კონტრმტკიცებულება მყარი და გადაულახავი ჩანდა, მაგრამ მოსამართლე ვერაფრით დარწმუნდა. მან სკანირებულ დოკუმენტებს ერთი კი გადახედა და გვერდზე გადადო. შემდეგ არაბულ ენაზე რაღაც ჩაილაპარაკა, ხოლო ჩემმა ადვოკატმა მხრები აიჩეჩა წინააღმდეგობის ნიშნად. უდავო სამხილები ყურადღების მიღმა დარჩა.

სასამართლო დარბაზს თვალი მოვავლე. ადვოკატის პროტესტი არც კი ჩაუწერიათ. ვფიქრობდი, რომ ასეთი აშკარა მტკიცებულება გამათავისუფლებდა, მაგრამ ის სასამართლოს ოფიციალურ ანგარიშშიც კი არ შეიტანეს!



25

17 ოქტომბერს ისევ ჩავედით ხართუმში მერვე სხდომაზე დასასწრებად. იმედგაცრუებული ვიყავი იმით, რომ სასამართლო ორ თვეს გაგრძელდა. თუმცა ოჯახიდან მიღებული წერილებისა და საიდუმლო სატელეფონო ზარების მეშვეობით შევიტყვე, რომ ჩემთვის მთელი მსოფლიოს ქრისტიანები ლოცულობდნენ. ამან დიდად გამამხნევა.

ჩეხეთის რესპუბლიკაში, ჩემს მშობლიურ ეკლესიაში ლოცვა-მარხვები არ წყდებოდა. ვიცოდი, რომ ისინი ერთობლივი ლოცვისთვის რეგულარულად იკრიბებოდნენ. ისიც გავიგე, რომ „წამებულთა ხმის“ სამლოცველოში ყოველ სამშაბათ დილას ჩემი ამერიკელი და-ძმები მიხსენებდნენ. პასტორმა ჰასანმა და პასტორმა კუვამ მითხრეს, რომ მთელი სუდანის ეკლესია ჩვენთვის ლოცულობდა. მეორე დღეს, როცა ხართუმის ცენტრში მივედი სასამართლო სხდომაზე დასასწრებად, ამ ქრისტიანებზე ვფიქრობდი.

მოსმენაზე ბატონი აბდურაჰმანი - გამომძიებელი და პროკურორი - ამტკიცებდა, რომ დაზარალებულ სტუდენტთან ჩემი ღამის შეხვედრის ვიდეო ჰქონდათ. მაშინ მივხვდი, რომ ჩანაწერი ღამის ხედვის დახმარებით გაკეთდა. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ჩემი და მონიმის საუბრის აუდიო-ჩანაწერი დაშავებული სტუდენტის ქრისტიანობაზე მოქცევას მოწმობდა. ეს ნაკლებად დამაჯერებელი იყო, რადგან ის შეხვედრა კარგად მახსოვდა. ძალზე ხმაურიან რესტორანში ვისხედით და თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ჩემი აიფონიდან გამოსაყენებლად გამოსადეგი რაიმე ხმის დაჭერა. ძალიან დამაინტერესა მოსმენის

შემდეგმა ნაწილმა, სადაც გათვალისწინებული იყო კითხვა-პასუხის სერია ჩვენს ადვოკატებსა და ბატონ აბდურაჰმანს შორის. მართალია, ადვოკატებმა დაამტკიცეს, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში ვიყავი იმ დროს, როცა მსახურმა კოლეგამ 2011 წელს ის სენსიტიური ფოტოები გადაიღო (რომელიც ჩემი გარე მყარი დისკის წაშლილი ფაილებიდან სუდანის საიდუმლო პოლიციამ აღადგინა), მოსამართლემ მათი პროტესტი უგულებელყო. სუდანი კვლავ ბრალს მდებდა, რომ ნუბიის მთებში სწორედ ამ წელს ვიყავი. საიდუმლო პოლიციამ ნაკლებად მგრძნობიარე ფოტოებიდან ზოგიერთი აღადგინა, რომლებიც 2012 წელს ნუბიის მთებში გამგზავრებისას გადავიღე და სადაც ნამდვილად მე ვჩანდი.

- რატომ დაკითხეთ პირველი ბრალდებული? - იკითხა ჩემმა ადვოკატმა და ჩემზე მიუთითა.

- იმიტომ, რომ ის სუდანს 2012 წელს არალეგალურად ეწვია და ნუბიის მთების ბევრი ადგილი მოიარა აჯანყებულ მეომრებთან შესახვედრად. ამ ვიზიტის ფარგლებში შეეცადა მტკიცებულებები მოეპოვებინა ნუბას ხალხის შევიწროებაზე, წამებასა და ძალადობრივ ისლამიზაცია-არაბიზაციაზე. ფოტოსამხილების გამოკვლევის შესაბამისად, - განაგრძობდა ბატონი აბდურაჰმანი, - ის მოჯანყე ბოევიკებს მატერიალურ-ტექნიკურ, ფიზიკურ და მორალურ მხარდაჭერას უცხადებდა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, უმთავრესად კი, პირველი ბრალდებულის ორგანიზაციის სათავო ოფისს, მტკიცებულებების ანგარიშს წარუდგენდა.

ვიცოდი, რომ მას მხედველობაში ჰქონდა „წამებულთა ხმა“.

- სად არის „წამებულთა ხმის“ სათაო ოფისი?

- შეერთებულ შტატებში, - უპასუხა მან.

- რაიმე ზეგავლენა მოახდინა „წამებულთა ხმაში“ წარდგენილმა ანგარიშებმა?

- დიახ, ანგარიშებმა ნამდვილად ავნო სუდანის იმიჯს საერთაშორისო დონეზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ასპექტებში, - თქვა მან.

გაოგნებული დავრჩი ამ საოცარი აღიარებით: სუდანის მთავრობა არ უარყოფდა, რომ ქრისტიანებს დევნიდა, მაგრამ არაფრის დიდებით არ სურდა ამ ინფორმაციის სუდანის ფარგლებს გარეთ გავრცელება. პროკურორის კომენტარზე თავი გავაქნიე. ჩემი ბრალმდებლების აზრით, პრობლემა ქრისტიანების დევნა კი არა, ამ ინფორმაციის გავრცელების შედეგად ქვეყნის რეპუტაციის შელახვა გახლდათ!

ასეთი დაკითხვის ხაზი გარკვეული დროის განმავლობაში გაგრძელდა და ბატონმა აბდურაჰმანმა ჩვენება მისცა პასტორი ჰასანის, პასტორი კუვას, მონიმისა და ჩემ მიერ ჩადენილი სხვადასხვა უკანონობების შესახებ. ჩვენი ადვოკატები კამათობდნენ და აპროტესტებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. მოსამართლე ყოველ ჯერზე ბრალდების მხარეს იჭერდა.

სასამართლო ფიქტიური იყო, ხოლო პროკურორი იგივე პიროვნება გახლდათ, ვინც გამოძიებას აწარმოებდა. ამის გამო ჩემი ადვოკატის მიერ წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ მოახდენდა ზეგავლენას ჩემს გამართლებასა თუ დადანაშაულებაზე. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მოსამართლე ბრალდების მხარეს იჭერდა. როცა პროკურორები ჯვარედინ დაკითხვას გადიოდნენ და საკმარისად კარგად ვერ უპასუხეს, მოსამართლე ჩაერია და მათი სახელით გამოვიდა. კარგად ვიცოდი, რომ პროცესი ზუსტად ისე მიდიოდა, როგორც ერთ დროს კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში და განაჩენის ჩემს სასარგებლოდ გამოტანა ნაკლებ სავარაუდო იყო.

* * *

ორი დღის შემდეგ ოჯახს კიდევ ერთი წერილი მივწერე.

ჩემო ძვირფასებო,

ყველას მოგესალმებით ალ-ჰუდას ციხიდან. გულწრფელ მადლობას გიხდით ყველა თქვენგანს შეუწყვეტელი

ლოცვის, მარხვისა და მხარდაჭერისთვის, ასევე თქვენი წერილებისთვის, რომლებიც დიდ სიმხნევეს და ბედნიერებას მმატებს. მადლობა, რომ ასე შემეწიეთ ლოცვით და მადლის შუამდგომლობით (2 კორ. 1:11). დარწმუნებული ვარ, რომ მალე ყველანი ერთად განვადიდებთ უფალს.

თქვენგან მოსული ყველა წერილი არაერთხელ გადავიკითხე და დიდ სიმხნევეს ვგრძნობ მათგან, განსაკუთრებით, ბიბლიის მუხლებიდან, რომლებიც მიიღეთ. თქვენი ლოცვებით ღვთის ხელის შეხებას გამორჩეულად ვგრძნობ. თქვენი ლოცვები ძალას მმატებს და რწმენის ბრძოლის გაგრძელებაში მეხმარება. ღმერთი ძალას მანიჭებს ჩემს უძლურებაში (2 კორ. 12:10) და სწორედ ის დაასრულებს ამ ბრძოლას ჩემს ნაცვლად (ფს. 57:3).

დღეს განსაკუთრებულად შეეხო ჩემს გულს პავლეს სიტყვები 2 კორ. 6:3-ში, ასევე მე-10 მუხლი. მხოლოდ მადლიერებით შეიძლება ავხსნა ის საოცარი სიხარული, რომლითაც უფალი მავსებს ამ ხანგრძლივი პატიმრობის მიუხედავად. რაც უფრო მეტ ხანს ვარ ციხეში, მით მეტად იზრდება ჩემი სიხარული და იესოს ლურსმნებით განგმირული ხელების ახალ შეხებას ვგრძნობ. ამის ახსნა მხოლოდ იესო ქრისტეს მსხვერპლით შეგვიძლია, რომელმაც შეგვიყვარა. ვცხოვრობ, ვიცი და ვგრძნობ ღვთის ხელის უზარმაზარ დაცვასა და ჩარევას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საფრთხე მემუქრება.

ასევე წერილში აღვწერე აღსანიშნავი შემთხვევა, რომელიც ახლახანს მოხდა აქ, ალ-ჰუდაში - უფლის დაუჯერებელი ჩარევა ჩემს დასაცავად. ორი კვირის წინ ჩვენს ისედაც გადატვირთულ

საკანში, სადაც ოთხმოცდათხუთმეტამდე პატიმარი ცხოვრობს, ერთი საშიში დამნაშავე შემოიყვანეს. ჩვენს კამერაში მხოლოდ სამოცდათხუთმეტი საწოლი იდგა. ძმა შუკვანისგან გავიგე, რომ ახალი პატიმარი ნარკობარონი იყო, რომელიც დანაშაულის გამო მოზარდობის ასაკში დააკავეს და ახლა ოცწლიანი სასჯელის მე-14 წელს იხდიდა. ჩემდა გასაკვირად, კაცი მოვიდა და ჩემს გვერდით საწოლზე დაჯდა. შემდეგ სხვებისთვის „ბანგოს“, ჰალუცინოგენური პრეპარატის ჩამორიგება დაიწყო. მან უზარმაზარი თანამედროვე ტელევიზორი და DVD-ფლეიერი მოიტანა იმ იმედით, რომ ჩვენი კამერის წყნარ კუთხეს ხმაურიან ნარკობუნაგად გადააქცევდა, სადაც პატიმრები მოწევდნენ და „ბოევიკებს“ უყურებდნენ.

ძმა შუკვანი, ჩემი „პირადი მცველი“, შეურაცხყოფილი დარჩა და მეორე დღეს ჩვენი სამიარუსიანი საწოლი ზუსტად ოთხმოცდაათი გრადუსით შეაბრუნა ისე, რომ კამერის კუთხე გადაკეტა, ამით პატიმრების დიდ ნაწილს შემოსვლასა და ფილმის ყურებაში ხელი შეუშალა. ნარკობარონი განრისხდა, მაგრამ ასე ადვილად არ დანებდა.

მან თავისი მეგობრების უმეტესობა აიძულა, რომ ჩემი საწოლის გვერდით მოეწიათ. ორ შემთხვევაში პირდაპირ შევეწინააღმდეგე და დამტვრეულ არაბულზე ვუთხარი, რომ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი მათ პრაქტიკას და უნდა წასულიყვნენ. ჩემდა გასაკვირად, ჩანს, პატიმრები პატივს მცემდნენ და მალე ეს კუთხე დატოვეს, რომ ბანგო სხვაგან მოეწიათ ოთახის მეორე ბოლოში.

ნარკობარონი ახლა უკვე კლიენტებს კარგავდა და შურისძიება გადაწყვიტა. ყველასთვის ცნობილია, რომ ამ ციხეში ნარკოტიკების გამყიდველი მცველების ახლო მეგობარი იყო, ამიტომ მეორე დღეს, როცა სამლოცველოდან ჩემს საკანში ვბრუნდებოდი, რამდენიმე მცველმა გასაჩხრეკად შემაჩერა. ჩემს ტანსაცმელში გულმოდგინე ქექვის შემდეგ ერთ-ერთმა ქვედა საცვლის ქვეშ საიდუმლო წელის ქამარი აღმოაჩინა, რომელშიც ფულსა და მობილურ ტელეფონს ვინახავდი. მან ტელეფონი წამართვა და მისი დატოვებით დამემუქრა, თუ ორმოცდაათი

სუდანური ფუნტით (8 აშშ დოლარი) დაუყოვნებლივ არ „გამოვისყიდდი“. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე წუთი მდიეს და როგორც იქნა, საკნამდე მივაღწიე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ყველანი მელოდნენ, განსაკუთრებით, ნარკობარონი, რომელიც გულზე დაკრეფილი ხელებით იჯდა და ჩემი შეშინება ჰქონდა განზრახული. დღის ბოლომდე დამცინოდა, საღამოს კი ტელევიზორი პირდაპირ ჩემს ფეხებთან დადგა და ბოლომდე აუწია, რომ მთელ კამერას გაეგონა ქალების ბოქსის მატჩის ხმები.

მომდევნო ღამეს მუსიკა ზედ ყურთან ჩამირთო ღამის ორ საათამდე. ღმერთმა სასწაულებრივად მომცა საკმარისი მშვიდობა და ჩემზე წყალობა მოიღო, ამიტომ ამ მღელვარებაში დაძინება შევძელი. სხვა პატიმრები გაღაზიანებულები იყვნენ ღამის შეუწყვეტელი ხმამაღალი მუსიკით და ნარკობარონზე ბრაზობდნენ, მაგრამ დაპირისპირებას ვერავინ ბედავდა. ვაკვირდებოდი, როგორ იცვლებოდა მათი დამოკიდებულება სიძულვილით, მაგრამ მე ამ ახალგაზრდა კაცის მიმართ სიძულვილს ვერ ვგრძნობდი, უფრო თანაგრძნობამ მომიცვა. უფალმა მის მიმართ ზებუნებრივი სიყვარული მომცა, განსაკუთრებით, ზაქ. 4:6-ის წაკითხვის შემდეგ, რომელიც ძლიერად დაელაპარაკა ჩემს გულს: „არა ძლიერებით და არა ძალით, არამედ ჩემი სულით! - ამბობს ცაბაოთ უფალი.“

ამ მუხლსა და იმ ადამიანზე ფიქრისას სულიწმიდა ჩემს გულს ათბობდა. შევეცადე ისე დამენახა, როგორც ქრისტე უყურებდა - სიყვარულით. ბოლოს და ბოლოს, რა სიცოცხლე ჰქონდა ნანახი? ციხეში თოთხმეტი ხანგრძლივი წელი გაატარა მოზარდობიდან მოყოლებული. ამის შემდეგ გადავწყვიტე, რაც არ უნდა ეთქვა ან გაეკეთებინა, მის სისასტიკეზე სიკეთით მეპასუხა.

მომდევნო ღამე, რაღაც იდუმალებით, მშვიდი იყო. ციხის ზედამხედველები არ რთავდნენ ხმამაღალ მუსიკას, არავის აშინებდნენ, არავის დევნიდნენ და არც მოულოდნელ ჩხრეკას აწყობდნენ. ტელევიზორიცა და ფლეიერიც გაქრა. როცა ვიკითხე, რა იყო ამის მიზეზი, გავიგე, რომ ნარკობარონი მოულოდნელად და აუხსნელი მიზეზით სხვა სუდანურ ციხეში გადაიყვანეს,

რომელიც აქედან, დაახლოებით, ექვსასი მილით იყო დაშორებული. ეს ამბავი ვერ დავიჯერე და მთელი ღამე მისთვის ლოცვაში გავატარე - ღმერთს მის მიმართ მოწყალების გამოჩენას ვთხოვდი. მიუხედავად ამისა, ღვთის სწრაფმა ჩარევამ დამანახა, რომ დამნაშავეების, მკვლელების, ქურდებისა და ნარკოტიკების გამყიდველების გარემოში მყოფსაც კი თვალყურს მადევნებდა, მიცავდა და მახსენებდა, რომ მას ვეკუთვნი. როგორც ზაქ. 2:8 ამბობს: „ვინც თქვენ გეხებათ, მისი თვალის გუგას ეხება.“



26

მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ჩვენი სასამართლო გარჩევები გადაიდო და მოუთმენლად ველოდით ნებისმიერ ახალ ამბავს ან განცხადებას. როგორც იქნა, 3 ნოემბერს ხართუმში დავბრუნდით და აღმოვაჩინეთ, რომ ბრალდებამ საქმე შეაჩერა. დადგა დრო, როცა ასპარეზზე ჩვენი დაცვა უნდა გამოჩენილიყო. ჩემმა ადვოკატმა პროკურორის ჯვარედინი დაკითხვა წამოიწყო. საოცარი იყო მისი გაბედულება მთავრობის წინააღმდეგობის საქმეში. ახლა ამაზე ფიქრიც კი მადლიერებით მავსებს.

- არსებობს თუ არა რაიმე პირობა სუდანის ვიზების გაცემისას, რომელიც ვიზიტორს სუდანელ ხალხთან შეხვედრას უკრძალავს? - იკითხა მან. - არსებობს, თუ არა რაიმე სახის დაპირისპირება სუდანსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის?

- არა, - უპასუხა აბდურაჰმანმა.

- თქვენი გამოძიების თანახმად, ამ ფოტოსურათების დიდი ნაწილი 2011 წელს არის გადაღებული ნუბიის მთებში. ბატონი იაშეკი იქ იმყოფებოდა?

კითხვები გრძელდებოდა და ამასთან ერთად, ჩემი ადვოკატი ერთმანეთის მიყოლებით ეჭვქვეშ აყენებდა ბრალდების მიერ წარმოდგენილ აუდიო, ვიდეო და ფოტო-სამხილებს.

- ხმების შედარება მოახდინეთ? იცით, რომ ხმის შეცვლა შესაძლებელია ტექნოლოგიების გამოყენებით? ექსპონატის სახით მოტანილი კამერა იგივე აპარატი იყო, რომლითაც სურათები გადაიღეს?

ბატონმა აბდურაჰმანმა აღიარა, რომ 2011 წელს სუდანში არ ვყოფილვარ, მაგრამ 2012 წელს გადაღებული მასალა, მისი

აზრით, საკმარისად მამხილებელი იყო იმის მიუხედავად, რომ ფოტოკამერის სხვა მოდელით გადაიღეს.

ჩვენი ადვოკატები დაკითხვას განაგრძობდნენ და ყურადღება გაამახვილეს ადის-აბებას კონფერენციაზე, დაშავებული სტუდენტის ფოტოებსა და მისთვის შეთავაზებულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ბატონი აბდურაჰმანი დაცვის თითქმის ყველა არგუმენტს დაეთანხმა და ამაში იმედის სხივი დავინახე.

ბრალდებას სამი თვე დასჭირდა ჩვენს საწინააღმდეგოდ საქმის წარმოსადგენად, ხოლო ჩვენმა ადვოკატებმა სამ საათში გააცამტვერეს მათი ყველა არგუმენტი.

* * *

ჩემმა იმედმა დიდხანს არ გასტანა. ნოემბერსა და დეკემბერში კიდევ შვიდი ყოველკვირეული მოსმენა გვქონდა და ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოს მიერ შეკერილ საქმეში არსებული მრავალი უზუსტობის მიუხედავად, ჩემს წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულება ჰქონდათ. ბრალდება ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მიმართ მტრულ საქმიანობას ვაწარმოებდი, რომელიც ქვეყნის ნაციონალურ და სოციალურ უსაფრთხოებას ემუქრებოდა. თითქოსდა, „უკანონო ჰუმანიტარული საქმიანობა“, რომელსაც მე ვეწეოდი, სუდანის საზოგადოების ეროვნულ უსაფრთხოებას და ინტერესებს ზიანს აყენებდა. სუდანის მთავრობა იმის წარმოჩენას ცდილობდა, რომ მათთან დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩვენი ადვოკატების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი მტკიცებულების მიუხედავად, სასამართლო იმას გააკეთებდა, რაც სურდა. მოსამართლე გადაწყვეტილებას უშიშროების მითითებისამებრ მიიღებდა და არა საქმეში არსებული ფაქტების საფუძველზე. ყოველი მოსმენის შემდეგ მთავრობის მომხრე გაზეთები ჩვენ ოთხს წამხდარ დამნაშავეებად და სუდანის მთავრობის ყველაზე საშიშ მტრებად წარმოგვაჩენდა. მართალია, ჩემი საქმიანობის ფარგლებში ასეთი პრაქტიკა

მთელი მსოფლიოს ტოტალიტარულ და ქრისტიანობის მოძულე სახელმწიფოებში მინახავს, სისტემის უსამართლობამ უკიდურესი იმედგაცრუება და უილაჯობა მაგრძნობინა. ვიცოდი, რომ დამნაშავედ მცნობდნენ და სასიკვდილო განაჩენის გამოტანაც არ იყო გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო ორი ათეული წლის გატარება ციხეში მომიწევდა. ღამით, როცა ტელეფონზე უსაფრთხო საუბარი შევძელი, ოჯახს დავურეკე და მომავალი მოვლენებისთვის შევამზადე. შესაძლოა, გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ წლების ან სამუდამო პატიმრობა და სიკვდილით დასჯაც კი მელოდა. მინდოდა, რომ ისინი ამისთვის მზად ყოფილიყვნენ.

საკონსულოს თანამშრომლები და ზოგჯერ კაიროში მყოფი ჩეხეთის ელჩიც კი ესწრებოდნენ ბევრ სასამართლო სხდომას და მარწმუნებდნენ, რომ ჩემი გათავისუფლებისთვის მოლაპარაკების დაწყებას გეგმავდნენ, როგორც კი განაჩენი გამოცხადდებოდა. რა დრო დასჭირდებოდა მოლაპარაკების პროცესს? თვეები?

- ეჭვი მაქვს, რომ სასამართლო ოც წელს მომისჯის, - ვუთხარი ჩეხეთის საკონსულოს თანამშრომელს სასამართლო განხილვის დასრულების მეორე დღეს.

- არა, არა, - მითხრა მან, - ასეთ შემთხვევებში იმ დროს მოგისჯიან, რაც უკვე მოიხადეთ. დარწმუნებული ვარ, რომ გათავისუფლდებით.

ვლოცულობდი, რომ მართალი გამომდგარიყო.



27

როცა ხართუმში პირველად დამაპატიმრეს, წვერ და თმაგადაპარსული ვიყავი. ახლა, რვა თვის შემდეგ თმა მხრებამდე ჩამომეზარდა, ხოლო წვერი ნიკაპს ჩამოსცდა და ყელს მიფარავდა. ეს ველური გამოცდილება იყო და ვგრძნობდი, რომ გარეშე თვალით მართლაც ველურივით გამოვიყურებოდი.

ალ-ჰუდაში საჭმელი რომ დენის ხშირი უქონლობის პირობებში მოგვემზადებინა, შემოქმედებით ხერხებს მივმართავდით. ხის ნახშირის გამოყენება არასდროს იყო უკეთესი ვარიანტი, რადგან კვამლი საკანს ავსებდა. კარებთანაც რომ დაგვენთო, სუნთქვა შეუძლებელი ხდებოდა. საზიზღარი ანაორთქლის კომპენსაციისთვის ვიღაცას ცეცხლის ქვეშ ცხელ ტაფაზე მწვანე ყავის მარცვლების მოხალვის იდეა მოუვიდა, რომელიც სასიამოვნო არომატს იძლეოდა.

და მაინც, ნახშირის კერია ჩვენი კულინარიული დილემის იდეალურ გადაწყვეტას არ იძლეოდა. პატიმრების საზრიანობის გამო ციხეში უამრავი შესაძლო ნივთი შემოდიოდა, რომელთაც სხვა პატიმრები ყიდულობდნენ, ამიტომ აქ ყველაფერი იშოვებოდა. თანასაკნელებთან ერთად რეზისტორული გამტარები შევიძინეთ საკუთარი ელექტროქურის მოსაწყობად: აფრიკული ცხელი ქვების დასამზადებლად, როგორც აქ ეძახდნენ. დენის დიდმა ტალღამ დამარტყა, როცა შემთხვევით ორ გამტარს ერთად შევეხე, მაგრამ საბოლოო ჯამში, რეზისტორებში დენის გატარება შევძელით თიხის რამდენიმე მრგვალი ფილის ქვეშ, რომელთაც ჩვენი ვახშმის გასაცხელებლად ვიყენებდით. გამუდმებით ვშიშობდი, რომ ჩემს ნივთებს მოიპარავდნენ. წინა ციხეებში მცველები ჩემოდანს საწყობში ინახავდნენ, მაგრამ აქ, ალ-ჰუდაში ქურდობა ჩვეული მოვლენა იყო.

ყოველი პატიმარი თავად იყო პასუხისმგებელი თავისი ქონების დაცვაზე. ეს გაკვეთილი მოსვლიდან სამ დღეში შევითვისე, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემოდნიდან ნივთები გაქრა. ჩემი დეოდორანტი, საპონი, საჭმელი და წამლები მაშინვე დაიკარგა. ამ მიზეზით, საკუთარი ბარგი თან დამქონდა, სადაც არ უნდა წავსულიყავი.

უფრო მგრძნობიარე საგნებს, როგორიცაა მობილური ტელეფონი, საკრედიტო ბარათები, საფულე და ფული, საიდუმლო ტომარაში ვალაგებდი, რომელიც ვანდამ ჩემს ქამარზე მიამაგრა. ჩანთა მხოლოდ მაშინ ტოვებდა ჩემს სხეულს, როცა ციხის ტუალეტის საშხაპეში ტანსაცმელს ვიხდიდი.

ალ-ჰუდაში მოსვლიდან ერთ კვირაში შეცდომა დავუშვი და ჩანთა საშხაპის საკიდზე ჩამოვკიდე. რამდენიმე წამით დავხუჭე თვალები სახიდან საპნის ქაფის ჩამოსაბანად და როცა გავახილე, ნივთები აღარ იყო. ვიღაცა მეზობელ ნაკვეთურში მელოდებოდა და მშვენივრად დაგეგმა ჩემი გაძარცვა, როცა თვალები დავხუჭე. ამ ქურდობამ იმედი გამიცრუა და ძალზე შეურაცხყოფილი და გაბოროტებული დამტოვა. პანიკაში ჩავარდნილმა მობილური ვითხოვე და ოჯახს დავუკავშირდი, რომ ბანკში დაერეკათ და საკრედიტო ბარათები დაებლოკათ.

რამდენიმე წუთში, ჩემდა გასაკვირად, ძმა შუკვანი მომიახლოვდა. მას ხელში ჩემი საკრედიტო ბარათები ეჭირა. როგორც ჩანს, თავისი გავლენა და პატიმრებს შორის დიდი რეპუტაცია გამოიყენა ქურდის მოსაძებნად და სხვა ნივთებთან ერთად ჩემი ტელეფონიც წაართვა. რაც შეეხება ფულს, ის თვალით აღარასოდეს მინახავს.

ერთხელ სამლოცველოს ხელმძღვანელს ვუთხარი, რომ ჩემოდნიდან წამლები მომპარეს.

- მოიტანე ჩემოდანი, - მითხრა მან, - რატომ ადრე არ თქვი?

მას სამლოცველოში გავყევი და ამიხსნა, რომ ხუთიდან მხოლოდ ორი მუშაობდა. დანარჩენი სამი ბოქლომით იყო ჩაკეტილი, რომელთაც ის და ზედამხედველები ნივთების შესანახად იყენებდნენ. მან მითხრა, რომ ჩემოდნის იქ შენახვა შემეძლო, როცა დამჭირდებოდა და მის უსაფრთხოებაში დამარწმუნა.

დეკემბერი მოახლოვდა და სიცივეში სუფთა ჰაერზე ადამიანთა ყოველდღიური შემოწმება მეტისმეტად მოუხერხებელი გახდა. პატიმრების დიდი ჯგუფი, რომელიც ხუთ რიგად იჯდა, როგორც წესი, ჩუმად იყო. უმეტესობისთვის დილა დღის ყველაზე ნაღვლიანი ნაწილი იყო ციხეში. სიბნელესა და სიცივეში ყველანი მომავალზე ვფიქრობდით. *კიდევ ერთი დღე გისოსებს მიღმა!* ვწუწუნებდით. *კიდევ რამდენი დღე უნდა გაგვეტარებინა აქ?*

პირდაპირ ჩვენი რიგის წინ სამი დიდი და ცარიელი თიხის კონტეინერი იდგა, რომელსაც სასმელი წყლით ავსებდნენ და *დაბანგას* უწოდებდნენ. ისინი შევისწავლე და გადავწყვიტე დილის ეს საცოდავი, ადრეული საათები ლოცვისთვის გამომეყენებინა. დაბანგები გონების დასამშვიდებლად და ჩემი ოჯახის ვიზუალიზაციისთვის გამომადგებოდა. პირველი დაბანგა ჩემი ცოლი უნდა ყოფილიყო, მეორე - ქალიშვილი, ხოლო მესამე - ჩემი ვაჟი. მათთვის ინდივიდუალურად უნდა მელოცა. მას შემდეგ, რაც ოჯახისთვის ვილოცე, მათ გამოველაპარაკე. *„ო, ძვირფასო დაბანგა ვანდა, კიდევ რამდენ ხანს დამჭირდება დილაობით აქ ჯდომა? როდის შევძლებ კიდევ ერთხელ მაგრად შემოგხვიო ხელები?* დილის ნათელი ცა სავსე იყო კაშკაშა ვარსკვლავებით. როცა ზემოთ ავიხედე, მთვარე და დიდი დათვის თანავარსკვლავედი დავინახე. *ნეტა ვანდაც ხედავს იგივე ვარსკვლავებს?* - დავინტერესდი. *რას აკეთებს ახლა?* ამ ძვირფას წუთებში, როცა ვარსკვლავებს ვუყურებდი, მასთან ვიყავი დაკავშირებული.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ციხიდან გამომიშვეს და როგორც იქნა, სახლში დამაბრუნეს, ვანდამ მითხრა, რომ ამ ლოცვით კავშირს ისიც გრძნობდა დილით, როცა სიცივეში ავტობუსის გაჩერებაზე იდგა და ვარსკვლავებს შეჰყურებდა.

დილის ყოველი შემოწმების შემდეგ ციხის სამლოცველოსკენ მივეშურებოდი. ჩემი გული ხარობდა, როცა კიბის საფეხურებით სამლოცველოსკენ მივემართებოდი და სიახლეებს ველოდი, რასაც ღმერთი ყოველდღე მიმზადებდა. სახლზე ნაღველი და ჩემთვის ძვირფასი ადამიანების მონატრება მალე უფლის სიხარულში გაიშალა.

როცა პატიმრებს არ ვემსახურებოდი, დროს ვატარებდი ისე, რომ ღმერთს მისი სიტყვის მეშვეობით ჩემი მომსახურების საშუალებას ვაძლევდი. ჯერ კიდევ მქონდა ბიბლია, რომელიც კაიროში ჩეხეთის საელჩოს საკონსულოს თანამშრომელმა მომიტანა და აქაც იშოვებოდა Good News Bible თარგმანი. საერთაშორისო ორგანიზაცია Prison Fellowship დრო და დრო სუდანში საქადაგებლად ჩამოდიოდა. ზოგჯერ მათი პასტორები გვსტუმრობდნენ და ხილი და სხვა პროდუქტები მოჰქონდათ გარდა იმისა, რასაც ციხეში ვჭამდით. მათი მონახულება მალამოსავით ედებოდა ჩვენს სულებსა და კუჭებს.

ციხის მსახურებაც ნაყოფიერად ვითარდებოდა. ერთხელ დღისით პასტორ ჰასანსა და პასტორ კუვასთან ერთად სამლოცველოში ვიჯექი. მოულოდნელად მყარი დარწმუნება ვიგრძენით, რომ ჩვენი აქ ყოფნა და სრულიად უიმედო, სასოწარკვეთლი და დავიწყებული თანაპატიმრებისთვის სახარების ქადაგება უფლის მიზანი გახლდათ. ამ დაკარგულ ადამიანებს სახარების მოსმენის, იესოს ქრისტეს ძვირფასი სისხლის მეშვეობით ღმერთთან შერიგებისა და მარადისობის ზეცაში გატარების საშუალება ეძლეოდათ. რა იყო ამ მტანჯველ გარემოში გატარებული ერთი წელი ან თუნდაც მეტი, ჩვენი მსახურების მეშვეობით დახსნილი ადამიანის მიერ ზეცაში გატარებულ მარადისობასთან შედარებით? ჰასანი და კუვა განსაკუთრებით იმ პატიმრებზე ფიქრობდნენ, რომლებიც სიკვდილმისჯილთა საკანში იმყოფებოდნენ. ყველას შეგვახსენეს, რომ ღვთის აზრები და გზები გაცილებით აღემატებოდა ადამიანთა ფიქრებსა და გზებს (ეს. 55:8-10) და მისი გეგმები ჩვენსაზე გაცილებით დიდი იყო.

* * *

რაც უფრო მეტად ვიფიტებოდი ემოციურად, ღმერთი მით მეტად მამაღლებდა თავისი სიტყვის აღმდგენი ძალით, სულიწმიდის მკურნალი თანდასწრებით და მსახურებით,

რის უფლებაც ალ-ჰუდას ციხის სამლოცველოში მომცა. ასევე ვიცოდი, რომ ჩემი ეკლესია ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩემთვის რეგულარულად ლოცულობდა და მარხულობდა. არც მათ და არც ღმერთს არ დავვიწყებივარ. ღვთის ნებასა და ჩანაფიქრში საკუთარი თავი ვიპოვე.

უფალმა ყველაზე რთულ დღეებში დამანახა ერთგულება და საკმარისი ძალა მომცა, რომ მეორე დილამდე მეცოცხლა. მან 1 პეტრ. 3:15 გამახსენა. ეს გახლდათ მუხლი, რომლის პრაქტიკაში გამოყენებას ყოველდღიურად ვცდილობდი პატიმარ მუსულმანებთან და მცველებთან ლაპარაკისას: „წმიდა ჰყავით ქრისტე, როგორც უფალი თქვენს გულებში და მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ.“

უფალმა მოულოდნელი და იდუმალი გზებით მომცა ყველაფერი, რაც წინსვლისა და ქადაგების გაგრძელებისთვის მჭირდებოდა. დრო და დრო იგი ახალ აზრებსა და სიტყვას მაძლევდა, რომელთაც ვიწერდი და სამლოცველოში ვქადაგებდი.

რაღაც დროის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ ღმერთს სურდა, მთელი ეს გამოცდა გამევლო, მაგრამ ხსენებული მიზანი სრული სიცხადით მხოლოდ ალ-ჰუდაში დავინახე. ნათელი გახდა, რომ უფალმა ჩემი პატიმრობის ყოველი ნაბიჯის ორგანიზება მოახდინა აეროპორტში ჩემი დაპატიმრებიდან დაკითხვებსა და იზოლაციამდე. მან მომამზადა და აღმჭურვა, რომ ალ-ჰუდას პატიმრების წინაშე მის მსახურად წარვმდგარიყავი.

პატიმრობის პირველ ხუთ თვეს, როცა ბიბლია არ მქონდა, ჩემი ლოცვით ცხოვრება მნიშვნელოვანად გაღრმავდა. შემდეგ, სამი თვე ბიბლიასთან ერთად იზოლირებულ საკანში დავყავი და მისი სიღრმისეული შესწავლის საშუალება მომეცა. კითხვის შედეგად ასობით ჩანაწერი გავაკეთე - პირდაპირი მნიშვნელობით - წიგნის გვერდების მინდვრები და წინა ნაწილის ცარიელი ადგილები პაწაწინა, გულმოდგინედ დაწერილი შენიშვნებით გავავსე. ბევრი მათგანი ქადაგებებად იქცა და ბიბლიის საფუძვლიანად შესწავლისთვის გამოყოფილმა დრომ მომდევნო ექვს თვეს

ალ-ჰუდას სამლოცველოში ციხის მსახურების წარმართვა და უფლის სიტყვის გადაცემა შემაძლებინა. უფალმა უხვად მომაწოდა გამოსაყენებელი მასალა და მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაზე ბევრს არ ვქადაგებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთი სწორ სიტყვებს მომცემდა სათქმელად. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ სახარების გაზიარების ნებისმიერი საშუალება გამომეყენებინა.



28

სუდანურ ტყვეობაში წელიწადზე მეტი დავყავი. ოჯახთან სატელეფონო საუბარს ყოველ ღამე ვახერხებდი, მაგრამ ეს თარიღი მათთვის წერილის გაგზავნით აღვნიშნე.

ჩემო ძვირფასებო, - დავწერე მე, - ყველას მოგესალმებით და უხვადგისურვებთღვთისმშვიდობასამშეორედმოსვლისპერიოდში!

მადლობა გადავუხადე ლოცვებისთვის, მარხვისა და გამამხნევებელი წერილებისთვის - განსაკუთრებით კი, ბიბლიის მუხლების დართვისთვის - სულიერი მოსაგონრებისთვის, რომლებსაც ჩემთვის ასეთი სიამოვნება მოაქვს. ვაცნობე, რომ ღმერთი მათ ლოცვებს პასუხობს, მე და ჩემს თანასაკნელებს დიდი სიხარულით და ზეციური სიმშვიდით გვავსებს. ადამიანურად რომ ვთქვათ, ეს არცთუ მარტივი წელი ურიცხვი მხეცობებით, დანაშაულებით, წამების აქტებით და არაადამიანური სისასტიკით აღინიშნა. ამის მიუხედავად, უფალმა ჩემი გონება მისი მარადიული განზრახვის დარწმუნებით აავსო. ღმერთს ჩემთვის გეგმა ჰქონდა და ეს ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვიცოდი. პატიმრობის წლისთავზე უფრო მეტად მჯეროდა, რომ ყოველი გასული საათი და სუდანის ციხეებში გატარებული ყოველი წუთი უაზრო არ იყო. ღმერთი უქმად არაფერს კარგავს.

ფურცლიდან ხელი ავიღე და გავჩერდი, რომ დავფიქრებულიყავი, თუ როგორ გამაუმჯობესა და ჩამომაყალიბა ღმერთმა ტყვეობის უკანასკნელი თორმეტი თვის განმავლობაში. ბევრ შემთხვევაში თავს იოსებივით ვგრძნობდი, რომელიც ტყუილად დაადანაშაულეს და ეგვიპტის ციხეში ჩააგდეს. მისი ფეხები ბორკილებმა გატანჯეს. ციხის დარაჯებმა ყელზე რკინის

ჯაჭვები შემოახვიეს. მეფსალმუნე მართალი იყო: „უფლის სიტყვამ გამობრძმედა იგი“ (ფს. 105:19).

ყოველდღე ვლოცულობდი ძალაზე, რომ ეს დიდი გამოცდა გამევლო, ტანჯვა გადამეტანა და იმ ტვირთის ღირსი დავრჩენილიყავი, რომელიც უფალმა მოწყალედ დამაკისრა. გამაოცა აზრმა, რომ ღმერთმა ჩემი გამოყენება გადაწყვიტა გადარჩენის საკვირველი გეგმის გასაზიარებლად და ამ ციხეებში თავისი მხსნელი საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც წუთისოფლის შექმნამდე ჩაიფიქრა. მართალია, ჩემი ცხოვრების პირობები სულ უფრო უარესდებოდა და ყოველ ახალ ციხეს თავისი გამოწვევები და სატანჯველი მოჰქონდა, ღმერთმა მისი გენერალური გეგმის და წინასწარ განმჭვრეტი ნების პატარა გამონათებები მაჩვენა. იესო ყველაზე ბნელ პერიოდებშიც კი ჩემს სინათლედ და სიცოცხლედ რჩებოდა.

როცა 2015 წლის 10 დეკემბერზე ვფიქრობდი, თუ როგორ დამაპატიმრეს აეროპორტში და დაახლოებით, ოთხი თვე უშიშროების ციხეში დავყავი; როგორ გადამიყვანეს ნიაბა მენდოლას საპოლიციო უბანში, ჩემს გულში დიდი მადლიერება ჩაიღვარა. იმ პირველი საშინელი ოთხი თვის შემდეგ, როცა სახლიდან ინფორმაციას იშვიათად ვიღებდი, არაერთხელ დავუსვი კითხვა ღმერთს: *რამდენ ხანს მომიწევს ამ ციხის ატანა, სანამ კვლავ შევხვდები ჩემი ოჯახის წევრებს?* ღმერთმა იმ დღეს, 10 აპრილს არ მიპასუხა, როცა უკვე გასული იყო პატიმრობის ოთხი გრძელი თვე. ამის ნაცვლად მომდევნო დღეს დაელოდა, როცა ჩვენს გადავსებულ საკანაში ლიბიის საზღვართან დაკავებული თორმეტი ერიტრეელი ემიგრანტი უნდა შემოეყვანათ. იმ დღეს მხსნელის ხმა მკაფიო და ნათელი იყო: „წადი და მათ სახარება გაუზიარე!“

ამიტომ მათ დავუმოწმე, - ვაგრძელებდი ოჯახისთვის წერილის წერას.

მათ ვუთხარი, რომ ქრისტიანულ ოჯახში დაბადების მიუხედავად, დადგა დრო, როცა მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილება უნდა მიმეღო: არა მარტო მომეწვია იესო

ქრისტე ჩემს ცხოვრებაში, არამედ მასზე სრული კონტროლის უფლება მიმეცა. ეს ადამიანები დევნილები იყვნენ, რომლებიც პოსტ-კომუნისტური ერიტრეიდან, ტოტალიტარიზმის ქვეყნიდან გაქცევას ცდილობდნენ; სადაც მათი პრეზიდენტი რელიგიურ უმცირესობებს დევნიდა. მათ ვუთხარი, რომ 1988 წელს მეც შევეცადე კომუნისტური ჩეხოსლოვაკიიდან გაქცევას, როცა საზღვრები გაიხსნა, მაგრამ საბოლოოდ, წასვლა მაინც ვერ შევძელი, რადგან ეს არ იყო ღვთის ნება ჩემი ცხოვრებისთვის. ვუამბე უფრო გვიანდელ მცდელობებზე, რომ თავი დამეღწია კომუნიზმისთვის და ისიც ვთქვი, თუ როგორ ზრუნავს უფალი ადამიანზე, რომელიც ცხოვრებას უფალს გადასცემს და როგორ უზრუნველყოფს მისთვის საუკეთესო მომავალს.

მთელი ღამე ვლაპარაკობდით და თითქმის ცრემლებით ვევედრებოდი ახალშეძენილ ერიტრეელ მეგობრებს, რომ ქრისტეს დალურსმულ ხელებს შეხებოდნენ, რომლებიც მთელი მსოფლიოსკენ არის გაწვდილი. ეს ხელები მას ეკუთვნის, ვინც ჩვენთვის სიცოცხლე გასწირა; რომელიც მოკვდა, რომ ჩვენ გვეცოცხლა, რომელიც სიკვდილიდან სიცოცხლისთვის აღდგა. კამერაში მყოფი ყველა ერიტრეელი ყურადღებით ისმენდა და რეაგირებდა გულში სულიწმიდის ბიძგზე. ისინი ჩემი მოწოდების სიტყვებს იმეორებდნენ, სანამ მეორე დილას სხვა ციხეში გადაიყვანდნენ. ამ გამოცდილების შემდეგ, როცა ჩემი პატიმრობის უფლისმიერი ჩანაფიქრი მივიღე, ყოველი შესაძლებლობის გამოყენება დავიწყე, რომ სახარება თანასაკნელებისა და რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის გამეზიარებინა.

წერილში კიდევ ერთი ანალოგიური გამოცდილება ჩავწერე, რომელიც ერთი კვირით ადრე მოხდა. ერთ დილას სამლოცველოში ვიჯექი, როცა ახალგაზრდა სუდანელი შემოვიდა და ჩემთან სასწრაფო საუბარი მოინდომა. მაშინვე შევწყვიტე ფსალმუნების კითხვა და ღმერთთან ურთიერთობაზე ვკითხე. მისი პასუხი მოვისმინე თუ არა, ვიგრძენი, რომ უფალს სურდა, მისთვის სახარება უბრალოდ გამეზიარებინა და იესო ქრისტეს

პირად მხსნელად და უფლად მიღება შემეთავაზებინა. რაღაც დამთხვევით, მას აბრაჰამი ერქვა და სულ რამდენიმე წუთში მისი სეხნიის ნაბიჯებით სიარული გადაწყვიტა. მან სიცოცხლე იესოს მიუძღვნა. როცა იმ დღეს ისევ შევუდექი ჩემი ბიბლიის კითხვას და თარიღი ჩავიწერე, მივხვდი, რომ ჩემი დაპატიმრებიდან ერთ წელი გასულიყო! უფალი ისეთი დიდებული და კეთილი იყო ჩემს მიმართ, რომ პატიმრობის წლისთავი კიდევ ერთი ტუსაღის ქრისტესთან მიყვანის შემთხვევით დამაგვირგვინებინა!

იგი თითქმის ყოველდღე მიგზავნიდა რომელიღაც ადამიანს და სულიწმიდის წყნარი ხმა მესმოდა, რომელიც წარმმართავდა და სწორ სიტყვებს მაწვდიდა სათქმელად. ღვთის ზრახვები დიდი გახლდათ და მეც მადლიერი ვიყავი ღვთისა, რომელიც „ყოველთვის გამარჯვებას გვანიჭებს ქრისტეში და ჩვენი მეშვეობით წარმოაჩენს თავისი შემეცნების კეთილსურნელებას ყოველ ადგილზე“ (2 კორ. 2:14).

წერილის დასასრულს ბოლო კურთხევა ჩავრთე ჩემი ოჯახისთვის: „უფალმა გაკურთხოთ, დაგიფაროთ და დაგიცვათ ყველანი! სიყვარულით, პეტრე.“



29

ეს იყო შობის წინა დღე - ჩემი მეორე შობა სუდანური პატიმრობის დროს. ჩვენს სამლოცველოში მოსულ პატიმრებს შევცქეროდი, რომელთა რიცხვი ორასს აღემატებოდა. ყველას დასატევად ჩვეულებრივი და გრძელი სკამების დამატება დაგვჭირდა. ციხის ადმინისტრაცია რუპორების თხოვებაზე დაგვთანხმდა, რომელთა მეშვეობით სიამოვნებით მღეროდნენ სუდანელი ქრისტიანები ისე, რომ ხმაურმა მუსულმანებიც მოიზიდა და შობის ზეიმის გაზიარება გადავწყვიტეთ.

ძალზე ემოციური მსახურება იყო. ქადაგებამდე ცოტა ხნით ადრე ჩემს ოჯახთან მოკლე სატელეფონო საუბარი მქონდა სამლოცველოს ერთ-ერთი მუშა ტუალეტიდან. ნაჩქარევად ვუთხარი, რომ სალაპარაკოდ მხოლოდ რამდენიმე წუთი მქონდა, რადგან იმ საღამოს მე უნდა მექადაგა.

მთელი ღამე სამლოცველოში გავატარეთ. თან ვლოცულობდით და მეორე დღისთვის ვემზადებოდით. დილით სამლოცველოში ადგილობრივი კათოლიკე ღვთსმსახური მოვიდა. ლოცვაზე დასწრების უფლება ალ-ჰუდას ციხის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად მისცეს ას მამაკაცს, რომელთაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ისინი ცალკე ისხდნენ სიკვდილმისჯილთა კამერაში, სადაც დასასჯელად გამზადებული ხალხი ჰყავდათ. პასტორი ჰასანი და პასტორი კუვა ამ საკანს ყოველ კვირას სტუმრობდნენ და მათ უქადაგებდნენ. იმის გამო, რომ უცხოელი ვიყავი, მცველები მათთან ერთად შესვლის

უფლებას არ მაძლევდნენ. როგორც იქნა, შობას პირველად შევძელი სიკვდილმისჯილ ქრისტიანებთან შეხვედრა. თვალცრემლიანები ვეხვეოდით ერთმანეთს. მათ მალე სიკვდილი ეწერათ და ვიცოდით, რომ შეიძლებოდა ისინი მეტად აღარც გვენახა დედამიწაზე.

ძალიან მალე ზეცაში ერთმანეთს ვიხილავდით.

* * *

დეკემბრის ბოლოს, როგორც იქნა, სასამართლოს წინაშე ჩვენება მივეცი. პროკურორმა დამკითხა და დარწმუნებით ვუპასუხე.

- როდის ეწვიეთ სუდანს? - იკითხა მან.

- სამხრეთ სუდანში 2012 წელს ვიყავი, მაგრამ სუდანში არ ჩავსულვარ და არც რომელიმე სამხედრო მეთაური მინახავს.

- როგორ შემოხვედით სუდანში 2015 წელს?

- ტურისტული ვიზით შემოვედი.

- „წამებულთა ხმაში“ მუშაობთ?

- კონკრეტული საქმე მაქვს „წამებულთა ხმაში“, - განვუმარტე მე, - მაგრამ მისი თანამშრომელი არ გახლავართ, იმიტომ, რომ აშშ-ს მოქალაქე არ ვარ.

- რისთვის ესწრებოდით კონფერენციას ადის-აბებაში?

-იმისთვისვესწრებოდი,რომსუდანშიმშვიდობისთვისმელოცა.

რამდენიმე დამატებითი კითხვის შემდეგ ჩემს სამუშაოზე, სუდანში ვიზიტებსა და დახმარებაზე, რომელსაც დაშავებულ ქრისტიან სტუდენტს ვთავაზობდი, მოწმედ გამოსვლა გაბედული განცხადებით დავასრულე:

- ნორმალურ ქვეყანაში, სადაც ადამიანს საზღვარგარეთიდან რესურსები მოაქვს დასახმარებლად, მთავრობა მადლიერია. სუდანში იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ აქაურობა დამეზვერა. მინდოდა გაჭირვებულ ადამიანს დავხმარებოდი. ამისთვის სუდანი მადლობელი უნდა იყოს.

ვიცოდი, რომ ჩემი ჩვენება ძლიერი იყო, მაგრამ ისიც კარგად ვუწყოდი, რომ საკმარისი არ იქნებოდა.

* * *

კვირა დღეს, 29 იანვარს, განთიადამდე გამეღვიძა და ხართუმში კიდევ ერთი გამგზავრებისთვის მოვემზადე. ჩვენი სასამართლო ოცდაერთი მოსმენისგან შედგებოდა, რომლებიც ექვს თვეზე იყო გადანაწილებული. მთელი ამ დროის განმავლობაში სუდანის მედია პროპაგანდულ ახალ ამბებს ავრცელებდა ჩემი პატიმრობის შესახებ მთელი მათი სამთავრობო გაზეთების მეშვეობით. ველოდებოდი, რომ ციხეში, საერთო ჯამში, სამ თვეს გავატარებდი, რაც რეალურად, ფორმალობა იყო. ახლა კი 2017 წლის იანვარში ერთი წელი გახდა, რაც დაკავებული ვიყავი.

როგორც იქნა, ჩემი სასამართლო დასასრულს მიუახლოვდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ აღარ იქნება გრძელი, ცხელი, მტვრიანი მგზავრობები საქონლის გადამზიდის უკანა ნაწილით ალ-ჰუდადან ხართუმის სასამართლომდე. ჩემი ნივთები ჩემოდანში ჩავალაგე და ბოლოჯერ ავძვერი საქონლის გადასაზიდ მანქანაში.

ძმა მონიმი გამუდმებით გაზეთს კითხულობდა ციხეში. ჩვენი მოსმენების უმეტესობა კვირას მიმდინარეობდა და ჩვეულებისამებრ, ამ საქმეზე სტატია ორშაბათის ან სამშაბათის გაზეთში ქვეყნდებოდა.

მონიმი ამბებს კითხულობდა და შემდეგ მითარგმნიდა, რასაც ჩვენს საქმეზე იტყოდნენ. სტატიებს ხშირად თან ახლდა ფოტოსურათები, რომლებიც ჩემი მყარი დისკიდან იყო ამოღებული - მთავრობის აზრით, ჩემი ჯაშუშობის „მტკიცებულება“. ხელისუფლებისგან მართული გაზეთები ჩვენს შემთხვევას აქტიურად განიხილავდნენ და ვგრძნობდი, რომ შეუძლებელი იყო განაჩენი მხოლოდ იმ პერიოდით შემოფარგლულიყო, რაც ციხეში გავატარეთ და შემდეგ სახლში გავეშვით. მთავრობამ მეტისმეტად ბევრი დრო და ძალისხმევა დახარჯა საშიშ კრიმინალებად და ჯაშუშებად ჩვენს წარმოჩენაზე. სუდანის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი იყო, მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ მათი სისტემა და

ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული ისლამური კანონები კარგი და მართებული გახლდათ. ვიცოდი, რომ ჩემი დაკავება და პატიმრობა პოლიტიკური თვალსაზრისით განხორციელდა და მზად ვიყავი მომავალთან შესახვედრად - ციხეში თვეების გატარება მომიწევდა თუ წლების. ღმერთი მიყენებდა და იმედი მქონდა, რომ ამის შემდეგაც გამომიყენებდა, სუდანის ციხეში ან სახლში, ჩეხეთის რესპუბლიკაში. ოჯახს ყოველ ღამე ველაპარაკებოდი საიდუმლო მობილური ტელეფონით. ისინი შევამზადე იმ შემთხვევისთვის, თუ დამნაშავედ მცნობდნენ. „არ გაგიკვირდეთ, - ვუთხარი მათ, - თხუთმეტი-ოცი წლის პატიმრობა რომ მომისაჯონ.“ ასევე შევაგონე, რომ განაჩენის გამო არ დათრგუნულიყვნენ. ისიც შევახსენე, რომ ჩეხეთის მთავრობა ჩემს გამო სუდანთან მოლაპარაკების გამართვას აპირებდა. როგორც კი ვერდიქტს გამოაცხადებდნენ და გვეცოდინებოდა სასჯელის რაობა, ვუთხარი, რომ ზუსტად გვეცოდინებოდა, რასთან გვქონდა საქმე და მოლაპარაკებებიც მაშინ დაიწყებოდა!

2017 წლის 2 იანვარს წინა სხდომაზე მოსამართლემ დაადგინა, რომ პასტორი კუვა ხართუმში საერთოდ არ ყოფილა მაშინ, როცა მე ჩამოვედი და მან მხოლოდ მანქანა ათხოვა პასტორ ჰასანს. ამრიგად, პასტორი კუვას საქმე დაიხურა სამხილების არარსებობის გამო. თუმცა მე, ჰასანი და მონიმი ვერდიქტს ველოდებოდით და დღეს უნდა გავცნობოდით. სასამართლოს შენობაში ჩუმად შევედით. თითოეული ჩვენგანი ფიქრობდა და ლოცულობდა, უყურებდა და ელოდებოდა. მაინტერესებდა, რას აკეთებდა ვანდა სახლში და ვლოცულობდი, რომ დღევანდელს ახალ ამბავს, რომელიც მალე უნდა გაგვეგო, არ გაენადგურებინა. სასამართლო დარბაზში შევედით და აღმოვაჩინეთ, რომ სავსე იყო აქტივისტებით, მედიისა და სხვადასხვა საელჩოების წარმომადგენლებით. სხდომას ფართო საზოგადოებაც ესწრებოდა. მოსამართლე შემოვიდა და ყველანი წამოვდექით. მისი ხმა მტკიცე და მკაფიო იყო, როცა წინასწარ მომზადებული განაჩენის დოკუმენტი ჩაიკითხა. პასტორი ჰასანი და მონიმი დამნაშავედ მიიჩნიეს ოთხ წაყენებულ ბრალდებაში და თორმეტი

წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პასტორი ჰასანის მოზარდი გოგონა თვალცრემლიანი ძირს დაეცა ჩვენ უკან.

ჩემს ვერდიქტს ველოდებოდი, მაგრამ მოსმენა სრულიად არაბულ ენაზე მიმდინარეობდა, ამიტომ პასტორი ჰასანის თარგმანზე ვიყავი დამოკიდებული. გრძელ სკამზე ვიჯექი, ღრმად ვსუნთქავდი და ყველაფერს ვაკეთებდი ნერვების დასამშვიდებლად, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გული ძალუმად მიცემდა. ყურადღება მოსამართლეზე გავამახვილე და ველოდი, როდის დაიწყებდა ლაპარაკს. როცა განაჩენი ჩაიკითხა, ჰასანი ჩემკენ გადმოიხარა და სიტყვები ინგლისურად მითხრა. მან ვერ დამალა ხმაში გაჟღერებული გაოგნება:

- მოსამართლემ დამნაშავედ ჩაგთვალათ რვავე წაყენებულ ბრალდებაში და სამუდამო პატიმრობა მოგისაჯათ - სასჯელის მაქსიმუმი სასიკვდილო განაჩენამდე!

გარდა ამისა 100 000 სუდანური ფუნტის (თთქმის 17 000 დოლარი) ჯარიმა მეკისრებოდა თან არსებული ქონების კონფისკაციით, რომელშიც Canon-ის კამერა და ობიექტივები, ლეპტოპი, აიფონი, ვიდეოკამერა და გარე მყარი დისკები შედიოდა. ეს ყველაფერი ამიერიდან სუდანის ხელისუფლებას ეკუთვნოდა.

სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სიცოცხლე უფლის ხელში იყო, ამიტომ სიმშვიდეს ვინარჩუნებდი. მართალია, ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ შვება ვიგრძენი. ვიმედოვნებდი და უკეთეს შედეგს ველოდი, მაგრამ მაინც არ გამიკვირდა, რომ სუდანის მთავრობამ სამუდამო პატიმრობა მომისაჯა (რომელიც სუდანში ოც წელს შეადგენდა). განსაცდელი და რთული გამოცდა დასრულდა. გარკვეული თვალსაზრისით, ამ მკაცრმა სასჯელმა ნათლად წარმოაჩინა ჩემი, ასევე ჩემი თანასაკნელებისა და ძვირფასი სუდანელი ძმების წინააღმდეგ შეთითხნილი პოლიტიკური და რელიგიური სასამართლო საქმის აბსურდულობა. ხელისუფლებას უფრო გონივრული განაჩენი რომ გამოეტანა, ვთქვათ, ექვსი თვე ან ერთი წელი, ბევრი ადამიანი იფიქრებდა, რომ ბრალდება კანონიერი იყო და მართლაც ვიყავი ჩართული სუდანის წინააღმდეგ რაიმე სახის

დანაშაულებრივ ქმედებაში. სამუდამო პატიმრობა იმისთვის, რომ ქვეყანაში დახმარება შემოიტანე, ნათლად წარმოაჩენდა მთელი სასამართლო პროცესის უაზრო ფარსს.

რაც შეეხება ჩემს ქონებას, მატერიალური დანაკარგი საერთოდ არ მაღელვებდა. ახალი კომპიუტერის ან ფოტოკამერის ყიდვა ისევ შემეძლო. უფალმა მომცა და უფალმა წაიღო! დაე, განდიდდეს მისი სახელი (იობ. 1:21)! სამუდამო პატიმრობაც კი არ მაშფოთებდა. ჩემი ცხოვრება ხომ მე აღარ მეკუთვნოდა - ქრისტესი იყო! მან ის საოცარ ფასად გამოისყიდა.



30

მე, პასტორი ჰასანი და მონიმი აღარ ველოდებოდით მომდევნო მოსმენას ხართუმში. ბრალდებულები აღარ ვიყავით. ახლა მსაჯვრდებულები გვერქვა და წესისამებრ, ახალ ციხეში უნდა გადავეყვანეთ. ჰასანისა და მონიმის საწინააღმდეგოდ იმდენად უსაფუძვლო არგუმენტები ჰქონდათ და იმდენად იყვნენ დარწმუნებული გათავისუფლების გარდაუვალობაში, რომ მთელი ტანსაცმელი და სხვა ნივთები ალ-ჰუდას პატიმრებს დაურიგეს.

განაჩენის გამოცხადების შემდგომი ღამე ომდურმანის გარდამავალ ციხეში გავატარეთ ათობით მამაკაცით გადაჭედილ გაყინულ კამერაში ღია ცის ქვეშ. როგორც ხანგრძლივი საპატიმრო ვადის მქონე დამნაშავეებს, საბოლოო დანიშნულების პუნქტში დაშვებისა და გადაყვანის რთული პროცესი უნდა გაგვევლო, რომელიც თითის ანაბეჭდების რამდენიმე ათეულჯერ აღებას მოიცავდა. ცივი და მკაცრი ღამის გარეთ გატარების შემდეგ დილას ისევ შევუდექით საქონლის გადასაყვანი სატვირთოთი მგზავრობას. ამჯერად აღარ ვიცოდით, სად მოვხვდებოდით. გაურკვევლობის გრძნობა მღელვარებაში გადაზრდით გვემუქრებოდა, მაგრამ საკუთარ თავს შევახსენე, რომ ყველაფერს უფალი აკონტროლებდა.

გადამზიდმა ავტომ ხართუმის მტვრიანი გზები გაიარა აეროპორტის მიმართულებით და ბოლოს ხართუმის საერთო რეჟიმის ჩრდილოეთ ციხეში მივიდა, რომელსაც „კობერის ციხე“ ეწოდებოდა. როცა ამ უზარმაზარ კომპლექსს მივუახლოვდით, შიშისა და სიმშვიდის უცნაური ნაზავი

ვიგრძენი. ვიცოდი, რომ ღმერთი ჩემთან იყო, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, რა მელოდა სუდანის საპატიმრო სისტემის ამ უკანასკნელ გაჩერებაზე.

კომპლექსის მთავარი შენობა 1905 წელს ააგო ვინმე ბრიტანელმა კუპერმა, მაგრამ როცა მისი გვარი არაბულ ენაზე გადაიყვანეს კ-უ-პ-ე-რ-ი გახდა კ-ო-ბ-ე-რ-ი. ჩემი აზრით, კობერის მთავარი საპატიმრო შენობის ორივე სართულზე ჩამწკრივებული დაკეტილი კარები ისე გამოიყურებოდა, თითქოს პირდაპირ ამერიკული გადასაღები მოედნიდან გადმოიტანესო.

დაგვამუშავეს და შემდეგ ციხის სხვადასხვა განყოფილებებში დაგვანაწილეს. მცველებმა MP3 ფლეიერი გამომართვეს. მართალია სიმ-ბარათი შევინარჩუნე, მაგრამ მობილურის ჩაბარება მომიხდა. მეშინოდა, რომ ბიბლიას წამართმევდნენ, მაგრამ უნდა აღნიშნოს, რომ მისი დატოვების უფლება მომცეს. მე და ჰასანი სხვადასხვა სექციებში აღმოვჩნდით და ორივე მათგანი შედარებით ნორმალური აღმოჩნდა. მიხაროდა, რომ ტუალეტები და საშხაპეები მუშა მდგომარეობაში იყო.

მონიმს ასე არ გაუმართლა. ის შენობის ყგელაზე ძველ ნაწილში გადაიყვანეს - მისტერ კუპერის მიერ აშენებულ იმ პირველად შენობაში, რომელიც ძალიან ჭუჭყიანი იყო და არც წყალგაყვანილობა ან ფუნქციონირებადი ტუალეტი ჰქონდა. მონიმი წარმოშობით დარფურიდან იყო, ხოლო დარფურელები სუდანის სამოქალაქო ომის გამო ლამის მოღალატეებად მიაჩნდათ. გარდა ამისა, მას მუქი კანის ფერი ჰქონდა და ეს რასიზმისთვის ადვილ სამიზნედ აქცევდა, რაც ფართოდ იყო გავრცელებული სუდანის არაბ მუსულმანებს შორის.

ბოლო წლებში კობერის ციხე რამდენიმე „სახლი-მოჩვენების“ განლაგების ადგილად ითვლებოდა. ესენი გახლდათ საიდუმლო და დაცული შენობები, სადაც პოლიტპატიმრები ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების ქვეშ ჰყავდათ. ზოგჯერ მათ სჯიდნენ. პატიმრები ალ-ჰუდას ციხიდანაც გადმოჰყავდათ სიკვდილმისჯილთა საკნიდან, როცა მათი დასჯის დრო დგებოდა. ჰასანმა და მონიმმა კობერში ჩამოხრჩობის ფაქტებზეც

შეიტყვეს ალ-ჰუდას სიკვდილმისჯილებიდან, მაგრამ ასეთები არასოდეს გვინახავს.

* * *

კობერის ციხეში ორი სამზარეულო იყო - პირველი საჭმელს საკუთარი პატიმრებისთვის ამზადებდა, ხოლო მეორე მეზობელი უშიშროების ციხის პატიმრებს კვებავდა. იმის გამო, რომ ჩვენი საკვები ადგილზე მზადდებოდა და ეს თხელი სუდანური პური იყო, მას ყოველდღე ვიღებდით, ზოგჯერ ახალსა და თბილსაც კი. გარდა პურისა, კობერში გაცილებით კარგი საჭმელი მოჰქონდათ, ვიდრე ალ-ჰუდაში, სადაც სუდანელი პატიმრებიც კი არ ჭამდნენ საკვებს, სანამ თავიანთ ხელნაკეთ ელექტროქურებზე კარგად არ გასინჯავდნენ. თუმცა კობერის პატიმრებიც კი აგრძელებდნენ საკვების შემდგომ დამუშავებას. ალ-ჰუდას მსგავსად, თუ კობერის პატიმრებს მცირეოდენი ფული მოეძევებოდათ, ზოგიერთი საკვები პროდუქტის, მაგალითად, ხორბლის და ზოგჯერ მცირეოდენი ხორცის შეძენის უფლებაც ეძლეოდათ.

მე და პასტორმა ჰასანმა ვიცოდით, რომ ზოგიერთი ჩვენი მუსულმანი თანასაკნელი ალ-ჰუდადან კობერში გადმოიყვანეს, როცა ციხის მცველებთან თაღლითობაში გამოიჭირეს. ისინი დასჯის მიზნით კობერის ყველაზე მკაცრ განყოფილებაში გაამწესეს. როცა გადმოსვლიდან რამდენიმე დღეში დაგვინახეს, რომ მე, ჰასანი და მონიმი მივედით, გამოქანდნენ და ყელზე შემომეხვივნენ ყურებამდე გაღიმებულები. მაშინვე მივხვდი, როგორ აფასებდნენ და ინარჩუნებდნენ ჩვენს მეგობრობას და მეც ძალიან მახარებდა, რომ უფალი ასე მიყენებდა.

* * *

ციხის უფროსი და მისი მოადგილე ხშირად აკეთებდნენ შემოვლას, რომ პატიმრების ჩივილები მოესმინათ. „ალ-ჰუდაში ჩემი MP3 ფლეიერის ქონის უფლებას მაძლევდნენ, - ვუთხარი

მათ, - რატომ არ შემიძლია აქაც ვიქონიო?“ ისინი შემპირდნენ, რომ ამის საშუალება მექნებოდა, მაგრამ ჩემი დაცვისთვის უნდა მეთხოვა, თუმცა ის მაინც ვერ მივიღე.

ფლეიერის გარეშეც ვაგრძელებდი კობერში ინგლისურის სწავლებას. მუსულმან თანასაკნელებს ინგლისური ენის საფუძვლებს იოანეს სახარების გამოყენებით ვასწავლიდი და ვლოცულობდი, რომ სახარების უწყება მათ გულებში დამკვიდრებულიყო.

ომდურმანისა და ალ-ჰუდას ციხეების სამლოცველოებისგან განსხვავებით, აქ ქადაგების მხოლოდ შემთხვევითი შესაძლებლობები მქონდა. ვიცოდი, რომ ზოგიერთი მუსულმანი სამლოცველოს ღვთისმსახურებაზე დადიოდა, ამიტომ შევეცადე, ჩემი ქადაგება მახარებლური ყოფილიყო. ნიაბა მენდოლაში ბიბლიის შესწავლისას დაგროვილი ქადაგებების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ხელშეუხებელი იყო, ამიტომ ჩემს სულს ძალიან ანაღვლებდა რეგულარული ქადაგების საშუალების არქონა.



31

თანდათანობით შევეჩვიე კობერის პირობებს, დღის განმავლობაში პასტორ ჰასანთან შეხვედრაც შემეძლო, მაგრამ შუადღის შემოწმების შემდეგ ცალ-ცალკე კამერებში გვკეტავდნენ ციხის სხვადასხვა ნაწილებში. ჩემს ე. წ. „VIP“ სექციაში სამთავრობო მოხელეებთან, პოლიციის თანამშრომლებთან და უშიშროების ჯარისკაცებთან ერთად ვიჯექი, რომლებიც დარფურის და იემენის ბრძოლის ველიდან გაიქცნენ, სადაც საუდის არაბეთის სახელით გაგზავნეს საომრად პრეზიდენტ ბაშირის ბრძანებით. ამ განყოფილებაში სუდანის უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკიც კი იჯდა, რომელმაც უარი განაცხადა ერთ-ერთი ასეთ ბრძანების შესრულებაზე. ეს ადამიანები ჩემს მიმართ მეგობრულად იყვნენ განწყობილნი და საჭმელიც კი მიწილადეს, რომელიც ნათესავებმა კობერში მოუტანეს. ერთ-ერთ მათგანს საკუთარი საკანიც კი ჰქონდა კონდიციონერით და თანამგზავრული ტელევიზიით. ერთხელ ეს ადამიანი მტკივნეული პოდაგრით იტანჯებოდა და რამდენიმე აბი იბუპროფენი მივეცი. ის მადლიერი იყო, რომ შვება იგრძნო. როცა გაიგო, რომ ოჯახთან დაკავშირება ტელეფონის არქონის გამო არ შემეძლო, თავის კონდიცირებულ საკანში დამპატიჟა, როცა კი მომესურვებოდა და ოჯახთან დასაკავშირებლად მობილურის გამოყენების უფლებაც მომცა. *ეს მახე ხომ არ იყო?* მაინტერესებდა. თავდაპირველად, მისი შემოთავაზება უარვყავი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დავნებდი და მეუღლეს დავურეკე.

ციხე აეროპორტთან ძალიან ახლოს მდებარეობდას და ჩემი კამერიდან მახლობელი ასაფრენი ბილიკით ჰაერში აჭრილ

თვითმფრინავებს ვხედავდი. ეს ყველაფერი იმდენად ახლოს იყო, რომ ბორბლების აკეცვის გარჩევაც შემეძლო. როცა ღამით ვანდას ვესაუბრებოდი, მასაც ესმოდა უზარმაზარი რუსული სატვირთო თვითმფრინავების გამაყრუებელი ხმა. ოჯახმა ჩემი განაჩენის შესახებ კაიროში ჩეხეთის საელჩოს თანამშრომლისგან გაიგო. დიდი იმედგაცრუების მიუხედავად, ისინი ამ შედეგისთვის მზად იყვნენ, თუმცა მაინც ელოდნენ, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებები ჩემი გათავისუფლების თაობაზე მალე წარმატებით დაგვირგვინდებოდა. და მაინც, არავინ იცოდა, ამ პროცესს კვირები დასჭირდებოდა, თვეები თუ წლები. ამის მიუხედავად, ისინი მარხულობდნენ და ლოცულობდნენ. კობერში მყოფმა უშიშროების დაპატიმრებულმა ჯარისკაცებმა ცოტაოდენი ინგლისური იცოდნენ და უფრო მეტის შესწავლა სურდათ. სახელმძღვანელოს სახით იოანეს სახარებას ვიყენებდი ჩემი ბიბლიიდან. ჯარისკაცების ნაკადი არ წყდებოდა. ბევრი მათგანი გათავისუფლდა, როგორც კი ბრძოლის ველზე დაბრუნების სურვილი გამოთქვეს.

საბედნიეროდ, ჩემი ახალი კონდიციონერიანი მეგობარი უშიშროების ჯაშუში არ გამოდგა. თუმცა ციხეში ყოფნისას ბევრ სხვას წავაწყდი. განაჩენის გამოტანის დღეს ომდურმანის გარდამავალ ციხეში წაგვიყვანეს. თითების ანაბეჭდების აღების პროცესში ერთ თეთრკანიან მამაკაცს შევხვდი, რომელიც ჩემზე ცოტათი უფროსი იქნებოდა და ინგლისურად გამოველაპარაკე.

- საიდან ხარ? - ვკითხე მე.

თავიდან ტუჩებზე თითი მიიდო გაჩუმების ნიშნად, შემდეგ კი საგრძნობი რუსული აქცენტით მიპასუხა:

- ინგლისური არა.

მაშინ იგივე კითხვა რუსულად გავუმეორე და მიპასუხა. მითხრა, რომ ინჟინერ-მექანიკოსი იყო, რომელიც ფირმამ მოატყუა და სუდანში „კარგ სამუშაოს“ დაპირდა. საბოლოოდ, კომპანიის წარმომადგენლები სუდანიდან გაქრნენ და მას ერთადერთი რამ დარჩა - სასტუმროს გადაუხდელი ანგარიში.

უცნაური შეხვედრა იყო და ძალიანაც არ გამკვირვებია, რომ ჩემთან, ჰასანთან და მონიმთან ერთად კობერისკენ გაუშვეს. მართალია, ამტკიცებდა, ინგლისური არ ვიციო, მაგრამ ისე ხდებოდა, რომ ყოველთვის ჩვენთან ახლოს ტრიალებდა და ინგლისური საუბრის მოსმენას ცდილობდა. მისი ახლოს ყოფნა არ მსიამოვნებდა, მაგრამ სახარების გაზიარება გადავწყვიტე. მან თავიდანვე განმიცხადა, რომ რუსი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო!

ერთხელაც, როცა ისევ ჩვენს სიახლოვეს აღმოჩნდა, ერთმა ეგვიპტელმა პატიმარმა მასში რუსი პილოტი ამოიცნო, რომელიც ხართუმიდან დარფურისკენ დაფრინავდა. ეს ეგვიპტელი დამტვრეულ ინგლისურზე ლაპარაკობდა, მაგრამ რუსი საშინლად დააფრთხო, როცა „ანატოლი ... უშიშროება ... პილოტი“ დაუძახა და მხრებზე მიუთითა, სადაც მისი, როგორც ოფიცრის წოდება აისახებოდა. რუსი პილოტი მთელი სისწრაფით გაიქცა და კარგა ხანი გავიდა, სანამ კიდევ ვნახავდით.

ძმა მონიმს ზოგჯერ ჩვენი ნაწილის მონახულების უფლებას აძლევდნენ. დღისით, როგორც წესი, ჩრდილში ვიჯექი და ბიბლიას ვკითხულობდი. იმის გამო, რომ სამლოცველოში ხშირად სიარულის უფლებას არ მაძლევდნენ, გადავწყვიტე სახარება ფრანგულ ენაზე გამეზიარებინა რამდენიმე პატიმრისთვის, რომლებიც ფრანგულენოვანი აფრიკული ქვეყნებიდან იყვნენ. ერთი ახალგაზრდა მუსულმანი, გვინეელი ფეხბურთელი, განსაკუთრებით მონდომებული იყო, რომ ჩემი პატარა ქადაგებები ფრანგულ ენაზე მოესმინა და ძალიან დავმეგობრდით. ყოველდღე ვლოცულობდი, რომ უფალს ახალგაზრდა მუსულმანი მეგობრისთვის თავი უფლად, მხსნელად და ღმერთად დაენახვებინა.

* * *

კობერში ყოველდღე მახსენებდნენ, რომ ჩემი დრო და ცხოვრება უფლის ხელში იყო. ის აკონტროლებდა ვითარებას. ერთ დილას, როცა ეზოში ხის ქვეშ ვიჯექი და წმიდა წერილის ჩემთვის

უსაყვარლეს ადგილს, ფსალმუნთა წიგნს ვკითხულობდი, 126-ე ფსალმუნს მივადექი:

> „როცა დააბრუნა უფალმა ტყვენი სიონზე, თავი სიზმარში გვეგონა.
>
> მაშინ სიცილით აივსო ჩვენი პირი და ჩვენი ენა - სიხარულის შეძახილით. მაშინ ამბობდნენ ერებს შორის: დიადი საქმე მოიმოქმედა მათთვის უფალმა.
>
> დიადი საქმე მოიმოქმედა ჩვენთვის უფალმა. ვიმხიარულოთ“ (ფს. 126:1-3).

მოულოდნელად ჩემს წინ ორი მცველი გაჩნდა და გამაოგნებელი ახალ ამბავი მომიტანა. ამაზე მეტად სხვა არაფერი გამაკვირვებდა, რის თქმაც მათ შეეძლოთ და მთელი ძალით ვცდილობდი ამ ამბის ჩაწვდომას.

- პეტრე, - მითხრეს მათ, - დღეს ციხიდან გაგიშვებენ!

126-ე ფსალმუნში ახლახანს აღწერილმა გრძნობამ დამიარა. *ეს მართალია?* - დავინტერესდი. *ნუთუ სიზმარში ვარ?* ადრე ბევრჯერ მომატყუეს და ძნელი იყო დაჯერება, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო გარდა სიზმრისა. და მაინც, ეს ახალი ამბავი ნამდვილი გამოდგა! თვალზე ცრემლი მომადგა და ვანდაზე გავიფიქრე. როგორც იქნა!

ჩემი გათავისუფლების ამბავი ცეცხლის ალივით მოედო ჩვენი განყოფილების ყველა პატიმარს. ტუსაღის გათავისუფლება ციხისთვის ყოველთვის სიხარულისა და ზეიმის მიზეზი იყო. *„შესაძლოა, მომდევნო ჯერზე მეც გამიშვან“*, - ასე ფიქრობდა ყოველი მამაკაცი. ჩემი თანასაკნელებისგან მხიარული შეძახილები მოდიოდა და ჩემკენ სიხარულით გაბრწყინებული სახეებით ტრიალდებოდნენ. მალე დავინახე, რომ ჰასანი და მონიმი მორბოდნენ. მათაც უხაროდათ. თუ მე გამიშვებდნენ, მათაც დანამდვილებით გაუშვებდნენ.

როგორც წესი, ტანსაცმელი სხვა პატიმრებს დავურიგე. კაცები მოუთმენლად ათვალიერებდნენ ჩემს არცთუ მრავალ

ნივთს და დაკვირვებით ვუყურებდი გაყოფის ქაოტურ პროცესს იმაში დასარწმუნებლად, რომ ჰასანი და მონიმი ჩემს წამლებს მიიღებდნენ. მცველები მელოდნენ და ვიცოდი, რომ უნდა წავსულიყავი. მათ პატარა, ნახევრად ცარიელი ჩანთით გავყევი ციხის მიმღებისკენ. იქ უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომელი მელოდა.

- სუდანის პრეზიდენტმა შეგიწყალათ, - გამომიცხადეს მათ. - ამიერიდან თავისუფალი ადამიანი ხართ.

მათ იარაღს გადავხედე. ციხეს კი ვტოვებდი, მაგრამ კარგად ვაცნობიერებდი, რომ ჯერ კიდევ სუდანში ვიმყოფებოდი და ტოტალიტარული რეჟიმი სრულად მაკონტროლებდა. მას შეეძლო თავისთვის ნებისმიერი ქმედების უფლება მიეცა. მღელვარების შეგრძნება ჩემს ემოციებზე ცოტათი ნაკლები იყო და ყველაფრისთვის მზად გახლდით. პრეზიდენტი ბაშირი ქვეყანას სამი ათეულია წელია, რაც მართავდა და ეს ახალშეძენილი „თავისუფლება“ შეიძლება, სრულიადაც არ აღმოჩენილიყო თავისუფლება. ციხის მცველებმა ფასეული ნივთები დამიბრუნეს, კერძოდ, MP3 ფლეიერი და მობილური ტელეფონი. ჩემი სიმ-ბარათი საიმედოდ ინახებოდა ჩემი საცვლის საიდუმლო ჯიბეში.

- ჩვენთან ერთად წამოხვალთ, - თქვეს მათ.



32

შეშფოთებული ვაკვირდებოდი, როგორ დებდნენ ოფიცრები ჩემს სახელურიან ჩემოდანს პატარა თეთრი მანქანის უკანა ნაწილში. შემდეგ საპარიკმახეროში წამიყვანეს და დაჟინებით მოითხოვეს, რომ ჩემთვის წვერი გაეპარსათ. პარიკმახერმა თავი სკამის საზურგისკენ გადამაწევინა და სახეზე დამამშვიდებელი სამკურნალო ნიღაბი დამადო. ეს პროცესი შთაბეჭდილების მოხდენის აბსურდულ მცდელობად მომეჩვენა - თითქოსდა სუდანის ციხეში პატიმრობისას კარგად მივლიდნენ. დალაქმა პროცედურა სამჯერ გაიმეორა და ამ მოუხერხებელ მდგომარეობაში დიდი ხნით ჯდომისგან სხეული დამეღალა. როცა სახის პროცედურების რამდენიმე სერიით დაკმაყოფილდა, საჩქაროდ ამოიღო პატარა მობილური მასაჟორი, რომ მხრებსა და კისერზე დაძაბულობა მოეხსნა.

- უნდა მოდუნდეთ, - მითხრეს ოფიცრებმა, როცა ბოლოს და ბოლოს, საპარიკმახერო დავტოვეთ.

რასაკვირველია, ამის თქმა ადვილი იყო, მაგრამ გაკეთება - ძნელი. ისევ იმ უშიშროების თანამშრომლების თანდასწრებაში ვიყავი, რომელთაც დამკითხეს და ციხეში ჩამსვეს. მათმა გარეგნობამაც გასული თხუთმეტი თვის ყველაზე ცუდი და მდაბალი მომენტები გამახსენა. მით უმეტეს, რომ პერანგების ქვეშ იარაღი მოუჩანდათ.

- საუნაში უნდა წაგიყვანოთ, - მითხრეს მათ.

საუნაში წასვლის არანაირი სურვილი არ მქონდა - ეს ოფიცრებს ჩემი ჩანთების გაჩხრეკის და მობილურის პოვნის კიდევ ერთ

შესაძლებლობას მისცემდა, მაგრამ ჩემი ახლადმოპოვებული „თავისუფლება“ ამის გაკეთებას მაიძულებდა. არ მინდოდა პრობლემები შემქმნოდა, ამიტომ წუწუნის გარეშე გავყევი. კერძო საუნას მივადექით და გასახდელში შევედი.

როცა გავიხადე, ტანსაცმელი ფაქიზად დავკეცე, ჩანთაზე დავაწყვე და მობილური ტელეფონი ამოვიღე. რამდენიმე წუთში ყველაფრის ჩხრეკას დაიწყებდენ, რაც თან მქონდა. მობილურს საუნაში ვერ შევიტანდი, მაგრამ იმის უფლებასაც ვერ მივცემდი, რომ ჩემი სიმ-ბარათი წაეღოთ. ეს ნამცეცა ჩიპი ციხეში განხორციელებულ ყველა ზარისა და შეტყობინების ინფორმაციას მოიცავდა. ამრიგად, სწრაფად ამოვიღე ის საიდუმლო ჯიბიდან და პირში ჩავიდე ისე, რომ უკანა საღეჭი კბილების მიღმა დავმალე. ცხელ საუნაში ათი მღელვარე წუთი გავატარე, სანამ წასვლას დავიჟინებდი.

ოფიცრებმა ადგილობრივ სწრაფი კვების რესტორანში წამიყვანეს, სადაც შემწვარი ქათმის ბარკლების მოზრდილი ულუფა, ფრანგული ფრი, სალათი და სპრაიტი შეუკვეთეს და მაკვირდებოდნენ, როგორ ვჭამდი ხორცს. ჩემი კუჭი მგრძნობიარე გახდა და ძალზე დაპატარავდა წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მწირი საკვების ჭამით. გარდა ამისა, ესოდენ დაინტერესებული საზოგადოების წინაშე ჭამა უხერხულობას მიქმნიდა.

რესტორნიდან გამოვედით და ძვირფასი ტანსაცმლის მაღაზიაში შევედით.

- ოდეკოლონი გსურთ? კოსტიუმი? პერანგი და ჰალსტუხი გჭირდებათ.

ერთ-ერთი მამაკაცი ხელში ფულის სმსხვილ დასტა სათამაშებდა.

„არ არსებობს“, - გავიფიქრე მე. – *„აფრიკაში ვარ და კოსტიუმით არ ვიმოგზაურებ“*.

ვხედავდი, რომ ჩემს ზედამხედველებს უბრძანეს, რაც შეიძლება, კარგი შეხედულება მქონოდა. თუ ისე გამიშვებდნენ, როგორც საუკეთესოდ ჩაცმული ბიზნესმენი გამოდის მდიდრული სასტუმროდან, როგორ დაიჩივლებდა მსოფლიო, რომ ცუდად

მექცეოდნენ? ვცდილობდი, ისე მეთქვა უარი მათ ფარსში მონაწილეობაზე, რომ ზედმეტად არ გამეღიზიანებინა.

- კარგი ტანსაცმელი მაქვს, - ვუთხარი მათ.

- არა, არა, თქვენი ტანსაცმელი საკმარისად კარგი არ არის.

ჩანდა, მათ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდათ, ვიდრე მე.

- ასეთი ჯინსები მაქვს, - ვაჩვენე სუფთა ტანსაცმელი, რომელიც ჩემოდანში მედო.

მათ მკაცრი გაფრთხილება მიიღეს, რომ მაქსიმალურად წარმოსაჩენი სახე მქონოდა, მაგრამ უხალისოდ დამთანხმდნენ ქამრის ყიდვაზე, რომელსაც დაგლეჯილი პლასტიკატის თოკი უნდა შეეცვალა, რომლითაც შარვალს ვიჭერდი.

შემდეგ სურსათის მაღაზიაში შევედით. მითხრეს, რომ სამი-ოთხი დღის საუზმისთვის საკმარისი პროდუქტი მეყიდა, ამიტომ ხსნადი ყავა, ჩაი, პური, კვერცხი, ხილი და შოკოლადის ბატონები ვიყიდე.

დატვირთულები კიდევ ერთხელ ჩავსხედით ავტომობილში და მალე მივედით შენობასთან, რომელიც მრავალსართულიან კორპუსს ჰგავდა. უზარმაზარი ბეტონის კედელზე, რომელიც მთელ კონსტრუქციას გარშემო გასდევდა, მავთულხლართი შემოევლოთ. მესერის იქიდან მუქარით აყეფდნენ გერმანული ნაგაზები, როცა მანქანით ჩავიარეთ. უშიშროების თანამშრომლები შენობაში შემიძღვნენ. იქ ორშაბათამდე უნდა დავრჩენილიყავი, როგორც მითხრეს - ოთხ დღეს. მათ ჩემი საუკეთესო მაისური, რომლითაც სახლში გამგზავრებას ვგეგმავდი, ქიმწმენდაში წაიღეს და უახლოეს ვადაში დაბრუნებას დამპირდნენ.

ჩემი სიმ-ბარათი ისევ პირში მქონდა.

* * *

ოფიცრები წავიდნენ და როგორც იქნა, მარტო დავრჩი ჩემი ბინის საძინებელში. ვიცოდი, რომ მისმენდნენ, მაგრამ ვანდასთვის უნდა დამერეკა. ბინა მოვათვალიერე და დავადგინე, რომ სააბაზანო ყველაზე განკერძოებული ადგილი იყო, ამიტომ

ტუალეტში შევედი, პირიდან სიმ-ბარათი გამოვიღე, პერანგზე შევაშრე, ისევ ტელეფონში ჩავდე და სწრაფად ავკრიფე ვანდას ნომერი.

იქ, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ვანდამ ტელეფონი აიღო. ჩურჩულით და სწრაფად უნდა მეთქვა.

- რა ხდება? - შეშფოთებით მკითხა ვანდამ.

- დღეს დილით კობერის ციხიდან გამომიშვეს და ახლა რომელიღაც უცნობ ადგილას ვარ, - დავიჩურჩულე მე. - ეს სუდანის საიდუმლო პოლიციის სამალავს ჰგავს. მითხრეს, რომ გარკვეული დრო აქ ვიქნები.

ჩეხოსლოვაკიის ოციფიალურ პირებს ასეთი ბინები ან სახლები კომუნისტური მმართველობის დროსაც ჰქონდათ; ეს იყო ფარული ადგილსამყოფელი, სადაც ადამიანის დამალვა, ინფორმაციის წყაროსთან შეხვედრა, პატიმრის დაკითხვა ან საყვარლის მიყვანა შეიძლებოდა ისე, რომ ამაზე არავის სცოდნოდა.

ვანდა ამ უცნაურმა ზარმა შეაშფოთა და იფიქრა, რაიმე საფრთხეში ხომ არ ვიყავი. კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში გაზრდილმა ბევრი ისტორია იცოდა პოლიტპატიმრებზე, რომლებსაც ციხიდან მხოლოდ იმიტომ „ათავისუფლებდნენ“, რომ მკვდარი ეპოვნათ. სწორედ ასე აგვარებდა მთავრობა მსგავს შემთხვევებს და ახლა ჩემი ცოლი შიშობდა, რომ სუდანის ხელმძღვანელები ანალოგიურად აპირებდნენ ჩემი საქმის „მოგვარებას“.

ზარი გავთიშეთ და აღტაცებისა და მღელვარების არეული გრძნობებით სავსე ვანდამ ლოცვა დაიწყო.



33

სამი ღამე უშიშროების ბინაში ვიყავი და ველოდი. მთელი დღე საწოლში ვიწექი, წმიდა წერილს ვუსმენდი MP3 ფლეიერით და თავს კითხვას ვუსვამდი - რა იქნება შემდეგ?

ბინა დიდი არ იყო. ერთ საძინებელში დიდი საწოლი იდგა. საწოლს სუფთა სუნი ასდიოდა, ამიტომ გადასაფარებელზე დაწოლა გადავწყვიტე. ბინაში ონკანის წყალი ყოველდღე რამდენიმე წუთით მოდიოდა. ამიტომ გაღებული ონკანის ქვეშ სათლი შევდგი ჭუჭყიან აბაზანაში და ველოდი, როდის ჩართავდნენ მილებს. როცა ვედრო აივსებოდა, პლასტმასის ბოთლს ვიყენებდი შხაპის მისაღებად და აქ არსებული პირსახოცებით ვიმშრალებდი. ზოგჯერ ღამით წყლის ხმას რომ გავიგებდი, მაშინვე წამოვხტებოდი ტუალეტის ჩასარეცხად. ღამით უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ყოველ ნახევარ საათში მამოწმებდნენ იმაში დასარწმუნებლად, რომ არ გავქცეულვარ.

- ხომ არ გინდათ, ღვინო გიყიდოთ? - მეკითხებოდნენ ისინი, - ან ქალები მოგიყვანოთ?

უარი ვუთხარი ალკოჰოლისა და ქალების შემოთავაზებაზე, მაგრამ მალე გავიგე, რომ ჩემს ბინაში სხვა ვიზიტორებიც იყვნენ. როცა ღამით შუქს ვაქრობდი, თაგვები იატაკიდან პირდაპირ ლოგინში მიხტებოდნენ. ზოგჯერ ზედ ჩემს სხეულზე ან ბალიშზე დაეშვებოდნენ ხოლმე, ზუსტად ჩემი ახალგადაპარსული თავის უკან. საწოლიდან ვხტებოდი, შუქს ვანთებდი და თაგვები მაშინვე ქრებოდნენ. მეორე დღეს, როგორც გამოვარკვიე, ბინაში სააბაზანოს წყალგაყვანილობის სისტემიდან ხვდებოდნენ.

ამ მღრღნელებისა და დაცვის ხალხის გადამკიდე, ღამით თითქმის არ მეძინა, სამაგიეროდ დღისით ჩათვლემას ვახერხებდი. დაცვას ჩემი გამოკვება ჰქონდა ნაბრძანები, ამიტომ ორჯერ საჭმელად გავდიოდით. დარჩენილ დროს იმას ვჭამდი, რაც სასურსათო მაღაზიაში ვიყიდე. გაზქურაზე ჩაის ვადუღებდი, კვერცხს ვიწვავდი და ორშაბათის დადგომას ველოდი.

* * *

26 თებერვალს, კვირას, 15:30 წუთზე, გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მოვიდნენ და გამომიცხადეს:

- ერთ პიროვნებას თქვენთან საუბარი სურს, ასე რომ, გაემზადეთ.

ჩემი ნივთები ჩალაგებული მქონდა იმ შემთხვევისთვის, თუ ნებისმიერ მომენტში წასვლა მომიწევდა, ამიტომ ჩემოდანს ხელი დავავლე და კარისკენ გავემართე. *როგორც იქნა!*

- არა, არა, დამშვიდდით, - მითხრა ერთ-ერთმა მამაკაცმა, - საუბარი ტელეფონზე შედგება.

ჩემი ბარგი დავდე და მან მობილური ტელეფონი გადმომცა.

გამიკვირდა, როცა ჩეხეთის ელჩის ხმა გავიგონე.

- ბატონო იაშეკ, - გავიგონე ქალბატონი ელჩის ხმა, - სად ხართ? თქვენს წასაყვანად მოვედით. აეროპორტში გელოდებით.

ისე გამიხარდა, რომ ხმის ამოღება გამიჭირდა.

- ეს ძალიან კარგია!, - ვთქვი მე, მაგრამ არ ვიცოდი სად ვიმყოფებოდი და მაინტერესებდა, როგორ უნდა მივსულიყავი აეროპორტამდე.

- 17:00 საათზე უნდა გავიდეთ, - მიპასუხა ელჩმა. ვიცოდი, რომ აეროპორტიდან შორს ვიყავი და დროულად მისვლას ვერ მოვასწრებდი. გაფრენამდე საათნახევარი რჩებოდა და ჯერ კიდევ ჩემი სუდანელი ზედამხედველების ხელში ვიყავი.

ყურმილი დავკიდე, ხოლო უშიშროების სამსახურის ხალხი წავიდა. ბინაში მარტო დავრჩი და ვაკვირდებოდი, როგორ

წიკწიკებდა საათი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მარადისობა გავიდა. 4:00 საათს ცოტა რომ გადაშორდა, ისინი დაბრუნდნენ, მაგრამ ამ დროისთვის სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ რეისს ვერ მივუსწრებდი.

ავტომობილში ჩავჯექით და ხართუმის აეროპორტის გზას დავადექით. არც პასპორტი მქონდა და არც პიროვნების დამადასტურებელი რაიმე მოწმობა. მაინტერესებდა, ექნებოდათ თუ არა სუდანელებს ჩემი რომელიმე პასპორტი აეროპორტში, რადგან ჩამოფრენისას თან ორი მქონდა. ასევე მინდოდა, გამეგო, რა ბედი ეწია კომპიუტერს, კამერას და სხვა ნივთებს. თუ სრული შეწყალება მივიღე, ეს ისე უნდა ყოფილიყო, თთქოს არავითარი დანაშაული არ ჩამედინოს. ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ამ საგნების კონფისკაციის სასჯელი გაუქმებულია ... ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც. არ მინდოდა გამერისკა და ჩემი მცველებისთვის ამ კითხვით შეურაცხყოფა მიმეყენებინა. (მაპატიეს თუ არა, ეს საგნები სასამართლოს შემდეგ აღარ მინახავს. ალბათ, უშიშროების ოფიცერი შესანიშნავ სურათებს იღებდა ჩემი ძველი კამერით!)

თხუთმეტი თვის უკან სასტუმროს სამარშრუტო ავტობუსით მგზავრობა გამახსენდა და ვილოცე, რომ ეს მგზავრობა სხვაგვარად დასრულებულიყო.

* * *

როგორც იქნა, აეროპორტში მივედით. ჩემს მცველებს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და მზის სათვალეები ეკეთათ. მალე მივხვდი, რომ თავს აეროპორტის თანამშრომლებად აჩვენებდნენ. დაცვამ ბეიჯები წარმოადგინა და აეროპორტის დაცულ ზონაში შეგვიძღვა. შემდეგ ჩვენი მანქანის კარები გააღეს და VIP დარბაზამდე მიმაცილეს. ჩეხეთის დაზვერვის თანამშრომლები, რომელთაგან ერთ-ერთს უშიშროების ეროვნულ კლუბში შევხვდი, ორ ექიმთან ერთად მელოდებოდნენ.

უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომელი დერეფანში მომყვებოდა. ერთი მათგანი უშიშროების ციხიდან გავიხსენე - სწორედ ის იყო, ვინც ჩემი დაკავებისას გაისროლა. ექიმები მომზადებულები მოვიდნენ სრული საველე ჰოსპიტლის აღჭურვილობით. მათ სრული სამედიცინო შემოწმება ჩაატარეს, კარდიოგრამის აპარატთან შემაერთეს, ჟანგბადის შემცველობა გამიზომეს და სპეციალური რეჰიდრატაციის სასმელი შემომთავაზეს ელექტროლიტებით. ჩეხეთის საელჩოს თანამშრომლისგან გაიგეს, რომ თავს კარგად ვგრძნობდი და ჩემი გონებაც ხელშეუხებელი იყო, მაგრამ აღელვებული იყვნენ შესაძლო დეჰიდრატაციით. უშიშროების ორი ოფიცერი გაკვირვებით მიმზერდა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩეხეთის დაზვერვის ექიმების ესოდენი ყურადღების შემყურეთ, ჩემს ჯაშუშობაში ეჭვი არ ეპარებოდათ.

შემოწმების შემდეგ დაცდა მოგვიხდა. გავიგე, რომ მალე ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა მოსულიყო და პრაღაში მისი თვითმფრინავით დავბრუნდებოდით.

- ტუალეტში წასვლა მინდა, - მოვასწარი თქმა.

ტუალეტში მობილური ამოვიღე და ვანდას ჩუმად დავურეკე. სამი დღის წინანდელი შემაშფოთებელი ზარის შემდეგ შვებით ამოისუნთქა, როცა ჩემი ხმა გაიგონა. ვანდა საგარეო საქმეთა მინისტრის მგზავრობის გრაფიკს თვალყურს ადევნებდა ოფიციალურ ვებგვერდზე და იცოდა, რომ 26 რიცხვში ერთდღიანი ვიზიტით სუდანში გაემგზავრა. თუ მგზავრობა გეგმიურად წარიმართებოდა, იცოდა, რომ სახლში რამდენიმე საათში დავბრუნდებოდი.

- ახლა აეროპორტში ვიმყოფები, - მოუთმენლად ვუთხარი მე, - და ჩანს, რომ მალე გავფრინდებით. მინისტრსა და მის გუნდს ველოდებით.

მალე მივხვდი, რომ ჩემი სატელეფონო ზარი სარისკო იყო. ამბავი მოვიდა, რომ მინისტრი უკვე გზაში გახლდათ და მოსაცდელი დარბაზი დავტოვეთ. სუდანურმა დაცვამ, ლამის, თვითმფრინავის კიბემდე მიგვაცილა, რომელიც

ჩეხეთის მთავრობის კუთვნილი უზარმაზარი ოფიციალური თვითმფრინავი გამოდგა. თვითმფრინავში ჩავჯექით და ცოლთან კიდევ ერთხელ დარეკვის უფლება ვითხოვე.

- უმჯობესია, არ დარეკოთ, გეთაყვა, - მითხრა დაზვერვის ოფიცერმა. - სინამდვილეში, დიდი შეცდომა დაუშვით, როცა ცოლს ტუალეტიდან დაურეკეთ.

ჩემი გათავისუფლების შესახებ მოლაპარაკებების სიმყიფის გამო, რომელიც მხოლოდ წინა დღით დასრულდა, ოფიცრებმა იცოდნენ, რომ ყველაფერი მოსალოდნელი იყო, სანამ ჰაერში არ ავფრინდებოდით.

თვითმფრინავის პლუშისა და ტყავის სავარძელზე გადავწექი გამომაფხიზლებელი აზრით მოცულმა, რომ საკუთარი თავისუფლება კინაღამ საფრთხის ქვეშ დავაყენე.

საგარეო საქმეთა მინისტრი ორმოცდახუთ წუთში მოვიდა თავის ამალასთან ერთად. ცოტა არ იყოს, ვღელავდი, თუ როგორ შემხვდებოდა. ოჯახისგან გავიგე მისი ერთი საჯარო განცხადების შესახებ, რომ გარკვეულ უსიამოვნებების მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი, როცა სუდანელი ქრისტიანების უფლებების დარღვევის დოკუმენტური დამოწმების შეგროვება გადავწყვიტე. გარკვეული აზრით, მივხვდი, რასაც გულისხმობდა: ჩემი ბრალი იყო, რაც თავს გადამხდა, ვინაიდან სუდანისნაირ საშიშ ქვეყანაში გავემგზავრე.

მინისტრი ლიუბომირ ზაორალეკი თვითმფრინავში შემოვიდა, გამიღიმა და მითხრა: - ბატონო იაშეკ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩეხეთის საჰაერო ძალების თვითმფრინავის ბორტზე! უპირველეს ყოვლისა, მინდა მოკითხვა გადმოგცეთ ჩემი მეგობრებისგან ქალაქ მოსტის საძმოს ეკლესიიდან, რომელთაც ბევრი რამ მიამბეს თქვენი ჰუმანიტარული საქმიანობის შესახებ. ძალიან ვაფასებ თქვენს მიერ გაწეულ შრომას.

ყინული სრულიად გალღვა. მას ხელი ჩამოვართვი. შემდეგ მისი თანამშრომლები და პრეს-მდივანი მომესალმნენ.

ჩეხეთში ჩაფრენას ექვს საათზე ცოტა მეტი მოვანდომეთ. ამ დროის განმავლობაში მინისტრმა ზაორალეკმა ბიზნეს-

კლასის ადგილი დატოვა, რომ ჩემს გვერდით დამჯდარიყო. ორი საათი ვსაუბრობდით. მან დაწვრილებით გამომკითხა ციხის საშინელი გამოცდილების ამბავი. მშვიდად მისმინა. შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და რაღაც მითხრა. ამ სიტყვებმა ჩემს მიერ გადატანილი განცდების ღრმა გაგება გამოავლინა და იმედი მაქვს, განვლილი წლის ცხოვრებაც შეაჯამა:

- აი, გისმენთ და სანაძლეოს ჩამოვალ, რომ თქვენი ცხოვრებისეული მაგალითი პავლე მოციქულია.



34

26 თებერვლის საღამოს ვანდას ტელეფონმა ისევ დაიწკრიალა. მეორე ბოლოში ჩეხეთის საკონსულოს თანამშრომელი, იაროსლავ ვეირიჩი აღმოჩნდა და მას საოცარი ახალი ამბავი ჰქონდა: „პეტრე თვითმფრინავშია“.

ვანდა ატირდა და შვილები მაგრად ჩაიხუტა. მათ უფალი განადიდეს და სასწრაფოდ დაიწყეს ამ კარგი სიახლის ქრისტიანებში გავრცელება, რომლებიც ჩემთვის ლოცულობდნენ და მარხულობდნენ თოთხმეტი გრძელი თვის განმავლობაში.

ჩემმა ოჯახმა იცოდა, რომ პრაღის სამხედრო აეროპორტში დავეშვებოდი, მაგრამ იქ ვერ მნახავდნენ. ისინი სამხედრო ჰოსპიტალში მივიდნენ და მოუთმენლად მელოდნენ.

როცა რამდენიმე საათის შემდეგ თვითმფრინავიდან გამოვედი, ჟურნალისტების ჯგუფი პრეს-კონფერენციისთვის შეიკრიბა. უამრავ მიკროფონთან საგარეო საქმეთა მინისტრისთვის მადლობის გადახდის შესაძლებლობა მომეცა იმ დაძაბული და თანმიმდევრული შრომის გამო, რაც ჩემი გათავისუფლებისთვის მოლაპარაკებებისას გასწია. „ვხვდები, რამდენად რთული უნდა ყოფილიყო ამ შედეგის მიღწევა ქვეყანაში, - ვაგრძელებდი მე, - სადაც პრეზიდენტს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ბრალდება აქვს წაყენებული.“ დიდი მადლიერება გამოვხატე კლადნოში ჩემი მშობლიური ეკლესიისა და ჩვენი პასტორის, დანიელ კალეტას მიმართ. მადლობა გადავუხადე აშშ-ს წარმომადგენლებს „წამებულთა ხმიდან“ ამ რთულ პერიოდში ჩემთვის, ჩემი ადვოკატისა და ოჯახისთვის გაწეული დიდი მხარდაჭერის გამო. ბოლოს, მადლობა გადავუხადე

ასობით ათას ქრისტიანს, რომლებიც ჩემთვის ლოცულობდნენ და ხელი მოაწერეს CitizenGo-ს ორგანიზაციის ონლაინ-პეტიციას, რომელიც მთელ მსოფლიოში კამპანიებს მართავს დევნილი ქრისტიანების დასახმარებლად.

პრაღაში მობეტონებულ მოედანზე ვიდექი და სანამ დაკვირვებისთვის სამხედრო ჰოსპიტალში გადამიყვანდნენ, ჩემი გული და გონება ჯერ კიდევ სუდანში რჩებოდა. მალე, შუაღამის შემდეგ, როცა სასწრაფო დახმარების მანქანიდან გადმოვედი, ხოლო ჩემი ოჯახის წევრები თავიანთი მანქანიდან გადმოხტნენ და ჩემკენ გამოეშურნენ - როცა წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ მათ პირველად მოვხვიე ხელები - უფალს მადლობა შევწირე, რომ კიდევ უფრო დიდი ოჯახის ნაწილი ვიყავით. ეს ის ოჯახია, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავს და მადლობა ვუძღვენი ღმერთს, რომ სუდანის ციხემაც ვერ შეძლო ჩვენი ერთმანეთისგან დაშორება.



ეპილოგი

პრაღაში დაბრუნებული ისევ საკუთარი და ეკლესიური ოჯახით გარშემორტყმული აღმოვჩნდი, რომლებიც ასე მხურვალედ ლოცულობდნენ ჩემთვის, სანამ სუდანში ვიყავი და იმაზე ფიქრი დავიწყე, თუ როგორ შემცვალა ღმერთმა პატიმრობის თოთხმეტნახევარი თვის განმავლობაში.

უფლისდიდადმადლიერივიყავი -სიღრმისეულადმადლიერი - ჩემთვის მონიჭებული პრივილეგიისთვის, რომ უპატიობით მეტანჯა ჩემი მხსნელის სახელით. მადლიერება ოჯახის გამოც მავსებდა, რომ ჩემი პატიმრობა მაშინ განხორციელდა, როცა შვილები წამომეზარდნენ და ჩემი მეუღლის, ვანდას მხარდაჭერა შეძლეს, რომელიც ჩემი აზრით, ყველაზე მეტად დაზარალდა. საკუთრივ ჩემი გულისთვის ვისურვებდი, რომ ეს გამოცდილება, ღვთის ნებით, უფრო ადრე მიმეღო - ასეთ შემთხვევაში ჩემი ცხოვრების დარჩენილი ნაწილი სულ სხვაგვარი იქნებოდა.

ღმერთი ხშირად უშვებს, რომ ტანჯვამ მოთმინება და მისი ლოდინი გვასწავლოს. მეფსალმუნე წერდა: „უფალს ვენდობი, მას მოელის სული ჩემი და მისი სიტყვის იმედი მაქვს“ (ფს. 130:5). უფლის მოლოდინი ქრისტიანული ცხოვრების გასაღებია. ის ხსნის ყველა სხვა ქრისტიანულ დისციპლინას, როგორიცაა ლოცვა, მარხვა და სხვათა მომსახურება. გარდა ამისა, მისით ვიკურნებით „მომენტალური ქრისტიანობისგან“ - დამოკიდებულებისგან, რომელიც ჩემი პატიმრობის პირველ ნაწილში საკუთარ გულში აღმოვაჩინე.

2016 წლის მარტში, როცა ვფიქრობდი, რომ გამომიშვებდნენ, ღმერთზე იმედგაცრუებული ვიყავი იმის გამო, რომ ამდენ

ხანს პატიმრობაში მამყოფებდა. სახლში წასვლა და კვლავ ოჯახთან ერთად ცხოვრება მინდოდა. ჩეხეთის რესპუბლიკაში, ჩემს ეკლესიაში დაბრუნება და ადრინდებურად თაყვანისცემა მსურდა. ციხის შემდეგ ვითარება სულ სხვა თვალით დავინახე. უფალს ჩემთვის უკეთესი სურდა. სუდანში ტყუილუბრალოდ არ მაჩერებდა. ის ომდურმანის, ალ-ჰუდასა და კობერის ციხეებში ქადაგებისთვის მამზადებდა, რომ ჩემი გამომძიებლებისა და ადვოკატებისთვის სასამართლო გარჩევაზე ღვთის სიყვარული მეჩვენებინა. ღვთიური დრო ყოველთვის სჯობს ჩვენსას. როცა საკუთარ თავზე ფიქრი შევწყვიტე, უბედური აღარ ვიყავი და დავინახე, როგორ იღებდა მოხაზულობას ღვთის უფრო დიდი გეგმა. ჩემთვის სუდანის ციხის გამოცდილება ქრისტეს აღიარების შესანიშნავი შესაძლებლობა იყო, მაშინაც კი, როცა პირადი ტკივილის გადატანა მიწევდა. გავიგე, რომ ღმერთი ზოგჯერ „სიკვდილის ველზეც“ გვატარებს (ფს. 23:4) და ამით საკუთარ თავზე მეტად მის ძალაზე დაყრდნობას გვასწავლის. მხოლოდ ამ ველზე, ჩრდილებსა და სიბნელეში ვხედავთ, როგორ ანათებს ქრისტე ყველაფერზე მეტად. რაც უფრო უმწეოები, უიმედოები და დაუცველები ვართ, მით მეტად არის ჩვენი ყურები მიმართული მწყემსის ხმისკენ, თუ როგორ მივყავართ მის კვერთხს, მის საყრდენსა და მის კვალს.

ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა უშიშროების ციხეში ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა, იმედგაცრუებას ვეძლეოდი, რადგან ლოცვისთვის საჭირო სწორ სიტყვებს ვერ ვპოულობდი. ზოგჯერ ისლამისტი ექსტრემისტების მიერ ნაცემს მხოლოდ გმინვა შემეძლო. თუმცა იმ საშინელ მომენტებში სულიწმიდა ჩემთან ერთად ოხრავდა და შუამდგომლობდა (რომ. 8:26).

ჩემი პატიმრობიდან ოთხი თვის შემდეგ, როცა ღმერთმა თორმეტი ერიტრეელისთვის სახარების გაზიარების შესაძლებლობა მომცა, შეხედულება სრულიად შევიცვალე. იმ დრომდე მხოლოდ სახლში დაბრუნებასა და გათავისუფლებაზე ვფიქრობდი. როცა ადამიანებს ქრისტეს სიყვარულზე ვუამბე

და დავინახე, როგორ პასუხობენ ღმერთს მორჩილებით, მოულოდნელად მივხვდი: *რა არის ციხეში გატარებული ოთხი თვე ზეციურ მარადისობასთან შედარებით?*

ამ მომენტში ჩემი დამოკიდებულება შეიცვალა. ნაკლებად ვფიქრობდი საკუთარ მდგომარეობაზე და მეტს ადამიანებზე, რომელთაც ქრისტე სჭირდებოდათ. ღმერთმა მაჩვენა, რაოდენ მნიშვნელოვანია ცხოვრების უფრო ფართო პერსპექტივით, მარადიულობის თვალსაზრისით დანახვა.

სუდანმა გაცილებით მეტად გაზარდა ჩემში ბიბლიის გამო მადლიერების გრძნობა, ვიდრე ჩეხეთის რესპუბლიკაში მქონდა. სულიწმიდა ყოველთვის გველაპარაკება, როცა მის სიტყვას ვკითხულობთ. ეს ძალზე მკაფიოდ გავითავისე, როცა ჩეხეთის საელჩომ საკითხავი ბიბლია მომცა. წმიდა წერილი საკანში შევიტანე და თავიდან ბოლომდე წავიკითხე. ღვთის სიტყვისადმი ისეთი შიმშილი განმივითარდა, როგორიც აქამდე არ განმიცდია. ჩემს საკანში ქრისტეს თანდასწრება მეყსეული, ძალმოსილი და რეალური გახდა.

რაც უფრო მეტად ვკითხულობდი ღვთის სიტყვას, მით მეტად შევიცნობდი მას. როგორც იქნა, უკეთ გავიგე, რა ჰქონდა პავლეს მხედველობაში, როცა წერდა: „ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა, გარდამეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის; რადგან ვუყურებთ არა ხილულს, არამედ - უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი - საუკუნო“ (2 კორ. 4:17-18). ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რას გრძნობდა მეფსალმუნე, როცა თქვა: „უფალია ჩემი სიმაგრე, ღმერთია ჩემი თავშესაფრის კლდე“ (ფს. 94:22). ბიბლიის ღრმა და ინტენსიური კითხვისას იმაზე მეტი ქადაგება მოვამზადე, რის გამოყენებაც შემეძლო და ახლაც კი არ მაქვს ამოწურული.

ღვთის სიტყვა არ იბორკება (2 ტიმ. 2:9) მაშინაც კი, როცა ღვთის ერი შებოჭილია. წერილი ცოცხალი და მოქმედია. როცა ციხეში მისი მოქმედება შევიგრძენი, თავის შეკავება ვეღარ ჩევძელი. უფალმა მიბიძგა, რომ სახარება თანაპატიმრებისთვის გამეზიარებინა - ნომინალური ქრისტიანების, ანიმისტებისა

და მუსულმანებისთვისაც კი. უფალმა სხვადასხვა ციხეში არა მარტო სახარების ქადაგების პრივილეგია მომანიჭა, არამედ ჩემი მეგობარი პატიმრების მიმართ სიყვარულის გამოხატვის უნარიც მომმადლა, რომელთა უმეტესობა სახარების მტერი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ადრე არასოდეს გაეგონა. ღვთის შემწეობით, მათ გულებში ღვთიური ჭეშმარიტების თესლი ჩავთესე და ვლოცულობ, რომ სხვა ადამიანებმა შეძლონ მისი მორწყვა, რათა უფალმა გაზარდოს. ციხეში მართლაც ვისწავლე მტრების სიყვარული. ჯერ კიდევ ვლოცულობ ისლამისტი პატიმრებისთვის და იმისთვისაც, რომ სუდანის მრავალმა ქრისტიანმა პატიმარმა სახარების გაზიარება შეძლოს. ცხოვრების დასაწყისში ყოველთვის მაინტერესებდა კითხვა, როგორ შეუძლია ადამიანს პასტორის სამუშაოს შესრულება. ერთხელ ცოლს ვკითხე: „პასტორობა ძალზე მომთხოვნი საქმეა. როგორ შეიძლება ყოველ კვირას ქადაგებების მომზადება და ახალ საკითხებზე გამეორების გარეშე ლაპარაკი? პასტორობას ვერასოდეს შევძლებ. ვერ წარმომედგინა, როგორ მოვამზადებდი ქადაგებას ყოველ კვირას, მაგრამ ციხეში, როცა უფალთან ყოველდღიური მოზიარეობა მქონდა, ეს საქმიანობა ძალზე ბუნებრივი გახდა. სულიწმიდა მასწავლიდა, როგორ მომესმინა მისი ხმა.

უპირველეს ყოვლისა, ციხის გამოცდილებამ უფრო მეტად განმიმარტა ლოცვის მნიშვნელობა. ზოგჯერ მესმის, რა დაუდევრად ამბობენ ადამიანები: „შენთვის ვილოცებ.“ ერთ დროს მეც იგივეს ვამბობდი. მართლა ვლოცულობ? რამდენად ხშირად? რა ხანგრძლივობით? ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთი მეგობარი მყავს, სახელად ანატოლი, რომელიც დილით იღვიძებს თუ არა, ჩემთვის ყოველდღიურად ლოცულობს.

როცა სუდანში პირველად დამაპატიმრეს, ჩემს ცოლს მწირი ინფორმაცია ჰქონდა ჩემს შესახებ. ოჯახმა ჯერ ეკლესიის პასტორს დაურეკა. დაიწყო ლოცვის ჯაჭვი, ხოლო სამი კვირის შემდეგ - მარხვის ჯაჭვი. ყოველდღე ერთი, ზოგჯერ კი სამი სხვადასხვა ადამიანი მარხულობდა და ლოცულობდა ჩემთვის დღის განმავლობაში.

ჩვეულებრივ პირობებში, ჩემი ოჯახი ბიბლიის შესწავლაზე დასწრებას კვირაში ერთხელ ახერხებდა. სანამ სუდანში ვიყავი, ჩემი ცოლი ორ, ზოგჯერ კი სამ სხვადასხვა ჯგუფში დადიოდა ბიბლიის შესასწავლად. ერთ საღამოს ჯგუფის ხელმძღვანელმა უხუცესმა ბიბლია დახურა და სხვებს უთხრა, რომ სულიწმიდის მითითებით, წერილის კონკრეტულ მონაკვეთზე მსჯელობა შეეწყვიტათ. ამის ნაცვლად მუხლებზე უნდა დამდგარიყვნენ და ელოცათ ვითარებისთვის, რომელშიც იმ მომენტში ჩემს საკანში აღმოვჩნდი. მთელი ჯგუფი მუხლებზე დაეშვა და ჩემს კამერაში უფლის გამარჯვების აღიარება დაიწყეს. ლოცვა დაასრულეს თუ არა, ყველანი სახლებში გაემართნენ მშვიდობიანად.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ციხიდან გამოვედი და ჩვენს მისაღებ ოთახში ცოლთან ერთად ოჯახურ კალენდარს ვფურცლავდი, საოცარი აღმოჩენა გავაკეთე. მე და ვანდა ერთმანეთს ვუზიარებდით, თუ რა გადავიტანეთ უფალთან ერთად ჩემი პატიმრობის პერიოდში და ვნახეთ, რომ ბიბლიის შესწავლის ჯგუფის იმ განსაკუთრებული ლოცვისას ექსტრემისტი თანასაკნელების წინაშე მუხლებზე ვიდექი, ისინი კი ჩემს დაკითხვას აწარმოებდნენ და ცოცხის ტარით მცემდნენ.

იმ დროს, როცა ლოცვა მჭირდებოდა იმაზე მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე მომენტში, თავად ღმერთი აყენებდა ლოცვის მეომრებს, რომ ჩემთან ერთად და ჩემთვის ებრძოლათ. უფალი დიდია და სულიწმიდა წმიდანებისთვის შუამდგომლობს ღვთის ნებით (რომ. 8:27). ქება უფალს ამ მშვენიერი დამოწმებისთვის!

ციხის ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რა მნიშვნელოვანია სხვა ქრისტიანებისთვის შუამდგომლობა მთელ მსოფლიოში. აჰარონისა და ხურის მსგავსად, რომელთაც ბრძოლის დროს მოსეს ხელები ეჭირათ, ჩვენც მხარი უნდა დავუჭიროთ მათ, ვინც იბრძვის და იტანჯება, ვისაც ახლა, ამ კონკრეტულ მომენტში დევნიან. ჩემი განთავისუფლების შემდეგ მრავალი საათი გავატარე პასტორი ჰასანისა და მონიმისთვის ლოცვაში. ბოლოს და ბოლოს, ორივე გაათავისუფლეს, მაგრამ ჩემი გული ისევ ჩემს ძმებთან ერთად რჩება სუდანის

ციხეში. ბევრი მათგანისგან ელექტრონულ წერილს ან მოკლე შეტყობინებას ვიღებ. ღვთის ერი ლოცვის ერი უნდა იყოს. ცათა სამეფო არასოდეს ვრცელდება ისე, როგორც ჩვენ ველოდებით. უფალი სუსტი და დამტვრეული ნივთების - გულშემუსვრილი ჭურჭლების - გამოყენებას არჩევს თავისი სიცოცხლის შემცვლელი სათქმელის მისატანად. თუ ღმერთმა ვინმე ჩემნაირი გამოიყენა სახარების გასავრცელებლად, ვინმე თქვენნაირსაც გამოიყენებს.

რაც შემეხება მე, ვლოცულობ, რომ ჩემმა გამოცდილებამ ყველა ჩემი ქრისტიანი და-ძმა გაამხნევოს მთელ მსოფლიოში, რომლებიც იდევნებიან ან მსგავსი რამ ემუქრებათ.

ადამიანები ხშირად მეკითხებიან, თავს წამებულად ვგრძნობ თუ არა. ასეთი არ ვარ, მაგრამ მინახავს მონიკასა და დანჯუმას მსგავსი ქრისტიანები, რომელთაც სუდანის ციხეებში შევხვდი.

ფილ. 1:29-ში პავლე ფილიპეს ეკლესიას ეუბნება: „ვინაიდან ქრისტეს გულისთვის მარტო რწმენა კი არ მოგეცათ, არამედ ტანჯვაც მისთვის“. ეს მუხლი ბიბლიის სხვადასხვა თარგმანებში შევისწავლე. ერთ-ერთ მათგანში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ *„პრივილეგიაა“* არა მარტო ქრისტეს რწმენა, არამედ მისთვის ტანჯვაც. როცა ჩემი ოჯახი კომუნიზმის პირობებში ცხოვრობდა, მე და ჩემი და-ძმა დიდ ბრიტანეთში გავემგზავრეთ. ეს იყო ყველაზე შორი მანძილი, სადაც მანქანით მისვლა შეგვეძლო ლა მანშის სრუტის ბორანის მეშვეობით. ლონდონის ჩრიდლოეთით ერთ ეკლესიას ვეწვიეთ, სადაც ბიბლიის სწავლებას დავესწარით. იმ დროისთვის ჯგუფი დევნისა და ტანჯვის საკითხს იკვლევდა და უცებ იქ ჩვენ სამი, კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის მკვიდრები აღმოვჩნდით.

ჯგუფის წევრებმა გვკითხეს, როგორი თვალსაზრისი გვქონდა დევნაზე. იმ დროისთვის ბიბლიის შესწავლის პატარა ჯგუფში, ალბათ, ექსპერტებად ვითვლებოდით. მახსოვს ჩემი დის, იანას პირველი სიტყვები: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთვის დიდი პატივია უფლისთვის ტანჯვა.“ პასტორი

მაშინვე მიხვდა, მაგრამ სხვები დაიბნენ. რა პრივილეგიას უნდა მოიცავდეს დევნა?

მე თავად განვიცადე დევნის *უპირატესობა* და იესო ქრისტეს ტანჯვებში მცირედით მონაწილეობაც კი მადლიერების გრძნობით მავსებს. იესო ქრისტეს სახარება დევნის სახარებაა და უფალმა მოწაფეები დევნისთვის შეამზადა იოან. 15:18-21-ში:

> „თუ სძულხართ წუთისოფელს, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულა. თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არა ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს. გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: მონა არ არის-მეთქი თავის ბატონზე დიდი. თუ მე მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას; თუ ჩემი სიტყვა დაიცვეს, თქვენსასაც დაიცავენ. მაგრამ ყოველივე ამას ჩემი სახელის გამო გიზამენ, რადგან არ იცნობენ ჩემს წარმომგზავნელს“.

ლუკ. 21:12-16-ში უფალი კიდევ უფრო მეტ დეტალს გვაწვდის მომავალი დევნის შესახებ:

> „მაგრამ სანამ ეს ყოველივე მოხდება ხელს დაგადებენ ჩემი სახელის გამო და დევნას დაგიწყებენ, სინაგოგებსა და საპყრობილეებს გადაგცემენ, მეფეთა და განმგებელთა წინაშე მიგიყვანენ. ეს გექნებათ თქვენ დასამოწმებლად. ჩაიდეთ გულებში, რომ წინასწარ არ იზრუნოთ, რითი იმართლოთ თავი. რადგან მე მოგცემთ ბაგესა და სიბრძნეს, რომელთაც ვერ დაუპირისპირდებიან და ვერც შეეპასუხებიან თქვენი მოწინააღმდეგენი. გადაცემულ იქნებით მშობლებისა და ძმების, ნათესავებისა და მეგობრების მიერ, ზოგიერთ თქვენგანს კი მოკლავენ“.

დიახ, ზოგიერთ ქრისტიანს მოკლავენ. პავლე ამის შესახებ რომ. 8:35-39-ში გვახსენებს:

> „ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი? როგორც წერია: «რადგან შენ გამო გვხოცავენ ყოველდღე, დასაკლავ ცხვრებად ვართ მიჩნეულნი”. მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით. და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მომავალი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში“.

როცა იმაზე ფიქრს ვბედავ, რომ ჩრდილოეთ ნიგერიაში ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ქრისტიანებს ხოცავენ, ხშირად მახსენებენ ფაქტს: ქრისტიანები „დასაკლავ ცხვრებად ვართ მიჩნეულნი“. მარადისობის თვალსაზრისით კი ჩვენ გამარჯვებულებზე მეტი ვართ!

ციხის კათედრამდე დიდი ხნით ადრე წარმოთქმული ანალოგიური სიტყვებით მრავალ ქრისტიანს ვამხნევებდი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათ დევნისთვის ვამზადებდი 2 ტიმ. 3:12-ს სიტყვებით: „ყველა, ვისაც სურს ღვთისმოსაობით იცხოვროს ქრისტე იესოში, დევნილი იქნება“. სხვებს აქტიურად ვახალისებდი დევნის გადატანისთვის და როგორ უნდა გამკვირვებოდა, როცა თავად აღმოვჩნდი მის წინაშე?

უფალმა მისი სახელისთვის ტანჯვის *პრივილეგია* მარგუნა და დიდი სიხარულია ის, რომ ამ მოწოდების ღირსად ჩამთვალეს.

ბოლოსიტყვაობა
სიტყვა ტანჯვაზე

შესაძლოა, ტანჯვის აზრზე დაფიქრდით, როცა დევნის საშინელი ფორმების შესახებ გაიგეთ, რასაც სუდანელი ქრისტიანები განიცდიან. იმედი მაქვს, რომ ჩემს მოსაზრებას გაიზიარებთ: დევნა არ არის მხოლოდ „დისციპლინის ინსტრუმენტი“ ნელთბილი ქრისტიანებისთვის, რომელიც მათ ხორციელობისგან ათავისუფლებს ან „კატალიზატორი“ სახარების გასავრცელებლად.

ახალ აღთქმაში, ტანჯვა სხვა თვალსაზრისით არის განხილული: „არამედ გიხაროდეთ როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა მისი დიდების გამოცხადებაშიც იხაროთ და იმხიარულოთ“ (1 პეტრ. 4:13). დიახ, სწორად კითხულობთ: ტანჯვის გაზიარებისას“ უნდა ვიხაროთ. შეხედეთ მოციქულებს, რომელთა ციუდეველები შოლტავდნენ: „ისინი კი სინედრიონიდან გამოსულნი ხარობდნენ, რომ იესოს სახელისთვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ“ (საქმ. 5:41). დიახ, მოციქულები პატივად მიიჩნევდნენ თავიანთი უფლის გამო ცემას.

ფილ. 1:29-ში პავლე მოციქული ქრისტიანთა ტანჯვას მათთვის ბოძებულ პრივილეგიას უწოდებს. „ვინაიდან ქრისტეს გულისთვის მარტო რწმენა კი არ მოგეცათ, არამედ ტანჯვაც მისთვის“. დარწმუნებული ვარ, რომ ტანჯვა, რომელიც მოწამის სიკვდილით სრულდება, ქრისტიანისთვის ერთ-ერთი გამორჩეული პატივი და მნიშვნელოვანი პრივილეგია გახლავთ. „დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე“ ბევრი მნახველი იკრიბება. თუმცა მათ რიცხვში რომის არენის მომთხოვნი მაყურებლების გარდა დამსჯელი კომანდოსების

გაცოფებული წევრებიც არიან. (სხვათა შორის ზოგიერთი მათგანი ნამდვილ ქრისტიანად იქცა, როცა დასჯილი ქრისტიანების ერთგულება დაინახა). ქრისტიანი წამებულები რწმენისა და მორჩილების მოწმობას წარმოადგენენ არა მარტო ხილული ქვეყნიერებისთვის, არამედ - გაბედულად ვიტყვი - განსაკუთრებით, სულიერისთვის. „ვფიქრობ, რომ ჩვენ, მოციქულები, ღმერთმა უკანასკნელად შეგვრაცხა, როგორც სიკვდილმისჯილნი; ვინაიდან სანახაობად (ბერძნული: *თეატრონ*) ვიქეცით წუთისოფლისთვის, ანგელოზებისთვის და ადამიანთათვის“ (1 კორ. 4:9). დიახ, თეატრი! რასაკვირველია, ქრისტიანები მზად უნდა იყვნენ ცხოვრების სცენაზე ან თუ გნებავთ, საყოველთაო სანახაობის არენაზე გამოსასვლელად.

ვიცი, რომ უფალი ამაყობს თავისი მსახურებით - ის კიდეც ტრაბახობს მათით. „თუ შეგინიშნავს ჩემი მსახური იობი? არავინაა მასავით უბიწო, წრფელი, ღვთისმოშიში და ბოროტებას განრიდებული კაცი დედამიწაზე“ - ასე ეუბნება უფალი სატანას. ამას სატანა კი არ ამბობს, რომელიც ბოროტი სიხარულით უთითებს ცდუნების ამორჩეულ ობიექტზე, რომელსაც იცნობს და რომლის მოტყუებასაც აპირებს. ეს უფალი ამაყობს თავისი მსახურით, რადგან იცის, რომ ის ბოლომდე ერთგული იქნება ყველაზე მძიმე განსაცდელშიც კი. მან იცის, რამდენის ატანა შეგვიძლია და არ დაუშვებს, რომ ამაზე მეტად გამოვიცადოთ (იხ. 1 კორ. 10:13).

დიახ, ქრისტიანი წამებული - ეს საუკუნეთა სცენის „ცოცხალი“ მსახიობია, რომლის მიმდინარეობისას რეჟისორად - უფალი, ხოლო პირველი რიგის მაყურებლებად - სატანა და მისი ამალა გვევლინებიან. ღმერთი ხილულ და უხილავ სამყაროს თავისი მსახურების ერთგულებას უჩვენებს, რაც ლუციფერმა დაკარგა, როცა თავი სიამაყით ასწია.

უფალი ამ როლს ნებისმიერს არ არგუნებს. და მაინც, ჩვენ ერთი სხეული ვართ ქრისტეში. „და თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება. ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს“ (1 კორ. 12:26).

ვინაიდან ერთი სხეულის ნაწილები ვართ, სრულიად ბუნებრივია იმით დაინტერესება, სად და როგორ იტანჯება ჩვენი სხეულის რომელიმე ნაწილი - ჩვენი ძმები და დები. „გახსოვდეთ პატიმრები, თითქოს თქვენც მათთან ერთად ხართ შებორკილნი; და ტანჯულნი, თითქოს მათ სხეულში იმყოფებით“ (ებრ. 13:3). სიტყვაში „სხეული“ იგულისხმება არა მარტო ფიზიკური სხეული, არამედ სულიერიც ანუ ეკლესია. როცა უარს ვამბობთ ჩვენი დევნილი ქრისტიანი და-ძმების მიმართ აუღელვებლობასა და გულგრილობაზე, აშკარად ვაჩვენებთ, რომ მათი ტანჯვა ჩვენზე ზეგავლენას ახდენს და ჩვენ ერთი და იგივე სხეულის ნაწილები ვართ, რომლის თავი იესო ქრისტეა.

„ციხეში ვიყავი და მომინახულეთ“, - თავად უფალი ამბობს მათ. 25:36-ში. თითქმის შეუძლებელია ტოტალიტარული ციხეების უმრავლესობის მონახულება. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია გამამხნევებელი ბარათი შევუგზავნოთ პატიმარს ან საპროტესტო წერილი - ციხის დაცვას. ერთი და იგივე ტანჯული სხეულის კუთვნილების ჩვენება მრავალი გზით არის შესაძლებელი და უფალს სურს, რომ ეს გავაკეთოთ.

ავტორის შესახებ

2002 წელს პეტრე იაშეკი „წამებულთა ხმას“ (VOM) შეუერთდა, რომ დევნილ ქრისტიანებს სხვადასხვა გზებით დახმარებოდა მათდამი მტრულად განწყობილ ტერიტორიებსა და ქვეყნებში. ის „წამებულთა ხმის“ აფრიკის ფილიალს კურირებდა, ვინაიდან საავადმყოფოს ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. როცა პეტრე დევნილ მორწმუნეებთან შესახვედრად მოგზაურობდა, საკუთარი გამოცდილებიდან ამხნევებდა მათ, რადგან კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში დევნილი პასტორის შვილი გახლდათ. 2015 წლის დეკემბერში მისი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა, როცა სუდანის დედაქალაქ ხართუმის აეროპორტში დააკავეს. პეტრე ის-ის იყო შეხვდა ქრისტიანებს, რომ შეეფასებინა, თუ რის გაკეთება შეეძლო „წამებულთა ხმას“ მათი საუკეთესოდ მომსახურების თვალსაზრისით. იმის ნაცვლად, რომ დაპატიმრებულ მორწმუნეებსა და მათ ოჯახებთან შრომა განეგრძო, პეტრე თავად გახდა პატიმარი.

ციხეში ჰქონდა იმედგაცრუების მომენტები, მაგრამ ღვთის ერთგულებას რეალურად და ჭეშმარიტად მიიჩნევდა. მან პატიმრობა ქრისტეში ზრდის შესაძლებლობად გადააქცია თავისი რწმენის სხვა პატიმრებისთვის გაზიარებით და მათი გამხნევებით.

ციხეში გატარებული 445 დღის განმავლობაში „წამებულთა ხმა“ და მთელი მსოფლიოს ქრისტიანები პეტრეს ოჯახთან ერთად მისთვის ლოცულობდნენ და მხარდაჭერის სხვა ხერხებსაც იყენებდნენ. როცა პეტრე გაათავისუფლეს, ის ჩეხეთში დაბრუნდა ცოლთან, ვანდასთან და ორ ზრდასრულ

შვილთან. იგი „წამებულთა ხმაში“ მუშაობას განაგრძობს და მსახურების მსოფლიო ელჩად შრომობს. პეტრე მთელ მსოფლიოში მოგზაურობს, რომ ციხეში გატარებული დროის შესახებ დაამოწმოს და მორწმუნეებს დევნილი და-ძმების მხარდასაჭერად მოუწოდოს, ლოცვით იქნება თუ მოქმედებით.

„წამებულთა ხმის“ შესახებ

„წამებულთა ხმა“ გახლავთ არაკომერციული, არადენომინაციური ქრისტიანული მისიონერული ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს დევნილ ოჯახს მთელ მსოფლიოში ემსახურება პარაქტიკული თუ სულიერი დახმარებით და ადამიანების ქრისტეს სხეულში მოყვანით მასთან მოზიარეობის მიზნით. „წამებულთა ხმა“ 1967 წელს დაფუძნდა პასტორ რიჩარდ ვურმბრანდის მიერ, რომელიც ქრისტეს რწმენის გამო კომუნისტური რუმინეთის ციხეში იჯდა თოთხმეტი წლის განმავლობაში. მისმა მეუღლემ, საბინამ ციხეში სამი წელი გაატარა. 1965 წელს რიჩარდი და მისი ოჯახი რუმინეთიდან გამოისყიდეს და ამის შემდეგ მათ მისიების გლობალური ქსელი შექმნეს დევნილი ქრისტიანების დასახმარებლად.

იყავით გამხნევებული ჩვენი დევნილი და-ძმების ვაჟკაცური რწმენით და გაიგეთ, როგორ შეგიძლიათ მათი მომსახურება „წამებულთა ხმის“ უფასო ყოველთვიური სიახლეების გამოწერით. გვეწვიეთ ვებგვერდზე persecution.com ან დარეკეთ ნომერზე 1-800-747-0085. აღმოაჩინეთ „წამებულთა ხმის“ ხუთი მთავარი მიზანი და რწმენის აღიარება ვებგვერდზე persecution.com/about.

„წამებულთა ხმის“ საქმიანობის შესახებ მეტის გასაგებად დაგვიკავშირდით:

ამერიკის შეერთებული შტატები persecution.com
ავსტრალია vom.com.au
ბელგია hvk-aem.be
კანადა vomcanada.com
ჩეხეთის რესპუბლიკა hlas-mucedniku.cz

ფინეთი marttyyrienaani.fi
გერმანია verfolgte-christen.org
ნიდერლანდები sdok.org
ახალი ზელანდია vom.org.nz
სამხრეთ აფრიკა persecution.co.za
სამხრეთ კორეა vomkorea.kr
გაერთიანებული სამეფო releaseinternational.org

პეტრ იაშეკი კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში დევნილი პასტორის შვილი გახლდათ და შესაბამისად, კარგად იყო აღჭურვილი „წამებულთა ხმაში“ (VOM) სამუშაოდ, რომელსაც 2002 წელს შეუერთდა, რომ ქრისტიანებისადმი მტრულად განწყობილ რეგიონებსა და ქვეყნებში მცხოვრებ დევნილ მორწმუნეებს დახმარებოდა და მათთვის ყოველგვარი საშუალებით დაეჭირა მხარი. დღეს პეტრე „წამებულთა ხმაში“ მუშაობას განაგრძობს მსახურების მსოფლიო ელჩის ეგიდით და მთელ მსოფლიოში მოგზაურობს, რომ ციხეში გატარებული დროის შესახებ დაამოწმოს და მორწმუნეებს დევნილი და-ძმების მხარდასაჭერად მოუწოდოს, ლოცვით იქნება თუ მოქმედებით.

სუდანის რუკაზე ნაჩვენებია კონფლიქტის რაიონები.

მამაჩემს, რომელიც პასტორი გახლდათ, ხელში ვუკავივარ, სულ რაღაც, 2 წლის ასაკში. კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის საიდუმლო პოლიცია ჩემს მშობლებს ხშირად უთვალთვალებდა და დაკითხვასაც უწყობდა, რადგან მთავრობა არ იწონებდა მათ შრომას არაოფიციალურ ეკლესიაშიი.

15 წლის გახლდით, როცა რიჩარდ ვურმბრანდის წიგნის, „ღვთიური იატაკქვეშეთის“გერმანულ ენაზე დაწერილი ასლი მივიღე. მამამ ეს წიგნი მას შემდეგ გადმომცა, რაც საიდუმლო პოლიციის დაკითხვიდან სახლში დაბრუნდა. იმ დღეს ჩემი ორივე მშობელი დააპატიმრეს სხვადასხვა ადგილას. სკოლიდან დაბრუნებულს, არც ერთი არ დამხვდა და მაინტერესებდა, რა მოუვიდათ. როცა მამა დაბრუნდა, დაინახა, როგორი შეშინებული ვიყავი, ამიტომ ასე მითხრა: „წაიკითხე ეს წიგნი. იგი შენს რწმენას განამტკიცებს.“

მე და მამა კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის სავალდებულო სამხედრო სამსახურის პირველი შვებულების დროს. სავალდებულო სამხედრო სამსახურის პირველ თვეს მშვენიერი შესაძლებლობა მომეცა, რომ ჩემი ქრისტიანული რწმენა ჯარისკაცების დიდი ჯგუფის წინაშე წარმედგინა. მეოთხე კლასში, როცა ძალიან შემრცხვა მამაჩემის პასტორობის აღიარება, ღმერთს ვთხოვე, რომ ხალხის წინაშე იესო ქრისტეზე დამოწმების საშუალება მოეცა. ასეთი შემთხვევა სამხედრო სწავლებისას გამოჩნდა, რომელიც ათეისტურ მსოფლმხედველობას მოიაზრებდა. ოფიცერმა იკითხა: „არის თუ არა ვინმე აქ, ვისაც ჯერ კიდევ სწამს ღმერთი?“ ამ დროს ნათლად შევიგრძენი ასეთი სიტყვები: „პეტრ, ეს ის დროა, როცა შეგიძლია საჯაროდ აღიარო ქრისტე.“ მე ხელი ავწიე. 300 ჯარისკაცში ერთადერთი აღმოვჩნდი. მას შემდეგ ყოველთვის ვცდილობდი ქრისტეზე დამოწმებას.

სუდანელი ქრისტიანები დევნას განიცდიდნენ ყოფილი პრეზიდენტის, ომარ ჰასან ალ-ბაშირის ხელმძღვანელობით, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1989 წელს მოვიდა სამხედრო გადატრიალების შედეგად და მთელ ქვეყანაში ისლამური სამართლის მკაცრი ფორმა გაავრცელა. 2009 წელს ჰააგის საერთაშორისო კრიმინალურმა სასამართლომ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. ეს გახლდათ ისტორიაში პირველი ორდერი, რომელიც მოქმედი ხელისუფლის დაკავებას გულისხმობდა. მას ბრალი ედებოდა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ მრავალ დანაშაულში, მათ შორის, მასიურ ჟლეტაში, დეპორტაციაში, წამებასა და გაუპატიურებაში. ბაშირი სუდანის მართვას 2019 წლის 11 აპრილამდე განაგრძობდა, სანამ რამდენიმეთვიანი პროტესტის შემდეგ სუდანელმა სამხედროებმა პრეზიდენტის პოსტიდან არ ჩამოაგდეს.

2002 წლის დეკემბერში სუდანში მეორედ ჩავედი. ამ მოგზაურობისას მისიის კოლეგას ვახლდი და დევნილ ქრისტიანებს პრაქტიკულ დახმარებას ვუწევდი ზემო ნილოსის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც იმ დროისთვის ფრონტის ხაზიდან 12 მილის დაშორებით მდებარეობდა. მეც ვამხნევებდი სუდანელ ქრისტიანებს და ჩეხური ბიბლიიდან ადგილებს ვუზიარებდი, რომელიც 7 წლის ასაკში მივიღე. ეს ბიბლია კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში კონტრაბანდით შემოიტანეს 1960-იანი წლების მიწურულს. კომუნისტური დევნისას მე ვიყავი მიმღები მხარე, ამიტომ სიხარულით შევაგონებდი ჩემს დევნილ სუდანელ და-ძმებს და დახმარებას ვუნაწილებდი.

აიდა სკრიპნიკოვას პირველად 2002 წლის დეკემბერს სანკტ-პეტერბურგში, რუსეთში შევხვდი. მან 1960-იან წლებში ოთხი წელი გაატარა პატიმრობაში საბჭოთა კავშირში ქრისტიანული საქმიანობის გამო. აიდას საოცარი ამბავი აღწერილია წიგნში „ცეცხლოვანი გულები“.



„წამებულთა ხმის“ აფრიკის რეგიონალური დირექტორის პოზიციაზე მუშაობისას ჩრდილოეთ ნიგერიაში ახალგაზრდა ბიჭი, სახელად ვენგი მოვინახულე. ის მხოლოდ სამი კვირისა იყო, როცა მის სოფელს თავს დაესხნენ მუსულმანი ექსტრემისტები. მას სახლი გადაუწვეს და დედა მოუკლეს, როცა ქალი ვენგით ხელში გაქცევას ცდილობდა. ვენგი ცეცხლში ჩავარდა და ფეხები ისე დაიწვა, რომ მათი ნორმალური განვითარება შეუძლებელი გახდა. ამ მოგზაურობის ფარგლებში „წამებულთა ხმამ“ ვენგს ახალი პროთეზები გადასცა, რომლებიც მას სიარულისა და სირბილის საშუალებას მისცემდა მისი ასაკის სხვა ბავშვების მსგავსად. ამ ფოტოს გადაღებიდან სამი კვირის შემდეგ სუდანისკენ გავემართე, სადაც დამაპატიმრეს კიდეც.

ამ შენიშვნებს ჩუმად ვიწერდი, როცა ციხეში ბიბლიას ვკითხულობდი, განსაკუთრებით, ნიაბა მენდოლას საპოლიციო განყოფილების იზოლირებულ საკანში სამთვიანი პატიმრობის დროს. მაშინ განვიცადე ის, რასაც ბიბლიის კერძო გაკვეთილებს ვუწოდებ სულიწმიდასთან ერთად. ყოველდღიურად კამერის სარკმელთან დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე მდგომმა სამ კვირაში დავასრულე ბიბლიის კითხვა დაბადებიდან გამოცხადებამდე. ციხეში ყოფნის პირველ ხუთ თვეს ბიბლიის ქონის უფლებას არ მაძლევდნენ.

ეს ჩემი ფოტო გახლავთ (მარცხნიდან მარჯვნივ) პასტორ ჰასანთან, პასტორ კუვასა და ძმა მონიმთან ერთად, რომელიც ალ-ჰუდას ციხის სამლოცველოში გადავიღეთ. 29 იანვარს პასტორ ჰასანსა და ძმა მონიმს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ, ხოლო მოგვიანებით, მეც გამომიტანეს სამუდამო პატიმრობის განაჩენი. პასტორი კუვა 2 იანვარს გაამართლეს, რადგან ჩემი ჩასვლისას ხართუმში არ იმყოფებოდა. მისი დაპატიმრება თავისი ქვეყნის მუსულმანთა შორის მისიონერული საქმიანობის გამო მოხდა.

ეს გახლავთ პირველი ჭიქა, რომელიც ციხეში დილის ჩაის დასალევად მივიღე. ის ძალზე ჭუჭყიანი გახლდათ, როცა მომცეს და საკმარისი ოდენობის წყალიც არ მქონდა მის რიგიანად გასარეცხად. ალ-ჰუდას ციხეში ჭიქის გაწმენდა მხოლოდ უდაბნოს სილით შემეძლო. იმის გამო, რომ წვერი და თმა დიდი ხნის განმავლობაში მეზრდებოდა, სავარცხელი აუცილებლად მჭირდებოდა. ფოტოზე გამოსახული სავარცხელი ჩეხეთის საკონსულოს ოფისმა მაჩუქა. ჩეხური ბიბლია, რომელსაც ციხეში ვკითხულობდი, გადაშლილია 103-ე ფსალმუნზე. ის ერთ-ერთი გახლავთ წმიდა წერილის რამდენიმე მონაკვეთიდან, რომლებიც ზეპირად დავისწავლე, რადგან არ ვიცოდი, რამდენ ხანს შევძლებდი ციხის პირობებში ბიბლიის შენახვას.

მე, პასტორი ჰასანი (მარჯვნივ) და კიდევ ერთი უხუცესი ციხის სამლოცველოდან (მარცხნივ) ალ-ჰუდას ციხეში. როცა მე, პასტორი ჰასანი და პასტორი კუვა ალ-ჰუდას ციხეში მივედით, ციხის სამლოცველოში პირველივე დღეს მიგვიწვიეს. იმის გამო, რომ კიდევ სამი მქადაგებელი დაემატათ, უხუცესებმა ღვთისმსახურებათა რიცხვის გაზრდა გადაწყვიტეს და კვირაში ორიდან ხუთ მსახურებამდე ავიდნენ. თავისუფალ დროს სხვა პატიმრებს ფრანგულსა და ინგლისურ ენებს ვასწავლიდი.

შობის წინ ალ-ჰუდას სამლოცველოში 200-ზე მეტი პატიმრის წინაშე ვიქადაგე. შობას ციხის ხელმძღვანელობამ მსახურებაზე 100-მდე სიკვდილმისჯილი პატიმარი დაუშვა. პატიმრებს შორის დიდი სულიერი შიმშილი იყო. როცა ალ-ჰუდაში პირველად მივედი, მსახურებას მხოლოდ 20-დან 25-მდე ადამიანი ესწრებოდა. ხუთი თვის შემდეგ მათი რიცხვი 200 კაცამდე გაიზარდა. შობას წარმოშობით იტალიელ კათოლოკე მღვდელმსახურს ციხის სამლოცველოს მონახულების უფლება მისცეს. სანამ არაბულად ქადაგებას დაიწყებდა. ინგლისურად თქვა, რომ რომშიც კი არ ჰქონია ამდენი ხალხის წინაშე ქადაგების შესაძლებლობა.

ჩემი და ჩემი ოჯახის პირველი ფოტო ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. ჩეხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავით საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად სახლში გაფრენის შემდეგ მითხრეს, რომ პრაღის ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში ორ-სამ კვირიანი კარანტინი უნდა გამევლო. ღვთის მადლით, სამედიცინო შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და საავადმყოფოდან ორი დღის შემდეგ გამომწერეს.

მე და ჩემი მეუღლე ვანდა ჩეხეთის ისტორიულ ცენტრში ვსეირნობთ გათავისუფლების შემდეგ.

მე და ვანდა ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ კლადნოს მშობლიურ ეკლესიაში ჩემი ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. ჩვენმა ეკლესიურმა ოჯახმა მობილურ ტელეფონებზე შეხსენება დააყენა, რომ საღამოს 8 საათზე ყველას ელოცა ჩემთვის - ყოველ საღამოს, 20:00 საათზე, როცა ციხეში დასაძინებლად ვემზადებოდი. ლოცვაში მათმა ერთგულებამ ყოველ ღამე მშვიდად ძილის საშუალება მომცა.

2018 წლის მარტში პატარა ჯგუფებისთვის ვურმბრანდის პროგრამის გადაღებისას რუმინეთის ჟილავაში რიჩარდ ვურმბრანდის იზოლირებულ საკანში ვიდექი. მართალია, ქუჩაში შედარებით თბილოდა, ციხეში ჯერ კიდევ სიცივე იგრძნობოდა. იქ ყოფნისას ნათლად გავიაზრე, რომ რიჩარდს სწორედ უფლის დაცვამ და უზრუნველყოფამ შეაძლებინა ციხის მკაცრი პირობების გაძლება, რაც საკვების უკმარისობას, სნეულებებს, ცემასა და წამებას მოიცავდა.

2017 წლის 11 მაისს ჩემი მეგობრები, პასტორი ჰასანი (მარჯვნივ) და ძმა მონიმი (მარცხნივ) სუდანის ციხიდან გათავისუფლდნენ. ჰასანი გააფრთხილეს, რომ ხელისუფლება მისი საქმიანობის თვალთვალს გააგრძელებდა. მან იცოდა, რომ ეს დამატებით საფრთხეს შეუქმნიდა მის ოჯახს და ეკლესიაც არასასურველ ყურადღებას მიიქცევდა, ამიტომ პასტორმა სუდანი ოჯახთან ერთად დატოვა. ძმა მონიმიც წავიდა. ორივე შეერთებული შტატების აღმოსავლეთით, პატარა ქალაქში ცხოვრობს, სადაც მათთან შეხვედრის პატივი მაქვს აშშ-ში მოგზაურობისას.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობ და ციხეში ყოფნისას დანახულ ღვთიურ უზრუნველყოფაზე ვამოწმებ. ასევე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ლოცულობდა. ამ ფოტოზე „წამებულთა ხმის“ კონფერენციაზე გამოვდივარ ტალსაში, ოკლაჰომის შტატში, პასტორ ჰასანსა და „წამებულთა ხმის“ რადიოს წამყვანთან, თოდ ნეთლთონთან ერთად.

შინაარსი

სულანი ძალადობრივი ისლამიზაციის დროს. 5

წინასიტყვაობა. 7

თავი 1 9

თავი 2 13

თავი 3 18

თავი 4 24

თავი 5 28

თავი 6 31

თავი 7 35

თავი 8 38

თავი 9 42

თავი 10 52

თავი 11 60

თავი 12 63

თავი 13 74

თავი 14 80

თავი 15 86

თავი 16 95

თავი 17 103
თავი 18 119
თავი 19 131
თავი 20 136
თავი 21 140
თავი 22 147
თავი 23 157
თავი 24 162
თავი 25 165
თავი 26 172
თავი 27 175
თავი 28 181
თავი 29 185
თავი 30 191
თავი 31 195
თავი 32 200
თავი 33 204
თავი 34 210
ეპილოგი. 212
ბოლოსიტყვაობა. 220
ავტორის შესახებ 223
„წამებულთა ხმის“ შესახებ 225

მოულოდნელად ოთახში სიჩუმემ დაისადგურა, შემდეგ კი ფანატიკური შეძახილები გაისმა: „ალაჰუ აკბარ!“ დამფრთხალმა სწრაფად შევისუნთქე ჰაერი. თვალები გამიფართოვდა. რამდენიმე წუთი ჩემი თანამოსაკნეები საფრანგეთში განხორციელებულ წარმატებულ ტერაქტს ზეიმობდნენ. ასეთი მუსულმანური დღესასწაული მხოლოდ ტელევიზიით მენახა და მისი რეალური განცდა შოკისმომგვრელი აღმოჩნდა.

ამ საშინელ მომენტში გავაცნობიერე, რომ ციხეში ისლამისტ ექსტრემისტებთან ერთად მოვხვდი. ძალიან მალე იმასაც გავიგებ, რომ ჩემი თანასაკნელები „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ყოფილან.

* * *

2015 წლის 10 დეკემბერს პეტრე იაშეკი სუდანის დედაქალაქ ხართუმის აეროპორტში მივიდა, რომ უკანა რეისით სახლში, ჩეხეთში დაბრუნებულიყო. სანამ თვითმფრინავში ჩაჯდომას შეძლებდა, სუდანის უშიშროების სამსახურმა გააჩერა ქვეყანაში მისი საქმიანობის გარკვევის მიზნით. ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს შეუქმნიდა დევნილ ქრისტიანებს, რომელთაც პეტრე შეხვდა. დაკითხვა გრძელდებოდა და ის დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ რჩებოდა. აშკარა გახდა, რომ მას ოჯახთან მალე დაბრუნება არ ეწერა.

პეტრეს მრავალ დანაშაულში წაუყენეს ბრალი და ამის გამო ციხეში 445 დღე გაატარა - ეს ყველაფერი ქრისტიანთა დახმარების მცდელობის გამო, რომლებსაც სუდანის მთავრობა დევნიდა.

მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და თან იძულებული გახდა, საკანი „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებთან ერთად გაეყო. წიგნში პავლე თავის ისტორიას გიზიარებთ, თუ როგორ მისცა ღმერთმა პატიმრობის დროს ძალა, მხნეობა და ახალი მიზანი.

პეტრე იაშეკი კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში დევნილი პასტორის შვილი გახლდათ და შესაბამისად, კარგად იყო აღჭურვილი „წამებულთა ხმაში“ (VOM) სამუშაოდ, რომელსაც 2002 წელს შეუერთდა, რათა ქრისტიანებისადმი მტრულად განწყობილ რეგიონებსა და ქვეყნებში მცხოვრებ დევნილ მორწმუნეებს დახმარებოდა და მათთვის ყოველგვარი საშუალებით დაეჭირა მხარი. დღეს პეტრე „წამებულთა ხმაში“ მუშაობას განაგრძობს მსახურების მსოფლიო ელჩის ეგიდით და მრავალ ქვეყანაში მოგზაურობს, რომ ციხეში გატარებული დროის შესახებ დაამოწმოს და მორწმუნეებს დევნილი და-ძმების მხარდასაჭერად მოუწოდოს, ლოცვით იქნება თუ მოქმედებით.

petrjasek.com